



2017/5

ყოველთვიური ლიფერაცენტრი –  
სამსახურის ქურნალი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი  
ანდრო ბუაჩიძე  
თამარ გელიტაშვილი  
ელია მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
ქეთევან მერკვილაძე  
თამარ გელიტაშვილი

---

გარეკანის პირველ გვერდზე –  
„ქალწული მარტორქით“ – **დომენიკო**  
ძამპიერის ფრესკის დეტალი – რომი,  
პალაცო ფორნეზე  
გარეკანის მეოთხე გვერდზე –  
ვუდი ალენი

---

ქურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
თანამდებობის მსარბაჭირობით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

<p><b>პრიტია, ესეისტია</b></p> <p>ამირან გომართელი „მერანის“ ქარაგმა</p> <p><b>მაკა ჯოხაძე</b></p> <p>„ახალი ტალღა“ თანამედროვე ქართულ პოეზიაში</p> <p><b>ჰოვაბაძე</b></p> <p>დებიუტი მელანო ზუკავიშვილი ლექსები</p> <p><b>პროზა</b></p> <p>გია აბაზაძე Yesterday მოთხრობა</p> <p>ირმა კეკელიძე უარადა, სიუარადა მოთხრობა აფხაზეთის თემაზე (ნამდვილი ამბავი)</p> <p><b>ჰოვაბაძე</b></p> <p>ლალი გულისაშვილი ლექსები</p> <p><b>პროზა</b></p> <p>ვანო ჩხიკვაძე მოთხრობები წიგნიდან „ქიზიყური ბელკანტო“</p>	<p>3</p> <p>10</p> <p>25</p> <p>32</p> <p>38</p> <p>43</p> <p>46</p>	<p><b>აფხაზი პოეტი</b></p> <p>„ცისკარში“ ნიკა ბაძალუა საკუთარი ლექსები; ლექსების აფხაზური თარგმანი</p> <p><b>ციცილები</b></p> <p>ნუგზარ ზაზანაშვილი ანა ახმატოვა – მესამე გზა (წიგნიდან „რუსოფონია, ანუ პოეტური იმპერიალიზმი...“)</p> <p><b>ახალი თარგმანები</b></p> <p>ვუდი ალენი ორი მოთხრობა თარგმნა ირმა ტაველიძემ</p> <p>შოტლანდიელი, ინგლისელი და ამერიკელი პოეტები თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა</p> <p><b>ნატალია ტროპიმი</b></p> <p>თარგმნა მარიამ წიკლაურმა</p> <p><b>სუბრები ჩიქა ყავაზე</b></p> <p>კატო ჭავახიშვილი „საქართველოში უკვე ძალიან გვიანია, არა?“ (საუბარი ირმა შიოლაშვილთან)</p> <p><b>არტრენი</b></p> <p>ალინა ქადაგიშვილი სიყვარულით შექმნილი (თამარ ლომიძის პერსონალური გამოფენა)</p>	<p>76</p> <p>79</p> <p>85</p> <p>96</p> <p>100</p> <p>104</p> <p>110</p>
--	--	--	--

### ამირან გომართელი



### „მერანის“ ქარაგმა

საკუთარი შედევრისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილს „მერანი“ არ უწოდებია. ავტოგრაფულ ხელნაწერებში იგი ძირითადად უსათაუროა და იწყება სტრიქონით: „მირბის, მიმაფრენს...“ ერთადერთ შემთხვევაში, რომელიც „მერანის“ დაწერის წლით (1842) თარიღდება, პოეტს ლექსისთვის „თავგანწირული მხედარი“ უწოდებია.

როცა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჟურნალმა „ცისკარმა“ მკითხველი საზოგადოებისათვის ხელახლა აღმოჩენილი პოეტის ლექსების პუბლიკაცია დაიწყო, „მერანი“ და ზოგიერთი სხვა უსათაურო ლექსი დაასათაურეს. ეს ფაქტი „ცისკრის“ რედაქტორს, ივანე კერქესელიძეს მიეწერება. 1860 წლის „ცისკრის“ მე-6 ნომერში პირველად ჩნდება სათაური „ჩემს მერანს“.

1863 წელს დავით ჩუბინაშვილმა პეტერბურგში გამოცემული „ქართული ქრესტომათიის“ მე-2 წიგნში ლექსს „მერანი“ უწოდა და დღემდე ყველა ასე იხსენიებს ქართული ლირიკული პოეზიის შევენებას („მერანის“ დასათაურების შესახებ იხ. სიმონ სხირტლაძე, „ვინ შეურჩია ბარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური?“).

ბარათაშვილის პოეზიის ყოველმა მკითხველმა იცის, რომ „მერანის“ დაწერის საბაბი პოეტთან თანშეზრდი-

ლი მეგობრისა და ბიძის, ილიკო ორბელიანის დატყვევება გამხდარა შამილის მიერ. სამი დღე ძალზე შეწუხებული და გაბრუებული ვიყავი და, როცა ეს ლექსი დავწერე, თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო, – აუწყებს ბარათაშვილი ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, თუმცა იმასაც დასძენს, როცა ახლობელთა წრეში ლექსი წავიკითხე, ქალებმა იმდენი იტირეს, თითქოს ამას ილიკო ამბობს და არა მეო. ასე რომ, ლექსის ღრმააზროვანი შინაარსი არ ამოინურება ოდენ ილიკო ორბელიანის თავსდატეხილი უბედურებით. ბარათაშვილის პოეზია ხომ, უპირველესად, „მერანით“ ეხმიანება ილიასეულ განსაზღვრებას პოეტის საკაცობრიო საფიქრალსა და სატკივარზე, მაგრამ აქვე ჩნდება კითხვაც: როდესაც ლექსს „მერანს“ ვარქმევთ, ხომ არ ვავინროებთ მის შინაარსს? მართალია, ბარათაშვილის პოეტურ შედევრში მერანისადმი მიმართვა არაერთგზისაა გაცხადებული, მაგრამ ლექსის ლირიკული გმირი ხომ თავგანწირული მხედარია და არა მისი ტაიჭი! ეს უხერხულობა ნუთუ ვერც ივანე კერქესელიძემ იგრძნო და ვერც დავით ჩუბინაშვილმა?! ან ეგებ სრულიად სხვა პაროლის, სხვა ქარაგმის შემცველია მერანი?! მაგრამ, ვიდრე აღნიშნულ საკითხზე ვიმსჯელებდეთ, იმის გააზრება

გვამრთებს, თუ რაოდენ ღრმად რელიგიური პოეტია ნიკოლოზ ბარათაშვილი. როგორც მისი ბიოგრაფიები აღნიშნავენ, საღმრთო წერილისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მცირებულოვანს დედამ, ეფემია ორბელიანმა გაუღვივა. ეს ინტერესი კიდევ უფრო გაულრმავდა კალოუბნის სკოლასა და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (რომელიც შემდგომ გიმნაზიად გადაკეთდა), სადაც ღვთისმეტყველებას საფუძვლიანად ასწავლიდნენ.

ილია ჭავჭავაძემ ზუსტად ამოიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უმთავრესი ძარღვი: „ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰქონდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას და ამიტომაც ამბობს იგი: თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“ (ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თავი IV).

ბარათაშვილის გულისთქმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გამუდმებით ცის „იქითა ეძიებს სადგურს, ზენაარს სამყოფს; რომ დაშთოს აქ ამაოება“; პოეტის თვალნიც ზეცად მისწრაფვიან. ამქვეყნიური მშვენიერებაც იმიტომაა „ნათელი, ზეცით მოსული“, რომ „უხრწელის“, მარადიულის, ღვთაებრივი ჰარმონიის გამოკრთომაა. პოეტი გამუდმებით ღვთაებრივი ტაძრის მაძიებელია, სადაც დავითის ქნარი იკვრის და უზენაესის წინაშე არცთუ იშვიათად ლოცვად არის მუხლმოყრილი („ჩემი ლოცვა“). უამიდან უამზე, მართალია, ახელებს მიწიერი სილამაზე – ეკატერინეს საყურის ხილვა ანდა თავად კატინა, ფორტეპიანოზედ მომლერალი, მაგრამ ამგვარი ტრფობა მაინც იშვიათია. ნიკოლოზ ბარათაშვილი, უპირატესად, როგორც ილიამ შენიშნა, ღვთაებრივი ტრფიალებითაა გამსჭვალული, ამიტომაც პასუხობს ბანოვანს თამამი პირდაპირობით: „რად

ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ პოეტს მასზე დიდი მიჯნური ჰყავს – ღვთაებრივი მიჯნურობითაა გახელებული და ნიკოლოზ ბარათაშვილთან, სადაც ზოგჯერ ჩვეულებრივ სატრფიალო ლირიკას ხედავენ, როგორც ითქვა, ხშირად „საზეო“, საღვთო ტრფიალება მოიაზრება. ლაუგარდში იგი მხოლოდ ღვთაებრივს ჭვრეტს („მაგრამ რა თვალი ლაუგარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან“), რადგან იქ უხრწელი, ღვთისმშობლისეული მშვენიერება ეგულება („მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწელი“).

უშუალოდ მაცხოვრისადმი მიმართვაც არაერთგზის ხმიანობს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, თუმც ყველა შემთხვევაში ის ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელი სახისმეტყველებითი სტილით გადმოიცემა. ასეთი ლექსია, მაგალითად: „ჩემს ვარსკვლავს“.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,  
მაინც გიცნობ მშვენიერის ცის  
მთენო:

ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებელ დაბინდულის გულისა!

კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
ნაბერწყალნი ეშნისა მომაყარე.

ვარსკვლავი, ახალი აღთქმის თანახმად, ქრისტეს სიმბოლოა. თავად მაცხოვარი ბრძანებს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (გამოცხ. ი. 22, 16). აშკარაა, ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავს“ მაცხოვრისადმი მიძღვნილი ლექსია. ამგვარი თემატიკისა და სიმბოლიკის შემცველი რამდენიმე ლექსი აქვს გალაკტიონ ტაბიძესაც: „Astra“ („ვარსკვლავი“), „ჩემი ვარსკვლავი“, „ვარსკვლავია“. მათი თემატური და სახისმეტყველებითი მსგავსება ძალზე აშკარაა ბარათაშვილის „ჩემს ვარსკვლავთან“, საზოგადოდ,

„მერანის“ ავტორის სარწმუნოებრივ მსოფლგანცდასთან. გალაკტიონის ლექსში „ვარსკვლავია“ ბარათაშვილის მსგავსი წუხილიც კი გამოსჭვივის, რომ „ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“. ახლა გალაკტიონს მოვუსმინოთ:

ეხლა, გამახსენდა როცა ყოველივე ყველა, ყველაფერი არის გაჩენილი ამაოებისთვის,  
მხოლოდ შენ ანათებ! ნეტა  
არსებობდეს სიტყვა ქვეყანაზე  
ამის დამხატვი, ნეტა არსებობდეს  
გული ქვეყანაზე  
ამის შემგძნობელი, ნეტა  
არსებობდეს აზრი ქვეყანაზე  
ამის შემცნობელი.

აშკარაა, ქრისტიანული სახისმ-  
ეტყველება არც გალაკტიონისთვისაა  
უცხო. ამ სფეროში მასაც საფუძვლიანი  
ცოდნა მიუღია სასულიერო სემინარი-  
აში. ზემოთ ნახსენებ ლექსებში გალაკ-  
ტიონი ისევე უდგას კვალში ნიკოლოზ  
ბარათაშვილს, როგორც ეს უკანასკნელი  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორსა თუ პიძამისა,  
გრიგოლ ორბელიანს.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობა-  
ში კარგა ხანია შემჩნეულია „ლიტერ-  
ატურული გენეზისი“ ბარათაშვილის  
სტრიქონებისა:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა,  
მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,  
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და  
ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა;  
.....

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიორს სატრფომ გულისა,  
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

ეს სტრიქონები დასაბამს „ავთანდი-  
ლის ანდერძიდან“ იღებს:

თუ საწუთომან დამამხოს,  
ყოველთა დამამხობელმან,

ღარიბი მოვკვდე ღარიბად,  
ვერ დამიტიროს მშობელმან,  
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა  
და ვერცა მისანდობელმან...

ბარათაშვილის ლექსის თემატურ-სახ-  
ეობრივი მსგავსება გრიგოლ ორბელიანის  
„სადლეგრძლოს“ ერთ მონაკვეთთან ჯერ  
კიდევ 1925 წელს შენიშნა ვახტანგ კო-  
ტეტიშვილმა და საკმაოდ საფუძვლიანად  
უარყო იონა მეუნარგიას თვალსაზრისი,  
თითქოს, „მერანი“ მიცეკვიჩის „ფარისის“  
გავლენით დაიწერა. ეს მოსაზრება, არ-  
სებითად, იმას ემყარებოდა, რომ ორივე  
ლექსი არის ცხენი და მხედარი. ვახ-  
ტანგ კოტეტიშვილმა მკაფიოდ ცხადყო,  
რომ „მერანის“ ავტორისათვის ბიძგის  
მიმცემია „ფარისზე“ გაცილებით ადრე  
შექმნილი გრიგოლ ორბელიანის „სადლე-  
გრძელოს“ სტრიქონები:

ვაი თუ ჩემგან უდროდ შავ-ბედმან  
აქ განმიმზადა მეც აღსასრული!  
ვაი თუ მოვკვდე მეც ობოლ-მწირად,  
გულს არ დამეცეს სატრფოის  
ცრემლი, არ მესმას მისი ხმა ნუგეშისა,

სიკვდილის უამის დამატებობელი,  
არა ვემთხვიო ბაგით, ძლივს  
ცოცხლით,  
უკანასკნელად მშვენიერს მის  
გულს,

რომ სახე მისი თვალთა დახშულმან  
თანა წარვილო იმიერ სოფელს -  
მუნ საშვებელად, მუნ სანუგეშოდ,  
და რათა მითვე ვსცნა უკვდავება!..  
რაა გინდ მოვკვდე! მაინც შენდამი  
სულს სიყვარული თანა წარჟყვება!..

„სადლეგრძელოს“ ამ მონაკვეთს ვახ-  
ტანგ კოტეტიშვილის ასეთი კომენტარი  
მოსდევს:

„ეს არის მხედრების ეჭვი, რომელთ  
თავ-გადადება აპოგეამდე არ მისულა...  
ისინი... მსხვერპლს არ უშინდებიან,  
მაგრამ ერთგვარი სინანული მაინც ამ

ცხოვრებასთან აკავშირებს. ბარათაშვილის მხედარს კი ყველაფერი უარუყვია და გრიგოლ ორბელიანის „ვაი თუ-ს“ უპასუხებს კატეგორიული „ნუ-თი“ (ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 135).

ბარათაშვილი იმდენად ღრმა რელიგიური განცდის პოეტია, რომ აშკარაა, ამ ყაიდის ცნობიერება ვერც „სადღე-გრძელოს“ მხედარზე, ვერც კონკრეტულ ისტორიულ პირსა თუ წმინდაზე ვერ შეჩერდება, მით უფრო ილია ორბელიანზე. გულისითქმა მისი უშუალოდ მაცხოვრის მისტერიაზეა პროცესირებული. როგორც ქვემოთ ვასხავთ, ეს მკაფიოდ გაცხადდა „მერანში“.

ღვთაებრივი საუფლოსაკენ, ტრანსცენდენტურისაკენ მიქცევას ჩვენი პოეტისათვის ამქვეყნიური ამაოების შეგრძნება განაპირობებს. „ბედის სამზღვრის“ გადალახვა, რომლის აქეთა მხარეს „შავი ყორნის“ ჩხავილი ისმის, უფლის ნების დაძლევა კი არა, უფლის წიაღში დაბრუნება. მიუღებელი რეალობა რწმენით გადაილახვა. რაციონალური შემეცნების შედეგად კი ოდენ „შავი ყორნის“ სამყარო წარმოუდგება პოეტს. აქვე უნდა ითქვას, რომ ყორანი საკმაოდ მყარი პარადიგმაა – ედგარ პოსთანაც რაციონალურ აზროვნებას განასახიერებს, ანუ იმას, რაც რწმენას უპიროსპირდება. ასეთივეა ნიკოლოზ ბარათაშვილის „თვალბედითი შავი ყორანი“.

რაციონალური აზროვნებით ვერ დაიძლევა ამქვეყნიური ყოფის შეზღუდულობა, ის, რაც ასე ანუხებდა ბარათაშვილს. გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „ჩვენის დანიშნულების მიზნის მიუღწევლობა... და მთელი ცისქვეშეთის ამაოება ჩემს სულს საშინელი სიცარიელით ავსებს“. ამაოების დაძლევა მხოლოდ რწმენას, რწმენით აღვსებულ სულისკვეთებას შეუძლია. „მერანის“ ავტორი მიუღებელი ემპირიული სინამდვილისაგან მოწყვეტას სწორედ რწმენასთან წილნაყარი პოეტ-

ური ცნობიერების მეშვეობით ახერხებს.

კვლავ გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი ბარათიდან: „ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“. ამ საოცრად ტევად და ყმაწვილი კაცის პირობაზე გონიერ ფრაზაში მარტო ტფილისი არ იგულისხმება, არამედ მთელი გარემომცველი ემპირიულ-მატერიალური სინამდვილე – „ბედის სამზღვრისაგან“ შემოსაზღვრული. სწორედ ეს უსარგებლო ყოფა, ეს სიცარიელე, ეს ღვთისაგან დაცილება-მიუსაფრობა უნდა გადაილახოს, რათა პოეტი მშობლიურ სამყოფელს, ნათელქმნილ ღვთაებრივ წიაღს დაუბრუნდეს. ამგვარ მიუსაფრობას გალაკტიონი „უბინაობას“ ეძახდა და ისიც ღვთაებრივ წიაღში დაბრუნებას ელტვოდა („მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი, ვით უბინაოს ყოფნა ბინაში“). ორივე პოეტისათვის სწორედ ეს ღვთაებრივი წიაღია მათი ბინა, მათი „შინ“. ასე ფილოსოფიოსობენ ჩვენი პოეტები. აკი თქვა ნოვალისმა: ფილოსოფოსობა შინ ყოფნის გამუდმებული ნოსტალგიაა. „ბედის სამზღვრის“ მსგავსად, პირველქმნილ, იდეალურ სამშობლოში დაბრუნების ნისტალგიაც რწმენით გადაილახვა. ბარათაშვილიც სწორედ რწმენას უნდა დაემყაროს ისევე, როგორც მისი მხედარი – მერანს, მაგრამ კვლავ უნდა დავუბრუნდეთ კითხვას, რა არის მერანი? რატომაა ასე აქცენტირებული მერანისადმი მიმართვა? არსებითად ხომ მერანი წარმართავს ლირიკული გმირის/პოეტის ნებას („მირბის, მიმაფრენს...“), მის ქროლვა-ჭენებას მიჰყვება იგი. პოეტს ხომ სწორედ მერანი მიაჩნია მოძმისთვის გეზის დამსახავად და ჯერაც უვალი გზის გამკვალავად („და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანი ჩემო, მაინც დარჩება“), მაგრამ აქ სხვა კითხვაც ჩნდება: რა გზაა ის, რომლის პირველგამთელავიც მერანია?

რელიგიური მრნამსის პოეტის მიერ უვალი გზის პირველგამთელავის ხსენება სახარებისეულ ასოციაციას აღძრავს.

ჭეშმარიტად უვალი გზა ხომ განკაცებული ძე ღვთისას მიერ გაკვალული გზაა. თავადვე ბრძანებს მაცხოვარი: „მე ვარ გზაზ და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოანე, 14,6). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გამოდის, რომ მოყვასისათვის ვნებული და გზის გამკვალავი მაცხოვრის სახე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში იდენტიფიკაციას მერანთან პჲოვებს, მერანიც მაცხოვრის სახე-სიმბოლოდ აღიქმება, თუმც ამ შემთხვევაშიც უეჭველად დაისმის კითხვა: ქრისტიანულ სახისმეტყველებაში არის თუ არა მერანი მაცხოვრის ისეთივე სახე-სიმბოლო, როგორც, ვთქვათ, თევზი, ლომი თუ მარტორქა.

**თევზი** ქრისტეს სიმბოლოდ ქრისტიანობის გავრცელებისთანავე იქცა. მაშინ, როცა წარმართულ რომის იმპერიაში ქრისტიანებს დევნიდნენ, წამებული ლმერთის მიმდევრებმა ასეთი საიდუმლო ნიშანი მოიფიქრეს: უდაბნოს სილაში თევზის გამოსახავდნენ ხოლმე. თევზის გამოსახულება იყო კრისტოგრამა, რომლითაც პირველქრისტიანები ერთმანეთს საკუთარ რელიგიურ მრწამსზე მიანიშნებდნენ. თევზის არჩევა კრისტოგრამად განაპირობა ბერძნულმა სიტყვამ – Ichthys (თევზი). ეს სიტყვა, ამავე დროს, არის აპრევიატურა ფრაზისა: Iesos Christos Theos Yios Soter (იესო ქრისტე ძე ღვთისა მაცხოვარი).

როგორც ითქვა, **ლომიც** მაცხოვრის

სახე-სიმბოლოა. ბასილი კესარიელის თანახმად, ლომი ერთ-ერთი უპირველესი თვისებით უკავშირდება მაცხოვარს: „რაუამს სძინავნ, მღვიძარე არიედ თვალნი მისნი“. ამავდროულად მინიშნებაა მაცხოვრის სულის მარადიულ მღვიძარებაზე: „ხოლო ღმრთეებაი იგი მღვიძარე არს მარადის, მარჯვნივ მამისა“ – ყოველივე ამას „შატბერდის კრებული“ გვამცნობს (გვ. 176), რომელიც, ფაქტობრივად, ძველი საქართველოს საღვთისმეტყველო სახელმძღვანელო იყო.

იქვე, ბასილი კესარიელის თხზულებაში, მაცხოვრის კიდევ ერთი სახე-სიმბოლო – **მარტორქა**<sup>1</sup> – იხსენიება: „სახისმეტყველმან თქვა მარტორქისა... ისმინეთ, ცხორებისა შორის სახლსა დავითის, მონისა თვისისა... ვიდრემდე მოვიდა საშოდ მარაბის ქალწულისა, ღმრთისმშობელისა „და სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩუენ თანა“ („შატბერდის კრებული“ გვ. 287).

ახლა ისევ „მერანს“ მივუბრუნდეთ. ბარათაშვილთან, როგორც აღნიშნავენ, „არა ჩანს მერანის ფერი, მაგრამ ჩანს „შავი ყორანი“. ამიტომ მისდამი შეპირისპირებით მერანის ფერად წარმოსადგენია თეთრი, ძველქართულად „სპეტაკი“, სულთა „ფერი“ (რევაზ სირაძე). სწორედ თეთრი ცხენი და მისი მხედარი იხსენიება იმანეს გამოცხადებაში: „ვიხილე ცა გახსნილი და თეთრი ცხენი და მისი მხედარი“ (გამოცხ. ი. 19.11). ამ მუხლს ვრცლად

1 შუა საუკუნეების ქრისტიანულ მხატვრობაში გამოსახულია არა ის ძუძუმწოვარა ცხოველი, რომელსაც ჩვენ მარტორქას უწოდებთ, არამედ ცხენის თავისა და ტანის მქონე ირმის-ჩლიქებიანი არსება, შუბლზე ზეცისკენ მიმსწრაფი რქით. ქართული, სხვა ენებივით, ერთმანეთისაგან არ მიჯნავს იმას, რასაც, მაგალითად, რუსები „ХОСОРОГ“-ს და „ეДИНОРОГ“-ს უწოდებენ. ჩვენ ორივე შემთხვევაში მარტორქას ვამბობთ. ის, რაც „შატბერდის კრებულშია“ მოხსენიებული, არის – „ედინოროგი“, ისეთივე არარეალური, ფანტასტიკური ცხოველი, როგორიცაა, მაგალითად: კენტავრი. მარტორქის მოთვინიერება შეუძლია მხოლოდ წმინდა ქალწულს. აქედანაა შედარებით მოგვიანო ქრისტიანული ტრადიცია, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ქალწულ ღვთისმშობელსა და იესო ქრისტეს“. სწორედ ამ შინაარსს გამოხატავს ჩვენი უურნალის გარეკანზე გამოსახული დომენიკო ძამპიერის ფრესკის დეტალი.

რქა („ხსნის რქა“) სიმბოლურად განასახიერებს ქრისტეს ძალაუფლებას, რომელიც ცოდვას ანადგურებს. ორფად დაგრეხოლი ერთი რქა ნიშნავს ქრისტეს ერთობას მამა ღმერთან; ამავე დროს, მიანიშნებს მაცხოვარზე, როგორც მხოლოდშიბილ ძე ღვთისაზე (Ic. Cooper, Lexikon alter Symbole, Leipzig, 1986, s. 42-43).

განმარტავს II-III საუკუნეების სასულიერო მოღვაწე ორიგენე თავის სახელგანთქმულ ნაშრომში: „ქება ქებათას განმარტება“, რომლის ნაწილი შემონახულია რუფი-ნუსის ლათინურ თარგმანში (Origenes, in Canticum Canticorum; teqsti ix. Patrologia Graeca).<sup>1</sup>

აღნიშნულ ძეგლში ორიგენე, ითვალისწინებს რა სხვა ღვთისმეტყველთა აზრსაც, „მხედარს“ განმარტავს, როგორც „ძე ღვთისას“, ანუ „ღვთის სიტყვას“, ყოვლადნმინდა სამების მეორე პირს, ჰიპოსტასს, ხოლო „თეთრ ცხენს“ გაიაზრებს, როგორც ქრისტეს კაცებრივ ბუნებას, თუმც, რა ფერადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ბარათაშვილის მერანი, ეს მაინც არ შეცვლის მის ახალალთქმისულ სახისმეტყველებით სიმბოლიკას. როგორც ითქვა, მერანი ქრისტეს (ძე ღვთისას) კაცებრივ ბუნებას განასახიერებს.

ეს აშკარად იცის ნიკოლოზ ბარათაშვილმა. ღვთისმეტყველების გაკვეთილებზე ახალი ალთქმის საფუძვლიანი კომენტირება ხდებოდა და იოანეს გამოცხადების იმ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს რატომ დატოვებდნენ განმარტების გარეშე, სადაც „თეთრი ცხენი და მისი მხედარი“ იხსენიება?! ერთი სიტყვით, აქ სწორედ ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომლის პასუხსაც, თითქოს საგანგებოდ, თვითონ ნიკოლოზ ბარათაშვილი იძლევა, როცა მაცხოვარს მიმართავ: „რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო, მაინც გიცნობ, მშვენიერის ცის მთენო“.

რაც შეეხება ბარათაშვილის მერანს, მისი თავგანწირვაც, მაცხოვრის დარად, ღვთაებრივი წესრიგის აღსრულებას ემსახურება. ისიც ტარიგია ღმრთისაი. ლექსის ლირიკული გმირისათვის მერანი ის პარადიგმაა, რომელიც ჯვარცმის მისტერიაზე მიანიშნებს, იმ ღვთაებრივ

მისტერიაზე, რომლის მეშვეობით მოხდა კაცობრიული ცოდვის გამოსყიდვა (ცოდვით დაცემის ბიბლიური ისტორია, ვფიქრობ, ქრისტიანობის არსში მეტნაკლებად გარკვეულმა ყოველმა კაცმა იცის). ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ირეალურ-მისტიკური პლანი. აქ სრული თანაგანცდაა, აქ ლექსის ლირიკულ გმირსა (პოეტს) და მერანს შორის, ფაქტობრივად, ტოლობის ნიშანი შეიძლება დაისვას.

მიუღებელი ყოფითი სინამდვილისაგან შეჭირვებული პოეტის სულს მაცხოვრის წიაღში სურს დავანება. როგორც არაერთგზის ითქვა, ბარათაშვილის გრძნობათა სიმების რხევა ვერავითარ გამოხმაურებას ვერ ჰპოვებს ირგვლივ მყოფთაგან. ასეთ ვითარებაში მერანისადმი მიმართვა არის შეძახილიც და გამხნევებაც საკუთარი თავისა იმ დიდებული მაგალითით, რომელიც კაცობრიობას იესო ნაზარეველმა მისცა: მაცხოვრის მაგალითით გამხნევებული „მერანის“ ავტორიც მზადაა თავგანწირვისათვის. ამიტომაც აღარ უმძიმს მიწიერ სინამდვილეზე უარის თქმა:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

ის თავისუფალია სივრცისა და დროის შეზღუდულობისაგან, აღარ ემორჩილება რეალური დროის ბრუნვას. საწუთოების გადალახვის მოუთმენელი წალილი – პოეტისათვის მარადისობისაკენ ლტოლვაა, მასთან მიახლოებაა. ამიტომაც შესთხოვს მერანს:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,  
გარდაიარე კლდენი და ღრენი,

1 ორიგენეს ნაშრომის გაცნობაში დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ პროფესორ ედიშერ ჭელიძეს. აქვე დავძენ: იოანეს გამოცხადების 19.11 მუხლის ორიგენესეულ ეგზეგეტიურ წაკითხვას დაინტერესებული მკითხველი ბიბლიის თანამედროვე კომენტარებშიც იხილავს.

**გასწი, გაჰკურცხლე და შემიმოკლე  
მოუთმენელსა სავალნი დღენი!**

მერანის შეუპოვარი მაგალითით გულანთებულს ვეღარ აკავებს დროისა და სივრცის საზღვარი – მთელი არსებით ეძლევა და ეზიარება ღვთაებრივ მისტერიას:

**კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი,  
მივცე ზღვის ღელვას,  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს,  
გიურსა ლტოლვას!**

მიუხედავად დრამატული პერიპეტიებისა, ბარათაშვილის ლექსის ფინალი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული, რადგან ამ შემთხვევაშიც პოეტის ფიქრი და მზერა განკაცებულ ძე ღვთისას მიემართება.

**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირულის სულისკვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა  
სიძნელე გზისა გაუადვილდეს...**

აქ ერთი შენიშვნა აუცილებელია: „მერანის“ განხილვისას ხშირად არ უკვირდებიან ბარათაშვილისეულ გამოთქმას – „**განწირულის სულისკვეთება**“. მეტიც, ზოგიერთ მკვლევართან უზუსტობაცა დაშვებული და ეს სინტაგმა ასეა გადმოტანილი – „**განწირული სულისკვეთება**“. ასეთი წაკითხვა დაუშვებელია, ეს უკვე აღარა უზრალო კორექტურა, რადგან ძალზე აბუნდოვანებს უმთავრესი სტროფის და, აქედან გამომდინარე, მთელი ლექსის დედააზრს. ნიკოლოზ ბარათაშვილი გარკვევით ლაპარაკობს არა **განწირულ სულისკვეთებაზე**, არამედ **განწირულის**

– მოყვასის სულის სახსნელად **თავ-განწირულის** – სულისკვეთებაზე.

ასე რომ, ზემომოხმობილ სტრიქონებში, რომლებიც აზრობრივად კრავს ლექსს და, ფაქტობრივად, მისი ფინალური აკორდია, მიმართვის პირდაპირი ადრესატიც მერანია („მერანო ჩემო“) და ანალოგიაც გამჭვირვალეა. ლექსის ლირიკული გმირის ამქვეყნიური არსებობა მაცხოვრის თავგანწირვის ანალოგიურია. იგი არა მარტო მოხიბლულია, არამედ იდეალად ისახავს თავგანწირულის ქმედებას და ამიტომაც ასდევნებია მერანის „მშვენიერს, აღტაცებულს, გიურსა ლტოლვას“. რაც მთავარია, სრულიად აშკარაა, რომ მერანის მიერ გაკვალულ გზაში მოყვასის სულიერი ხსნისათვის კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი თავგანწირულის, განკაცებული ძე ღვთისას სულისკვეთება იგულისხმება.

ჩანს, იმხანად ტფილისის კეთილშობილთა სასანავლებელსა თუ გიმნაზიაში ღვთისმეტყველებას მართლაც საფუძვლიანად ასწავლიდნენ.

დასასრულს, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა სარწმუნოდ და დანამდვილებით იცის, თუ ვინაა „თავგანწირული მხედარი“ (გავიხსენოთ ლექსის ერთ-ერთი ვარიანტის დასათაურება) და ვისი კაცებრივი ბუნების სახე-სიმბოლოა **მერანი**. სწორედ ამ ცოდნის მეშვეობით გამოიხატა მისი ლირიკული შედევრის აზრობრივი შინაარსი.

**P.S.** ცამდე მართალია ოსიპ მანდელშტამი: „**გაცილებით იოლია გოელროს გეგმის განხორციელება – მთელი რუსეთის ელექტროფიცირება, ვიდრე წერა-კითხვის ყველა მცოდნეს წააკითხო „ევგენი ონეგინი“ ისე, როგორც ის პუშკინმა დაწერა**“.



მაკა ჯოხაძე

## „ახალი ტალღა“ თანამედროვე ქართულ პოეზიაში“

(შურნალ „ჩვენი მუსიკალური მიერვით“)

ხორხე ლუის ბორხესი წერდა: „შოპენჰაუერი ამბობდა, მხოლოდ ის უნდა წაიკითხო, რაც ორმოცდაათი ან ასი წლის წინათაა დაწერილი და რასაც შემდგომმა თაობებმა უკვე მიუჩინეს გარკვეული ადგილიო (ამავე დროს ჩიოდა, ჩემს წიგნებს ნაკლებად კითხულობენო). მეც ასე ვფიქრობ. თანამედროვე მწერლებს არ ვკითხულობ, სულ არ ვიცნობ ახალ რომანს... შუა საუკუნეების უპირატესობა, ჩემი აზრით, სწორედ ის არის, რომ მაშინ ცოტა წიგნები იყო. იძულებული იყვნენ სულ ერთი და იგივე ეკითხათ. წიგნი ყოველ გადაკითხვისას მდიდრდება, მას მკითხველთა თაობები ამდიდრებენ. გაიხსენეთ ბიბლია: წიგნი კი არა, მთელი ბიბლიოთეკაა, მთელი ლიტერატურა...“

ვფიქრობ, ბევრი ჩვენგანის სათქმელი თქვა დიდმა არგენტინელმა. გულწრფელად ვიტყვი, პირადად მე, როგორც მწერალსა და როგორც შემცნების წყურვილით შეპყრობილ მკითხველს, რა თქმა უნდა, კლასიკის კითხვა მირჩევნია. დარწმუნებული ვარ, სისავსისა და სიმშვიდისათვის მთელი დარჩენილი ცხოვრება ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაც მეყოფოდა (მაგრამ ამ ფუფუნების შესაძლებლობა

ლიტერატურისმცოდნეს, მით უფრო, მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მკვლევარს, არ გააჩნია. და მაინც, საყოველთაო მასკულტურის მღვრიენაკადებში, ე.წ. ლიტერატურულ სუროგატებში ბილნისიტყვაობით, ნიჰილიზმით, სარკაზმით, ცინიზმით, ყველაზე და ყველაფერზე გულაყრილ ამ აპათიურ, გამომშრალ, ტექსტებში ქექვასა და თვალებამოღამებას მაინც აქვს თავისი ხიბლი, უცნაური სიხარულის წამები, როცა მოულოდნელად მაკულატურაში ჩაკარგული მარგალიტის შებურული ციმციმი შემოგანათებს, როცა ცვარნამივით შემოგეფრქვევა ნიჭიერებისა და ლიტერატურული შრომის მადლი.

რამდენიმე წლის განმავლობაში ვიმუშავე უურნალ „ჩვენი მწერლობის“ ჯერ პროზის, შემდეგ პოეზიის რედაქტორად. აქედან გამომდინარე, ალბათ, უინტერესო არ უნდა იყოს ჩემეული დაკვირვებების თქვენთვის გაზიარება. მით უფრო, რომ დღეს მოქმედი ახალგაზრდა ლიტერატორების, პოეტებისა და პროზაიკოსების უმთავრესი ნაწილის დებიუტი სწორედ „ჩვენს მწერლობაში“ შედგა, მათი ლიტერატურაში შებიჯების ერთგვარი ვიზა-რეკომენდაციაც ამ რედაქციაში გაიცა.

ბარემ ამთავითვე აღვნიშნავ, რომ ამ ნაშრომში არ ვისაუბრებ მკითხველისათვის ან უკვე კარგად ცნობილ და პრემირებულ სახელებზე. არამედ შედარებით უცნობ, მაგრამ ნიჭიერ ავტორებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

რედაქტიაში ყველა თაობის ავტორთა უამრავი მასალა შემოდიოდა. ბევრჯერ დამინერია და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ლიტერატურის თაობებად დაყოფა ძალიან პირობითი ცნებაა და ეს ტერმინი მკვლევარს უფრო დროსა და სივრცეში საორიენტაციო იარაღად სჭირდება, დაახლოებით ისევე, როგორც ქირურგს საოპერაციო მაგიდაზე სკალპელი ან პინცეტი. უფრო მეტიც, თვით მიმდინარეობებზე და დაჯგუფებებზე საუბარიც კი ლიტერატურული რეალობის აღქმას, ვფიქრობ რომ, ხელს უშლის. ასევე არ შეიძლება, ბოლომდე არ გაიზიარო თანამედროვე იტალიელი პოეტისა და მრავალმხრივი მოღვაწის, დავიდე რონდონეს აზრი, როცა იგი იდეოლოგიზირებულ და პიუროკრატით დაღდას-მულ კულტურაზე საუბრობს:

„იმის მაგივრად, რომ დიალოგში შევიდეს ადამიანებთან, დაინტერესდეს და ჩასწვდეს მათ რეალურ ცხოვრებას, უნივერსიტეტის ბარონთა სწობიზმში იკეტება (როგორც მაგალითად უმშერტო ეკო), ან სახსრების ნაკლებობაზე ნუნუნებს გაუთავებლად, თუმცა თავის დროზე გაუჩიუმდა იმას, რომ თანხების შემცირებამდე და კრიზისამდე სახელმწიფოს კულტურისათვის არსებული ყველა ხარჯით რამდენიმე ხელოვანის, რეჟისორის და სხვების ჯიბეები გაესქელებინა“). ასევე ძალიან საინტერესოა და ჩვენთვისაც უაღრესად აქტუალურია დავიდეს მოსაზრებები სკოლაში ლიტერატურის სწავლების შესახებ, რომელიც შეტანილია მის წიგნში: „ლიტერატურის წინააღმდეგ. პოეტები და მწერლები. ყოველდღიური ულეტა სკოლაში“ (ჟურნ. „საგურამო“, 2016, №1, გვ. 86).

მოგახსენეთ, რომ ზღვა მასალა შე-

მოდიოდა „ჩვენი მწერლობის“ რედაქტიაში. რამდენიმე სიტყვით მინდა გაგიზიაროთ პოეზიაში მოსული „ახალი ტალლის“ შესახებ ჩემი ზოგადი შთაბეჭდილება („ახალ ტალლაში“, ბუნებრივია, ახალგაზრდებს ვგულისხმობ). ეს ლექსები პირადად ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა არა პოეტურობის, არა ფორმის, პოეტური ტექნიკის, თუ გნებავთ, არც – მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. ის, რომ ინტელექტუალური ცოდნის მეშვეობით მათ ტექსტებში კოლაჟებივით გამოყენებულია ფოლკლორული, ზღაპრული, მითოსური ფრაგმენტები, ახალს არაფერს გვეუბნება. ეს ყოველივე კარგა ხნის განვლილი ეტაპია ქართული პოეზიისათვის, ზოგადად, ხელოვნებისათვის. ე.წ. ექსპერიმენტების თვალსაზრისითაც გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და გაბედული მაგალითების მოტანაა შესაძლებელი გასული საუკუნის თუნდაც ოციანი წლების გამოცდილებიდან.

პირველ რიგში, საინტერესოა „ახალი ტალლის“ დამოკიდებულება რეალობისადმი, რეალური სამყაროსადმი, ჩვენ თვალწინ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესებისა და მოვლენებისადმი. ბოლოს და ბოლოს, მათი ინტერესი იმ ქვეყნისადმი, რომელშიც იბადებიან, იზრდებიან, ცხოვრობენ...

აპსოლუტური გულგრილობა! აი, ჩემი მძაფრი შთაბეჭდილება. თითქოს მარსიდან კი არ ჩამოცვივდნენ (სპონტანურად), არამედ გადმონერებული მეთოდურად გამოყვანილი სხვა ჯიშისა და მგრძნელელობის ადამიანები. სპონტანურად ჩამოცვენილები გაიოცებდნენ მაინც, ეს სად მოვხდით, როგორ ქვეყანაშიო. მაშვილთებს მათი გულგრილობის გულწრფელობა, რადგან ესაა ასაკი სრული გახსნილობის, ემოციის, სიყვარულის, თანაგრძნობის... არაფერი ამდაგვარი ამ ლექსებში არ ხდება. საოცარი სულისშემზუთველი ჩაკეტილობა, ეგოცენტრიზმი,

საკუთარი სურვილებისა და ინსტინქტების ლაპირინთში გამადიდებელი შუშით სიარული აქა-იქ მართლაც უცნაურ მეტაფორას გამორიყავს ჩვენს თვალწინ. მაგრამ მეტაფორა ხშირ შემთხვევაში იმდენად „ნიგნიერია“, ხელოვნურია, რომ არასოდეს აჩენს განცდას – მეტაფორა პოეტის ღია ჭრილობაა. საოცარია ეს პარადოქსი – ნელ-თბილი ახალგაზრდობა. საუკეთესო შემთხვევაში საკუთარი სამყაროს, ამ სამყაროში სასწაულებრივად გამოჩენილი თითო-ოროლა პერსონის აღნუსხვა, აწონ-დაწონა, ეჭვითა და სიფრთხილით მიღება. ეს პოეტური პრაგმატიზმი ლექსის სტრიქონთა გრაფიკულ განლაგებასაც, მათ ფორმასაც ატყვია.

თვით სამამულო ომის დროსაც კი, რომ ალარაფერი ვთქვათ მომდევნო თაობებზე, სიცოცხლის, სინათლის, ბედნიერებისადმი ლტოლვის ისეთი ენერგია შემოჰქონდათ ქართულ პოეზიაში, რომ დღემდე გადამდებია მკითხველისათვის. ხალისის მუხტმა თანდათან იკლო, ისე არ გამიგოთ, თითქოს პოეზიის უმთავრეს ბიძგად (იმპულსად) მხოლოდ სიხარულს ვგულისხმობდე. მაგრამ თვით ყველაზე პირქუშ, სულიერ შეჭირვებაზე შექმნილ-მა ლექსმა პოეზიით გახარების, პოეზიით ტკბობის განცდა უნდა გამოიწვიოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამის კლასიკური მაგალითი გაღალითი გაღალაკტიონია.

განსხვავებით გასული საუკუნის სამოციანელებისაგან, სამოცდაათიანელთა მიერ შექმნილი პეიზაჟები ვეღარც რუსთაველის რენესანსული სხივებითა გაბრწყინებული და ველარც გალაკტიონის „დაბინდულ ქლიავის“ სევდიანი ფერით შეღებილი. ამ თაობის ლირიკულ გმირში ნაკლებად ილანდება ისტორიული მისიის და პიროვნული ფუნქციის შეგნებით გამოწვეული ღირსეული თავდაჭერა. არაკომუნიკაპელური, საკუთარი უმოქმედობითა და უნაყოფობით გაუცხოებული ადამიანები იმზირებიან ლექსებიდან და პორტრეტებიდან.

სამოცდაათიანელთა ღირსება და

ხიბლი ყველაზე მეტად იმაშია, რომ მათ ერთი წამითაც არ უცდიათ საკუთარი თავის და ამდენად, ვინმეს მოტყუება. ამ თაობამ სწორად შეაფასა (ვფიქრობ, რომ უფრო მკაცრადაც, ვიდრე იმსახურებდნენ) საკუთარი როლი ერის ცხოვრებაში მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. ერთი რამ ცხადია: მათი პოეზიიდან აშკარა გახდა, რომ ქართულმა ლექსმა ამჯერადაც მოახერხა მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ტრადიციების არა მარტო ათვისება, არამედ მისი მომნუსხველი ზეგავლენიდან თავდახსნაც, თავდაზღვევაც. ამ თაობის პოეტურ პატიოსნებაზე მეტყველებს ისიც, რომ არც ერთი ინტონაცია, არც ერთი სახე, არც ერთი განცდა მათ მზამზარეულად, საკუთარ გონებაში და გულში გაუტარებლად არ გადმოუტანიათ საკუთარ შემოქმედებაში. ამიტომაა, რომ თავისი ხორქლიანობით, ასიმეტრიულობით, დაწყვეტილი ინტონაციებით, შესაძლოა, ხშირად ალიზიანებდეს კიდეც პარმონიამონატრებულ დღევანდელ მკითხველს, მაგრამ ეს მკითხველი სიცრუესა და სიყალბეს ვერ დასწამებს მათ პოეზიას. სამოცდაათიანელთა მიერ შექმნილი ლექსი მართალი და პროზაულია, ისეთივე მართალი და პროზაული, როგორიცაა თავად ცხოვრება, ცხოვრება თავისი სიმკაცრითა და სინაზით, სასონარკვეთითა და შორეული სინათლით, რომელიც ზოგჯერ არა ჩანს, მაგრამ რომელიც უსათუოდ იგულისხმება. იგულისხმება მანამ, სანამ ადამიანი არსებობს, სანამ ადამიანს ოცნებისა და იმედის უნარი არ მოშლია:

- ვფიქრობდით როგორც და  
როგორც გვსურდა,  
ველოდით როგორც – არ მოხდა ისე,  
და გამნარებით დაეძებს სული  
ამ უცაბედი დაცემის მიზეზს.  
დავით მჭედლური

ამ „დაცემის“ საილუსტრაციოდ კი

უკანასკნელ წლებში „შექმნილი“ ლექ-სებიდან, სამწუხაროდ, უხვად შეგვიძლია მაგალითების მოტანა. მაგრამ შეგნებულად არ შევჩერდები ამ საშინელ ტენდენციაზე, მოსყიდვისა და მიმხრობის იმ საგანგებო პროგრამებზე, ახალი ადამიანის შექმნის იმ იდეოლოგიურ წნებზე, რითაც თანამედროვე ახალგაზრდულ პოეზიაში მარადიულ, ფუნდამენტურ ღირებულებებზე, ჭეშმარიტებაზე საგანგებო და მიზანმიმართული ნადირობაა გამოცხადებული. ბილნისიტყვაობის, სარკაზმის, ვულგარიზმის, უგემოვნობის სარეველა კუპიურებით საყოველთაო გაბატონებას სწორედ მომავალი თაობის ცნობიერებაზე ცდილობენ.

იშვიათად, მაგრამ აქა-იქ საპროტესტო ნოტებიც გაისმის, თუმც ეს მაინც ერთჯერადი აქციის სახეს იძენს და გვალვაში წამიერად მოსული წვიმის სისუსტის მატარებელია, რომელსაც არ შეუძლია, გამომშრალი მიწის გული დაალბოს. ამ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით დიდი სიამოვნებით მინდა ალვნიშნო ახალგაზრდა მკვლევარის ლევან ბებურიშვილის წიგნი „მწერლობის მოთვინიერება“ გრძელდება:

„ამბობენ, თითქოს, კომუნიზმთან ერთად დასრულდა ხელოვნების იდეოლოგიზირების ეპოქაც. ეს, რა თქმა უნდა, მტკნარი სიცრუე გახდავთ. მწერლობის მოთვინიერება გრძელდება პოსტსაბჭოთა საქართველოშიც, ოლონდ ამჯერად იცვლება მომთვინიერებელი და მოთვინიერების მეთოდები – რუსულ ნაჯახს უაღრესად დახვენილი დასავლური ტექნოლოგიები ენაცვლება.

„თანამედროვე ქართული მწერლობა – ეს არის ნეო-ლიბერალურ-რადიკალური იდეოლოგიის კოპირება მხატვრულ სივრცეში. თაყვანისცემა გლობალიზაციისადმი, ეროვნული და რელიგიური ნიჰილიზმი, ამორალიზმი, უკიდეგანო ცინიზმი – ეს იდეოლოგიური ნიშნები მსჭვალავს თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ უმძლავრეს ნაკადს, რო-

მელსაც შეგვიძლია პირობითად ნეოლიბერალური მხატვრული დისკურსი ანდა „ნეოლიბერალური რეალიზმი ვუწოდოთ“.

შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ვერ მოახერხეს კომუნისტებმა ცეცხლითა და მახვილით, შესანიშნავად შეძლეს ნეოლიბერალებმა (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან რომ ჭილყვავებივით შემოესივნენ საქართველოს) გრანტებითა და ფორმიანი კანფეტებით...“ (ლევან ბებურიშვილი – გამომც. „მერიდიანი“ თბ. 2012).

ერთია, როცა როგორც სულიერად, ისე შემოქმედებითად დამლუპველ, რბილად რომ ვთქვათ, „კომპრომისებს“ წინ აღუდგება და მის განეიტრალებას შეეცდება უფროსი თაობის ადამიანი (საბედნიეროდ, რამდენიმე მათგანი ინტენსიურად ფიქრობს და წერს ამ ტენდენციებზე), მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, როცა ამას უაღრესად ნიჭიერი, გონიერი და რაც მთავარია, ცოდნით შეიარაღებული სრულიად ახალგაზრდა კაცი უანგაროდ აკეთებს. გარდა პროფესიონალიზმისა, ეს მისი მხრიდან სულიერ სიმამაცესაც მოითხოვს.

## რეაქცია რმაზე

ამ არეულ-დარეულობის დროს, განუკითხაობის, სისხლისლერის, მტყუან-მართლის ვერგარჩევის, სტუმარმასპინძლობის დაუდგენლობის, ბოროტებისა და სიცრუეს თარეშის ჟამს, უმაღლერობის, სიბნელისა და საღი აზრის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის დროს, როცა არა მხოლოდ სული გეგუბება, არამედ როცა თითქმის საბოლოოდ იბნევი და აფორიაქებულმა აღარ იცი, ვინ მონახო, ვის შესჩივლო, ვის მიენდო და ვის მიეკედლო, როცა მოკლული ძმის გამო მრისხანება გარბევს, როცა თითქმის გეზიზღება კიდევ მოწოდება – „მოვუხმოთ გონიერებას!“ როცა ამდენი საუკუნის მერე საქართველოს საზღვრების ხელახლა დასადგენად სამეცნიერო არქივებში, გეოგრაფიულ კარტოგრაფებსა და

ისტორიულ ფოლიანტებში ჯდომა უკვე ცინიზმია, როცა სამაგიეროს გადახდის უინი ერთიანად გიშანთავს სხეულს და საკუთარ თავს აღარ ეკუთვნი, როცა შენივე ძარღვებში მიმდინარე სისხლი შენვე გიჯანყდება და ნაპირებს გადმოდის, როცა შურისეგბის ბნელი განცდა და-გიმონებს, დამბლას დაგცემს და ცხენის ძუაზე გამობმული კაცივით მანამ გათრევს, სანამ სულს არ ამოგხდის... ისევ ჩნდება ეს საბედისწერო შიში, რომლის ტყვეობაში ჩავარდნილმა, უსასოომ და ღონემიხდილმა აღარ იცი, სულ მცირე მოძრაობისათვის დარჩენილი ძალა რას მოახმარო... ამ ცოდვიან ცისქვეშეთში ადამიანური არსებობის შენეული არსი და არჩევანი რაზე შეაჩერო, რომელ უძველეს აქტს მიმართო, რომელი რიტუალით გამოხატო უფსკრულის პირისპირ მდგარმა არჩევანი – ისევ პირჯვარი გადაისახო და მიუტევო, თუ თოფის ლულაში ტყვია ჩატენო და ბარბაროსთა ურდოებს მიემატო...

აფხაზეთისა და შიდა ქართლის და-კარგვით გამოწვეული აი ეს განცდები განახლა **ნუნუ ჯანელიძისა** და **ლელა სამნიაშვილის** ლექსების ციკლმა, რომე-ლიც 2008 წლის აგვისტოს ომს მიეძღვნა.

„აგვისტოს ნათელი“ – დიდი ამერი-კელი მწერლის ერთ-ერთი რომანის სახელწოდება გაგვახსენა **ნუნუ ჯანელიძის** 2008 წლის აგვისტოს თვეში შექმნილმა ლექსებმა. არადა მართლაც, პარადოქსია, ასეთი მრუმე აგვისტო ხომ იშვიათად ახსოვს საქართველოს. მაშ, სადღაა ეს ნათელი, რაშია ეს სინათლე?

კონკრეტულ შემთხვევაში, აღბათ, იმაში, რომ სწორედ უკიდურესი გან-საცდელის უამს, ე.წ. „ესტრემის“ დროს იღვიძებს ჩვენში ჩვეულებრივ მთვლემა-რე და მიძინებული „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“ ახალი შეგრძნებებით, სრულიად ახალი გამოსხივებით:

გოჯი მიწაც არ დამიტოვეს,  
გოჯი მიწაც  
და სოფლის ლტოლვილს

ისლა მრჩება, მივაშურო  
ჩემს ერთადერთ ნავთსაყუდელს –  
უფალს ჭეშმარიტს.  
საქართველო – სიტყვა ნათელი,  
სიტყვა, რომლითაც მიყვარს  
სამყარო.

•

მთლად ასე არ დასრულდებიო,  
სიყვარულო ჩემო,  
განა სამყაროს ამძიმებს შენი  
ჩალა და ჩერო.  
მთლად ასე არ დაილევიო,  
საფიცარო ჩემო,  
განა უფალი განირავს თავის  
ერთგულს და რჩეულს...

ომის თემაზე შექმნილი ნუნუ ჯა-ნელიძის ლექსების ციკლში ახალი რა-კურსით წარმოჩინდა ქართველი ქალის ფენომენი, მისი მენტალობა, მრისხანე-ბისა და ამტანობის ხარისხი. გლოვისა და განცდის ღრმა უნარი. სითბოს, სიყ-ვარულის უშრეტი მარაგი. ღვთისნიე-რება, სიფხიზლე, სევდანარევი ირონია და მხენობა. აღბათ, ამიტომაცაა, რომ აგვისტოში გამოტანჯული განცდები წყევლისა და სასოწარკვეთის ეკლებით კი არ იკანჩება აფხაზეთიდან ლტოლ-ვილი ამ ახალგაზრდა პოეტი ქალის ლექსებში, არამედ ლოცვის შარავანდე-დითაა განათებული და ამაღლებული.

ჩემი ერთმორწმუნე მეგობარი  
მარწმუნებს,  
რომ ისე ვუყვარვარვარ, ისე ვუყვარვარ,  
მიღის გულყრამდე ჩემი ნდობით,  
ჩემი სურვილით,  
ამიტომაც ძლიერ მხვევს მკლავებს,  
ისე ძლიერ, დამახრჩოს ლამის,  
როგორც დათვმა სიყვარულით  
ბელი მოგუდა.  
ჩემი ერთმორწმუნე მეგობარი,  
ჩემი ორგული მტერი-მოყვარე.

**ლელა სამნიაშვილის ლექსებში არის**

ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, რაც გეუბნება, რომ შენ უსმენ პოეტს – გონიერს, მნიშვნელოვანს. ოლონდ არ არის – რომანტიზმის მზაობა, სევდის ბალში სულის პური გაგინანილოს (რაღა დროისაა, აღარც უნდა იყოს?!) – იტყვის თუ იკითხავს მაგანი. აი, ეჭვები, განუწყვეტლივ რომ მანვალებს, როცა ახალგაზრდებს ვკითხულობ. აღარც სიმბოლისტები – ეს არტისტული თვითმეცვლელები ჩანან, ცისფერ აღზე მეტაფორებს რომ აცხობდნენ ოდესლაც. აქ არც მოდური (თუ აქტუალური?) პოსტმოდერნული თამაშებია – მიამიტურად რომ ცდილობს, ბავშვივით მუჭაში მოიმწყვიდიოს დრო და სივრცე, დაშალოს და ხელახლა ააწყოს სამყარო „კუბიკ-რუბიკივით“.

აქ გრძნობებისა და ემოციების გამოზოგვა ისწავლეს, რადგან უახლოესი ნინაპრები – დედები და მამები სასიცოცხლო ენერგიას იდეალების კოცონზე წვავდნენ და უმოწყალოდ იფლანგებოდნენ.

ამ ლექსებში დროს ისეთივე ფასი და-ედო, როგორც ვეება კორპუსებით გა-დაკეტილ უანგბადს ქალაქში, რომელშიც „თინეიჯერი ღმერთი თამაშობს“:

**როგორც მშობლების ცარიელ  
სახლში –  
დღეს ამ ქალაქში –  
თინეიჯერი ღმერთი თამაშობს –  
ავტომობილებს მუჭით ყრის, ურევს  
ყველა გზაზე და ტროტუარზე,  
კორპუსები სასულემდე ამოიშენა.  
სურს გამოჩნდეს –  
დიდი, უფრო დიდი,  
ყველა წარსულ ღმერთზე უფრო  
მაღალი.**

ისე წერს, სულ არ აინტერესებს, გაიგებს თუ არა ვინმე მისი გულის ვარამს, უფრო მეტიც, ხანდახან ისეა განრისხებული, საკუთარი გულიც აღარ აინტერესებს. სილვია პლათის არ იყოს (რომლის ლექსებიც განსაკუთრებული ოსტატობით

ითარგმნა მის მიერ), ლელა სამნიაშვილ-მაც საკმაოდ ადრეული ასაკიდან იცოდა, რას ნიშნავს დაპაუ, აუშვიცი, ჰიროსიმა, ტექსელი, ავღანეთი, ერაყი, ბესლანი... მაგრამ ეს ინტელექტუალური გამოცდილება იყო, დაფიქრება ომზე, ფაშიზმზე, ბოროტებაზე... და არა იმრე კერტესის გულწრფელი აზრი, რომელიც ნობელის მიღების წუთებში ასე გამოხატა: „ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ოსვენციმა, გარკვეული აზრით, მართლაც შეუძლებელი გახადა ლიტერატურა...“

დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანთა ერთ ნაწილს მართლაც ეხერხება, შეუძლებელი გახადოს ცხოვრება, მაგრამ მეორე ნაწილმა უნდა მოახერხოს, რომ თვით გაუსაძლისი ცხოვრების პირობებშიც დარჩეს ადამიანად და სიცოცხლეს მიზანი შეუნარჩუნოს.

ხშირად ე.წ. „ახალგაზრდული“ პოეზიის კითხვისას ისეთი შთაპეჭდილება რჩება, რომ რომანტიკული სულისაგან დაცლილ სამყაროში ტოტალურ კონტროლს აწესებენ, მათ ვირტუალურ სივრცეში ვინმე გულჩვილი არ შემოპაროს. ცრემლი, მონატრება, ემოცია... ის გაფრენილი ჩიტებია, ოდესლაც რომ ყველა აივნის ჭრექვეშ ბუდეს იკეთებდნენ. ამიტომ თვით ნოსტალგიის გაგებაშიც კი მკაცრ გადაფასებას იწყებს ლელა სამნიაშვილის თაობა:

**რადგან შენ თვითონ მიმახატე  
მხარზე მერცხალი,  
ნუ გიკვირს წასვლა, ნურც  
დავიწყება.**

აღარაფერი აღარ უკვირს მარადიულ მასპინძელს – სამშობლოს. ჩვენგან განსხვავებით, სიმშვიდეს ისევ ინარჩუნებს, რადგან იცის, რომ ყველაზე სუფთა და უანგარო ყვავილები ჭაობის სილრმიდან ამოსაკლებიან. ასე გაჩნდა დუმფარას ქათქათა ფურცლები ლელას სტრიქონებში. ასე დაკარგა სანიმუშო წონასწორობა მისმა ანალიტიკურმა

სიფხიზლემ და 2008 წლის აგვისტოში დანახულმა მშობლიური ქალაქის ხედმა, ცეცხლის ალში გახვეულმა გორმა ლელა სამნიაშვილი ისე გაამნარა, რომ აბჯარასხმული მეომარივით სიტყვების ტყვა მტერს დაუმიზნა:

გამარჯვებულო, გამოდი! – მსურდა  
დამეძახა, –  
თუ სახე გაქვს, თუ სხეული გაქვს,  
გამოდი და დამენახვე –  
რომ დავრწმუნდე, –  
ადამიანს არაფრით ჰგავხარ...  
„ჩვენი მწერლობა“, 2007, №25, 2009,  
№15.

ამ სტრიქონების საოცარმა დრამატიზმა ფროსტის სიტყვები გამახსენა: „ყოველგვარი ნანარმოები მხოლოდ იმდენადაა კარგი, რამდენადაც დრამატულია“. მოცემულ შემთხვევაში ეს დრამატიზმი პატრიოტულმა გრძნობამაც წარმოქმნა. პატრიოტიზმი – ეს სიტყვა საოცრად აფრთხობთ დღევანდელ საქართველოში. ზოგი პირდაპირ დასცინის ამ გრძნობას და მიაჩნია, რომ გლობალიზმის ეპოქაში ამაზე საუბარი ჩამორჩენილობაა, ერთგვარი პროვინციალიზმია. იმის საჩვენებლად, თუ რა არის ნამდვილი პატრიოტიზმი, ქართველ მოღვაწეებს არ დავესქები, პირდაპირ ამერიკელ პოეტს გოლუეი კინებს მივადგები, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიას ვრცელი ლექსი „კოშკების დამხობა“ უძლვნა და ეს ლექსი ისე გახმაურდა, გაოცებული ავტორი წერდა: მე ის „სახალხო“ ლექსად არ მქონდა ჩაფიქრებულიო. ლექსი უურნალ „ნიუ იორკერში“ დაიბეჭდა 2002 წლის 9 სექტემბერს. ამავე უურნალის პოეზიის განყოფილების რედაქტორთან, ელის ქუინთან საუბარში განსაკუთრებით ერთმა ადგილმა მიიქცია ჩემი ყურადღება:

„ჩემი აზრით, თქვენ პოეტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებით, რომლებიც ეთაყვანებიან და ამაყობენ თავისი ფესვებით. ტყუპები თქვენი მხედველობის

არეში იმყოფებოდა დაახლოებით ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ხომ ასეა?

– დიახ, მე ოცდამესამე სართულზე ვცხოვრობ და ჩემი ფანჯრები სამხრეთისაკენ იყურება. კოშკები ჩემი სახლის შორიახლოს იდგა და მართლაც ყოველდღე ვხედავდი. ყველაზე კარგად ნიუიორკის ამ ნაწილს ვიცნობდი. რა თქმაუნდა, კატასტროფა ლოს-ანჟელესში რომ მომზდარიყო, ამ ლექსს ვერ დავწერდი“ (გოლუეი კინელი. „პოეზია უსაზღვრო ხოტბაა“, უურნ. „არილი“, 2002 წ. №4).

დიალოგის თუნდაც ეს ფრაგმენტი საკმარისია (თავად ლექსზე რომ აღარაფერი ვთქვათ) იმათ გასაწილებლად, სამშობლოს გრძნობას არარად რომ მიიჩნევენ. დიახ, ყველას თავისი ადგილის დედა გააჩნია. ამიტომ, პირადად ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო გორელი ლელა სამნიაშვილის რეაქცია 8 აგვისტოს ომზე.

უპირველესი და სულისშემსუთველი განცდა, რაც **მაია ჯოლბორდის** ლექსების კითხვისას ჩნდება, არის გამოუვალი ეგზისტენციის, სულისა და სხეულის გათიშულობა. როცა მეხსიერებას ისიც კი ვერ შემოუნახავს, იყო თუ არა ოდესმე მთლიანი, სავსე, გახარებული.

ეს გათიშულობა ანგრევს და ამუქებს სამყაროს, ანანევრებს და ამცრობს მიზანს, ამცირებს და ამინებს შეფასებას: „**სიყვარულმა გამოცხობა დაამთავრა, შევჭამეთ და მოვინელეთ**“.

ეს ყოფიერების ამაო ფუსფუსზე მიჯაჭვული ადამიანის პროტესტია, სარტრისა არ იყოს, მისი სურვილის, მისი მოწოდების მატარებელი: – მე კი არ ვეკუთვნოდე გარემოს, გარემო მეკუთვნოდეს მე.

გარემო, დრო და სივრცე რომ ეკუთვნოდეს, სამყარო რომ მოათვინიეროს შემოქმედმა, მარტო მოცალეობა არ კმარა, სრული მსხვერპლშეწირვაა საჭირო. ამას კი მზაობა სჭირდება, თავ-

განწირვა, მით უფრო, როცა ქალი ხარ და როცა შვილები გყავს. მით უფრო, როცა ასე კარგად იცნობ ბავშვის ბუნებას და გარემოსაც ზუსტად აღიქვამ, რომელშიც ეს ბავშვი პიროვნებად ყალიბდება. მთელი სისრულით სწორედ ამ დანომრილი ბავშვების პორტრეტებში გამოჩნდა მაისა ნიჭიერება და იმედი იმისა, რომ იგი ამ ნიჭიერებას არ დათმობს, მოუვლის.

## დაუმთავრებელი ანკეტები

### ბავშვი №

არ ახსოვს, როგორ დაიძადა. მამის მრისხანე სახიდან იწყებდა ყოფიერების აღქმას. დედის მოკივარი მზერა კუდამოძუებული ძალივით დაპყვებოდა უკან. მერე ბავშვობა გაითამაშა. როცა მშობლები ჩხუბობდნენ, ყვავილების გულში იმაღლებოდა. ასე გაუცისფრდა თვალები. სამაგიეროდ, ყვავილები ჯერებოდნენ. ასე გახდა ეგოისტი.

### ბავშვი №

დაბადებამდე განებივრდა. ალოდინა და ლოდინის შემდეგ შეხედა ნათურას, რომელიც ნაცნობ ხვრელს უნათებდა. მერე სისხლიანი თმებით იტირა. გარესამყარო ნაკლებსაინტერესო მოეჩვენა და ადამიანები შეიძულა. კედლის პირისპირ დგომას და კედლის ყურებას შეეჩვია. ასე გახდა მდგრადი.

„ჩვენი მწერლობის“ 2009 წლის №25 – მაია ჯოლბორდის ლექსების პუბლიკაციაში სულ რვა ბავშვია დანომრილი.

თითქოს დავმუნჯდი, ვეღარ ვამბობ  
საკრალურ სათქმელს  
და სიცოცხლემაც დაიხია  
მტერივით უკან...

ამ სტრიქონების ავტორისათვის პოეზია საკრალური საიდუმლოს გამჟღავნებაა. და თუ არ ხდება სევდიანი, დამშეული სულებისათვის საიდუმლოს

პურივით გაყოფა, სიცოცხლე კარგავს აზრს, ესე იგი, მადლისა და სასწაულის განცდას.

უჩვეულო (იშვიათი) სისუფთავით სუნთქვას **თამუნა არდიშვილის** როგორც სულიერი, ისე ებბირიული სამყარო. მის ლექსებში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ყოფიერების პოეზიად გარდაქმნის პროცესი. მისი სოფელი, ქალაქი, მეზობელი, დედა, გაშლილი სუფრები და დიდი მარტოობა, მისი სახურავახდილი სახლი შაგალის სურათებივით ცისკენ მიფრინავენ...

ნიჭიერებასთან ერთად მხოლოდ დიდ სიყვარულსა და მხურვალე გულს შეუძლია, მიწიდან ზეცაში გადასახლების ამგვარი ზეიმები მოაწყოს.

სახლი ქარის წისქვილივით ფრთებს მიქნევს,  
მერე მიწას წყდება და ყვითელი ფანჯრებით,  
ჭრიალა კედლებით, ბუხრით და სხვენით  
და დაქსოვილი ობობას ქსელით  
მიიჩნევს მაღლა...  
ის ხეებს ასცდა და სახურავი ძველი ქუდივით გადასძვრა თავიდან,  
თითქოს შუბლი ქარს შეუშვირა...  
სიხარულისგან ტორტმანებდა,  
იქნებ ცეკვავდა თავის უცნაურ,  
ზეციურ ცეკვას  
და მე ვიდექ მიწაზე, დაბლა...  
ის კი შორს და შორს  
მანათობელ წერტილად იქცა  
და ვარსკვლავებში ამერია...  
„ჩემი სახლი“

თამუნა არდიშვილს, ისე როგორც არავის მის თაობაში, შესწევს უნარი, ჩვეულებრივი, ყოველდღიური რუტინა საზემო რიტუალად აქციოს და ქალის ამქვეყნად მოსვლა მისის რანგში წარმოაჩინოს. და ეს ხდება ყოველგვარი პათეტიკის გარეშე. მას გულწრფელი, უფრო ზუსტად, გულახდილი ინტონა-

ციის გარეშე სიტყვის წარმოთქმა არ შეუძლია. ინტონაცია, რომელზედაც რობერტ ფროსტი უზუსტესად ამბობდა: „ენის ქვეშ სახლობს და ნებისმიერ სიტყვაზე ძველია“... ასე რომ მსგავს შემთხვევაში, გულახდილი ინტონაცია თავად მოიძიებს საჭირო სიტყვების თანმიმდევრობას და პოეზიად აქცევს.

დიდ ოთახში, დიდ მაგიდასთან  
ბუხარი მწიფობს,  
ჩვენს სახეებზე  
მოცახცახე ჩრდილებს გადაფენს  
და ცეცხლის ბუტკო,  
ამ ბებერი სახლის გული  
ჩვენი თანყოფით  
უცაბედად აღმდგარი მკვდრეთით.  
„სოფელი“

მის ლექსებში გაშლილი სუფრა, რო-  
მელსაც, სულერთია, მოქეიფე თანამეი-  
ნახენი უსხედან ქალაქურ ეზოში, შეყვა-  
რებული წყვილები ჩინურ რესტორანში  
თუ ჩაის და თაფლგადასმული კარაქიანი  
პურის მომლოდინე ბავშვები ძველი ოდის  
ხის აივანზე, ყოველთვის ტრაპეზის იდუ-  
მალებითაა მოცული. თავად ავტორი კი  
თავისი მშვენებითა და სიფაქიზით თვით  
პირქუში ამინდების ჟამსაც ბოტიჩელის  
ქალებივით გაზაფხულის სითბოს მატა-  
რებელია. აკვარელია თამუნა არდიშვი-  
ლის საღებავი, ერთი შეხედვით მშვიდი  
და ფერმურთალი. უცნაურია, როგორ  
ახერხებს ამ სიმშვიდეში, სიფერმურთა-  
ლეში ასე უჩუმრად ჩატიოს ტრაგიზ-  
მის ზღვარზე მდგარი სულიერი დრამა. მის  
ლექსებს სწორედ ეს უჩინარი სიბ-  
რძნე ახასიათებს, რომელიც არასოდეს  
იღებს ფორმულის სახეს, მით უფრო,  
აფორიზმად არ კრისტალდება რითმებ-  
ში, რიტმებში. ეს სიბრძნე განვითილია  
ცხოვრების ქსელში და მის მელოდიას  
მხოლოდ პოეზიის მგრძნობიარე თვალი,  
გული, ინტელექტი ისმენს და ხედავს.

### შეფუთე გული

როგორც ეს პალმა  
მობუზული ჩაიხანასთან...  
რას იზამ, სცივა...  
დავლიოთ ჩაი!..



გულუბრყვილო ქართველები;  
ფხალი, ხაჭაპური  
და სიყვარულის სადღეგრძელო,  
როგორც რაღაც მთავარი,  
მოხელთებული, ან მოუხელთებელი  
და მარად სანატრელი...  
აყვავებული რტო მწვანე ბოთლში,  
დასრულებული ნატიურმორტი...  
ცხოვრება ასრულებს, რასაც ვერ  
ვასრულებთ ჩვენ...  
ცხოვრება გვასრულებს ან ძალიან  
ადრე,  
ან ძალიან გვიან...  
მზე ანთია, როგორც ციკლოპის  
თვალი,  
ყველაფერს ბურლავს,  
აცამტვერებს...  
ეს ჩვენი საუკუნეა,  
ციკლოპი, რომელმაც  
სიყვარულს გზად ფეხი დააბიჯა...  
„ჩვენი მწერლობა“, 2008, №14; 2011,

№1.



„ყოფიერების უდაბნოში ხანგრძლი-  
ვი ჩაკარგვით მოგვრილი მძიმე განცდა  
შემოქმედებითი ბუნების მქონე ადა-  
მიანების ხედრია. ცირა ყურაშვილის  
ლექსებსა თუ მოთხოვთ ამ გან-  
ცდისადმი შეუგუბლობა წინსვლისა  
და პოეტური აღმოჩენების მასტიმუ-  
ლირებელია. მისი ბიბლიური ალუზი-  
ები („მომხსენი ფრთხებიდან ქვამარი-  
ლის მხრები“) განუწყვეტლივ სულის  
თავისუფლებას ელტვის. ცირა მუდმივ  
მზადყოფნაშია, ყოფიერების აუტანელი  
სიმძიმე ხელოვნების ესთეტიკურ სა-  
ბურველში გახვიოს და შრომის კულ-  
ტად აქციოს. სწორედ ამ ესთეტიკით  
იქმნება „აღმართის ქალბატონის“ მე-

ტად შთამბეჭდავი, ადამიანური სახე ლექსში: „ქრისტე, გაუღე შენი კარები“:

ჩემი მოთხოვის გმირი მოდის, აღმართის ქალბატონი. მე ჩამიხუტა იმ სა-ლამოს ბოლოჯერდა უკანასკნელად, რომ შენ გაგიღოს ჯავრით შექმული გულის კარი, პირველად და სამარადისოდ.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, ჭინჭარნაჭამი ჭუკების ქალბატონი მოდის, მათ წვრილ და მსხვილფეხებთან ბანარგათრევით არაერთხელ წაქცეული ქალბატონი მოდის.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, გმირი ქალბატონი მოდის, ყანა-ვენახის ბარვა-თოხნის, აკვრა-მორჩის, ვაზიდან ძროხებისათვის ალერდის გადამზიდი, პამიდვრის ჩითილების და კარტოფილის „ბუდნების“ მზადების გმირი; თხილიანი გოდრებით და დაფნის ნედლი ტოტების სიმძიმით წელშიგადრეკილი გმირი ქალი.

ქრისტე, გაუღე შენი კარები, მხევლობით დაღლილი უფასო მოჯამაგირე მოდის...

პოლ კლოდელი, რომელიც არ იზიარებდა ევოლუციის თეორიას და წმინდა წყლის მეცნიერულ მეთოდად მიაჩნდა იგი, არაჩვეულებრივად წერდა:

„როგორც საგნებისათვის, ისე ლექსებისათვის არსებობს ერთადერთი საშუალება, რომ ისინი იყვნენ მუდამ ახლები. ეს არის ის, რომ უნდა იყვნენ ნამდვილები. ერთადერთი საშუალება, რომ დარჩნენ ახალგაზრდები – ესაა იყვნენ მარადიულები...“

ქრისტინულმა რელიგიამ სამყაროში მოიტანა არა მხოლოდ სიხარული, არამედ აზრი (Поль Клодель, Религия и поэзия, Вопросы литературы, 1990. ст. 184).

სწორედ კლოდელის ეს თხზულება გამახსენდა, როცა ცირა ყურაშვილის აზრიან ლექსებს ვკითხულობდი, რომელთა სევდაშიც რელიგიური სიხარული ჩუმი ქვედინებით მიედინება.

მომხსენი ფრთებიდან ქვამარილის მხრები, რჯულისა და ტრადიციის ხელ-

ბორკილებიც. გულის ძარღვებში გამლღვალ სანთელივით გამიარე, ცაში აზიდე ჩემი ლოდები. მაშინ ნახავ, მსუბუქი ტანის მძიმე ქანდაკება ზურგს თუ შეგაქცევს, ყოფიერების უდაბნოში თვეობით თუ ჩაგეკარგება. მომხსენი მხრებიდან ქვამარილის ფრთები, ჩემი მარილიანი ტბებიც დაშრიტე და მაშინ ნახავ, იმ აკლდამიდან, შენ რომ ჩუმჩუმად დასცინი და ყოფიერების უდაბნოში თვეობით კარგავ, რა თეთრფრთება და კოპლებიანი პეპელა გამოფრინდება, წყნარი პეპელა, თითქოს საოჯახო ალბომიდან ჩემი ოცი წლის წინანდელი ფოტოსურათი გადმოფარფატდა...

„ქვამარილის პატიმარი“ – „ჩვენი მწერლობა“, 2008, №3.

## სამშობლოსცერი ლექსები

არიან პოეტები, რომელთა ტროპები, სახეები ნაცნობებივით შემოგხვდებიან დღის ნებისმიერ მონაკვეთში. გააჩნია, „ამაო“ გარჯაში გაფლანგული, გამოფიტული შენი არსება წვიმასავით როდის მოინატრებს ლექსის მუსიკას. დაშლილი, დარბეული მთლიანობის განცდა უსახლკარო მანანნალასავით როდის მოგთხოვს ოჯახური სიმყუდროვიდან წამოსულ თბილ ორთქლს.

ეს პოეტები გაცემით გზებს, გადავლილ ბორცვებს, საყვარელ ქუჩებს, სახლებს, სახეებს, ფიქრებსა თუ აზრებს თავიანთი ფანტაზიით ღებავენ, როგორც ილუმინატორის თვალს აკრული ფირფიტები, სხვადასხვა ფერში რომ ნარმოაჩენენ სამყაროს. „სიხახლის“ სპექტრი დროებით აყუჩებს სინდისის ქენჯნას, ქმნის ილუზიას, რომ ჯერაც უთვალავი, თავდაპირველი სიხასხასით აღიქვამ სამყაროს. ისევ ძველებურად გიყვარს, განიცდი და გახსოვს...

მაგრამ ეს მაინც მირაჟია უნიადაგო სიმხნევის, ხელჩასაჭიდი არაფერი რჩება, ყველაფერი მიედინება, იფანტება, ქრება, თვით ლექსიც კი...

ეს ყოველივე შესანიშნავად იცის ამ სტრიქონების ავტორმა – „იქნებ მართლა ზეცა ეწვეთებათ ამ ლურჯ მდინარეებს სათავეში“. ამიტომაც სოსო მეშველიანი არ გვთავაზობს პოეტურ აქსიომებს, სიბრძნის ფორმულებს... სამაგიეროდ, მისი დაეჭვებაც კი ნამდვილი ლექსია თავისი სურნელითა და ფერით, გადამდები, დაუცინებარი... არაფერია ამ ლექსებში დროებითი, წარმავალი, თვით მაშინაც კი, როცა დროებითზე, წარმავალზე გვიამბობს და ჰყვება. მასთან ძვირფასი და კონკრეტული ყოველთვის ზოგადდება და სამყაროს მოივლის, როგორც მშობლის მარადიული ხატება:

მზის ყოველი ჩასვლისას ჩრდილი  
დედაჩემის  
მწვერვალებს ივლის და მყინვარზეც  
გადადის.

ანდრე სეგოვიასადმი მიძღვნილმა ლექსმა საოცარი შეგრძნებები გადახსნა თვალწინ. როგორც ფერმწერთა პეიზაჟებში გადაშლილი უბრალო ბოსტნის კვლები (ვთქვათ, კაკაბაძესთან, პისაროსთან) ანდა ჰოლანდიური სკოლის ხელწერით შესრულებული უსიერი ტყის ტალანები გიზიდავს, გაოცებს და გატკბობს, მაგრამ მაინც გრძნობ, რომ ეს არაა შენი სამყაროს ფერი, ისე ამ ლექსში აღნერილი დიდებული, უცხო პეიზაჟი მწვავე ნოსტალგიას აღძრავს. საოცრად ზუსტი სათაური შეურჩია პოეტმა ლექსს – „მგზავრი“.

პირქუში მიწაც ახითხითდა ზეცის  
ლიმილზე,  
ეს შენი წილი სამოთხეა, პახს აქ რა  
უნდა?!  
ღრუბლის ნამცეცა ცხვარი ბლავის  
ზეთისხილის ქვეშ,  
ხსოვნის უფსკრულში ექოებად რომ  
ახმაურდა.  
ალბათ, დასრულდა გრანადაში  
დიდი კორიდა.

დამდება. ფიქრიც მოითენთა,  
ვატყობ, არა და...  
ლამპიონივით თავს მახსენებს იმ  
სიშორიდან,  
მთების წიაღში შეხიზნული  
იგუალადა.

სოსო მეშველიანი უკვე მერამდენე წელია ესპანეთში ცხოვრობს, უფრო ზუსტად, მუშაობს, რათა ხანდახან თავს ლექსის წერის ფუფუნების უფლება მისცეს. ამიტომაც გზის პარადიგმა, ნოსტალგია და შინ პერიოდული დაბრუნებაა ყველაზე გამოკვეთილი მოტივი მის პოეზიაში. მონატრებული ადამიანებიც თითქოს სიზმრებიდან აედევნებიან:

გახსოვს ის კაცი? სიზმრებიდან რომ  
აგვედევნა,  
ღმერთის წვერი და მამაჩემის  
ხელები ჰქონდა.

„მიწის გემო“

შევეშვი ქალაქს, ამ სიზმრებში  
ჩაყოლილ კოშმარს.  
აი სიცოცხლე რასაც ქვია, ახლა  
იწყება!  
აქ არც ელექტროენერგიის სიუხვე  
მკუმშავს,  
შორიდან სოფლის არსებობას თუ  
შემახსენებს  
ამ ბნელ კაკლებში გაფანტული  
ყვითელ წინწკლებად.

და ახლა ჩემს წინ გასუსული  
სოფელი  
რომ თვლემს,  
სიმშვიდის ფშვინვა, სიზმრის  
სარკმელს მიორთქლებს თითქოს.  
მძინარი ჩიტის სუნთქვა არხევს  
ალუბლის ფოთლებს  
და იკრავს ფიქრებს წებოვანი  
ჰაერის სიტკბო.  
„ზაფხულის ღამე მშობლიურ სახლთან“, „ჩვენი მწერლობა“, 2010, №5.

ისეთი განცდა ჩნდება, რომ სოსო მეშველიანის ლექსები სამშობლოსფერი ლექსებია.

## ღვთისმაძიებელი

ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის იყო და რჩება ღვთისმაძიებლობად.

ადამიანი ცოდვით იძალება და ამის გამო უკვე „განწირულია“ ამ ძიებისათვის, მით უფრო, ხელოვანი. ტალანტის გარშემო ხომ დემონები განუწყვეტლივ როკავენ და ფერს იცვლიან – მთელი ცხოვრება ამ ფერადოვან ცდუნებებთან გამკლავებაა, სიტკბოს ილუზით შემოპარულ ამ მწარე პარკუჭებთან, სულიერ წყლულებად რომ სკაფებიან და მათ მოშუშებას ხშირად ერთი სიცოცხლეც კი არ ჰყოფნის, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი მაინც დაცემის შემდეგ წამოდგომის სურვილია, სინანულის ცრემლი და სიყვარულის შუქი. მთავარი ჯანსაღი სიჯიუტეა, სიზიფეს პათოსი და ლამანჩელის სიკეთით აღსავსე შეუბოკრობა. კრეტელები ამ სიბრძნეს ასეთი ღრმა სისადავით გამოხატავენ: „სადაც მიზანს ასცდები, ისევ მოპრუნდი, სადაც გაგი-მართლებს – გაერიდე!“

ისეთი შთაბეჭდილება ჩნდება, რომ თანამედროვე ხელოვნებამ მოიხსნა სრული მორალური პასუხისმგებლობა ადამიანის ბედისა და სამყაროს წინაშე. ალვირახსნილობის ენერგიით რეტდას-ხმული შეუდგა ნგრევას, რღვევას, გა-პარტახებას.

არადა, როგორც იტყვიან, ჩიტი რომ ჩიტია, ისიც კი ბუდეს აშენებს. ერთი სულის შებერვა ეს ფიორა არსება ფრთებით დაასაჩუქრა უფალმა, ამან მადლიერების ნიშნად გადაწყვიტა, დაჩეკილი ბარტყებისათვის ცისკენ ფრენა ესწავლებინა.

კაცს რაღა ღმერთი უწყრება, რამ დაამახინჯა, რამ გააბოროტა ასე, რამ ჩაფლო ასე მინაში, მინას ვინ ჩივის, ჭა-ობის ფაფაში. ხელოვნება ფორმაზე გა-დაერთო, უფრო ზუსტად, ტექნიკაზე.

ტექნიკის ვირტუოზულობაზე დღევან-დელ საშემსრულებლო სფეროშიც ერთმად აღნიშნავენ მუსიკის ექსპერტები, მაგრამ ამასობაში, როგორც წყალი უდაბნოში, ისე იკარგება მუსიკის სული, დესტრუქციული, კაკაფონიური სამყარო-დან ელექტრონულ სადენებში მიიპარება, ცახცახებს და თრთოლით კოსმიური აკუსტიკის ილუზიას ქმნის. კოსმოსი ყველას აინტერესებს, ადამიანი აღარავის. აი სნობიზმის პიკი, ესეც XXI საუკუნის კიდევ ერთი ეგზოტიკური აბსურდი.

დღევანდელი ადამიანის ეგოცენ-ტრიზმზე, ეგოიზმზე, როგორც შეშლი-ლობის უკიდურეს ფორმაზე, ცოდვის სიცარიელესა და უცოდველობის სი-სავსეზე, ციცინათელების სიბრძნეზე: დღეზე უარის თქმა და ლამით წამიერ ნათებაზე – ამ ღვთაებრივ სიმბოლოზე და არა მეცნიერულ მექანიკაზე, ღმერ-თი ხშირად ამ სიმბოლოებით გვესა-უბრება, ყველაფერ ზემოთ თქმულსა და კიდევ უამრავ რამეზე ფიქრები და განცდები გამიჩინა ახალგაზრდა ქალის ნათია გორგაძის პოეტურმა სამყარომ.

ამ ღრმად ნიჭიერ და უაღრესად მორიდებულ ადამიანს ისეთი საოცარი სიყვარული შეუძლია და, რაც ასე უცნაურია, ზომიერების დაურღვევლად ისე გადაგვიშლის საკუთარი აღქმისა და წარმოსახვის უსაზღვრო სივრცეებს, რომ გრძნობ, მისი ტექნიკა, მისი სტი-ლი ყოველთვის დიდი სათქმელიდან, მნიშვნელოვანი შინაარსიდან მოდის. არსად გრჩება იმ უხერხული ხელოვ-ნურობის, ჟონგლიორობად ქცეული ესთეტიკით თამაშისა და თვითტკბო-ბის განცდა, რაც ასეთი დიდი დოზით იკითხება თანამედროვე ტექსტებში. სავსებით ვიზიარებ ბუფონის ცნობილ მოსაზრებას, რომ „სტილი ადამიანია“.

დავმარცვლე გოლგოთა  
და ისე დამძიმდა სამივე მარცვალი  
რომ ფრთები დაკეცა მოხუცმა  
ღამურამ.

იშვიათად შემხვედრია პოეზიაში ჯვარცმით მოგვრილი გლოვის ამგვარი ხილვა-ჩამობნელება.

„ფრთებდაკეცილი მოხუცი ღამუ-რა“ – რა თქმა უნდა, ეს მანერა, ძველ-თაძველი და მარად ახალი ტკივილის, განსაცდელის ამ ფორმით გადმოცემა, თვით პიროვნების (ამ შემთხვევაში – ავტორის) სულიერებისა და ინტელექ-ტის მაღალ ხარისხზე მეტყველებს და არა მაინცდამაინც სტილზე ზრუნვას. განცდის ხარისხი და მისი ესთეტიკა თავისთავად ქმნის სტილს.

იქნებ შენა ხარ, ვისაც არასდროს  
შეხებია ჩემი სიზმარი

ვინც ერთის ნაცვლად ორ გზას  
დაადგა,  
ოღონდ შენთვის ეჩვენებინა, რომ  
ბრმა არ იყო  
და იქნებ მზეზე უფრო თაკარა მისი  
თვალები  
დღესაც კი შენს კვალს ეძებენ  
ღმერთო.

ნამდვილი ხელოვანი ყოველთვის იყო  
და დღესაც რჩება ღვთისმაძიებლად.

## ჩვენი ქვეყანა

ჩვენი ქვეყანა! უხსოვარი დროიდან დარდთა შორის ყველაზე უფრო კეთილ-შობილი. არა მასშტაბისა და სიღრმის გამო, დროისა და სივრცის ნიშნებით დასეტყვილი აპსტრაქცია, არამედ კონკრეტული, ხელშესახები. პოეტის ფიქრით მოსავადებული ჩვენი ქვეყანა ბიბლიური დატირებაა დაშრეტილი მადლის, დახო-ცილი შვილების, ფერწასული სინათლის სვეტის. პოეტის სევდა – გამქრალი სი-კეთის, დამშრალი ჭების, გაშავებული სულების, ძვლების, ტყვიისფერი მრუმე ზეცისა და ამღვრეული ნაკადულების გამო.

„როდემდე გაძლებს ასე მაინც? მა-

ინც როდემდე?“ – აი, დარდი ნამდვილი პოეტის.

„ჩვენი ქვეყანა“ – ინდივიდუალური, კონკრეტული, ხელშესახები.

თითო-ოროლა გამოხაკლისის გარდა „ახლები“ აღარ არიან ინდივიდუალურები, კონკრეტულები. ისინი უღიმდამი „თავ-განწირვით“ ეთამაშებიან სიტყვებს და ზოგადობით ერთობიან. მათი აფეთქება საახალწლო შუშხუნებივით ერთჯერადი და სულმოკლეა, როგორც ყველაფერი ხმაურიანი, ამიტომ აღარ ხდება სიტ-ყვათა შეუღლება, აღარ იპადებიან მათი შვილები: აზრები და მეტაფორები.

სამაგიეროდ, ჩნდება ტექსტები – ტრამალებივით გულისგამანვრილებე-ლი და ერთფეროვანი.

მეტაფორა პოეტის ხსოვნაა. ხსოვნა კი გამძიმებს, როცა წრეში ტრიალებ, როცა ერთ ადგილს ტკეპნი. უმეტაფორო პოეზია დავიწყებისათვისაა განწირული.

„ახლებს“ ეს აწყობთ, მათი ამბიცია კონფორმიზმზე შორს ვერ მიდის. როცა არაფერი გახსოვს, ე.ი. როცა არაფე-რი იცი, უფრო იოლია ცივილიზაციის სახელით ახალი გვინეის აღმოჩენა თა-ვისი უცნობი ტომებით; მგრძნობიარე, ემოციური, ველური აბორიგენებით...

მეტაფორა პოეტის ღია ჭრილობაა.

ამიტომ ნებისმიერი განაკანკი ცხვირ-ში მუშტის ამორტყმასთან ასოცირდება და სისხლდენასავით საგანგაშოა.

ამიტომ ომში წასვლის სიხარული („ომში წასვლა მას უხარის“) ანდა დუე-ლით დაცული ღირსება ისეთივე ბარბა-როსობაა მათთვის, ისეთივე შორეული და გაუგებარი, როგორც ლამანჩელის ქარის წისქვილები, როგორც სევდა გა-ლაკტიონის: „მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“.

„ახლები“ აღარ ტირიან. ამაზე იზრუ-ნეს. ცრემლი წამალივითაა, გული რომ მოალბოს. ამიტომ ეს წამალიც აკრძა-ლულია.

გალობა მაღალი რეგისტრია, ცის-კენ მიმავალი განზომილება. „ახლები“

გალობენ კი არა, ვეღარც კი მღერიან; ვეღარც იწყევლებიან. პრინციპში, სწორადაც იქცევიან.

თუ წყევლა იერემიას გოდებასავით თავზარს არა გცემს, სჯობს რომ და-დუმდე. ჰედა, უფრო ჭკვიანები დუმან. პრაგმატული თაობა გასუსულია. ხანდახან მაინც „გამოუვლით“ და ე.ნ. „აქ-ციებს“ აწყობენ ე.ნ. „საზოგადოებრივი აზრის“ წინააღმდეგ.

სულსწრაფები, უნიჭოები, ნიჭიერი გამყიდველები... ხანდახან ამა სოფლის მთავრისაგან შეკვეთილ წირვას აყენებენ და გულმოდგინედ ილანძლებიან.

გინება მოდაშია, პრემირებულია. განსაკუთრებით დედის გინება. განსაკუთრებით კონკრეტული პოეტის კონკრეტული დედის...

აბა, აბსტრაქტული სამშობლოს გინებას რაღა დაუდგება წინ. რომელი ნიჭი, რომელი ტაბუ, რიდი და მადლი შეაჩერებს ამ აღვირახსნილ კონვულსიას.

## როცა სიმღერა სიჩუმეს მარხავს

იშვიათად, მაგრამ მაინც ჯანყდებიან. აჯანყებას ჰგავდა ამ ქალაქში, ამ ლექსებში ერთი ბიჭის გამოჩენა.

„ძალიან საინტერესო დროში გვიწევს ცხოვრება“, – დღევანდელ საქართველოში ხშირად გამიგია ეპოქის შეფასების ეს „ინტელექტუალური“ დიაგნოზი.

ვისთვის საინტერესო, ვისთვის საპედისწერო. ვერაფერს იზამ. ზოგი ცხოვრებას, როგორც თეატრს, ისე აღიქვამს და მაყურებლის სტატუსს იფერებს. ზოგიც გამუდმებით როლების ცვლაშია. ეს სიბრძნე კი არა მხოლოდ ასაკ-თან, გამოცდილებასთან ერთად მოდის.

არსებობენ ბუნებით იმთავითვე ადაპტირებული ადამიანები, რომელთაც ყველანაირ სიტუაციაში, ყველა დროში, ყველანაირ რეზიმში შესწევთ ლავირებისა და „გადარჩენის“ უნარი. მე მაინც მგონია, რომ ასეთი ადამია-

ნები ეგოცენტრისტები არიან. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. უკეთეს შემთხვევაში, მათი ფიქრისა და ზრუნვის რადიუსი უახლოეს წრეს, ოჯახის წევრებს მოიცავს მხოლოდ. არ ვიცი, შესაძლოა, ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ შემიმჩნევია – ასეთები ფრთხილები, მფრთხალები, ხშირად სასტიკები და შურისმაძიებელნი არიან.

სხვას იქნებ ეპატიება კიდეც, მაგრამ ნამდვილი პოეტი ვერ იქნება ვერც ფრთხილი, ვერც მფრთხალი. მისი გულის კარი ლია. ვინ არ შედის და გამოდის ამ კარში. ეს გული მიმღები და განმცდელია ყველაფრისა, რაც ირგვლივ სამყაროში, მის საცხოვრისში, მის სამშობლოში ხდება. ამიტომ არღვეს სიბრძნის კანონს – ოქროდ მონათლულ დუმილს. ამიტომ ვერ ეგუება უსამართლობას, უმწეობას, ჩაგვრას, დაცინვას, ლირსების აყრას.

**გიორგი ოქროპირიძე** პოეტია, თუმცა პოეზიამდე შორია. ეს როგორ გავიგოთ? ძალიან უბრალოდ. მისი განცდები და გულისძგერები, მისი არითმია და ტაქიკარდია, მისი პროტესტი თუ სულიერი ამბოხი ხშირად წინ უსწრებს გონებას, ე.ნ. გონიერებას. ამ ასაკში ეს ბუნებრივია. როგორც იტყვიან, ჯერ ისევ სკოლის მერხს უზის, თუმცა კომპიუტერში ჩარჩენილი ინფორმირებული თაობა კარგა ხანია ჩამოიტოვა ინტელექტით, უკომპრომისობით, სიკეთისა და ბოროტების განცდის ხარისხით, შავ-თეთრის გარჩევის უნარით, რომელიც, სამწუხაროდ, ძნელად ან საერთოდაც არ ისწავლება. თანდაყოლილია ეს განცდა – ადამიანის შეცოდების, შეწყალების, მოყვასით აღტაცებისა და გახარების. მგრძნობელობა ამ ბიჭში ძვირფასი მადანივითაა ჩადებული, რომლის კეთილშობილი გამოსხივებაც ყოველწამიერად, მტკიცნეულად რეაგირებს ყველაფერზე. არ შეუძლია, ულირსობას გაუჩიუმდეს, ამიტომაც მისი სიმღერა „სიჩუმეს მარხავს“. ძალიან სევდიანი, დრამატული, ხშირ შემთხვევაში,

ტრაგიკულია ეს სიმღერა. ვრცელია ჩა-  
მონათვალი იმ უკეთურებათა, რომელ-  
თაც იგი მთელი არსებით უჯანყდება.  
მხოლოდ მცირე ფრაგმენტს მოვიტან:

აქ ხომ გარდაცვლილ მეომრებს  
გლოვობენ  
სხვა დროს კი თითონ ესვრიან  
ტყვიას  
მოგკლავენ მერე კი თუნდაც  
ეხაროთ  
თქვენს საფლავებზე ვარდსა და იას  
აქ ხომ მკვდელობაც სისუფთავეა  
არ უნდა დატოვო ალი და კვალი  
ამოსულ მზესაც ჩასვლა ენატრება  
რომ ცრემლიანმა დახუჭოს თვალი.  
„ჩვენი მწერლობა“, 2011, №6.

ამ ლექსებში, ამ ქალაქში დაძრნის ეშმაკი სუფთა სულების მისატაცებლად. ბახუსის ვნება მოკლებულია ლხინის ნა-  
თებას, თუნდაც ტრივიალურ დროის ტა-  
რებას. „ლვინის მარხილები“ ჯოვოხეთის დალმართისკენ მიექანებიან. ამ ქალაქში, ამ ლექსებში ათასგზის თავშესაფარგა-  
მოცვლილი, შრომის უფლებანართმეუ-  
ლი უსიცოცხლო ადამიანები დალასლა-  
სებენ. ერთ დროს თავმოყვარე, ახლა კი არაყსმიძალებული შეშლილი კაცების დანახვაზე ლუციფერსაც კი ფერი ეკარ-  
გება. ამ ლექსებში, ამ ქალაქში ყველგან საცდურები და ხაფანგებია კეთილი სუ-  
ლების მისატაცებლად... ამ ლექსებში, ამ ქალაქში „მხოლოდ ობოლი ჭადრები იმსახურებენ სამოთხეს“.

გალაკტიონთან ზოგჯერ ინტონაცი-  
ურმა მსგავსებამ, შესაძლოა, შეცდომაშიც შეგიყვანოს და, როგორც არაერთგზის მომხდარა, ტალანტი „ლიტერატურში-  
ნად“ მოინათლოს. მე ვფიქრობ, რომ დიდ პოეტთან გიორგი ოქროპირიძეს გაცილე-  
ბით უფრო სიღრმისეული შეგრძნებები და მათი გამოხატვის უჩვეულოდ თავი-  
სუფალი ფორმები ანათესავებს, ვიდრე უბრალო გავლენა და მიმბაძველობაა.

გაწყვეტის ზლვარზე მყოფი ჭაბუკის

დაჭიმული მგრძნობელობა, სასოწარ-  
მკვეთი ემოციის რიტმი, თითქოს საკუ-  
თარ თავს სულისმოთქმის უფლებას არ  
აძლევს. იქნებ, ამითაც აიხსნება პუნ-  
ქტუაციის სრული უარყოფა. თითქოს  
წუთშესვენების გარეშე გარბის უღმერ-  
თო ცხოვრება – ცოდვის ინერცია. შემ-  
ზარავია მისი ხილვები რეალობა-ირეა-  
ლურის ზლვარზე.

...ჩოქვით დახვეწილ მწკრივთა  
მასებში  
ნითელი გუნდი სისხლით მარშირებს  
და მე კი მთვრალი ამ თამაშებში  
ვხედავ მომავალს, სულ არ მაშინებს  
სიკვდილი მე რომ ასე მგონია  
დამდევს მალულად, მსუბუქ  
ქარივით,

მე მხოლოდ უცხო მელანქოლია  
შემრჩა უგრძნობი მეგობარივით...  
„აპოკალიფსი“, „ჩვენი მწერლობა“,  
2011, №6.

იერემიასეული გლოვა და გოდება  
გამახსენა „განკითხვის ინტეგრალებ-  
მა“, რომელშიც მთელი სისრულით წარ-  
მოჩინდა ცოდვის მოსაშთობად ყმან-  
ვილის მიერ წამოწყებული ომი. ასეთ  
დროს იგი უკომპრომისო და დაუნდო-  
ბელია როგორც საკუთარი თავის, ისე  
იმ ტოტალური უღმერთობის მიმართ,  
რომელშიც მისი ქალაქია ჩაძირული.

გეთანხმებით – ამ ასაკისათვის მძი-  
მეა და მრუმე ეს ყველაფერი, მაგრამ  
უსაშველოდ ნამდვილი და მართალი.  
მადლობა ღმერთს, რომ ლექსის თხზ-  
ვის ნიჭი თავშესაფრად კი არა, გამო-  
სავლად მისცა ჭარბი ემოციისა და სა-  
შიში მგრძნობელობის ჭაბუკს.

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, გზა დავუ-  
ლოცოთ ამ უნიტერეს ჭაბუკს პოეზიისა  
და ცხოვრების ურთულეს გზაზე. ვუსურ-  
ვოთ, რომ კეთილი ანგელოზის მფარვე-  
ლობა არ მოკლებოდეს როგორც მას, ისე  
მთელ მის თაობას, ქართულ პოეზიას კი  
„ახალი ტალღით“ მიღებული სასიამოვნო  
მღელვარება და სიხარული.

## მელანო ზუკაკიშვილი



### მიძინების

რას გიმლერის, მეც მიამბე, ამეია,  
გაზაფხულზე გარდაცვლილი გლიცინია.  
როცა გარეთ ფრთაშესხმული ქარებია,  
როცა სულში მოწკრიალე სიცივეა.

მომიყევი, ლურჯ დაისზე რას მლერიან  
გედები და რა ფერი აქვს ასიკაგას.  
მაპოვნინე... მაპოვნინე, ამეია,  
ის, რაც ცას და მინას შორის დამეკარგა.

პანთეონის მიძინების ზარები და  
მათთან ერთად შორეული მაჰაბოლჰე  
დამასიზმრე...  
მომიყევი, ამეია,  
სხვათა სიზმრებს კართან როგორ დარაჯობდი.

უჩვეულო, ფრთაშესხმული ქარებია,  
ღამეს ვფურცლავ მოლოდინის ორბიტაზე.  
განკურნება შემასწავლე, ამეია,  
ჩამავალი მზის სიმშვიდე მომიტანე.

### სევდის ბოლერო

გადაათეთრა ზამთრის თრთოლამ ფიქრის ტევრები,  
ბზის მოვერცხლილი ტოტებია სულის სამრეკლო.  
ისე შორია სიმშვიდემდე,  
როგორც ბევერლი-  
ჰილზი და ცხადი,  
რომ დღეს რამე უნდა დავწერო.  
უნდა დავცალო,  
ჩამოვფერთხო  
გრძნობებს ეს თოვლი,

დროა, მოვარგო გაქცეულ ფიქრს ლექსის ლაგამი,  
ცა რომ ფიფქებად ტკივილების საფანტს მესროდა,  
მე ნდობას დამდნარ თოვლზე უფრო სწრაფად  
ვკარგავდი...

გაუფერულდა მოთენთილი ქარის წერიალი,  
როცა ნამქერი გულს დარდებად გადაათოვა.  
თეთრ ვაკუუმში დამწყვდეული ღამე ღრიალებს  
და როგორც მთვარე სავსე, ცაზე,  
ისე მარტო ვარ...

ფერმკრთალ ლანდებად ფანტელების  
ბრუნავს ბოლერო,  
მგონია, ვქრები,  
სამყაროთა მიღმა მივიღტვი,  
ღიმილს თილისმად სევდიანი მზერა მოერგო,  
ძლიერ ქალებსაც ჰყვარებიათ ღამის ტირილი...

## ბებიას

როგორი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ...  
როგორი ერთნაირსახელიანები.  
როგორი ერთნაირგულდარდიანები.  
როგორი ერთნაირქვისგულიანები.  
გაიცივე თვალ-გული, წამოწექი ძველი ოდის ფართო  
ოთახში და  
დაიკრიფე სანთელივით ხელები გულზე.  
ერთხელ არ გადმომხედე მაღალ-მაღალი  
სამზითვო ფარდაგგადაფარებული ტახტიდან  
სიმშვიდეაფარებულმა.  
მე რას მომატყუებ...  
მე რას გამომაპარებ...  
მე ხომ ვიცი...  
ყინვამიკრულ ანფასებს მიღმა რა გავარვარებულ  
დარდს იბრუნებ ყელში,  
იმ კვნესასავით რომ არ გამოექცეს პაგეებს,  
ღამლამობით ტკივილებს რომ აყოლებდი.  
იმ მოგუდული კვნესასავით,  
თეთრი ხელების ლურჯ კაპილარებში რომ  
გამოამწყვდი და  
ცივი წამლის სუნს ამოაფარე.  
მე რას გამომაპარებ...  
შენი გამკივანი სიჩუმიდან მესმის მძიმედდარდიანი  
გულის გოდება.  
დაიკრიფე გულხელი და ობლად დამიტოვე  
ცადთვალებაზიდული,

ცრემლიანი მამაჩემი.

საწოლს მიჯაჭვული ჩვილივით პაპაჩემი.

შელოცვასავით მობუტბუტე მოტირალები:

შენ მოგმატებოდეს მისი დანაკლისი დღეები.

შენ იდლეგრძელეო. –

შემომისხდნენ და იბუტბუტეს.

შემომისხდნენ და ივიშვიშეს.

სულ მუხლის ჩოქებით ვკრიფე მიწიდან უშენო შენი დღეები.

მიწადაკაწრული თითებით სათითაოდ შემოვიშენე.

გავდიდი და გავდლეგრძელდი.

მოვიზურე შენი ლურჯყვავილებიანი ჩითის ხალათი და დედასავით ვუარე ობოლ მამაჩემსა და ჩვილ პაპაჩემს.

შენით სავსე სიზმრები ვასვი და

უშენობით გაუღენთილი ღამეებით ვაპურე...

დღემანკიან ობოლ ქალზე,

სანთელივით წმინდად მდუმარე ქალზე –

სულ ლამაზ-ლამაზ ზღაპრებს ვუამბობდი.

ვერ გავზარდე პაპაჩემი.

ილეოდა და პატარავდებოდა.

ვერ გავათბე.

აბა, ჩემი პატარა მკლავები როგორ ეყოფოდა ასეთ სიცივეს.

ჩავიწვინე კალთაში და სიკვდილივით მშვიდი იავნანა ვუმდერე.

როგორი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ.

როგორი ერთნაირგულდარდიანები.

შენი წილი ძაძები ჩავიცვი.

შენი ნახშირის უთოთი ვაუთოვე და ვათბე პაპაჩემის სავალი ცივი გზა.

მივუჯექი თავთან და სულ შენი ხმით დავიტირე.

თითებით ამოვკაწრე მიწიდან მისი ნარჩენი დღეები და უფრო გავდლეგრძელდი.

ხელისგულებზე ვზრდიდი

უთქვენსახოდ ლოყაანითლებულ ჩვენი ეზოს პროწეულებს.

ცამდე ნაყვავილარ თმაჭალარა ნუშებს.

ამიცივდა. შემიცივდნენ.

ფოთოლ-ფოთოლ ავიკაფე ხორცებიდან. ვუღალატე.

დავუტოვე ორმაგად ნაობლარ მამაჩემს

დეკემბრის თვალნკრიალა თეთრი თოვლი და გავფრინდი.

დავტოვე ცადთვალებაზიდული ცრემლიანი ცივ თოვაში.

მესამედ დავაობლე.

როგორი ერთნაირი გოგოები ვყოფილვართ მე და შენ.

როგორი ერთნაირქვისგულიანები.

უნდა მივბრუნდე

თქვენი წილი და ჩემი წილი დღეები სულ მას უნდა  
მივუტანო.

უნდა მოვუარო.

უნდა გავზარდო.

არ უნდა დაპატარავდეს...

უნდა მივბრუნდე(!)

თვალები დაელალა მამაჩემს...

## სიცარიელის

შემზარავი სიმშვიდიდან დინებას წყვეტენ სიზმრები.

იზრდები, როგორც ქარში ტალღის იზრდება ღელვა.

მე ვარ,

შენს ტკივილს ხელს რომ ვახლებ, გულზე რომ ვიწყობ.

სულს რომ ვუძერავ,

რომ ვეხვევი შენს სევდას –

მე ვარ...

დამიგულებ და დიდგულდები.

მე კი ვიმლვრევი.

ვბედავ თვალების გახელას და მზის გულზე წოლას.

ძრწოლა აიტანს, რომ ვერ მნახავს სხივი სიბნელის,

რადგან სიზმრები უსიტყვოა, უხალხო, უხმო, –

სიცარიელეს ზუზუნებენ ჩემი სიზმრები.

დაძრწიან ჩუმად,

დამეძებენ,

ჰგონიათ, ვუხმობ...

ჰგონიათ, მოვალ...

მივიწყებული ამბის სევდას დუმს კლავესინი.

მე კვლავ ტალღები, მიქცევები, ზღვა დამისიზმრებს,

შენ დაისიზმრებ თეთრ ამინდში უჩემო შობას.

სადაც რძის სუნი არ ექნება არც ერთ ალიონს,

გაეფანტება ბნელ კადრებად გოგენს ფერები.

შენი ტკივილის პიქტოგრამებს გულზე დავიწყობ –

არყოფნიდან მოგეფერები.

## ქვების და ხევბის

ჯერ თებერვალში ჩამდგარი წყლები უნდა დაღვარონ.

შემდეგ დაიკვირტონ და სიფრიფანა სიცოცხლე

იმშობიარონ –

ლია ვარდისფერი აფეთქება.

წესია ასეთი.

როგორ ორსულდებიან დამზრალი ხეები გაზაფხულობით?!

ნეტავ, მათ თუ ესმით სიკვდილის მელოდია

ნელზე შემოხვეული სიცივისას...

სიბნელის წახნაგები კედლებს რომ შეაცოცდება,

კედლები კი არ ქრებიან,  
 ხეებთან მიფრინავენ და სითბო მიაქვთ.  
 ორი ჩარჩო მრჩება მძინარე ქალაქით სავსე,  
 რომელი ერთი შემოვიშენო...  
 რომელში ჩაეტევა ლოდივით საფიქრალი.  
 ფარდები დაუშვი, ქარი მაშიშვლებს, ღმერთო!  
 როდის გამიყვან გაფრენილი კედლების უფანჯრო  
 ჩარჩოებიდან.  
 დანის დასმასავითაა ლამის სიცივე.  
 როგორი სუნი აქვს –  
 არაფრის.  
 როგორც სიკვდილს.  
 მაინც საით იწვდიან წყალჩამდგარი ხეები ხელებს –  
 ცისკენ თუ მიწისკენ?!  
 რომელია მათი მიწა, დედა რომ ჰქვია?!  
 დალოცვილია მიწიანი მუცლები...  
 მოსავლიანი...  
 რძე და თაფლი სდით ნედლი მკერდიდან.  
 მე რისგან შემქმენი, ღმერთო?!  
 სად მოაგროვე ამდენი სიპი ქვა – ამდენი ფერადი.  
 მიწა – თვალებში. სველი და შავი.  
 რატომ ვარ ასეთი გამჭვირვალე..  
 როგორც ქვებით სავსე შუშის ლარნაკი...  
 რატომ არ ვიმსხვრევი?!  
 ასე ლამაზად ვირეკლავ ბუნების ფერად მშობიარობას  
 გაზაფხულობით?!

### **უშვილო დედებიდან – უდედო ბავშვებამდე** **(ან როგორც გენებოთ)**

დე, იცი?!  
 ჩემი და შენი სამყარო არც ისე შორსაა ერთმანეთისგან.  
 სულ რაღაც ერთი ხელის განვდენაა.  
 ერთი ფეხის გადადგმაა.  
 ერთი ნახტომია.  
 ჩვენ...  
 ვერ გადავკვეთეთ პარალელური სამყაროები.  
 ვერ შემოვიკეცეთ დედაშვილობის თბილი საბანი.  
 ვერ გავითბეთ გაყინული სული და  
 ამომშრალი თვალები.  
 დე, იცი?!  
 როდესაც თქვენთან უდედო ბავშვები ელიან დედებს,  
 აქ, ჩვენთან, უშვილო დედები ეძებენ მათ.  
 ჩაიცვამენ რკინის ქალამნებს და დადიან.  
 დადიან სალოცავიდან სალოცავში.  
 ბარიდან – მთაში.

ტაძრიდან – ტაძარში.  
ნაპოვნი ღმერთიდან – დაკარგულ ღმერთამდე.  
უღმერთობიდან – ნატვრის ხეებამდე.  
თეთრი ბატკნებით და  
მხრებზე ჯაჭვებით.  
უშვილო აკვნებით და  
გულამდე დარდებით.  
ვერნამღერი იავნანებით და  
ცრემლიანი თვალებით.  
ტყუილი იმედებით და  
იმედგაცრუებულები.

დე, იცი?!  
მეც მქონდა ჩემი ნატვრის ხე.  
ტანმაღლი და ელგარე.  
თეთრი აკვნებითა და  
მზესუმზირისფერი იმედებით მსხმოიარე.  
თითო აკვნეში მიარტახებული თითო ნატვრითა და  
თითო ოცნებით.  
მაგრამ ჩემი ნატვრები  
სამუდამოდ მიაძინა ჩუმმა იავნანამ.  
ვერც ღმერთამდე მიიტანა და ვერც შენამდე.

იქნებ, ღმერთმა ვერ გაგიმეტა ამქვეყნიური  
ჯოჯოხეთისთვის?!  
იქნებ, არც გინდოდა!  
იქნებ, არც ღირდა!

დე, იცი?!  
მე შენ გხედავ.  
ყოველთვის, როცა სარკეში ვიხედები  
სარკის მიღმა დგახარ და მიღიმი.  
მიღიმი და ხელებგამოწვდილი შემომცერი.  
მე გულში გიკრავ.

მაპატიე!  
მაპატიე, ყველა ცარიელი აკვანი.  
ყველა ვერნამღერი იავნანა მაპატიე.

„მზის სხივების აკვანი გაქვს, იავნანინაო.  
ანგელოზის ფრთები გხურავს, იავნანინაო.  
ანგელოზი გირწევს აკვანს, იავნანინაო.  
თეთრი კრავი გესიზმრება, იავნანინაო...“

დე, იცი?!  
ერთ დღეს დავდგები სარკის წინ.

მე და შენ გვეცმევა თეთრი კაბები და გეტყვი,  
რომ მე შენთან მოვდივარ.

მაშინ, როცა  
დედამიწა იქნება ორსულად.  
მაშინ, როცა  
დედამიწას ასტკივდება მუცელი  
და მაშინ, როცა  
შენ იმღერებ ჩემთვის იავნანას.  
მარადიული დაბადების იავნანას.  
გამოლვიძების იავნანას.  
დაბრუნების იავნანას.  
მე გავილვიძებ!

## La Poésie

ჩემს მყუდრო ფიქრში შემოხვედი,  
როგორც ამინდში მძაფრი ყინვა,  
ყინვა – სამყაროს შემზარავად ჩუმი ხმაური.  
ტკივილი, ბოლო ზამთარივით, ძვლებში დარჩა და  
გაიყინა...  
რა ტრაგიულად მშვიდი ხარ და რა უცნაური –  
ყოველი ჩვევით,  
უხმო ღელვით,  
ბასრი სიმშვიდით,  
ქარის დუდუნით,  
გაფითრებულ დღეთა ზამთრობით...  
როგორ უხდება მეცხრე ცაზე განცდებს სიშიშვლე,  
მძაფრ ემოციებს – შეგრძნებების პიკთან დათმობა.  
ალელვებს ისევ თეთრ თეპერვალს მკვდარი ბეღურა.  
უსაზღვრო ლოდინს – გაცრუების მკვეთრი მახვილი.  
მოხუცებულა დრო და სულიც მოხუცებულა,  
დაბერებულან თარიღები,  
გზები,  
სახლები...  
გაუსაძლისი სიმშვიდე დგას, მოჩვენებითი.  
შენ სახლობ ჩემში, როგორც ყინვა ზამთრის ბექობზე.  
მესაუბრება დამის ქარი – მორზეს შეგირდი,  
დუმილის სანდო უღერადობა დავიმეგობრე.  
ფერმკრთალი მთვარე მორცხვად ცურავს ღრმა ცის  
ძარღვებში,  
შვება სულ უფრო შორია და უცხო ჩრდილებით  
ყოველი ლამის იდუმალი გაჩირალდნება  
ნინათვრძნობაა –  
სუნთქვასავით გამიხშირდები.



გია აბაზიაძე

## Yesterday

გადავითვალე. ვიცოდი, უაზრობა იყო. გადათვლა-გადმოთვლით რომ არ მოიმატებდა, კარგად მესმოდა, მაგრამ ციცის ოპერაციის საკითხი თავიდან არ ამომდიოდა. უფრო სწორად, ჯერ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და შემ-დეგ საოპერაციო თანხის მოძიება.

დაზღვეული არ ბრძანდებითო, იქნებ, სამინისტროს ან მერიას გადმოარიცხვი-ნოთო. მე არ ვიცოდი, რისი გადმორიც-ხვის გამკეთებელი მე ვიყავი? მავანმა „პასუხისმგებელმა“ ქალბატონმა სულ კალენდარული დღეებით გადმომით-ვალა ბოლო ოცი წლის განმავლობაში წინასაარჩევნო პერიოდში მისი არშემ-დგარი პროპაგანდისტული ვიზიტების ქრონოლოგია. რას ვიზამდი, საკუთარი სიმართლე ჰქონდა – კარს ვუღებდი, მოვუსმენდი და უარით ვისტუმრებდი.

დებილი და მატრაბაზი ხარო. მითხვა ნოდარა მილიონერმა. დაპირებოდი და ხმა სხვისთვის მიგეცაო. ჩემთვის „მიცემა“ მიცემაა, „გადახდა“ კი გადახ-და-თქო. ჰოდა, მატრაბაზობას რომ არ ეშვები თრმოცი წლის კაცი, მაგის გა-მოა, რაც გჭირსო. ახლა გასასესხებე-ლი ფული არა მაქვს და კარგად მეყო-ლეო. რა უნდა მექნა, ფულიც მისი იყო და ხასიათიც. ვერაფერს შევცვლიდი. ამიტომაც სექტემბრის იმ დაწყევლილ

დილას კვლავ გადავთვალე... ორმოც-დათი ლარი თემომ მომცა. გასესხებ, ძმაო, ოღონდო – დაამატა, – ახალ წლამდე უნდა დამიბრუნოო. ასი დო-ლარიც გაბომ გამოუშვა „უესტერნ იუ-ნიონით“ საბერძნეთიდან, აქ კრიზისია და არ ვმუშაობო, – ტელეფონით გან-მიმარტა. დედაჩემის ძვირფასულობა-ში სულ ორას ორმოცდაათი დოლარი მომცეს ლომბარდში. „ხალხო, ოქრო მთელ მსოფლიოში გაძვირდა და აქ რა ცენტებში მიანგარიშეთ-თქო“, შევე-დავე. „სადაც მეტს მოგცემენ, იქ და-ალიომბარდეთ, ბატონოო“, – შემომა-სუნთქა „პარლიამენტის“ ბოლი ქერად შეღებილმა შემფასებელმა დედაკაც-მა. მოკლედ, ორი ათას ცხრაასი ლარი მჭირდება და რაღაც ექვსასი ლარი თუ ცოტა მეტი მომიგროვდა. ციცის საცო-დაობის ყურება კი აღარ შემიძლია. არ იმჩენეს, მაგრამ სულ სიმწრის ცრემ-ლმორეული დადის. ახლაც იმ დამპალ სუპერმარკეტში წავიდა. რა ქნას? დღეს ცვლა უნდა გადააბაროს.

ვიფიქრე – მივალ, ქირურგს დაველა-პარაკები, ამ ექვსას ლარს ხელზე „გა-ვუმაზავ“ და დანარჩენზე „ატვეჩაიში“ დავდგები. ეეჲ, ედიკას დრო კი აღარაა, შეიძლება „იმაზებიან“ კიდეც, მაგრამ, როგორც იტყვიან, „ისეთი დროა, ძმას

აღარ ენდობა კაცი...“ ამ „ბიტლებმა“ ხომ გამიხურა, რა, თუმცა „ბითლზი“ რა შეუაშია, დაქლიავებულმა ჯარჯიმ (სანაძ ფსიქიატრიულში გამოამწყვდევდენ) მო-ბილურის ზარად დამიყენა “Yesterday”.

ნინი მირეკავდა.

– სახლში ხარ?

– არა, აეროპორტში.

– ნუ მაიმუნობ. გამოვალ და დამ-ხვდი აუცილებლად.

– სად წავალ, ციცის ველოდები.

– ისევ ციცი?

– აუ, ნუ გააჩიმახე, თუ გინდა, მოდი. არსადაც არ მივდივარ, ოლონდ არ დამინ-ყო „ისევ და ასევ“. ჩვენი ურთიერთობა – ჩვენი ურთიერთობაა და მორჩა ბაზარი.

– კარგი. გამოვდივარ.

მიყვარს ნინი. ჩემი დეიდაშვილია. ულამაზესი გოგო იყო ახალგაზრდობაში, მაგრამ ალქაჯი. ომობანასაც და ფეხბურთსაც ერთ გუნდში ვთამაშობდით. მაგათ კორპუსებთან სტადიონი იყო. თან ჩემზე უფროსია სამი წლით, მაგრამ ერთმანეთს არაფერს ვუმალავ-დით. თექვსმეტის რომ შესრულდა, „ბრახ“ დაარტყა და გოიმ კოტიასთან ერთად გაიპარა დასავლეთის რომელილაც სო-ფელში და თითქმის თხუთმეტი წელი არ ჩამოსულა. არც არსად უსწავლია. მთელი ქვეყანა რომ დაიმშა, მაშინდა დაბრუნდა გასუქებული, დიდი ჩიყვიანი ღაბაბით და ჭიპამდე ძუძუბით. თავის გოიმი კოტიაც და ტუტუცი ბალანა ლერიც თბილისში ჩამოიყვანა. ჩემი საყვარელი ნინისგან ერთი პროვინციელი დედაკაცი დამდგა-რიყო ჩამქრალი თვალებით და მარტორ-ქის აღნაგობით.

ისევ “Yesterday” – ბიჭო, გძინავს? კა-რებთან ვარ, ზარს გირეკავ და არ ალებ. შემობაჯბაჯდა.

– გეძინა? მთვრალი ხარ თუ დაბო-ლილი, თუ ქალი გყავს? – დამაყარა და გამომცდელი მზერა ჩემი საძინებლის გამოხურული კარისკენ გააპარა.

– არა. ფხიზელი ვარ. დანარჩენი შე-ნი საქმე არაა.

– კარს რატომ არ მიღებდი, აპა?

– „აპა“ არა და „კიე“, სულ გადაგა-ვინყდა, რომელ უბანში გაიზარდე? ისე, ასე ჩეარა აქ საიდან გაჩნდი?

– ტაქსში ვიჯექი. შენს სახლთან.

ჯიგარი გოგო იყო. ერთმანეთს არა-ფერს ვუმალავდით. სიყვარულის ამბებ-საც კი. მაგრად დავიშოკე, როცა კოტიას გაჰყვა ცოლად. მანამდე არასოდეს უხ-სენებია მისი სახელი. სადღაც ქორწილ-ში ყოფილან ორივენი სიძე-პატარძლის მეჯვარებად და იქიდანვე გაპარულან. მაშინ ცამეტის ვხდებოდი და ბავშვურად ვუსაყვედურე: „ნათელ-მირონის მადლი რამ გაგატეხინა“ -მეთქი. ის სირი კოტია კი (თვითონ გაიგო თუ ნინიმ უთხრა, ზუსტად არ ვიცი), როცა მათ ნიშნობაში ორჭიქადალეული გამოვედი სახლიდან მოსაშარდად, გამომყავა და უკნიდან თავ-ში ისეთი ჩამაფარა, რომ ტვინის შერყევა ამკიდა. ამის მერე აღარც ჩავსულვარ იმ სოფელში.

– მაგიტომ კი არ გეკითხები, ძამია, მარტო თუ ხარ, მაგი მინდოდა გამეგო, საქმე მაქ ცოტა რაცხა...

– გოგო, გეუბნები, უბნურად მე-ლაპარაკე, რა უპედურებაა „ძამია, მა-გი, მაქ, იმფერი“. რა „იქინე და აქინე“ სკლეროზი დაგწყებია.

– ნუ მატრაბაზობ. საქმე მაქვს (სწო-რად გამოთქვა, როგორც იქნა). იმფე-რი, რომე არ მინდა, სხვამ გეიგოს (ვაი ჩვენს პატრონს).

მივჩვდი, გოგებაშვილობას ვერ ვქა-ჩავდი და სჯობდა მოეყოლა „იმფერი“ საქმის შესახებ. მე ჩემი საფიქრალი მყოფნიდა.

– კოტია არ მუშაობს, კი იცი.

– რატომ? თოხის ტარის მასალა აღარ იშოვნება თუ რა?

– ნუ მატრაბაზობ. ხომ გთხოვე, არა?

– მე რა, დასაქმების ბიურო მაქვს აქ? თუ „სუსტონაბლეს“ მინისტრი გგონივარ?

– ეგ რაღა ჯანდაბაა, ბიჭო?

– რა და მდგრადი განვითარების და

აი ჩვენ რომ არ გვაქვს, იმის – ეკონო-  
მიკის მინისტრი.

– ნუ მატრაბაზობ-თქვა. ხომ გთხო-  
ვე, არა?

– შენც რა აკრიფე „მატრაბაზობ,  
მატრაბაზობ“. საქმეზე მოხვედი თუ  
კოტიას სარეკომენდაციოდ. შაქრე, რა,  
იუზგარ. მეც წასასვლელი ვარ.

– აბა, ქალს ველოდები და არსად არ  
მივდივარო?

– იმ ქალს ციცი ჰქვია.

– გინდა, შენმა მზემ, მელანო ერ-  
ქვას ან ქაბატო.

– ეხლა მართლა „ბროჭს“ მოუჭი,  
თორუე. – გადავედი უბნურზე...

– ქართულს ახლა არ მისწორებდი,  
ძმაორ? თუ ეგ კონიას ტერმინოლოგიაა?

– ნუ მატრაბაზობ-თქვა.

გადავიხარხარეთ და ნინოს თვალებ-  
ში შუქი შევნიშნე.

– არც ბიჭი მუშაობს.

– სწავლით თუ სწავლობს?

– იურიდიული აქვს დამთავრებული.

– რაღაც ამაყი ინტონაციით მიპასუხა.

– მმაგარია. მაგ დიპლომის მქონე  
თოხზე გაზრდილი დამჭერი ჯეელების-  
თვის გზა ხსნილია, ოღონდ ჩემზე არ  
გადის. პატრულში კონკურსია გამოც-  
ხადებული.

უცნაურად გადმომხედა, თავი ჩა-  
ქინდრა და ატირდა

– ნინი, რა მოგივიდა? (ტირის).

– ნინი, ცუდად ხარ? (ტირის).

სამზარეულოდან ჭიქით წყალი გა-  
მოვუტანე.

– წამალი არაფერი მაქვს, მითხარი,

რა გჭირდება და ამოგიტან აფთიაქიდან.

– არ მინდა. უკვე გადამიარა. – თავი  
ასწია და ცრემლი მოიწმინდა.

ვერ მივხვდი წამიერ მეტამორფოზას.

– ლერი მეორედ დაიჭირეს მოხმა-  
რებაზე და ორი ათასი ლარი მაქვს სას-  
წრაფოდ ბიუჯეტში შესატანი.

– ბიჭს ლერი ჰქვია?

– ხომ გაგაფრთხილე მატრაბაზობის  
თაობაზე, – და მუშტი შეკრა.

– რა მატრაბაზობა. ლერი კოტიას ძე  
ორიათასალარია, ხომ, სრული სახელი.

– ბიჭო, ჩემი ძმა მგონიხარ და ვი-  
ღაც მოღადავე იდიოტის როლს თამა-  
შობ, შენ შიგ ხომ არა...

– ნინი, მოიცა... და უცებ გავჩუმდი,  
მივხვდი, ჩემს პრობლემებში ჩარგულმა  
გადავამდლაშე.

– არ მითხრა ახლა – არ მაქვსო,  
თორემ გავგიუდები;

ჩემი ოხერი ხასიათის რა ვთქვი. ვერ  
ვიტყუები, თორემ ნოდარა მილიონერის  
არ იყოს, იმ კოორდინატორ ქალს დავ-  
პირებოდი და არჩევნებში სხვა ტიპის  
(დამარცხებულზე არანაკლები სირის)  
სასარგებლოდ მიმეცა ხმა, ციცი უკვე  
ნაოცერაციები მეყოლებოდა სახლში.

– ნინი, გენაცვალე, მეც არ ვმუშა-  
ობ, მაგრამ ცოტა ფული მართლა მაქვს  
ციცისთვის საოპერაციოდ მოგროვებუ-  
ლი და საერთოდ, ყველა ლოგიკით ჩემ-  
თან მაგ თემაზე არ უნდა მოსულიყავი.  
როგორ მიხვდი ან გაიგე?

– ვიცი, რომ გაქვს, ლამარამ მითხრა.

– ლამარა ვინდა?

– ოქროს შემფასებელია ლომბარდში.  
ჩემი კოტიას სოფლებია და გიცნო.

– რა მიცნო. პირველად და უკანა-  
საკნელად ოცდაშვიდი წლის წინ ვიყავი  
იმ სოფელში.

– ახსოვხარ. ასე მითხრა: აი, მაღა-  
ლი, ქერა ცისფერთვალება ბიჭი რომ  
ჩამოვიდა ნიშნობაში და მთვრალი რომ  
დაეცა ჩეჩიმასთან, იგი იყო.

– ესე იგი, მთვრალი დავეცი ჩეჩიმას-  
თან, არა?

– ჰო, რას შეიცხადე? ეგრე არ იყო?  
თანაც შარდი გაგეპარა, თავი მოგვჭე-  
რი და ჩემი კოტია მას მერე სულ მაგას  
წამომაძახებს ხოლმე „შენი ქვეშაფსია  
დეიდაშვილიონ“.

ერთი წუთით ციცის გარდა ყველა  
და ყველაფერი შემძულდა ამ ქვეყანაზე.

– ნინი, რა გითხრა, აბა? მართალი  
ხარ, ჩამოვედი ნიშნობაში, დავთვერი  
და ჩეჩიმასთანაც დავეცი, ჩავიცის, გო-

ნებაც დავკარგე და ტვინის შერყევაც მივიღე. თან გუშინ დედაჩემის ნაქონი ძვირფასეულობა დავალომბარდე, მაგრამ გასასესხებელი ფული არა მაქვს. – ნოდარა მილიონერივით დავუმთავრე მწარე მონოლოგი.

– რას ჰქვია „არ მაქვს“? მოვედი შენი დაია და ასე მისტუმრებ? უარით? მღუპავ, ბიჭო?

– სერიოზულად გეუბნები. ეგრეა. ციცი მყავს საოპერაციო და კიდევ ორი ათას სამასი ლარი მჭირდება და ვერ ვშოულობ. მიდი იმ ლამარასთან, გამოართვი შენთვისაც და ჩემთვისაც და ატვერია ვარ, დავუბრუნებ. ამაზე კარგი რა გითხრა?

– ლამარას საკუთარ ფულზე დიდი პროცენტი აქვს დადებული, თან მისი ვალი ისედაც მაქვს და შენთან გამომიშვა.

– მე რა, ლომბარდი მაქვს თუ ბანკი, გიხსინ – თუ შენი ახლობელია, მოგვცეს და არ ვხუმრობ, დავდები ატვერია.

– არ დაგაყენებს!

– რას ჰქვია, არ დამაყენებს. მეც მეშველება და შენც. მერე რაღაც იქნება და გადავიხდი.

– მე თბილისში სახლი აღარ მაქვს და შენს ბინას თუ ჩაუდებ, მაშინ ქე იზამს.

– გაგიუდი? ასიათა-სიანი ბინა კაპიკეპში ჩავდო?

– ასი ათასი არა, კვახი.

უცებ გამინათდა. რას ვწვალობ. ჩავდებ ბანკში ამ ბინას და ციციც გადარჩება.

– წავედი, ნინი.

– სად მიდიხარ? ფული?

– გითხარი, ვერ მოგცემ.


– კარგი, მაგრამ იმ

ქალს ველოდებიო? – და ჩამქრალი თვალები აენთო.

– იმ ქალს კი არა „ციცის“. წავალ და ბანკებს დავიცლი.

– ბანკები არ ჩაიდებენ, საყვარელო. მეორე და მესამე პირის თავდებობას და ცნობას შემოსავლების შესახებ მოგთხოვენ. შენ არც ერთის მშოვნელი არა ხარ. ამიტომ გირჩევ – გაუფორმე ლამარას იპოთეკა, მოგვცემს ფულს ორივეს და გვეშველება. არც თავდებობა დაგჭირდება და არც ცნობა. „იმ ქალსაც“ მიხედავ...

ციცი კახას ქალი იყო. ერთი ციცენა, მოცინარი გოგო. უყვარდა ის უბედური. ის კი აბორტებს აკეთებინებდა, ბავშვი არ გვინდა, ჯერ ახალგაზრდები ვართო. მერე ომში წავიდა და პირველივე შეტაკებაში მოკლეს. ციცი კვლავ ორსულად იყო, თავს იკლავდა, იოდი დალია და ბავშვი დაკარგა, თვითონ გადარჩა, მაგრამ ვაი მაგ გადარჩენას.



ვიღაც აზერი გააცნეს, იმან თურქეთში წაიყვანა სამსახურში მოსაწყობად და ვინმე ორუჯ ეფენდის ჩააბარა. სულ კაიფში ჰყავდათ, ფეხებზე ეკიდათ და იმ ბორდელში უპრეზერვატივოდ მარტო მაგას ამუშავებდნენ. ჯარჯიმ და მე მოვქებნეთ ის აზერი და ორუჯას მისამართი ვათქმევინეთ. აზერი ამბობდა, ჩემგან რა გინდათ, შუშავალი ვარ. ვიღაც ქართველმა ქალმა ბაზრობიდან მომიყვანაო. სტოპ, მასეა „გურჯი ლამარა ბაზრობის ხელზე ვალუტჩიკიო“.

– ნინი, ეგ ლამარა ადრე ბაზრობაზე იყო და ექსჩეინჯზე მუშაობდა ხელზე, არა?

– მაგი რას გიცვლის, ადრე სად მუშაობდა. წამოდი, საქმეს მივხედოთ.

ჯარჯიმ იმ აზერს წამალიც წაართვა, შვიდი ათასი დოლარიც აახია. თავისისავე ჯიპში ჩასვა და სადღაც ყარაიაზში მიახვრიტა. ზამთარი იყო. თუ დამარხემეთქი, რომ ვკითხე. ისეთი ყმუილი ისმოდა, მგლები ნახევარ საათში დახრავდენ ნაღდად, მე ძლიერ გამოვასწარიო. მაგრად იჯდა წამალზე. ჩავედით ართვინში. ვნახეთ ორუჯ ეფენდიც. უარზე იყო. ეგეთი არავინ მყავსო. მე პატარა სამკერვალოს პატრონი ვარ, საშარო საქმეს ხელს არ ვკიდებო. ჯარჯიმ თურქული კარგად იცოდა. იარაღი მე მომცა. კარებთან დადექი, თუ დაიყვირა და ვინმე მოვიდეს, ესროლეო. თვითონ კი შედგა ორუჯას. აირჩიე ან ხუთი ათასი ან პრესებიო. ორუჯამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. ოლონდ ათი მომეცით, ეგ გოგო ჩემთვის ზარალია, ალარც კლიენტებს უნდათ, თან სულ ავადმყოფობსო. ექვსი მივეცით. გამოგვაყოლა. სარფამდეც მოგვაცილა. ასლანას ქსივა გვქონდა და უსაბუთოდ შემოგვიშვეს. ციცი ჩამომხარი, შეშინებული იყო და გატანჯული თვალებით გვიყურებდა. გვიცნო, მაგრამ ისიც ვერ შევატყვეთ, გაუხარდა თუ არა იქიდან გამოხსნა. ბათუმის კვალობაზე, რაც შეგვეძლო, ექიმი და კვება არ მოვაკელით, მაგრამ შეიცვალა სიტუაცია.

ჯარჯისაც რაღაც საქმეები გაუხსენეს და აქეთ წამოვედით. არ მოისვენა, დობას უმატებდა და აგერ უკვე წელინადი ხდება, რაც ფსიქიატრიულშია. აზრზე მიდი-მოდის. დაღუპულია რა... დედა გარდამეცვალა და ციცი ჩემთან მოვიყვანე, ისედაც მისიანი არავინ არ იღებდა. მივეცი ჩემი საძინებელი, მე მისაღებში გადავბარგდი. თემქაზე სუპერმარკეტში დაიწყო გამყიდვლად მუშაობა. ერთ სალამოს მთხოვა – რაიმე წიგნი მათხოვე ბიბლიოთეკიდანო, ოლონდ სათავგადა-სავალო არ იყოს, ვერ ვიტანო. ავიღე და ხელში რაც პირველად მომხვდა „ჯაყოს ხიზნები“ იყო და გამოვუტანე. წაიკითხა და ორი დღე ტიროდა. ასე იმოქმედა-მეთქი, ვკითხე. რატომ მომეცი მაინცდამა-ინც ეგ წიგნიო? რა ვიცი, აბა, ჩემთვის საქართველოს, შიდა ქართლისა და თავადაზნაურობის ტკივილია და იმიტომ. ჩემთვისო კი, მიასუსა, მხოლოდ მარგოს ტკივილიაო, ეგ დანარჩენი კი კარგა ხანია აღარ მაინტერესებს და ეგ დეგენერატი თემურაზ ხევისთავიცო. მერე „მთვარის მოტაცებაც“ წაიკითხა და – თამარ შერვაშიძე მარგოზე სუსტი ქალიაო. მას მერე თითქმის ყოველ სალამოს ვსაუპრობდით ყველაფერზე, გარდა პოლიტიკისა და მისი წარსულისა. ერთხელ ყური მოჰკრა – ქალური პრობლემების რაღაც უფასო გამოკვლევებიაო, მივიდა და იქიდან ონკოლოგიურში გაუშვეს.

– თბერაცია გარდაუვალი და სასწრაფოა, თორემ დაკარგავთ. – ისეთი ტონით მითხრა ექიმმა, რომ მივხვდი, რაიმეს შეკითხვა უაზრობა იქნებოდა.

– ქალი ამ მდგომარეობამდე არ უნდა მიგეყვანათ. ასე მიშვებული დეპოს მუშის მეუღლის ჯანმრთელობაც არ გამიგია. რას ჰგავს ეს. თავად განათლებული პიროვნება ჩანხართ. ქვის ხანაში ცხოვრობთ?

– ბატონო პროფესორო, ქვის ხანაში აბორტი არ კეთდებოდა. ჩვენ ამ ბედნიერ ხანაში, ბედნიერ საქართველოში ვცხოვრობთ.

– ახალგაზრდავ, ხუმრობის და მატ-რაბაზობის დრო არაა. შეიძლება არ გიყვარდეთ მეუღლე, მაგრამ ქალს ასე თურქეთის ჰარემებშიც არ ეპყრობოდნენ.

– აბა, შენა გყავს, – ვიფიქრე, მაგრამ არ ვუპასუხე. არც ის განვუმარტე, პაციენტი ჩემი მეუღლე არაა-მეთქი.

– რა ჯდება?

– ორი ათას ცხრასი ლარი; გადაიხადეთ და მეორე დღესვე გავუკეთებ ოპერაციას. გაფრთხილებთ, დრო არ ითმებს და სამწუხაროდ, ქალბატონის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

– !!!!!!!!

– ბიჭო, გამოფხიზლდი, გელოდები. რა მოგივიდა?

– ეგ შენი დაქალი ლამარა, ესე იგი, დიდუბის ბაზრობაზე ხელზე ვალუტჩიკობდა, არა?

– ჩემი ძმა ხარ და იმიტომ გეუბნები, დეიდაჩემის სახლში ეგ ქალი რამ მოგაყვანინა?

– გითხარი, „ეგ“ ქალი ციცია და კი არ მოვიყვნე, აქ ცხოვრობს. შენ ლამარაზე რაც გყითხე, იმაზე გამეცი პასუხი.

– ლამარა რომ არ იყოს, რა გეშველებოდა, ნეტავი. ისე, დაინტე რა ამ ტაშფანდურა ბიჭბუჭებივით გერლფრენდი და რიუა ბაზარი. ქალია და გყავს.

– ქალია, მაგრამ არ „მყავს“. ლამარაზე გამეცი პასუხი. რას ჩალიჩობდა, გარდა ვალუტჩიკობისა იმ წლებში.

– „არ გყავს“ რას ჰქვია. ააა, გიჭირს? თუმცა რა ჩემი საქმეა. შენ არაფრის გადამწყვეტი არა ხარ. დროს ტყუილად ვკარგავ. მაძლევ თუ არა ლამარას ორას ორმოცდათ დოლარს?

– მიჭირს თუ არა, ჩემი საქმეა. ეგ დოლარები შენი ლამარასი კი არაა, დედაჩემის ძვირფასეულობის გირავნობის ფულია და მისამართი აქვს.

– ბიჭო, დაიჭერენ ლერის... – და დამიჩოქა.

– ნინი, ციცი მიკვდება.

– მომეცი ფული. ბიჭი მელუბება.

– ის კი კვდება.

– ქვეყნის ნათრევი და ნაბოზარი, ხომ, თან რომ ვერც ხმარობ, შე ქვეშაფსია. ლანირაკობიდან რომ მორალისტი იყავი, ნათელ-მირონი გატეხეოჭუას ისწავლებოდი, კოტიას გოიმადრომ თვლიდი. ჩემი კოტია მამაკაცია და იმის შეილიც კაცია, მერე რა, რომ ნარკომანია, შე მართლა ქვეშაფსია. ხოლო მე და ლამარა თავის დროზე ერთად ვჩალიჩობდით და ეგ შენ არ გეხება.

– მეხება რომელია, მაგრამ ერთხელ მაინც თუ ჰკითხე შენს კოტიას, რამ წამაქცია ჩეჩიმასთან??

ისევ „ბითლზი“ – “Yesterday”

– ბატონი გია ბრძანდებით? სასწრაფოდან გირეკავთ. ქალბატონია მძიმე მდგომარეობაში თემქაზე, მარკეტში და თქვენი მობილურის ნომერი მომცა დირექტორმა.

– არ გაბედო წასვლა, სანამ ფულს არ მომცემ, თორემ...

ნინიმ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ სადარბაზოდან გამოვგარდი და პირველივე შემხვედრ მანქანას გადაველობე.

– მიესაჯოს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ნარკოტიკების შენახვა-ტარებისათვის შემდეგ მოქალაქეებს...

აი, ეგრე მომისაჯეს იმ მანქანაში მსხდომ ნარკომანებთან ერთად. ვყვიროდი – მცემდნენ; ვიგინებოდი – მცემდნენ, ვიხვენებოდი – მცემდნენ.

ნინიმ, როგორც ერთგულმა მეურვე-ნათესავმა, მეორე დღესვე კოტია-ლერისთან ერთად დაიკავა ჩემი ბინა. ციცი, ციცი კი სადღაც თემქაზე ჩემთვის წინასწარი პატიმრობის მისჯის დღიდან სამი კვირის შემდეგ ნახეს სარდაფში გარდაცვლილი. ვიღაც ნაძირლებს გაეუბატიურებინათ და დაეგდოთ. ეგ რომ გავიგე, საკანში დავიმუქრე – ოდესმე ხომ მაინც გამოვალ-მეთქი. ახლა კი (როგორც ადვოკატმა მითხრა) ჯარჯის მოკლული აზერის საქმესაც მე მიმატებენ.



ირმა კეკელიძე

## შარადა, სიუარადა (ნამდვილი ამბავი)

...სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში, აფხაზეთშიც მზიანი დღე გათენდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდგარ ნახევრად ჩამონგრეულ შენობაში მწვანე-ხავისფერ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა გურამმა თვალი გაახილა. მზის სხივმა, რომელიც პატარა სარკმელში შემოსულიყო, ახლად გაღვიძებულს პირდაპირ თვალებში შეანათა. გურამმა ქუთუთოები ხელებით მოისრისა და მის გვერდით აქეთ-იქით მიგდებულ და მიძინებულ თანამებრძოლებს გადახედა.

„რა მჭირს, რა მემართება? სად ვარ? სიზმარია?“ – გაიფიქრა ახლად გაღვიძებულმა, მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ეს მისი სინამდვილე და რეალობა იყო. ცოტა ხანში გამოფეხილდა, ირგვლივ მიმოიხდა, აზრზე მოვიდა, ყველაფერი გაახსენდა... ღამე მიტოვებულ, ნახევრად ჩამონგრეულ, ყოფილ სასურსათო მაღაზიის შენობაში გაათენეს. გაუმართლათ – თავი ისეთ ადგილს შეაფარეს, სადაც დარჩენილი თევზის კონსერვები და ქვასავით მაგარი ორცხობილებით სავსე რამდენიმე ყუთი დახვდათ. დამშეულები ისე მაღიანად მიირთმევდნენ მოპოვებულ საკვებს, ტყვია-წამლის გა-

რეშე დარჩენილები ისე მიეყარნენ და მიიძინეს, არავინ და აღარაფერი ახსოვდათ... სხვებს ისევ ეძინათ... გურამი თანდათან ფხილდებოდა, ბოლოს აზრზე მოვიდა და საშინელი სევდა და უიმედობა შემოაწვა მის გულს... ფეხზე წამოდგა, თანამებრძოლებს გადახედა. მათ დანახვაზე კიდევ უფრო დაუმძიმდა გული. მთელი ბავშვობა და ყმაწვილობა ერთად ჰქონდათ გატარებული. საამური და ლალი, უდარდელი წარსული ჰქონდათ. უბნის ბიჭებმა ერთად მოინდომეს ებრძოლათ. ერთად ჩაიცვეს სამხედრო ტანსაცმელი და ერთად დაადგნენ ბრძოლის გზას... დასასვენებლადაც ხომ ერთად დადიოდნენ სოხუმში, ზღვაზე. ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე საომრად მოუწევდათ აქ ჩამოსვლა... ხუთი წლის წინ სოხუმში აფხაზ ბიჭებს, ზურაბს და ვიტალიკას დაუმეგობრდნენ. მერე თბილისშიც ეწვივნენ აფხაზი მეგობრები. მათი ურთიერთობა ხომ ისეთი ლალი და გულწრფელი იყო... „რა ხდება, რატომ ამოყირავდა ყველაფერი. რა ქარბორბალა დატრიალდა ჩვენს თავს... ან აქ რა მინდა?“ – ფიქრობდა ახლად გაღვიძებული მეომარი და უაზროდ მიშტერებოდა ნახევრად ჩამონგრეული, ყოფილი სასურსათო მაღაზიის ჭუჭყიან კედლებს.

ოცდაორი წლისამ უნივერსიტეტი დაამთავრა. შვებით ამოისუნთქა და უმცროს ძმასთან, მერაბთან ერთად ზღვაზე წასვლა გადაწყვიტა. სოხუმში ჩასულებს წვიმიანი ამინდები დაუხვდათ. „არ გაგვიმართლა, როგორია – ზღვაზე იყო და ვერ ბანაობდე“, – ბუზ-ლუნებდა მერაბი. გურამმა არ იცოდა, როგორ დაემშვიდებინა უმცროსი ძმა და მის გასართობად ხან რას მოიგონებდა და ხან რას. აგვისტოს თვე იწურებოდა, სოხუმის ცა კი, თითქოსდა ჯინაზე, სულ მოლუბული იყო. დილით ადრე გაღვიძებულმა მერაბმა ისევ ცას გახედა და ხელი უიმედოდ ჩაიქნა: „ისევ მოლრუბლულია, დღესაც იწვიმებს. გურამ, დროა აქედან ავიბარებოთ და თბილისში წავიდეთ“. გურამმა საწოლიდან თავი წამოყო, ძმას ორაზროვნად შეხედა. მერე ისევ ბალიშს ჩაეხურა და ძილის შებრუნება სცადა. მერაბი გაბრაზდა ძმის საქციელზე და მკაცრი ხმით მიმართა: „რა ზურგი შემაქციე, ვერ გაიგე, რაც გითხარი?“ გურამი სწრაფად გადმობრუნდა ძმისკენ და გაღიმებული სახით უთხრა: „არ იდარდო, ვისაუზმოთ და პოტანიკურ ბალში წავიდეთ“. მერაბმა გურამს უსიამოვნო სახით შეხედა და მკვახედ გასცა პასუხი: „ამ მოლრუბლულ და წვიმიან ამინდში ბოტანიკურ ბალში რა მინდა?.. მასულელებ?“ გურამი საწოლიდან წამოხტა, თავი სწრაფად მოიწესრიგა და კვლავ ძმას მიუბრუნდა: „ვიცი, რასაც გეუბნები. ბოტანიკური ბალის შესასვლელთან პატარა სპორტული დარბაზია. იქ მაგიდის ჩიგბურთი შეგვიძლია ვითამაშოთ. ვიცი, რომ ძალიან გიყვარს... ჰოდა, ვითამაშოთ... შემდეგ კიდევ რამეს მოვიფიქრებთ და ამასობაში შეიძლება გამოიდაროს კიდეც...“ მერაბმა ძმას წინააღმდეგობა ალარ გაუწია: „კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გინდა“, – ჩაიბურდლუნა.

წამუადლევს მაგიდის ჩიგბურთის თამაშით გადაღლილმა გურამმა ძმას

ბოდიში მოუხადა: „მერაბ, დავიღალე, მეტი ალარ შემიძლია“. მერაბმა ძმას უსიამოვნოდ შეხედა: „ვიცოდი, რომ დიდხანს თამაშს ვერ შეძლებდი და ასე შუა თამაშში მიმატოვებდი...“ იქვე ახლოს მდგომი ყმაწვილი, რომელიც ძმების თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა, ღიმილით მიუახლოვდა, ორივე ხელი გაშალა და ისე მიმართა მერაბს: „თუ გნებავთ, მე გეთამაშებით, მეც თქვენსავით მიყვარს მაგიდის ჩიგბურთი“. მერაბს სახე გაუნათდა, ალფროთოვანებულმა თითქმის ყვირილით, ხმამაღლა უპასუხა: „დიდი მადლობა, ძალიან კარგი, ვითამაშოთ!..“ თავდავინყებით თამაშობდნენ. მოსალამოვდა. ისინი კი თამაშის დამთავრებას არ აპირებდნენ. სპორტული დარბაზის კარები საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ახალგაზრდა მამაკაცმა შემოაღლ და მოთამაშებს მიუახლოვდა: „ვიტალიკ, მთელი დღეა გეძებ. შინ წამოდი, გვიანია!..“ ბიჭებმა თამაში შეწყიტეს. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს. უცებ გურამი გამოერკვა და უცნობებს მიმართა: „მთელი დღე ერთად გავატარეთ და ერთმანეთს არც კი გავცნობივართ“. მერაბმა ძმას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუუქნია: „მართალი ხარ... მე მერაბი მქვია, ეს კი ჩემი ძმაა, გურამი... თბილისიდან ვართ...“ ვიტალიკამ ძმებს გაულიმა: „მე ვიტალიკას მეძახიან, ეს ჩემი უფროსი ძმა ზურაბია. აქაური, სოხუმელი აფხაზები ვართ...“ თბილისელმა ძმებმა ერთმანეთს გადახედეს, გურამმა გაკვირვება ვერ დამალა: „ასე კარგად იცით ქართული? ვერც წარმოვიდგენდით თუ აფხაზები იყავით...“ ძმებს გაეცინათ: „ჰო, ბებია ქართველი გვყავს, სკოლაც ქართული დავამთავრეთ... ბიჭებო, აქვე ახლოს ვცხოვორობთ, წამოდით, გვესტუმრეთ, ერთად ვივახშმოთ!“ გურამს და მერაბს დიდხანს არ უფიქრიათ. ის საღამო ახლად გაცნობილი აფხაზი მეგობრების ოჯახში გაატარეს... დიდხანს საუბრობდნენ. როდესაც ძმებმა, ზურამმა და ვიტალიკამ ქართული მრავალუამიე-

რი წამოიწყეს, აფხაზთა ოჯახი, მამის, დედის და ქართველი ბებოს ჩათვლით, ფეხზე წამოდგა. ფეხზე წამოდგნენ ქართველი სტუმრებიც და ქართული მრავალუამიერის შემდეგ აფხაზური „ვარაიდა სი ვარაიდა... ჰოვრაიდა, სი ვარაიდა“... ისე დააგუგუნეს, რომ მათმა სიმღერამ მოღუშული ცა გააპო... მეორე დღეს მოღრუბლული ცა მზის სხივებმა გაარღვია და ცისფერ ფონზე ღრუბლები აქეთ-იქით მიმოფანტა...



ფეხზე წამომდგარი გურამი მძინარე ჯარისკაცებს მიშტერებოდა. მათ შორის თვალებით ღვიძლი ძმა, მერაბი მოძებნა, მიუახლოვდა, დაიხარა, თმაზე ხელი გადაუსვა. მას ისე ღრმად დასძინებოდა, ძმის ხელის შეხება ვერც კი იგრძნო, არც განძრეულა. „როგორ დალლილა. ყოველთვის ჩემზე ადრე იღვიძებდა, ახლა კი ჩემი ხელის შეხებაც ვერ იგრძნო“, – გაიფიქრა გურამამა. დაფიქრებული ისევ ძმას მიშტერებოდა, როდესაც ავტომატების ჯერმა არემარე გააყრუა. ავტომატების ხმას მუსიკის, შემდეგ სიმღერის, ცეკვისა და მხიარული შეძახილების ხმა მოჰყვა. გურამი სწრაფად გამოერკვა ფიქრებიდან. ჯარისკაცები ოდნავ შეიძმუშნენ და ისევ ძილი გააგრძელეს. გამოფხილებული გურამი უცექ მოვიდა აზრზე. ორივე ხელი თავზე მიიდო და გაიფიქრა: „გამარჯვებას ზეიმობენ!.. ესენი კი გაღვიძებას არ აპირებენ. თუმცა, რომც გაიღვიძონ, რა უნდა ქნან? რეალურად, უიარაღოები ალყაში ვართ. აქედან როგორ უნდა გავიდეთ. არც ტყვია-წამალი, არც საჭმელი, არც სასმელი, რაღა დაგვრჩნია?!“ იქვე ყურისძირში კი აფხაზთა მხიარული შეძახილების და ზარზეიმის ხმა ისმოდა...

გურამმა მოულოდნელად გადაწყვეტილება მიიღო: მიძინებულ ძმებს კიდევ ერთხელ გადახედა, წელში გაიმართა, თავზე ხელი გადაისვა, ხის ჭრიალა

კარი ფრთხილად გამოაღო და გარეთ გავიდა. ცას გახედა. მზემ პირდაპირ თვალებში შეანათა. არემარე შეათვალიერა. რაც თვალში მოხვდა, პალმების ლამაზი ხეივანი იყო. სახე გაუნათდა, ლიმილი მოერია. ზარ-ზეიმის ხმა და აფხაზთა მხიარული შეძახილები თანდათან ახლოვდებოდა. გაოგნებული იდგა. ნახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზის შენობას გახედა და გაიფიქრა: „როგორმე უნდა შევაჩერო ისინი, ჩემს ძმებს ვერ ჩავხოცინებ. დავარწმუნებ, რომ არ ღირს ჩვენს შორის ბრძოლა...“ დაფიქრებული, წელში გამართული მიაპიჯებდა პალმების ბაღში. ბაღის ბოლოს ბეტონის ფართო კიბეს მიუახლოვდა, რომელიც ქვემოთ დიდი მოედნისკენ ეშვებოდა, იქ, სადაც აფხაზები ზეიმობდნენ. ნელი ნაბიჯით კიბეზე დაეშვა. მიდიოდა ამაყი, თავდაჯერებული, წელში გამართული...

მოედნის შუაგულში მოცეკვავე აფხაზი უცებ შეჩერდა, მზერა კიბეზე ჩამომავალ ქართველ ჯარისკაცს მიაპყრო. მისმა მზერამ ირგვლივ მყოფნიც დააინტერესა, კველამ მის მზერას გააყოლა თვალი. მოცეკვავემ ახლომახლო მყოფნი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და წინ წამოვიდა. რამდენჯერმე შეჰყვირა, რომ კიბეზე ჩამომავალი შეჩერებულიყო... მის შეძახილს სხვებიც აჰყვნენ, მაგრამ ჯარისკაცს თითქოს არ ესმოდა მათი შეძახილები, თავის გზას აგრძელებდა, კიბის საფეხურებზე დამავალი აბიჯებდა და ქვემოთ, მათკენ მიემართებოდა. აფხაზთა ჯგუფს უკანა მხრიდან ხანში შესული, ბრგე, ჭაღარათმიანი, შუბლშეკრული, ხელში ავტომატმოღრებული მამაკაცი გამოეყო. წინ წამოვიდა, მოცეკვავე აფხაზი განზე გასწია, სხვებს მიუბრუნდა და უსიტყვოდ გასცა ბრძანება... კიბეზე ჩამომავალი ქართველისკენ ტყვიების წვიმა წამოვიდა. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი დატრიალდა. არ წყდებოდა ტყვიების წაკადი, რომელმაც ჰაერი ისე გააპო, რომ მისმა

ტალღამ სოხუმის ბეტონის დიდ კიბეზე ჩამომავალი ქართველი, უიარაღო ჯარისკაცის სხეული ჰაერში აიტაცა და წამით გააჩერა... შემდეგ კი ნელნელა ძირს დაეშვა და კიბის საფეხურებზე ხელებგაშლილი დაენარცხა. მის ხელებგაშლილ, უსულო სხეულს სახეზე ღიმიღილი შერჩენოდა და ღია თვალებით მიშტერებოდა ლურჯ ცაზე მოკაშვაშე მზეს... მზე კი თავის სხივებს უხვად აფრქვევდა უსულოდ დაგდებული ქართველი ჯარისკაცის წაბლისფერ თმას, ფართო მხარბეჭს, გახელილ თვალებს და მოლიმარ სახეს, სხივებს აფენდა მთელ არემარეს, ზღვას, მის ლამაზ სანაპიროს, ქუჩებს, მოედანს, სადაც აფხაზები შეკრებილიყვნენ და წახევრად ჩამონგრეულ სასურსათო მაღაზიის შენობას, რომელშიც უკვე გამოფხიზლებული ქართველი მეომრები ფეხზე წამომდგარიყვნენ და რაღაც უსიამოვნოსა და ავის მოლოდინში ერთმანეთს სახეგამეხებული მიშტერებოდნენ...

აფხაზები გარს შემოერტყყნენ ცხედარს. ხელით ეხებოდნენ. მიხვდნენ, რომ იარაღის გარეშე იყო და თავჩაქინდრულები იქვე მის გვერდით კიბის საფეხურებზე ჩამოსხდნენ. მხოლოდ ერთი, საშუალო სიმაღლის, ქერა, ცისფერთვალება ჯარისკაცი გახევებული იდგა და დასცექეროდა ქართველი ჯარისკაცის უსულო, სისხლში მოცურავე სხეულს... „მე ხომ მას ვიცნობ, ნამდვილად ვიცნობ, ნუთუ ეს ის ქართველია? კი, ნამდვილად ის არის!.. ეს გურამია თბილისიდან“. – ფიქრობდა აფხაზი მეომარი და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე... მისი ცრემლების მიზეზს სხვებიც მიხვედრილიყვნენ და უხმოდ გარინდული ისხდნენ. შემდეგ ყველამ თავიანთი იარაღი შეამოწმა და წახეს, რომ არც ერთი ტყვია აღარ დარჩენოდათ. მიხვდნენ, რომ მათმა ტყვიათა ჯერმა აიტაცა იმ ქართველი მეომრის სხეული ჰაერში, რომელიც ახლა მათ წინ ხელგაშლილი, უიარაღო, ღიად დარჩენილი თვალებით მზეს მიშტერებოდა...

„ნეტავ, მისი ძმა სად არის, ის მაინც თუაცოცხალი? იქნებ, ის მაინც არ იბრძოდა ამ საშინელ ომში... გუშინწინ ჩემი ერთადერთი ძმა, ვიტალიკა მივაბარე მინას. ახლა ჩემი ქართველი მეგობარი უნდა მივაბარო... რა საშინელი ბედისწერაა...“

– ფიქრობდა ზურაბი და თავს ვეღარ იკავებდა, მუშტებით ინმენდდა ცისფერი თვალებიდან ღაპალუბით წამოსულ ცრემლებს... მოცეკვავე აფხაზმა მხარზე ხელი დაადო და მიანიშნა ზურაბს, რომ დრო იყო, მიცვალებულისთვის მიეხედათ. არავის უკითხავს ზურაბისთვის, რა ატირებდა, ვის დასტიროდა ასე ცხარე ცრემლებით. ისედაც გასაგები იყო ყველაფერი...

ზურაბი, როგორც იქნა, თავს მოერია, დაიხარა, მიცვალებულის ხელში აყვანა სცადა. სხვებიც უსიტყვოდ წამოდგნენ, მიეშველნენ. ხელში აიყვანეს ქართველი მეომრის ცხედარი. კიბეს ზემოთ აუყვნენ, საიდანაც მოულოდნელად გამოჩნდა ქართველი ჯარისკაცი. გუმანით მიხვდნენ, რომ იქ, სადმე ახლომახლო მისი თანამებრძოლები იქნებოდნენ...

გაოგნებული და ნირნამხდარი მერაბი მიტოვებული მაღაზიის შენობის შიგნით წინ და უკან გადი-გამოდიოდა. თანამებრძოლებს უაზროდ აშტერდებოდა და თითქმის ყვირილით ეკითხებოდა: „სად არის ჩემი ძმა, სად წავიდა, სად დაიკარგა?..“ ამასობაში მეომრებს გარედან აფხაზთა ფეხის ხმა და ღაპარაკი შემოესმათ... გაირინდნენ... აღარ იცოდნენ, რა ექნათ... აფხაზი მეომრები შენობას მიუახლოვდნენ. ზურაბმა მათ თვალებით ანიშნა, რომ შეჩერებულიყვნენ. მიცვალებული იქვე მწვანედ მობიბინე ბალაზე დაასვენეს. თვითონ ჩამონგრეული შენობის მორყეულ კარებს მიუახლოვდა და ფრთხილად დააკაკუნა. შემდეგ ქართულად შესძახა: „გამოდით, თუ მანდა ხართ, აქ თქვენი მიცვალებულია. მიხედვა უნდა, დამალვას აზრი არა აქვს, გამოდით!..“

გაფითრებულმა ქართველმა მეომრებმა ერთმანეთს გადახედეს. უსიტყვოდ მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილოყო აფხაზთა ხელში ჩავარდნილი ქართველი მიცვალებული. მერაბს სახე გაუშეშდა, უაზრო, შეშინებული, დამფრთხალი თვალებით მიაჩერდა უიარაღო თანამებრძოლებს. „რა უნდა ვქნათ, ბიჭებო!“ – იკითხა ერთმა ჯარისკაცთაგანმა, რომელსაც მარჯვენა ხელზე მიყენებული ჭრილობა თეთრი მიტკლის ნაჭრით ჰქონდა შეხვეული, მარცხენა ხელში უტყვიანამლო, დაცლილი ავტომატი ეჭირა. „ვერაფერს ვერ ვიზამთ, ალბათ, ყველა გურამის ბედს გავიზიარებთ“, – ხმადაბლა გაეპასუხა იქვე მდგარი დაბალი ტანის შუბლშეკრული, მეომარი და თავი ჩაქინდრა...

მერაბმა ცრემლები მოიწმინდა, მეომრებს გახედა და ხმამაღლა კბილებში გამოსცრა: „საკმარისია მსხვერპლი, უნდა ვიმღეროთ და სიმღერით გავიდეთ აქედან“. დაბნეული მეომრები მერაბს წაესივნენ: „რა სიმღერა?.. ხომ არ გაგიჟდი?.. ვის რად უნდა ჩვენი სიმღერა?..“ მერაბი გაშეშებული, გამეხებული სახით იდგა. უცებ ყელი მოიღერა, თან სხვებსაც ანიშნა, ამყევითო და აფხაზური სიმღერა წამოიწყო: „უარადა, სიუარადა“... შენობის შიგნით მყოფნი ხმაშენყობილად აყვნენ... მათდა მოულოდნელად და გასაკვირად, გარეთ მყოფმა აფხაზმა მეომრებმა ერთხმად

აიტაცეს სიმღერა: „ჰოურადა, სიუარადა“... შენობის შიგნით და გარეთ მყოფნი, ქართველი და აფხაზი ჯარისკაცები ხმაშენყობილად მღეროდნენ. მათი სიმღერის ექო ცას სწვდებოდა. ქართველებმა სიმღერით გამოაღეს ხის კარი, რიგრიგობით გამოდიოდნენ დანგრეული შენობიდან. აფხაზმა ჯარისკაცებმა დერეფანი გააკეთეს და გზა დაუთმეს ქართველ მეომრებს. შემდეგ ქართველი ჯარისკაცის ცხედარი ხელში აყვანილი იქვე მახლობლად მდგარ სატვირთო ავტომანქანამდე მიიტანეს, ზედ დასვენეს და ქართველ მეომრებსაც მიანიშნეს, რომ დამსხდარიყვნენ ავტომანქანაზე და რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ მათი სიცოცხლისათვის საშიში ადგილსამყოფელი... მერაბი თავად იჯდა სატვირთო ავტომანქანის საჭესთან – ძმის ცხედართან ერთად მისი ცოცხალი თანამებრძოლები სამშვიდობოს გაჰყავდა...

სექტემბრის ბოლო დღეები იყო. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, მის ულამაზეს მხარეში აფხაზეთშიც დარი იდგა. მოკრიალებულ ცაზე მოკაშვაშე მზე უხვად აფრქვევდა ოქროსფერ სხივებს ძირძველი ქართული კუთხის ულამაზეს ბუნებას, ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებს და დაობლებული, დადუმებული, მიტოვებული სანაპიროს გაღვიძებას ამაოდ ცდილობდა...



## ლალი გულისაშვილი

### შაშვი სტვენს

შაშვი სტვენს და შაშვი გალობს,  
განა ერთი, ორი, ათი,  
მე კი უკვე დავიღალე,  
აღარა მაქვს არაქათი...  
მენატრება ის გალობა,  
მენატრება სტვენა შაშვის,  
მაღლით ზეცა გადმოგვყურებს, –  
თვალებგახელილი ბავშვი...

•

მარიამის მტრედებს  
სულს უბერავს ქარი,  
სილურჯეში კრთება  
სასუფევლის კარი...  
და იდუმალ ხმათა  
გამორჩევით გართულს,  
შენდა შემახსენებ  
„მწუხარებას ქართულს“...

•

ისეთი გაზაფხულია,  
გული გამითბა ობლისა,  
მშვიდად სტვენს სევდის ბულბული,  
გმობა აღარც ღირს სოფლისა...  
ისეთი გაზაფხულია,  
„ქვეყნად ამოსვლა მწვანისა“,  
ბრალია ბედზე ჩივილი,  
გულში დაცემა დანისა...

●  
საყვარელივით მოვიდა წვიმა,  
უცხო მგზავრივით ჩამოდგა ბინდი,  
ხევში ჩაკიდულ ბილიკის ბოლოს  
ტყის ალქაჯივით ყვაოდა შინდი...

იდგა სიჩუმე. მხოლოდ ხანდახან  
შეირხეოდა ტოტები ფიჭვის,  
რამ გამახსენა, ნეტავ, ზღაპარი,  
ტყეში დაკარგულ ობოლი ბიჭის?..

### ვირზა ძალო

კადრივით მახსოვს:  
მარტის ბოლო ან  
აპრილის დასაწყისი იყო,  
ბრონეულის კვირტები,  
ანუ ეკლები,  
რომ დაიბნიე გულზე ბროშივით,  
ფირუზა ძალო...

### მაიაკოვსკი \_ ლილი ბრიჟი

რა საოცარი სახელია ლილი!  
თითქოს სისხლისგან დაიცალა  
ფესვებიანად ამოგლეჯილი ოთახის ბალბა...  
ლილი, დღეს ქარი გადაიჩეხა უფსკრულში  
და დაიტირეს მხოლოდ გვიმრებმა...  
ჩემს საფლავზე დარგული კვიპაროსია  
შენი სახელი, ლილი,  
რომელიც ბნელში ეკლესია ჰეგონია დედას...  
საფეთქელზე მიდებული რევოლუცია,  
ლილი, შენი სახელი  
და ყველა ტყვია რძეში ჩაყრილი პურივით თბილია...  
აქაურ პეიზაჟს – თეთრი თოვლი და შავი ყვავები –  
არ უხდება შენი სახელი,  
ნილოსის პირას უნდა ცხოვრობდე  
და ტალღები ქვიშაზე წერდნენ  
თეთრი ჩიტივით შემკრთალ შენს სახელს,  
ლილი...

●  
დილაადრიან ვერის ბალში როცა გავდივართ,  
ერთმანეთს ძალლის სახელებით ვცნობთ...  
მე „ლეკი“ მყავს, ლაბრადორი.

თამუნას და ნინოს – მაქსი,  
სერგოს ძალლებს კი ზიტა და გიტა ჰქვიათ,  
ინდური ფილმივით...  
სპარტაკის ძალლს – პერი (პერი კომო),  
ირაკლისას – ბუჩი,  
ნინიშას ძალლს – მომო  
და ნუნუკას ძალლს – ბონო,  
დათოს ძალლებს კი ბაბილინა და თუთა...  
ნინას ძალლს – დორა (სიმივნით გარდაიცვალა),  
თენგოს ძალლს – ლილუ,  
მალხაზის ძალლს – ფრენკი (ფრენკ სინატრა),  
ნატას ძალლებს – ალბა (ბერნანდა)  
და ტოტორი,  
დიმიტრისას – ჯადო...  
გიასას – ბიბი,  
ლექსოს ძალლს – ბიბო,  
ედიშერის ძალლს – დუდუ,  
ირაკლისას – აიკო,  
ზაზასას – ბო (ბურთს მტაცებს ხოლმე),  
ქეთისას – ბობო  
და ასე შემდეგ...  
დილაადრიან ვერის ბალში როცა გავდივართ,  
ერთმანეთს ძალლის სახელებით ვცნობთ...

## იორო

საგარეჯოში როცა მივდივართ,  
სართიჭალასთან ერთი ხიდია  
და იმ ხიდის ქვეშ მიდის მდინარე...  
– იორო, იორო,  
გამარჯობა, იორო,  
ჩემო ძალიან საყვარელო...  
ვესალმები...  
საგარეჯოდან როცა მოვდივართ,  
სართიჭალასთან ერთი ხიდია  
და იმ ხიდის ქვეშ მოდის მდინარე...  
– იორო, იორო,  
ნახვამდის, იორო,  
ჩემო ძალიან საყვარელო...  
ვემშვიდობები...  
.....  
და ასე, ყოველ წასვლა-წამოსვლაზე,  
თბილისიდან გიორგიწმინდამდე  
და გიორგიწმინდიდან თბილისამდე...



ვანო ჩხილვაძე

### მოთხოვბის წიგნიდან „ქიზიყური ბელკანტო“

#### 1. წათლილი ზანერები

საგულდაგულოდ ჩაუჯდებოდა, მუხ-  
ლებზე გაზის ან მიტკლის ნაჭერს გა-  
დაიფენდა, მეორე, დაბალ სკამზე მთელ  
ბლუჯა ფანქრებს დაალაგებდა – ფანქარი  
სანერად წვეტიანი და მაგარი უნდა ყო-  
ფილიყო, სახატავად – რბილი, ხელს რომ  
მიჰყოლოდა, მინიატურული ჩანახატებით  
დაემშვენებინა თავისი ხელნაწერები.

ფანქრის თლას ვაზის შესაყელი  
პირბასრი დანით შეუდგებოდა.

თლიდა... თლიდა... ფაქიზად, სიფ-  
რთხილით, რუდუნებით... ფანქარს ქვე-  
მოდან საჩვენებელ თითს დაუყოლებდა,  
დანისპირსაც თანდათან წაუცერავებ-  
და, ზედმეტი ძალა რომ არ დაეყენები-  
ნა და წვერი არ წაეტეხა.

წაუთლიდა ჯერ ერთს, მერე მეო-  
რეს... მოკლედ, რამდენიც ჰქონდა შე-  
ძენილი, ისე ლამაზად, რომ მარტო იმა-  
თი ნახვა ღირდა – რომელი სახარატო  
დაზგა მოახერხებდა ფანქრებისთვის  
ეგრე თანაბრად ძაბრივით თავის წაწ-  
ვრილებას.

საქმეს რომ მოათავებდა, ნაწილს  
სანერი მაგიდის უჯრაში შეინახავდა,  
რამდენიმეს კი ხალათის გულის ჯიბე-  
ში ჩაიწყობდა ჰილზებივით თუ ჩოხის  
მასრებივით.

ფანქრებს, დედაქალაქში, უფრო

ხშირად ოპერის გადმოღმა, წიგნების  
მაღაზია „ჩირალდნის“ საკანცელარიო  
განყოფილებაში ყიდულობდა ხოლ-  
მე. აქ არჩევანი მეტი იყო, თანაც ერ-  
თი ცხვირდაჭორფლილი, წითურთმიანი  
გოგო მუშაობდა, რაღაცნაირი, თან შე-  
უხედავი, თან სანდომიანი, ყველასგან  
განსხვავებული. იმისკენაც მიუხაროდა.

შეიძლება რომელიმე გმირს ამგვა-  
ნებდა ანდა აპირებდა, რამე დაეწერა  
ამ გულჩათხრობილ არსებაზე, მწერ-  
ლის დანახვაზე კეთილი ლიმილი ლო-  
ყებს რომ ჩაუჩვრეტდა ხოლმე.

გოგომ უკვე იცოდა, რომელი ფაბ-  
რიკის რომელი ფანქარი უნდა შეეთავა-  
ზებინა, თვითონ ურჩევდა და ამ პრო-  
ცესში ზოგჯერ ისე ამოხედავდა, თით-  
ქოს ღრმა ჭის წყლის კამკამა ზედაპირს  
სხივი დაეცა და სინათლე აირეცლაო –  
თქვენი ახალი მოთხრობა წავიკითხე  
„მნათობში“, მორცხვად ჩაილაპარაკებ-  
და და ესეც უხერხულად აიწურებოდა.

მერე? – ძლივს ამოლერლავდა ხმა-  
ათრთოლებული.

როგორც ყოველთვისაო.

ე.ი. მომენტონაო.

განსაკუთრებით აი ისაო, ისიცაო...  
ჩამოჰყვებოდა და...

ახლა ის მითხარი, რა არ მოგეწო-

ნაო, მწერალს ესეც უნდა აინტერესებ-დესო.

ეგეთებს თქვენთან რა უნდაო, შეიკ-რავდა წარპს, გული მარტო იმაზე მწყდე-ბა, ამბები მალე რომ მთავრდებაო...

— ისე, მინდა იცოდეთ, ამ ფანქებს ლოცვას გამოვაყოლებ ხოლმე, სულ დიდხანს და ასე ლამაზად რომ წეროთ.

— კალიგრაფია მართლაც არა მაქს ცუდი, — ჩაელიმებოდა მწერალს.

— არა, მე შინაარსს ვგულისხმობ! — თავს გადააქცევდა გოგო.

გამოვიდოდა მაღაზიიდან გახალისე-ბული, გულში სითბოჩაღვრილი.

მწერალს ბედნიერებისთვის სულ ცოტა ჰყოფნის და ხშირად ეს ცოტაც როგორ ენანებათო, გაიფიქრებდა და ნელი ნაბიჯით დაუყვებოდა ხალხით აზიმზიმებულ პროსპექტს.

გააჩნია წელიწადის დროს — ქუჩაზე ან მზე იღვენთებოდა, ან წვიმდა, ფო-თოლცვენა შარიშურობდა ანდა ფიფ-ქავდა, მშვიდად, ხვავრიელად. მოდი-ოდნენ ადამიანები სხვადასხვა საფიქ-რალით, საზრუნავით, ქვაფენილიან აღმართზე ჩამორბოდნენ ზარის ხმაზე სკოლიდან გამოშლილი ბავშვები, უივ-უივებდნენ ბელურებით დახუნძლული ჭადრების ტოტები და ამ ყველაფერს იტევდა ერთი ადამიანის გული, რო-მელსაც ამდენ ხალხში, აქა-იქა, კე-ლაპტრებივით გამომკრთალი მწერლის თაყვანისმცემლები ან იღლიაში საქა-ღალდეამოჩრილი კოლეგები თუ შეამ-ჩნევდნენ, ხელს აუნევდნენ, მოიკით-ხავდნენ.

ცოტა ხანში პერონზე სცემდა ბოლ-თას.

ნავთლულის სადგურიდან დაძრული ნელი, ზოზინა მატარებელი ზუსტად ზარმაცი კაცის ბუნებისა იყო, თუმ-ცა მწერალს სულაც არ სწყინდა ის დინჯი ჩანჩალი — მიჯდებოდა თავის-თვის ფანჯარასთან, სკამის კუთხეში და თვალყურს ადევნებდა ჩამსვლელ-ამომსვლელს, უსმენდა სკამებზე ჩარი-

გებულ მოსაუბრებებს, ნაქარი ხილივით კრეფდა ახალ-ახალ ამბებს, დიალო-გებს, იშვიათ, უცხო სიტყვებს. მისი ყურადღებიანი თვალი იმახსოვრებდა ყველაფერს, რაც სამომავლოდ სამაგი-დო რვეულების „საშენ მასალად“ გამო-ადგებოდა.

იქნებ, ასეთი რამეც მოესმინა:

— აგე, ბიჭო, ჩოკინა გამოჩნდა. ნამ-დვილი კახეთი დაიწყო, საზღვარზე გადმოვედით.

— მესაზღვრესავით კი დამდგარა, ცალი ყურიც ეგრე აქვს აცქვეტილი, თითქოს „ჩესტი“ აგვილო.

— კიდევ კარგი, საბუთები არ შეგვი-მოწმა და ჩანთები არ გინახა, თორემ კონტრაბანდას ხომ ჩამოგართმევდა.

— აბა, აბა, ძაან გადავრჩით! — გაი-ცინებდნენ, გაილალებდნენ, ახორხოც-დებოდნენ.

მატარებელი ფეხსამოკრულივით წა-იფორხილებდა, მიაწყდებოდა ვაგონები ერთმანეთს — ვიღაც მუტრუკი „ავტო-მუხრუჭს“ ჩამოჰკრავდა, თავის სახ-ლთან დაახრჭიალებდა ბუფერებს, ჯერ ბაზრიდან წამოღებულ ცარიელ ვედ-როებს ჩაყრიდა, მერე თვითონაც ჩაჰ-ყვებოდა.

უკამაყოფილო მგზავრები დაადევ-ნებდნენ გინების კორიანტელს, მაგრამ საზღვარს აქეთ, საკახეთოში იყვნენ და გინებითა და მუქარით ვიღას გააკვირ-ვებდნენ.

შინ მისული ცოტას შეისვენებდა, გა-მოიცვლიდა ტანსაცმელს, მოირგებდა სატალახო, მაღალყელიან მძიმე ბათინ-კებს, მერე აბგას ამოალაგებდა, ჩატო-ვებდა ერთ წიგნაკს, ფანქრებს, ჩაალა-გებდა შოთი პურის ნატეხს, რამდენიმე თავ მწვანე ხახვს და ნივრის ორიოდე კბილს... აბგას ისევ მხარილლივ გადა-იკიდებდა და ტყისკენ მიმავალ საურმე გზას დაადგებოდა.

გზა რომ მორჩებოდა, ჩირგვიან ალ-მართზე ალაგ-ალაგ ჩახრამულ ბილი-კებს მიუყვებოდა...

მიდიოდა, მიდიოდა მანქანების, მატარებლების, ადამიანთა და სოფლის ნახირის ხმაურს გამორიდებული. თანდათან მშვიდდებოდა, წყნარდებოდა მიდამოც, ჯაგნარებს, შინდიანსა და მაყვლიანებს მაღალი ხეები ენაცვლებოდა, ყოვლისმომცველ დუმილში მხოლოდ ღობემძვრალა ჩიტი თუ დაიწრიპინებდა საღმე, ფეხდადგმული კენჭი თუ გაიხრჭიალებდა ან ხმელი წკირი დაიტკაცუნებდა, ფეხქვეშ ხმაურით დაიფშვნებოდა.

მერე თანდათან მომრავლდებოდნენ ფრინველები, ახმაურდებოდნენ, თითქოს მის გამორჩებას მოელოდნენ, აედევნებოდნენ, ბურქიდან ბურქზე, ტოტიდან ტოტზე ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებოდნენ ჯაფარები, სკვინჩები, ბელურები, ნარჩიტები, ბოლოქანქარები, კვირიონები, ფუღუროებიდან უთვალთვალებოდნენ ბრძენი ბუები, თუმცა ხმა ესმოდათ მხოლოდ, დღის სინათლეზე რას დაინახავდნენ თავიანთი თვალების პატრონები. კენწეროებს მაღლა ფრანებივით ირეოდნენ ფრთაგაშლილი ბორები... გნიასებდნენ ფრთოსნები, ჭიკჭიკებდნენ, ჭყიოდნენ, ჭყლოპინებდნენ, ჩხაოდნენ, ყრანტალებდნენ და ესეც ლიმილმორეული უსმენდა, უსმენდა... ყველა მათგანი ხომ, კარგა ხანია, მისი მოთხოვნების ფურცლებზე იყო ჩაბუდებული და ეგონა, ახლა ვიღაცამ ხელი აუქშია, წამოაფრინა.

ხეებშორის დაცემულ, საჭიდაოსავით მომრგვალებულ პატარა ველზე შეისვენებდა, გახედავდა თვალსაწირზე, რუხ კლდებშორის დაკლაკნილი ბილიკის ბოლოში, ცაში გამოკიდულ ეკლესიას, მოხსდიდა მზისგან მოსაჩრდილებელ, ფართოფარფლებიან ქუდა და პირჯვარს გადაისახავდა.

რას და ვის შეავედრებდა უფალს, ხომ გასაგებია და ცხადზე უცხადესი.

ისევ გაუყვებოდა ორხიდიანი მანქანებით ნაბუღრავებ თიხნარს, წახრილი მუხები, რცხილები, ნეკერჩხლები

ჩრდილებს და შეგრილებულ ჰაერს შეაგებებდნენ.

როცა იქნებოდა, მიაღწევდა ნაცნობ, ბებერ ძელქვამდე, ლაფაროსავით წამოხურული ტოტებით იქვე, საგუბარში ნეშოჩაფენილ წყაროს ზემოდან რომ გადაჰვარებოდა.

საგუბარში სულ ორიოდე მუჭა წყალი გროვდებოდა, ერთი კაცი თუ გაისველებდა პირს და მერე უნდა დალოდებოდა, ხელახლა როდის შეივსებოდა.

შედგებოდა, აქ უნდა „დაეცა ბანაკი“, მოათვალიერებდა იქაურობას, ჯერ ძელქვას მოიკითხავდა, მჭახე ბოლისფერ ჯაჭვის პერანგივით მერქანზე ხელისულს დაუსვამდა. მერე მლოცველივით დაუჩრიქებდა ფოთლიდან ფოთოლზე დაცურებულ წყაროს ბრჭყვიალა წვეთებით გაპიპინებულ ხელისგულისოდენა საგუბარს, დაგოლვილ ყელს გაიგრილებდა და მუხის ძირში ჩამომჯდარი თვალმოსუჭული გაირინდებოდა.

აქ ყველაფერი ახლობელი და ნაცნობი იყო. მინაზე დაყრდნობილი ხელისგულებით გრძნობდა გამხმარ, გამოფშუტულ, შარშანდელ და მის წინანდელ ფოთლის ხაოს, გარეულ ღორებს გადარჩენილ გამხმარ რკოებს და მათ პანაწკინტელა, ფიალებივით მოხდილ ქუდებს, თითებზე გრძნობდა მოფუსფუსე ჭიანჭველების, ხოჭოების ნამცეცა საცეცებს... ყველა უყვარდა, დაფარუნებაზე სმენაძეცეული მაჩვებიც და სოროებში განაბული ვარდისფერცხვირა სინდიოფალებიც, აქა-იქა მიწოლილი ბებერი კუნძები და ახალტანაყრილი რცხილისა და მუხის კორომები – ცულიანი კაცის ჩავლისას შიში რომ შეათროთლებდათ ხოლმე...

თვალს იტაცებდა გარეშემო წითლად დალუებული ასკილი და მწიფობაში შესასვლელად გამზადებული შინდი, გზადაგზა სერპანტინივით მოფენილი შავი და წითელი კუნელი... ახლა ველური ზღმარტლი, სანადიროდან დაპრუნებულ პაპა-ბიძებს ჯიბეებით რომ

მოპქონდათ ბავშვებთან, ბუერას ამოფარებულ, გადაბერებულ ნიყვებს თუ დაფუტუროებულ ხის გადანაჭრებზე ჩაყვითლებულ სოკოებს ხომ ნუღარიტყვით.

შუქნიშანივით შემონათებული, დაკუნწულებული ძახველი მთლად ტყის მშვენება იყო...

ყველაფერს იტევდა მწერლის მგრძნობიარე გული, ყველას საფიქრალში იხედებოდა... მოკლედ, აქაც თითქმის იგივე ხდებოდა, რაც ადამიანთა ყოფაში: აქაურობაც ცოცხლობდა, კუთავდა, იბრძოდა არსებობა-გადარჩენისთვის, მაგრამ სოფელ-ქალაქისგან განსხვავებით მინა და ტყე აქ უფრო ბუნებრივი, ლმობიერი, ნამდვილი მფარველი და ალალი იყო თავის ნაშიერთა მიმართ – შობდა, ზრდიდა, აპურებდა, უფრთხილდებოდა, იფარავდა ავი თვალისაგან...

ხილული თუ უხილავი ფერადი ფანქები აქ უნდა დახარჯულიყვნენ ჯადოქარი ბუნების სამსახურში, ჩამოლეულიყვნენ სანთლებივით თითებში და მერე ეს სასწაული წერის ნიჭით მომადლებულ ადამიანს ისე გადაეტანა ფურცელზე, რომ წითურთმიან გოგოს წიგნიდან ეგრძნო ტყის ხილივით ჯიბებით მირთმეული სიტყვების სურნელი...

მწერალი იმთავითვე კეთილი, მზრუნველი „პაპა“, ყველას ამყოფინებდა „სამაგიდო რვეულებიდან“ კიმპალკიმპალ ამოკრეფილი სიკეთის მარცვლებს...

უყვარდა ადამიანი, სიძულვილით კალამს არ დაამძიმებდა.

ნამდვილ მკითხველს ახსოვს მისი „მთერალი ხეკსური“.

არამ სისხლ მიაქვსო! – ზოგი ახლაც შეჰვრინოს ჭანჭყობში გაშოტილმა, მძინარე, ქინქლადახვეულმა ხევსურმა, ჩინელი ან ინდოელი ინვესტორი რომ წამოაგდებს, აქაურობა ჩემიაო და ხმანაწვრილებული ფეხებს დაუბაკუნებს...

ეჰ, „არამ“ კი არა, სუფთა, კამკამა,

საჯიშე სისხლი მიაქვთ... მიაქვთ... და ქარი ამაოდ აუღარუნებს ბეთლემის კარზე დაკიდულ ოჟა ჯურხას ფარ-ხმალს...

პირველად უნივერსიტეტში ვნახე.

ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრებითა და ლიტერატურის მოყვარულებით სავსე აუდიტორიაში მუხრან მაჭვარიანთან და მერაბ ელიოზიშვილთან ერთად მოვიდა.

ერთმა ლექსები წაიკითხა, მათ შორის ისიც, „ნაკუნწ-ნაკუნ კი არა,“ და ლამის დაინგრა აუდიტორია.

მეორემ ბრძანა, „ბებერი მეზურნე-ები“ ეგეთები იყვნენ და ეგრე გადავიტანე ფურცელზე. რო არ გადამეტანა, დაიკარგებოდნენ, დაჰკარგავდა მკითხველიო და რათა, ადამიანებო, რათ უნდა დაკარგულიყვნენ თბილები, ტკბილები, თავიანთი მოფუსფუსე ცოლებითა, გორის ციხის ძველ უბანშიო... ახლაც დავცხეთ ტაში.

გამობრძანდა ესეც, გაიხსენა თავისი სტუდენტობის წლები. ნიკო კეცხოველს ემადლიერებოდა, ის რომ არა, შეიძლება უნივერსიტეტი არც დამემთავრებინა და ეგებ, არც კალამი ამეღოო... ალბათ, თავმდაბლობით თქვა, თორემ, როგორ წარმოვიდგენთ კალამი რომ არ აეღო (უფრო სწორად, ფანქარი)?

მთავარი, რაც დამახსომდა:

მიყვარს რუსული პროზაო, ჩამოთვალა მისთვის ფასეული მწერლები და მგონი იური ნაგიბინზე თუ ვიქტორ ასტაფიივზე ბრძანა, დიდ პატივს ვცემო, მაგრამ ერთი პასაჟის შემდეგ გული გამიცივდაო, როცა თავის მოთხოვნაში ბავშვის თხელი, სიფრიფანა ყურები „პელმენს“ შეადარაო... მწერალს დიდი სიფრითხილე მართებს, კალამი რომ არ გაექცეს, ბავშვის ყურები პელმენად არ მოეჩვენოს და, მით უმეტეს, ეს მკრეხლობა წიგნში არ შეიტანოსო.

თან მხრებანურული ბოდიშობდა, რავენაო, მე ეგეთი ვარ, მე ეგრე ვფიქრობ და სხვამ თავისი საქმისა თვითონ იცოდესო.

სწორედ ეგეთი გვიყვარდა.

მახსოვს, მოგვიანებით მწერალთა კავშირში, განხილვაზე, ერთ ახალგაზრდა მწერალს შეუქო მოთხოვბები, მაგრამ ბოლოს ესეც უთხრა, ცოტა მომეჩვენა, რომ შენს გმირებს ზოგჯერ მომეტებული სისასტიკით ექცევი და თუ ჩემს რჩევას მიიღებ...

ალმური მოედო იმ ახალგაზრდა მწერალს, გაუნანყენდა, სახეზეც დაეტყო და ლამის უკადრებელიც შეჰქადრა.

გაშალა გაოცებულმა და გულნატკენმა ხელები, შვილო და ძმაო, მეეო, ალალათაო, დანარჩენი როგორც გენებოსო...

დიდ, გაბუტულ ბელურას ჰგავდა, სიმართლეს რომ არ უჯერებენ...

გავიდა ხანი.

ამღვრეულმა დრომ დაუნდობლობის, სიძულვილის, დაპირისპირების ლორდი და შლამი მოიყოლა.

მოხდა ის, რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა მწერალი – გაიხლიჩა ერი და ქვეყანა.

მოიწყინეს წაუთლელმა ფანქრებმა.

დღეს ალარც ისეთი რუსთაველია, მაშინ რომ იყო, ალარც „ჩირალდანი“ – რაღაც მოდურმა ოფისებმა დაიპყრეს ჩვენი სათაყვანო და თავმოსაწონებელი პროსპექტი, წიგნს ფულმა აჯობა. ფულის წამლებავმა ყვითელ-მწვანე ნიაღვარმა გაიტაცა, იმსვერპლა ის ლიტერატურის მოყვარული წითელთმიანი გოგოც. ალბათ, უსამსახუროდ დარჩენილი „ახალმა ტალღამზ“ ამოაგდო თევზივით წაპირზე, მწერლის ერთი გმირივით, სადღაც „დაჰლიმის ტროტუარის პირას ამობზინულ ბალახებს, მაგრამ იმწამსვე თითქოს რაღაც სამწუხარო ამბავი გაახსენდება და ადრინდებულად მოენაცრება სახე“.

და ალარც მწერალია.

წამდვილი შემოქმედი ხომ სულ ბრძოლაშია და ადრე თუ გვიან ამ ბრძოლაში იღუპება, როგორც მეკავშირე, წინა ხაზზე სანგრების თავზე რომ

გადარბის და დაწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენას ცდილობს.

მწერალიც დაეცა – ასე მგონია, უფალმა არ გაიმეტა ოთხმოცდათერთმეტის დეკემბრის ძმათამკვლელი ომით გულშეძრული, გაუკულმართების გზაზე დამდგარი ქვეყნის საცქერლად, სატანჯველად და თავისთან წაიყვანა.

## 2. მოგილური

არც ფოსტა მჭირდება, არც ტელეფონისტ ქალთან ყელის გამოწევა, ვზივარ მანქანის უკანა სავარძელზე და სადღაც, დაკარგულში გელაპარაკები.

ნეტავი, როგორ ვიყავით, უმობილუროდ როგორ ვცხოვრობდით, არ გვქონდა და არც კეთდებოდა საქმეები თუ რანაირად იყო-მეთქი.

როგორ არ გვქონდა, დიდი და სერიოზული საქმეებიც კეთდებოდა, მაგრამ დღევანდელთან შედარებით, აბა, წარმოიდგინე, რამდენი დრო, ენერგია, თუ გნებავს, ხარჯი გვჭირდებოდაო. აი, ახლა ყვარელში ვარ. ტარიბანაში სასწრაფო საქმე მქონდა, დავრეკე ჩვენი საერთო მეგობრის შვილთან – გიგი იქ მუშაობს, ერთ-ერთ კომპანიაში. უცებ, წამებში მოვაგვარე ჩემი პრობლემა, გასარკვევი გავარკვიე და მოვისვენე. დაგზოგე დრო, ენერგია, ნერვები... რომ წავსულიყვავი, მარტო ბენზინი, ერთი ოცდაათი ლიტრი მაინც დამჭირდებოდა.

ეეჳ, ჩემო ძმაო, ნამეტანი მორგებისარ ახალ დროებას... ტექნიკური პროგრესის წყალობით მაგეებს კი ვზოგავთ, – დროსაც, ენერგიასაც, ბენზინსაც, მაგრამ მოყვრობა-მოკეთეობის მადლს ხომ არ ვკარგავთ, იმ სიყვარულს ხომ არ ვანელებთ, ადრე რომ გვქონდა, ამაზე თუ გიფიქრია-მეთქი.

დროის გაუტანლობაზე ჩვენს ერადეც და უფრო იქითაც, კაცობრიობის მეხსიერების თვალი რომ ვერ მისწვდება, ჩიოდნენ ასაკმორეული თაობები.

ჩემი არ იყოს, ალბათ, მიღწევას, ხელ-საფქვავის გამოგონებასაც ამრეზით შეჰყურებდნენ შეჩვეულები იფქლის, მარცვლეულის ქვის სანაყში დაჩეჩქვას, ოფლისლვრას და წვალებას. ვფიქრობ, არც ურემი და წისქვილი იქნებოდა იო-ლად შესაგუებელი, მაგრამ ცხოვრება, ეპოქების მდინარება დაღმართზე კი არა, აღმართზე ადის და, გვინდა თუ არა, ჩვენც მიგვატივტივებს... მიდის, მიდის, ადამიანი ხავს ს მაინც ებლაუ-ჭება – თავიდანვე წაგებულ ბრძოლას, განუხორციელებელ იდეას – აჟყავს კი-ბე ზეცაში და არ იცის, მერამდენე სა-ფეხური ჩაუტყდება, როდის შეუდგამს დაგორებულ ლოდს დალლილ მხრებს სიზიფე...

მე ის მიყვარს, ის მენატრება, იმის გაქრობის, გადაგვარების, წახდენის, წაშლა-განადგურების შიში მაგიუებს, რაც ვიცი, რაც მინახავს, რაც გან-მიცდია, რითაც მიგრძნია სიცოცხლის მშვენიერება.

მკლავზე გადაწვენილი წამკალი – მზისფერი, თავდამძიმებული თავთუ-ნის ხელეურები.

ოფლითა შენითაო...

მარცვლების სანაცვლოდ ოფლის წვეთებით ინამებოდა მინდვრები.

ცელის შეუილი – თაკარა მზეში, ხა-მუშ-ხამუშ რომ აქუცმაცებს მომთენ-თავ სიჩუმეს.

მერე სიმსუქნით ტანდამძიმებული მწყრების შეფრთხილება:

ცელო, მოუსვი, გზისპირია,  
დაგვინახავენ და სირცხვილია.

ვის უნდა დაენახა, ვის წინაშე არ ასვენებდა პასუხისმგებლობის გრძნო-ბა ჩვენს წინაპარს, ანდა მაშინ თუ გვრცვენოდა, ვფრთხილობდით და სხვასაც ვაფრთხილებდით, ახლა რამ ჩაგვიქრო ეს გრძნობა, ხასიათი, პასუ-ხისმგებლობა?

მე ტექნიკურ პროგრესს კი არ ვწუ-ნობ ან ვეპრძვი, ვიმეორებ, რაც მიყ-ვარს, რაც ტრადიციულია, ადამიანუ-

რია, მეძვირფასება, რაც მინახავს და განმიცდია, იმის წაშლა, დაკარგვა, უარყოფა მენანება... კუთხის ლოდები, ქვები თუ გამოაცალე, მერე ყველაზე მყარი, მკვრივი კედელიც კი იოლად წა-მოსაქცევია.

ე.წ. წინსვლა უკან გადატრუსულ ვე-ლებს და წაშლილ მეხსიერებას ტოვებს. ჩვენს ენობრივ ქსოვილს ახალი ჩრჩილი გაუჩნდა. ახლა ესა ჭამს და აქუცმა-ცებს (ლაითადი) ჩემი ენის მონაპოვარს.

ოღონდ ქართულად ილაპარაკეო, – პოეტი რომ იხვენება, ვიღაა ამ ვედრე-ბის ყურის დამგდები.

ილაპარაკებდნენ, მაგრამ რომ ის ქართული აღარც იციან?

დახვეწილი, დარბაისლური მეტყვე-ლებაც გაბაზრდა, პერი დაკარგა, რო-გორც დახლებზე გამოტანილმა, გა-დამყიდველების ხელიდან ხელში გადა-სულმა მწვანილმა.

ნამდვილი სიტყვის გემო მხოლოდ იმ წიგნებში ჩარჩა, მობილურით და ინ-ტერნეტით რომ ჩავანაცვლეთ და სა-თოფეზე აღარ ვეკარებით.

ხანდახან ძილში ჩამესმის:

წვიმის წვეთი ღია აივნის ბოძების ძირში მიდგმულ ნატეხარებში წვეთავს.

წვეთი კრამიტიდან ჩამოდის, ხელის-გულივით შეშვერილ ნატეხარს ნელ-ნელა ავსებს, მონოტონური წკაპუნით ხვრეტავს ღამის სიჩუმეს.

მალე, სისხამზე, ხარიხაზე წითელი მამალი აფრთხილდება, დააფეთებს ჩათვლემილ, აკრიახებულ დედლებს და დასაყიდვებლად ყელს მოიღერებს.

იღვიძებს ადამიანიც, ერთ დროს იმ გარემოსავით წმინდა და გულუბრყვი-ლო, რომელშიც ცხოვრობდა, იმ სა-ქონელივით ალალი, ბაგასთან გარინ-დებულები რომ აბრიალებენ დიდრონ, ჭკვიან თვალებს და ხამუშ-ხამუშ იცოხ-ნებიან.

იღვიძებს, ხელის ფათურით ეძებს ტახტქვეშ შეწყობილ, ჭვინტაშვერილ ფეხსაცმელს, სამფეხაზე გასაშრობად

ჩამოფენილ ქუსლებგადაცვეთილ წინ-დებს, ტანსაცმელს.

ეს მიდამო, გასახედ-გამოსახედი, სახნავ-სათესი, ტყე-ველი, იგივე მთე-ლი სამყაროა, როგორც კრამიტიდან მოწყვეტილი წვეთში ოკეანე ამ პატარა სოფელშიც სამყაროს საფიქრალ-საზ-რუნავია არეკლილი.

რამდენი სიტყვა, სახელი, წეს-ჩვეულება გახდა წითელ წიგნში შესატანი, დღევანდელობას რომ აღარ სჭირდება და ივწყებს, რაღაც ახალს, უგემურს, უწარსულო და უმომავლო სიტყვათშე-თანხმებს უფენს ფიანდაზს.

ვიღა მოგა, ვიღა გაჩერდება სინანულით თავდახრილი ამ ძვირფასი სიტყვების სამარესთან!

სად გადაიკარგნენ ის ზღაპრები, ის ლეგნედები, მართალი ტყუილები მომხიბლავი სიუჟეტებით, წისქვილის ჯადოქრებით, კოშკების მზეთუნახავებით და მზეჭაბუკებით, ვრცელი, ახოვანი ტყეების მდუმარებით, დაფარული იდუმალებით აღსავსე, დაბურული ტოტების შრიალით, რომლებზეც ბრძენი, ჭკვიანი, მრავლისმნახველი ფრინველები თვლემენ.

კომპიუტერული სასწაულით წაქეზე-ბულმა დღევანდელობამ ყველგან ჩაყო თავისი ცნობისმოყვარე ცხვირი, ყველა ზანდუკი გახსნა, ყველა მეცხრე კარს მოამტვრია საკეტური, გულუბრყვილო ფანტაზია, ოცნება, ძირში ფრთებშეჭრილ, ხეიბარ ფრინველს დაამგვანა.

ეს ჩიტი ცაში ვეღარ შეინავარდებს! ვერა!

ყველა მიკარგულ, მსოფლიოს მიუწვდომელ მწვერვალსა თუ გამოქვაბულში, რომლებსაც ჯერ კიდევ ახსოვთ ალქაჯების, ცხრათავიანი დევების, ადამიანის მაცდუნებელი ბოროტი სულების ქორწილები, ღრეობები, როკვაყიუინა, მობილური წკრიალებს, ტექნიკის ფხოზელი ვიდეოთვალი ზვერავს ყველა შესასვლელ-გამოსასვლელს და აფიქსირებს ნებისმიერ წვრილმანს.

ხელისგულზე განათებული მაცდური, მოციმციმე კოლოფი გვმართავს და გვიმონებს.

ახალმა საუკუნემ ახალი ეჭვებისა და უნდობლობის სარეველა ააბიბინა.

კარგა ხანია, თამასუქად აღარ ცნობენ და არც ლომბარდში იბარებენ ცხვირსახოცში გამოკრულ ძვირადღირებულ ულვაშის ღერს.

ფხიზლობს ქარიყლაპია კანონმდებლობა:

ფხიზლობს, მაგრამ მაინც ახერხებენ ღორის ჯაგარი კოკობ ულვაშად შემოგვასაღონ.

გვეგონა, ვუახლოვდებოდით და თურმე უფრო ვშორდებით სინდისის ოაზის.

ირგვლივ გულგატეხილობის უდაბნოა.

„სად მიიდრიკოს ადამიანის სულმა თავი?“

სად იპოვოს შვება?

როგორ მოახერხოს თვალთვალის გარეშე ცხოვრება?

ახლა დგას და დაკარგულს მისტირის, შეჭრილ ფრთებს დაეძებს.

რა უყო, სად გააქრო, გადახვენა ის საზღაპრეთი, რომელ პლანეტაზე დაიბუდეს ჩვენი დედამიწის ეკომიგრანტებმა!

ეჭ, რამდენ მამალს ეგონა, რომ დილას მისი ყივილი ათენებდა!

ჰერნებოდა, რა იყო ამაში ცუდი.

ჩვენს წინამორბედსაც იმ თავისი მარტივი იარაღით – თოხით, ბარით, საჩერებლით, ნაჯახით, წალდით, ქაფჩითა და ბირდაბირით, უღლითა და აპეურით, ნალოსთვის ჩასაბმელი, ჩხრიალა ჯაჭვით, ელვარე, ტევადი სიტყვებით, სიმღერებით, ახლა რომ უნდათ დაგვა-ვინყონ, დაუმარცხებელი, დაუჩოქებელი ეგონა თავისი თავი...

მის მომავალსაც ამ რწმენით ეცხოვ-რა, რა მოხდებოდა?

ვინ დაუშინა ქვები მენამულისფერ კრამიტს, ვინ გადააჭრელა სახურავი

ფერადი პლასტიკატით, ვინ წამოკრიფა ბებიების ჩამორიგებული, წვეთს შედგმული ნატეხარები.

აღარ გვინდა იმ წკარუნის მოსმენა?

ცხრა მთას იქიდან დარეკილმა უღარუნმა შეცვალა და იმიტომ?

იმ წკარუნს სიმშვიდე, რწმენა, გამძლეობა მოჰქონდა ჩვენთვის.

ამ უღარუნს...

კარგია, ჩაუსვლელად, ტარიბანაში, მაგარი საქმეების მოგვარება, მაგრამ... გითხარი და კიდევ გაგიმეორებ, იმ სითბოს, იმ სიყვარულს ხომ არ ვკარგავთ, რაც ადრე გვქონდა, ამაზე თუ გიფიქრია-მეტეი.

რათა ვკარგავთ, როგორაო!

როგორ და, ჩახვიდოდი, ნაცნობ-მე-გობრებს ერთხელ კიდევ მოინახულებდი – სიყვარულს, ძმობას განახლება უნდა, პერი რომ არ დაკარგოს... ასეთი წესით ვცხოვრობდით – ძველ, მეგობრობის ციხე-ბურჯებს ხომ გავამაგრებდით, ახლებსაც შევიძენდით... მიყოლ-მოყოლა, მოკეთეობა ერქვა ამას სახელად! ეს პატარა საქმე იყო? ეს აცოცხლებდა ჩვენს ფესვსა და ძირს, ამიტომ ვიდექით ღონივრად, ამიტომ გვერქვა კაცები და არა კაცმაცუნები, დღეს ტელეპროგრამები აკლებული რო აქვთ, არასამთავრობოების უღალო ძუძუებს რომ ჩაფრენიან ავადმყოფი კატის კნუტებივით და შხამს წოვენ თუ რძეს, ვერ გაუგიათ...

ხმის დიქციაზე, მიხრა-მოხრაზე, სიტყვა-პასუხზე – ყველაფერზე ეტყობათ, ასეთ ურთიერთობებში რომ არ მოხარშულან, ჯიგარი მოყვრის სიყვარულით რომ არ ეწვით.

ყურსასმენი, ჯადოქარი კოლოფი – უხილავი ჯინი, რომელიც ჩვენ კი არ გვემსახურება, ჩვენს ნამდვილ გრძნობებზე მბრძანებლობს.

პოლიეთოლენის ბოთლის ბრჭყვიალა, მეორად ზეთში ჩახრაკული კარტოფილი, მარილიანი პურის საკნატუნო, სახელდახელო საცხობები, სადაც

მარტო ფასებია შთამბეჭდავი, ჩვენი შვილების ჯანმრთელობის დამანგრეველი ცომეულით, შაურმებით, კონცენტრატებით – გაზიანი სასმელებით... ხომ ანგრევენ ჩვენს სამომავლო პერსპექტივას...

ჯანდაბას ის ოცდაათი ლიტრი ბენზინი, ჩასულიყავი ტარიბანაში, ან ავს იტყონით, ან კარგს, ეგებ ნაცრიანი მწვადისთვის და ენამთის ნუნუას-თვისაც გამოგეკრა ხელი, მეგობრებში შექეიფიანებულს გრძნობა მოგრეოდა, სამშობლოს ბედითა და უბედობით აფორიაქებულებს გულ-მკერდი ჩაგემჯილათ, უანგმოდებული სიყვარული ხელახლა მახვილივით აგელესათ და ისე წამოსულიყავ, სავსე იმედებით, კმაყოფილი, ბედნიერებით ზურგგამაგრებული... შენ კიდევ, დრო და ბენზინი დავზოგო... არა, ძმაო, ადრე ეგრე არ ლაპარაკობდი, გულში ისეთი ლადარი გენ-თო, ეს მიეთმოეთი როგორ ჩააქრობდა, ნაცარტუტად როგორ აქცევდა!

მაშინ, ერთმანეთი რომ გვენახა, საქმეებს ვიგონებდით, გულის ჭვარტლის დასახერტყად მარბილივით დავეცემოდით ხოლმე ერთმანეთის... გახსოვს, ხორნაბუჯზე სავსე მთვარის შუქზე კედლებს რომ ვკოცნიდით, ლოდებს, თიხის ჯამებიდან იმ ღამეზე უფრო კუნაპეტ ღვინის წვეთებს რომ ვაპკურებდით.

ვინ იცის, ის ლოდები რომელი ქვით-ხურის მარჯვენით იყო კედელში ჩასაყოლებლად ჯვარდაწერილი...

ეჟ, არ მინდოდა, მაგრამ მაინც აიშალა ძველი დარდები.

რაღაც გაუგებარი და მიუღებელი ხდება ჩვენს თავს.

როგორც საიდუმლო საგანძური, ეგრე გამოლიეს სიხარულები – ცოტა დარჩათ და ეგეც თვითონ სჭირდებათ, ჩვენთვის ვერ იმეტებენ. მეკობრეებივით დაეპატრონენ, ამ პატარა ორჩომელს, საქართველო რომ ჰქვია, თავის ნებაზე უცვლიან სიჩქარეს და მიმართულებას.

აგე, აგვისტოში ხომ შეანაყეს ამხე-  
ლა ჩრდილოელ აისბერგს!

ისეთი შერყევა მივიღეთ, გონს ჯერ  
კიდევ ვერ მოვსულვართ.

მაინც თავპირისმტვრევით მივდევთ  
ძვირფასი მანქანების და ჩვენთვის უსარ-  
გებლო, დამანგრეველი იდეების ეს-  
კორტს. მივდევთ, გზადაგზა ვეცემით,  
ვცოტავდებით, ვკლებულობთ – ჩვენ-  
ში ხომ წარმატებით მხოლოდ ბანკები,  
აფთიაქები და სასაფლაოები მუშაობენ,  
მაგრამ უკან ვიღა იხედება, ვის აინტე-  
რესებს, რამდენი და ვინდა დავრჩით.

მეწინავენი იმიტომ ჰქვიათ, რომ წინ  
უნდა იყურონ, წინა!

შენ კიდევ ოცდაათი ლიტრი ბენზინი!

გაცდუნებს ეგ ყოვლისშემძლე კო-  
ლოფი!

მეც, რა თქმა უნდა, მე რა, ამ დროე-  
ბის შვილი და მსხვერპლი არა ვარ?

•

ჰო, შენს მოწონებულ მობილურზე  
გამახსენდა:

ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ახა-  
ლი, კორპორაციული ნომერი მომცეს.

მომცეს და სულის მოთქმა არ მაცა-  
ლა, მაშინვე რეკავს.

ვპასუხობ.

კახეთის რადიოდან გეხმიანებითო.

(რას ერჩი, ეს ბოლოლა „გეხმიანებით“  
მშვენიერი სიტყვაა, თანაც რიხიანად, და-  
უფარავი სიამყით წარმოთქმული).

კახეთის რადიო?

გამიკვირდა.

ამათ საიდანლა გავახსენდი-მეთქი.

– გისმენთ, რა ნებავს კახეთის რა-  
დიოს?

ქშენაზე შევატყვე, არ ესიამოვნა,  
ფეხის წვერებზე რომ არ დავდექი და  
ჩემი თამამი პასუხი ხომ მთლად მალა-  
მოდ არ მოეცხო.

გვაინტერესებს, თქვენმა „აიპმა“  
რამდენი შტატი დაუშვა, კონკურსით  
რამდენ თანამშრომელს მიიღებთ, ვა-  
კანტური ადგილები თუ გექნებათ სპე-

ციალისტებისთვის და ხელფასებზეც  
იქნებ მოგვახსენოთო, მომაყარა სეტ-  
ყვასავით.

ვერ გეტყვით-მეთქი.

– ეგ როგო? რას ჰქვია ვერ მეტ-  
ყვით? – კუთხური ინტონაციის კამუფ-  
ლაჟით შენიდბა თავისი განცვიფრება.

– ვერც ერთ საკითხზე თქვენს ცნო-  
ბისმოვგარეობას ვერ დავაკმაყოფი-  
ლებ! – გავუმეორე.

ყურმილს იქით ავბედითი დუმილი  
ჩამოვარდა – უურნალისტებს ჩვენში  
ასე უკმეხად არ ელაპარაკებიან.

დაელაპარაკებიან და იმათი აჯო-  
ბებს!

ხომ გითხარით, ვინცა ვარო.

მითხარით, მაგრამ ამ ინფორმაციას  
ჩემგან მაინც ვერ მიიღებთ-მეთქი.

რატომაო.

იმიტომ, რომ, სადაც დარეკეთ, არც  
საგარეჯოა და არც „აიპი – გაფრინდი  
შავო მერცხალო“...

ჩვენ მადონა ბრაჭულთნ ვრეკავთო.

მერე, ვაუკაცური ხმის პატრონს რა  
შემატყვეთ რომ მადონა ბრაჭული ვიქ-  
ნებოდი-მეთქი.

რა ვიცი, მოადგილე მეგონეთ, ეგ  
ნომერი იმისია.

„არ დამიკარგავს, მიპოვნია, ახლა  
ჩემია“, – მივუმლერე.

ეგრე ჩაქრა, როგორც წყალგადას-  
ხმული ცეცხლი.

მერე სიცილი აუტყდა.

ის მაინც მითხარით, სად ვრეკავ და  
ვინ ბრძანდებითო.

ვუთხარი.

საიდან სადაო, ბრაჭულის ნომერი  
რამსიშორეზე გადმოუგდიათო...

რა ვიცი, დღევანდელ დღეს „გადაგ-  
დება“ გიკვირთ, მით უმეტეს, მობილუ-  
რის ნომრისა... ეგ „მაგთის“ უნდა ჩა-  
ეკითხოთ-მეთქი („ჩაეკითხოთ“ უურნა-  
ლისტების საყვარელი სიტყვაა).

რაღაც ჩაილაპარაკა და მობილური  
უბოდიშოდ გათიშა.

იმის მერე რეკავენ და რეკავენ, ამი-

ტომ, ვიდრე დაველაპარაკები, ჩავძახებ ხოლმე:

– ბრაჭული არა ვარ, არა!  
თუმცა რა ვიცი, ეგებ ვარ და არ ვიც!

ისე, კახეთის რადიოთი რომ გამოვიდე, არც მაშინ მომეშვებიან?

•

ამას წინათ „თუშ მეცხვარეს“ ვუყურებდი.

(ხანდახან ჩვენს ტელეარხებს ეშლებათ და ადამიანურსაც რაღაცას შემოგაპარებენ).

პლატო ოსორაული.

პანტო თათარაიძე.

იობ ბართიშვილი.

„ბალო“ – ზურა სულაკაური.

კიდევ მრავალნი და მრავალნი, ფილმში რომ მიდი-მოდიან, მოძრაობენ, კი არ თამაშობენ, ეკრანზეც თავისი ბუნებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, დიდი და მცირე როლებით სათითაოდ გვიცოცხლებენ, იბრძვიან ქართველი კაცის ხასიათის, ტრადიციის, სიტყვის მადლის გადასარჩენად...

უყურებ და გული შემოგვნესის, რადგან ამ კადრებს ტიტრივით გასდევს შენი წუხილი – „თუში მეცხვარის“ გადაღების შემდეგ კიდევ უფრო უარესობისაკენ შეიცვალა ანგურაჟი – საქმე იქამდე მივიდა, რომ მთაში ლამის ამ სიტყვების მთქმელიც გაქრეს:

„აი, ეს არის, ბალო, შენი სამშობლო!“

პლატო ოსორაულს, სახალხო მთქმელს, ენამჭევრ და ხალხურ ნიადაგზე ამოზრდილ ბრძენეკაცს, სამწყემსურში ყოფნისას უანგიანი ლურსმანი შეერქო და იმან იმსხვერპლა.

ის უანგიანი ლურსმანი ყველას გვინამლავს სისხლს და გვინელებს.

რათა, ვინა ხარ და ვის დაჲკარგვისარ, ძმაო, უჯიგრო და უჯიშო შინაურო თუ გარეულო, მერამდენე წელია ასე რომ აბურთავებ ჩემი ქვეყნისა და ადამიანების ბედს!..

რამდენმა მღვრიე წყალმა ჩაიმღერა და ჩაიგრიალა.

აღარ ელირსა დაწმინდავება.

„აი, ეს არის, ბალო, შენი სამშობლო!“

სად არის ის ხმები, ის ხალხი, სიყვარული, იუმორი, მოვალეობის პატივისცემა, მისვლა-მოსვლა, მოკეთეობა, უკვდავი მოტივით აკვნესებული გარმონიკა, ძვალ-რბილის დამდნობი თუშური მელოდიის მდუღარე. მწვანე ფერდობებზე, ხევზუვებში თეთრ ჩანჩქერებად ჩამოგრძელებული, დაწალიკებული ცხვრის ფარები – სამშობლო, აი, ისეთი, როგორიც მქონდა, ტრადიციების მცნობი, ამაყი, იმედიანი, უკეთესი მომავლის მომლოდინე...

ახლა?

მხრებჩამოყრილი, სამათხოვროდ ხელგანვდილი, იმედგაცრუების ლახვრით ფრთებდაჭრილი, უსიხარულო და კიდურებმოკვეთილი... ცოტაც და ხელ-თუპყარის და დავრდომილის საგანგებოდ მისთვის დამზადებულ ხეიბარის ეტლში ჩასვამენ და ტრანსკავკასიის დერეფანში თუ მაგისტრალზე წინ და უკან აგორავებენ...

ამწუთას არ მახსენდება სამყაროს არც ერთი საოცრება, მიჯნისყურეს-თან შემღვრეული ალაზანი მენატრება მხოლოდ, დინებას გვერდულად რომ გამოუჭამია წყლისკენ დაცერავებული ფლატე და მორეუში, ყბაში ღრჯოლივით ჩანგალგამოდებული ალაზნის ლოქო რომ ფართხალებს, ამოსხლტება მუქი ვერცხლისფერი ზურგით და დაასკდება წყლის ზედაპირს... მენატრება თელავის ბაზრის შესასვლელთან ცალ-თვალა მეჩონგურის ჩახლეჩილი ხმა, სახინკლის თბილი, მუავე ლუდი, ალავერდისკენ გაფრენილი უბელო კვიცი, გამურულ ზედადგარზე შემოდგმული სახორცე ქვაბის (გიორგი ლეონიძის ხმით წარმოთქმული) „ოშხივარი“, ის ზვავიც კი, დარიალის ვინროებში მომავლებს ზურგს უკან რომ ჩაგვიქროლა

და გულმოსული, რადგან ვერ მოგვიხელთა, უფსკრულში გადაიჩეხა, თავი მოიკლა...

— როგორ, ზვავმა, კაცო?  
— ჰომ, ზვავმა!  
— რასაც შენ არ იტყვი, ზვავმა თავი როგორ უნდა მოიკლას?

— ჩემი თვალით რომ არ მენახა, მეც არ დავიჯერებდი... კიდევ რა მენატრება, გავაგრძელო ჩამოთვლა? რით ვერ გაიგე, რაც გულს აკლია, ყველაფერს ერთი სახელი აერთიანებს!..

აბა, გამოიცანი!  
ვერ გამოიცნობ, რადგან „იზლერის ბალები არ გინახავს!“

ან გინახავს და ალარ გახსოვს.  
შენც ერთი კაცივით არ შემოირტყა  
შუბლში მუშტი, გაიხსენე გრძელყურაო!  
მაინც ვერ გაიხსენებ.

ვერა!  
ნნ!..

•

ქალავ, რად იცვამ შავს  
კაბას,  
ყორანს რად უმეგობრდები,  
იქნება სატრფო მოგიკლეს  
და იმიტომაც ღონდები.

სიპი ქვის ნასახლართან ამოწვერი-  
ლი ტანწერწეტა გვირილების ბლუკა  
ღალანებს. იქვე, გზის გადაღმა, რო-  
გორც უნაგირზე, ჩამონგრეულ ყორეზე  
გადაღლულა მეჩინგურე.

მე და ყვავილების გვირგვინიანმა  
გოგომ, წამალაიძების ქალმა, ჯაგნა-  
რიანი ფერდობებიდან ჩამოვივაკეთ,  
ხელჩაკიდებულებმა ნაპირ-ნაპირ ჩამო-  
ვირბინეთ ნაწვიმარზე ხმადაპოხებული  
ხადისხევა და მომღერალს წავადექით.

ეს ყვავილები გოგოს დიდველზე და-  
ვუკრიფე.

დიდველს ისეთი ბრძოლა ახსოვს, რომ  
მთელი მინა სისხლით ყოფილა გაუიე-  
ბული.

ყვავილების ფურცლებზე წითელი

და ალისფერი ამიტომ ჭარბობსო, მით-  
ხრა თანამგზავრმა.

ყორეზე დადგმულ სახინკლე პატარა  
ხონჩაზე ორი შეგრილებული ხინკალი  
და გვერდულად მინოლილი, მოკაკული  
ყანნი იდო. მეჩინგურის ფეხთან ბალა-  
ხიდან თავწამოყოფილი, „დაპრობკილი“  
ლურჯი ბოთლის ყელიც მოჩანდა.

— დალევ, ბალლო? — ბოთლს დას-  
წვდა, საჩვენებელი თითით წარბებამდე  
ჩამოფხატულ ქუდს კიკირტო აუწია და  
თვალმოჭუტულმა გამომხედა, — უკვე  
კაცი ხარ, დალევ, მაშ რას იზამ!.. უიპი-  
ტაურია, რბილია!..

ჯერ ცარიელი ყანნი მომაწოდა, მერე  
დანაკლულებული ბოთლი აიღო და საღი,  
ღონიერი კბილებით საცობი ამოაძრო.

არაყი ჩამოაწანნკარა.

თავდახურული ბოთლი ისევ ფეხებ-  
თან ჩაიდგა.

— არაყი კენტი უნდა, ან ერთი, ან  
სამი... უნდა ვიმყოფინო... საღამომდე  
აქეთ მგზავრს რა გამოლევს და ხომ არ  
შევრცხვებით... ეე, რა ლამაზები ხართ!  
— თითქოს ახლა დაგვაკვირდა ხეირია-  
ნად, — აიმ ქედნებსა ჰეგვართ, — გაგ-  
ვახედა ხადისხევას ხეობიდან წამოსუ-  
ლი ფრინველებისკენ.

არაყი მართლაც რბილი და მომჟა-  
ვო იყო.

— დააყოლე ხინკალი!.. შენცა, ჳა, შე-  
ნი წილილა დარჩა! — გაახანხალა გოგოს  
წინ ხონჩა და ხინკალი ცარცით დახა-  
ზულ ასფალტზე გაცურებული „პოლ-  
ტივით“ გასრიალდა.

პატარა, მიწისპირა სახლიდან კოპ-  
ლებიანი ხილაბანდით თავწაკრული  
ახალგაზრდა ქალი გამოვიდა.

— ქორო, რათ გააჩერე სტუმრები  
გარეთ, შიგნით ვერ შემოიპატიუებ?

— როგორ შემოვიპატიუო, სანახევ-  
როდ მეც გარეთა ვარ, — დაირტყა ხე-  
ლი ყორეზე გადმოლაჯებულ ფეხზე.

— გამარჯობა!.. — მოგვიახლოვდა,  
— გოგო, შენ წამალაიძებისა არა ხარ?  
ესა კიდევ ბედოიძეების სტუმარი...

- რომლისა? – ისევ აინია კიკირტო კაცმა.
  - ნოდარასი და ლენასი.
  - ჰომ, მაშ, ჩვენი სტუმრებიცა ყოფილან. ნოდარა და ლენა ჩვენი ბიძაშვილებია, განა უცხოები კი არ არიან.
  - რა ვიცი, გარეთ კი დააყენე და...
  - დახკალი ქათამი და შემოვიყვან!
  - რათ მაშინებელი, ქათამსაც დავხკლავ და ხინკალსაც ჩავყრი... – შემოიყარა დოინჯი, – ლენამ თქვა, ლექსებსა წერსო, მართალია? – გამიღიმა ქალმა.
  - ლექსებსაო! – გაიკირვა ქორომ და ჩამოფხატული ქუდი უკან, კეფისკენ გადაქაჩა.
  - იხუმრა, ალბათ, – ამკრა ალმურმა.
  - ეგ რა სახუმაროა.
  - წაგვიკითხე, ჰა, ერთი მაინც... – ჩამაჯინდა ქალი.
  - უარესად ავილანძე, ჩემი ნაჯლაბნი რა საინტერესოა-მეთქი.
  - კარგი, ბიჭი ნუ შეალონე, ქალო... განა მე ყოველთვის მემღერება.
  - რა ვიცი, ეგ ყორე კი უნაგირივით ამოიდე და ვეღარ გაჩერებ!..
  - მე რო გავჩერდები, დედა მაშინ გეტირება! – ჩაგვიკრა თვალი:
    - ქვეობან ქალმა დახკივლა,
    - ქიჩილა უკვე წახარა:
    - გაქებენ, ქიჩმარაულო,
    - ჩემსამცა ქმარსა შაგყარა...
- არა, ხო მაგარია? ჩინ-მედლები არ უთხოვია, თქვა კაცმა, ამ წუთისოფლის რიგითმა შვილმა და გაიარა... აიმ მთებს ხედავთ? დაბალს მაღალი ენაცვლება, მაღალს კიდევ უფრო მაღალი... მაგრამ ისეთებიც არიან, თვალს რომ ვერ შეუწვდენ... საარაგვოზე დუქნებს ხშირად სტუმრობდა ხოლმე ლუკა რაზიკაშვილი და რაკი თავიანთ გვერდით ხედავდნენ, თავისი ტოლი ეგონათ... ვინა, კაცო, მღილი ხარ და ვის ეტოლები!.. კაცის სიმაღლე, მით უმეტეს პოეტის, სიკვდილის მერე უნდა გაიგო... იცით, რატომ?.. აბა, დედაკაცის მოკლე ჭკუა თქვი, მაგ ჯლაბნას მოეშვი და

საქმეს მიხედე, ნათიბი დასველდებაო, „დახხკიოდა“ ვაუსა თანამეცხედრე.

ჯლაბნასო, კაცო!.. მაშ, ცოდო არ იყო? მაშ, გაძლება არ უნდოდა? აკი ვერც გაუძლო, იმის ჯანის პატრონს ერთი ოცდაათი წელინადიც არ უნდა დაეხურდავებინა? – ფეხი ეზოსკენ გადაიტანა, – კაცი მარსკვლავებს ეთამაშებოდა, საწუთოს ჯამში, ზესკნელსა და ქვესკნელში იხედებოდა და, ქალი კიდევ... განა შენც ეგრე არ იცი, მე და მამალს გათენებას არ გვაცლი, ესაო, ისაო, წოლით მარტო კიტრი იზრდებაო... – შებძვირა ცოლს.

– მაშ, რა ვქნა? ეს ქოხმახი სადაცაა თავზე წამოგვემხობა და გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ? – შემოიყარა განიშმატებულმა დოინჯი, – კარგი, შენ ოლონდ „ალუდა ქეთელაურის“ ტოლფასი რამე დაწერე და თუნდაც შუადლემდე ლოგინიდან ფეხი არ მოიცვალო... თუ ხმა ამოვილო!.. – ჩაიმჯიდა მკერდი.

– ჰო, გეყოფა, გეყოფა, ძანაც ნუ გაუტიე, დაყენდი!.. ეგ რო შემეძლოს, მოჰკვდომია ყველაფერს პატრონი! – ამოიოხრა და თითი დამიქნია, – ვაუო, ჩემი სიტყვა დაიხსომე, თუ მაგარს არ შექმნი, პოეტობა არ დაიჩემო, არ გაამხილო, ლექსებს ვწერო... – მერე თვალზე ხელმოჩრდილულმა მდინარეს გახედა. – ე ხიდი წყალმა რო წაიღო, არაგვზე როგორ უნდა გადახვიდეთ!

– აგე, ამათი ხიდი! თვალდახუჭულები გადიან და გამოდიან, – ანიშნა ქალმა ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ვერცხლისფერ მილზე, ბედონიდან ქვეშეთის მისადგომამდე რომ იყო გადებული.

– ეე, ფრთხილად იყავით, თორე ფეხი რო აგიცდეთ და მანდედან ჩამოვარდეთ, მიწამდე სული არ დაგყვებათ!

– არა, უკვე მიჩივულები ვართ, – დაამშვიდა გოგომ.

აბა, მიდით და როგორ გახვალთ აქედან უნდა გიყუროთო.

თავქვე დავეშვით. მილზე რომ ავე-

დით, კაცის ძახილმა უკან მოგვახედა. ქორომ ჩინგურიანი ხელი დამიქნია: – ესეც არ დაგავინყდეს, პოეტო, თუ იქნები, ყველაფერში მაგარი უნდა იყო – პეტერბურგში, დუქანში, მთელი ჯა-მათი დაალილავა ვაჟამ!.. განა ზურგს მე კი ვერ მივადგამდი, აფსუს, იქ მა-ინც ვყოფილიყავ!.. – ბოლო სიტყვები წყლის დგაფუნმა ჩაყლაპა.

ბერვის ხიდს დავადექით.

ვიცოდით, რომ დაძაბულები გვიყუ-რებდნენ.

გოგო წინ მიმიდლოდა.

განზე განეული ხელებით წონასწო-რობას ვიცავდით, არაგვს ხახაში არ ჩა-ვუვარდეთო.

როცა გავედით, ვიგრძენით, შვებით ამოისუნთქეს.

გალმა ნაპირიდან, დაპატარავებუ-ლები, სიპი ქვით ნაშენ ყორესთან თო-ჯინებივით მოჩანდნენ.

გასულ ნამაისევს ქორომ ქვეშეთის სასადილოში ორჯონიკიძიდან გად-მოსულ ორ ტურისტს ლერმონტოვის სიტყვებისთვის „ნეკალი რიბნი გრუზ-ის“ – თავი ერთმანეთს ახლევინა და წვრილმანი ხულიგნობისთვის ჩასვეს. ორი კვირა სკოლის ფიზიალზრდის მას-ნავლებელი იმ სტუდენტაქის მიდამოს ხვეტდა, თავისი სტუდენტობის წლები რომ გაატარა. გამოუშვეს და: სექტემ-ბერში, ბავშვებს როგორ ვერვენო ნაცი-ხარი პედაგოგიო, ეგრე ლოთობს, ყო-რეზე გადამჯდარი დაპლმუის ხოლმე ჩინგურს...

„სექტემბრამდე გაუვლის!“ – იმედს არ კარგავს ცოლი და ძირზე დაყვანილ ბოთლსა და ხონჩას შინისკენ მიაკონ-წიალებს.

ღმერთს იმის ბეჭდინიერება მაინც მო-ეცა, რომ პეტერბურგში ვაჟასთან ერ-თად მეჩებუბა, მხარი მხარს მიმეცა... აუ, რა საყურებელი ვიქენებოდიო, თით-ქოს თავის ახდენილ ოცნებას ხედავს,

ცისკენ თვალი გაუშტერდება, სახელი რომ დაუძახო კიდეც, ქორო არ მოგ-ხედავს.

●

ჩაიდანი შიშინებს. ასე მგონია, თვლემაში წასულს შინაური, გულით ახლობელი მესაუბრება. მესაუბრება შორიდან, მეხსიერებაში გაფერმკრთა-ლებული ზამთრის გრძელი ღამიდან. დედაჩემის კალთაში მობლუნძული სან-დო, მშობლიურ მკერდზე რომ ვიყავი გალურსული და ნეტარებდნენ მოხუ-ჭული ქუთუთოები.

ტაფაზე იკლაკნება, ქონად მიდის დამარილებული ლორის ტყავი. ქარვის-ფრად დაბრანული ნაჭრები ჩემს თვალ-წინ ილევიან, პატარავდებიან, იხრუკე-ბიან...

მდუღარე ქონს ქილაში გადაწურავენ.

ჯერ კიდევ ქაფქაფა ცხიმი თიხის ქოთნის დავინროებულ ყელში ყვით-ლად ლაპლაპებს.

გაცივდება და გათეთრდება.

ტაფა ისევ ღუმელზე შიშხინებს. ხანდახან ბატიბუტივით გასკდება, შეე-ფებს გაპყრის ცხიმის ბურთულა, ღუ-მელს დაეღვენთება და ხახვიანი ქონის სურნელი ღუმელქვეშ წოლით მიბნე-დილ, ზურგგადატრუსულ კატას თვა-ლებს დააჭყეტინებს, ტუჩებს გაალოკ-ვინებს.

დიასახლისი გადმოყრის პირგანიერ ჯამში დაშაშრულ ხოხოზიკს (ერთი ბაბო ხოხოზიკს ეძახდა, მეორე – ხურავიჭს).

მერე პატარა თეფშზე დამიდებენ, თან ნივრით და ქინძით შეზავებულ, სურნელოვან ბაქმაზს მომისხამენ და მადიან პურის ყუას ხელში მომაჩერე-ბენ, აბა, გემრიელად იქეიფეო.

გარეთ ძალლი დაიყეფებს, ისე, ჩვე-ულების გამო, თორებ განა არ იცის, რომ სიმყუდროვე ნიავსაც კი არ და-ურღვევია.

ფანჯარაში აყირავებული დგას დი-დი, შავი ნახშირის უთო. აქეთ-იქით

ჩარიგებული საცეცხლურები კბილები-ვით დაუკრეჭია. მაშინ უნდა ნახოთ ეს ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი, დედა-ჩემი ღუმლიდან გამოღებული ნაკვერჩხლით და ნახშირით რომ გაავსებს, გარეთ გაიტანს და აქეთ-იქით იქნევს, ვიდრე გაღივებული ცეცხლი ამ კბილებიდან ნაპერნკლებს არ გამოჰყრის, გაალაპლაპებს, გაახურებს უთოს ძირს და მერე თეთრ, ქათქათა, დანამულ ზე-წარზე გააცურებს.

მძიმეა, ჩამწყვიტა წელიო, დაიჩივ-ლებს, მაგრამ თან მოსწონს, სარეცხს-რომ გატყეცავს-ხოლმე.

სარკმლიდან ჩანს – პირველი თოვლი მოდის, მოდის უხმაუროდ, ნაზი ფართა-ტით. იქნებ, საძალლედან თავგამოყოფი-ლი ფინიაც მის მობრძანებას შეჰქარის, ფიფქები ცხვირზე და წამწამებზე რომ ასხდებიან, სიცივით შემაჭრებული ჰაერი ყნოსვას რომ ულიზიანებს.

შენ „კარმის“ კაცი ხარ.

მე – ცეცხლის.

შენ „სნიკერსი“ გენატრება.

მე – დახრუკული ლორის ქონის „კა-რამების“.

ჩვენი შორეული წინაპარი მაშინაც ამ ცეცხლს უყურებდა, გამოქვაბული-დან ხეირიანად ჯერ ცხვირიც რომ არ გამოეყო. ეს ცეცხლი ათბობდა, აღვი-ძებდა და აღვივებდა ფანტაზიას, ხა-ტავდა ნოტიო კედლებზე ჯადოსნურ სურათებს, აცოცხლებდა იმედიანი, ვაჟკაცური თქმულებების სიუჟეტებს. პირველი ღილინიც იმ დროს ამოიფ-რქა ყელიდან, რომელიც თანდათან მომძლავრდა, მოღონიერდა, დაიწმინდა და ერის უკვდავებად იქცა:

გაფრინდი, შავო მერცხალო,

გაჰყევ აღაზნის პირსაო,

ამბავი ჩამომიტანე

ომში წასული ძმისაო.

ნიშნად ნაუღე ნაწნავი,

მოჭრილი ჩემი თმისაო,

უთხარი, ზედ აპკურია

ცრემლები შენი დისაო.

ერთ დიდ, „უტოლსწორო“ იმპერა-ტორს ამ სიმღერის მადლი ენთო რე-ვოლუციური ქარიშხლებით გამეაცრე-ბულ, მიუდგომელი ცხრაკლიტულივით გულში და მას მხოლოდ თავისი პატარა ქვეყნის თანამემამულების თანდას-წრებით თუ გააღებდა ხოლმე.

იქნებ, თავის თავიც ის ძმა ეგონა, შუა ქართლიდან დამ საომრად რომ გა-აცილა და ბედმა უცხო ქვეყნის ხელ-მწიფობა არგუნა...

ინვის, ითერფლება ატკაცუნებული შემა, ჯადოსნური წარმოდგენა საცეც-ხლურს უკან, პატარა სცენაზე რომ იდგმება, მხურვალებას აფრქვევს, ერ-თმანებით დალაგებული რცხილის ნა-პობებიდან ჩამოღვენთილი დამდნარი ოქროს წიაღვრები ავსებენ გავარვარე-ბულ, თაღოვან გვირაბს.

მშვენიერება წვაშია.

განა სულის წვა არ ქმნის უბრალოს და ამაღლებულს?

ეს წამები არ უნდა გამოგეპაროს, უნდა ჩაეჭიდო, როგორც დაოთხილი ბედაურის ფაფარს, თორემ თვალის და-სამხამებაში ჩაიფერფლება და... მორ-ჩა, შეგრჩება კვამლით გაჭვარტლული კედლების სიცარიელე და წაცრის მდუ-მარება, მთელი მხურვალება რომ გაა-ცივა, ჩამარხა და ზევიდან გადაეფარა.

ჩაიდანი შიშინებს.

გარეთ ვიღაც იძახის.

აი, ახლა ავდგები. გამოვალ თვლე-მის ბურუსიდან. ახლავე... გავალ... გავხედავ...

ფეხს ვითრევ – თან ვიცი, რომ გარეთ არავინ არ დამხვდება – არც თოვლი, არც ცნობისმოყვარე ფინია, არც მარტობით გულგანყალებული, სალაყბოდ მოსული სახლიკაცი... არავინ, არავინ და, გულ-დაწყვეტილი შემოვბრუნდები.

აღარც შინ მეგულება ვინმე, ვინც ხოხოზიკიან თეფშს დამიდგამს და მა-ღალყელიან ბაქმაზის ბოთლს ენასავით გადმოაგდებინებს ყელში გაწირულ წითელ წინაკას.

დერვიშები ამბობენ: ყველანი ღარი-ბები ვართ, გარდა უფლისაო.

მართალია, სიმდიდრე ილუზიაა, რომელიც ადამიანისთვის ტალღის მი-მოქცევასავით არის – მოვა, მოგეჩვე-ნება და წავა, დაგტოვებს ცარიელ ხე-ლებგაშვერილს.

სილარიბეა ჩვენი მყარი და საიმედო საყრდენი.

ინგლისელი ლორდები მანუეტს არ შე-იხსნიდნენ ლაქის დახმარების გარეშე.

ქართველი თავადები, ძილი რომ მო-როდათ, მსახურებს ფეხისგულებს აფ-ხანინებდნენ.

მაგრამ იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნი-სანი, ვისაც თავის ჯარისკაცებთან ერ-თად ცარიელ მიწაზე, თოქალთო-უნა-გირზე თავმიდებულებს ეძინათ.

იცოდნენ, შესამი, საწამლავი, ხანჯა-ლი, გესლი და შური სიმდიდრით გაბ-რუებული სრა-სახლების და ფუმფულა ქვეშაგების თანამდევი იყო.

მეფეო, შენ ნახვას შენი სახელი სჯობნებიაო – საქართველოს გარდა, სად შეიძლება შეებედათ სახელგან-თქმული მეომრისა და მბრძანებლისათ-ვის – პატარა კახს ახოვანება დაუწუნა გაოცებულმა, უჩინარმა, რიგითმა, კეჭ-ნაობაში სახედაჩენჩილმა ხევსურმა.

სახელი მოწყვეტილი ზეავივით არის. მოდის, იზრდება, მაგრამ კი არ ანგრევს, ამყარებს ქვეყნის ბალავარს, რადგან მისი შემოქმედი, ლონიერი მკლავის გარდა, უდრეკი სული და გამ-ჭრიახი გონებაა.

ორი დღეა ამექვანტა (არ ვიცი, რა-ტომ):

ხეებს უკან ჩურჩულებენ,  
აქეთ-იქით იქლია,  
ბიჭი ჯარისკაცია და  
გოგო გიმნაზიელია.  
თან რაღაც მოტივს ვლილინებ.  
იქნებ, ამ ორის ნაყოფმა ის სახელი  
და დიდება მოიტანოს, ახლა ჩვენც რომ  
გაგვაოცებს.  
ჩაიდანი შიშინებს...

•

არ მინდა ძველი დარდები...

„არ მინდა“ რას მიქვია – ამოენთო, ამობურბურდა, განათდა, გაკაშკაშდა ყველაფერი: ძველი ქართული დარბაზი თავისი ხაბაქუბაკით, თავხეს შედგმუ-ლი დედაბოძით, მძიმე, ბერხენა ლამპის შუქდალვრილი მაგიდით, ტახტებით, სადაც დიდ-პატარა ვიძინებდით (ბავ-შვები თავშექცევით), დახორავებული შეშის ნაპობით და გასაქცევად ათახ-თახებული, ცხენივით აჭიხვინებული ვეებერთელა ღუმლით. რაც მთავარია, ხმებით, ხმებით... თვითონ არ ჩანან ამ ხმების პატრონები, მაგრამ ვიცი, რო-მელი ვის ეკუთვნის, წლოვანებს თუ უწლოვნებს, შინაურებს თუ სამასლაა-თოდ შემოსულ მეზობლებს.

დიდებისა და მოზარდების ხმები დაფარფატებენ, გალიაში გამომწყვდე-ული ფრინველივით აწყდებიან კირით შეთეთრებულ, რიყის სიპი ქვით ნაშენ კედლებს და კვამლით გაჭვარტლულ ლამპა-ჭერს.

ხმები თანდათან ივსებიან, ძლიერ-დებიან, იფოფრებიან, თითქოს მთელი დარბაზი აერობურთივით იბერება – სადაც არის, მინას მოსწყდება და თოვ-ლის თოკები ჰაერში აიტაცებენ.

ილბალზე კარი გაჭრიალდება.

– რას აიკელით აქაურობა, ან ში-ნაური არ იცით, ან გარეული, გარეთ მაინც გადით, ჰაერის საძრაობა აღარ არის! – ღუმლის საჩხრეკს ყასიდად წამოავლებს ხელს მოწყენილთვალება დედაკაცი და შეღებული კარიდან გა-ვარდება ბავშვების გნიასი.

რაღა მახსოვს, ვინ არიან, რათ არი-ან, რა მოეგუნებათ, სუფრა რომ გაშა-ლეს და დროდადრო მჭახედ გაიტკაცუ-ნებენ ხოლმე ერთმანეთს დაჯახებული სქელპირა, ნათალი ჭიქები.

თითებზე ჩამოწუნული შავი ღვინო დანინწყლავს თეთრ სუფრას და დე-დამთილი ლოყას მალულად ჩამოიხო-

კავს, აკი ვთქვი, თეთრი სუფრა არ უნდა გადაგვეფარებინა, მაგ ლაქებს ახლარა ამოიყვანსო.

საყვედური, რა თქმა უნდა, რძალს ეხება, დედამთილის ნაწყენი მზერა, ისარივით, სწორედ მისკენ მიზუზუნებს.

ვიდრე შეშრება, თეთრ ტილოზე, როგორც ფეხდაუდგმელ პირველ თოვლზე, ბზინავს აცაბაცად გაქცეული წვეთები, თითქოს ტყვიადაკრული ნადირი დაუსხლტა მონადირებს, გაიყოლია სისხლის კვალი და შეასწრო ტყეში.

– სუფრაა გაშლილი ნათლიღება ღამეს ონაანთ გიორგასთან, პაპაშენთან, რა... გაიღო კარი და შემოვიდნენ დედაშენი და მამაშენი, დათოვლილები, დალლილები, კმაყოფილები, ზემო სოფლიდან მშვიდობიანად რომ ჩამოალწიეს... მიეგებნენ, მიეხვივნენ ჯერ პატარები, მერე დიდები, სიხარულის ყიჯინით ჩამოართვეს მკერდზე მიხუტებული მუთაქასავით ხვეულა, შემოხსნეს შალი, მოხადეს ნიკაპთან გაბანტული, ნარბებამდე ჩამოფხატული ქუდი და, ერთი დაგვიხედეთ, ეს ვინ ყოფილაო – მოგვანათეს შუქიანი მზერა „კაკლის მურაბებმა“.

გადადის პატარა ბიჭი ხელიდან ხელში, ეფერებიან, ენას უჩლექენ, ეგრე უნდა, რომ ალარ გვეადრულობ, თავი რომ მოგვანატრეო, სუფრაზე განსხვავებული სასმისივით ჩამოატარეს და, ვიდრე პაპა ჩაისვამდა კალთაში, მე ავიყვანე ხელში, ღაულაჟა, ლოყადაბერილი, გაოგნებული ასეთი ხმაურიანი დახვედრით...

– ეს ბიჭი შენ იყავი...

– რას ამბობთ!

– ჰო, გუშინდელი დლესავით მახსოვს... ყველამ გადლეგრძელა და მერე თამადამ ცხვირზე თითო მოგიცაცუნა, ახლა შენც გვითხარი რამეო.

– იტყვის, რატომაც არა! – ცხონებულმა პაპაშენმა, გიორგამ თევშები მისწი-მოსწია და მაგიდაზე დაგაყენა.

ხან ერთი ლექსი თქვი, ხან – მეორე,

ახალენაადგმულის კვალობაზე, ენის ჩლექვით, ბორძიკით.

ახლა ისაო, ჩვენ რო ვიცითო, წაგა-ქეზა მამამ.

გათამამებულს რაღა წაქეზება გინ-დოდა:

– მუხრანიდან პატარძალი მოსყამ-დათ (მოჰყავდათ კი არა, მოსყამდა-თო)... ჰოდა, მოსდევთ მაყრიონი.

საყევარზე პატარძლის ძმა იჯდა.

იარეს, იარეს და, დააყე, ბიჭო, დაა-ყეო, დაუძახეს უცებ მეურმეს.

რა იყო, რა მოხდაო.

რაღა რა მოხდაო, პატარძალს ეფსი-აო! – დაამთავრე და ოვაციის მოლო-დინში გაიტრუნე.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე – რაო, კაცო, რა თქვა, ამ ბავშვმა, პა-ტარძალს რაო? – იფეთქა სიცილმა და შენც, პატარძალს ეფსიაო, უფრო თა-მამად დაიძახე.

ატყდა უარესი გნიასი.

რასაც ამის ენა არ იტყვისო, ხელახ-ლა გადაგაბურთავეს.

დედაშენი იდგა, ხელებწინწამოწე-ული, შემკრთალი ლიმილით, თითქოს ეშინოდა, ვინმეს ძირს არ დავარდნოდი.

– აბა, ეგრე იყო ეგ ამბავიო!.. – ოთ-ხმოცდარვა წლის პაპა ანდროს რბილი, თბილი ხელი ნიკაპზე მეფერება.

მერე სხვაც გაიხსენა:

თექვსმეტი წლის დედაჩემს თურმე ვილაცაზე გათხოვება დაუპირეს.

მაგას რა გამაყოლებსო, შეიცხადა, მაგრამ ყური ვინ უგდო, ამოიჩემეს მშობლებმა, კარგი სამოყვრო, ღონიერი ოჯახიაო და ამანაც საჩქაროდ და-ქალის ხელით აფრინა უსტარი გულის სწორთან, წამიყვან, წამიყვან, არადა, ამაღამ მოდიან დასანიშნად და მერე გვიან იქნებაო...

გაატანა წერილი და, საღამო ხანზე, ვიდრე სიძე-მაჭანკლები თავს დაუკ-რავდნენ, სახლიდან გაქრა.

მოვიდნენ სტუმრები, მოკეითხეს გოგო, მაგრამ სად ნახავენ – არც სამე-

ზობლოშია, არც საპიძაშვილოში – გადატრიალეს სოფელი... რა იცოდნენ, რომ იქვე, თონეში იყო დამალული და ზედ ფიცრები ჰქონდა წაფარებული.

რა ვიცი, რამდენ ხანს გაძლო ამ მდგომარეობაში, შუამავალმა ფიცარი რომ გადახადა, ამოდი, ეკლესიასთან გელოდებაო.

ამოვიდა კი არა, ამოფრინდა.

გულის სწორი, ერთი თავზეხელალებული, ზემოსოფლელი ჯეელი გაუძღვა წინ, მოკლეზე, მინდვრებით გაიტაცა, თან ერთი-ორჯერ ნაგანიც დააქუხა, გამომედევნოს ვინც ყველაზე მაგარიაო.

გაჰყვა და მიაყენა ბედმა თავის ახალ ოჯახს – საწყალს, ღარიბულს.

რა დაიმალება – იმ ღამესვე გაიგეს ვისთან ერთადაც გაიპარა.

რაიო, შეიცხადა, მუხლები გამოითქვიფა სასიდედრომ, ცოცხი რომ მოუსვა, ცოცხი, არაფერი გამოგყვება, თავისთვის რა აოხრიათ, ეს ჩემი შვილი როგორდა უნდა შეინახონო...

მეორე დღეს ავიდა პაპაჩემი, ჩუმად, მალულად, მამლის ყივილობას, ცხენზე ამხედრებული „დაეცა“ სამძახლოებს, ჩუმად შეიჭყიტა ეზოში და რას ხედავს – ახალი პატარძალი უკვე ეზოშია, ცოცხით ხელში.

ცოცხალი და ჯანმრთელი რაკი დახვედრია, გული აჩუყებია და დამშვიდებული გამობრუნებულა.

წყენა მაინც კარგა ხანს გაპყოლიათ, ჩემს გაჩენამდე.

დედაჩემი რომ გაბრაზდებოდა ხოლმე თანამეცხედრეზე, ვეტყოდი, ახია შენზე – ბედი კარზე მოგადგა, გაპყოლოდი და მამაჩემსაც ასცდებოდი-მეთქი.

ცოტას დაფიქრდებოდა, დამაკვირდებოდა, სერიოზულად ვეუბნებოდი თუ არა და თავს მტკიცედ გადააქნევდა:

– რას ამბობ, იმას მაინც ამის უხასიათობა მირჩევნიაო.

გირჩევნია და შენი ხმა აღარ გავიგო-მეთქი.

რას ვერჩოდი, გული რომ მოუვიდო-

და, სიტყვაც არ ეთქვა? ახლა ხომ არიან უბრად, დამდურებულებივით, სოფლის სასაფლაოზე.

მაინც ერთმანეთზე უკეთესი ვინ ჰყავდათ!

სიზმარში ვიღაც შემაჩერებს  
ცარიელ ჩარჩოს,  
დედას მწუხარე, თმები გაშლია,  
ბევრი წავიდა, ვისაც ჩემი ბავშვობა  
ახსოვს,  
თუ ვინმე დარჩა, ისიც გზაშია.  
ახლაც სუფრაა.

თამადობს პაპა ანდრო, ოთხმოც-დარვა წელი მსუბუქი თავთიკივით რომ მოუგდია მხრებზე.

გაბრწყინებულ ფანჯრებში ძველი ახალი წლის თოვლი იყურება, ხეივნის სარდანზე, უფოთლო ტოტებზე დაკონწიალებული ყინულის ჩურჩხელებით და ისევ გულუხვად ფიფქავს, მოდის ცის წყალობა, წმინდა, კრიალა, როგორც ის ამბები, ახლა რომ ვიხსენებთ:

– მაშა, კაცო, ეგრე ამბობდი, „დააყე, ბიჭო, დააყეო!..“ – ჩახითხითდება პაპა ანდრო, – პატარძალსაო...

მობილურით დავიწყეთ და ხედავ, სად მოვედით.

ნეტა, ვინ იყო ის პატარძალი?

### 3. წითელი წილაპა

– ჰოდა, იმას ვამბობდი, აუჭერს-ჩაუჭერს, ეს ჩვენი ღინღლა... თუმცა რა ჩვენია, მეხი მაგას დასცემია, შემთხვევით შემოესწრო ჩემი ბიჭის ქორწილის მეორე დილას ეზოში გაშლილ სუფრას.

მოეკიდა, მაგრამ მაინც ბოლომდე ყლურწავს, წვეთს არა ტოვებს. მერი-ქიფეს – ჩემს უმცროს ბიჭს თვალით ვანიშნე, ცოტა მოუკელი, ჭიქას ბოლომდე ნუ გაუვსებ-მეთქი.

ღინღლას რამეს გამოაპარებ? ახლა იმას აუხირდა, შენაო, ძმისშვილო, ჩემი წილი არაფერი დამაკლო, თორემ ძიასთან გექნება საქმეო, გაძვალებულ მკერდზე თითო მიიკაკუნა.

ამასაც რა ექნა, უფროს კაცს ხო არ აუხირდებოდა, მარტო კბილები დააკრაჭუნა და ვიცი, მამაილაა, სადამდეც მოსათმენია, მოითმენს და მერე...

მიუმარჯვა ჭიქა ამან, ღინდლამ და ეგრევე ჩაუჩეაფუნა, მოაპირქვავა საღვინე. ისევ „დავემუქრე“, თვალებით, რა თქმა უნდა, ჭყუას მოუხმე-მეთქი.

აჩერჩა მხრები, ვითმენ, მეტი რა ვქნაო.

კიდევ არ ასვენებს ამ ჩემი ცოდვით სავსეს გამჩენი. ეს ჩემი ქმარი, თან მასპინძელი, თან თამადა, აყალმაყალს ხო არ ატეხს საკუთარ ოჯახში, უთმენს, ხუმრობაში უტარებს, თუ ჩემი ნათქვამი არ მოგწონს, უკეთესად შენა ბრძანე, ოღონდ მაცალე, დავამთავრო, სადლეგრძელოს ჩამორთმევა რა საკადრისიაო. ცოტა ხნით ჩაცხრობს, ჩააშოშმინებს, მაგრამ, ღინდლა თუ ატყდა, ვიღაა ამის გამჩერებელი.

გვაჩვენეთ, ხალხო, პატარძალი, ვისია, სადაურია, თქვენ რომ დაგინათესავდნენ, შვილი გადასაგდები ჰყავდათ თუ რააო.

ღინდლამ იჯახი როგორ უნდა გიხსენოს, ქაა, თავისი მატრაკვეცა ცოლ-შვილის პატრონმა.

აჰერა ალმურმა ამ ჩემ ქმარს, აეწვა ღანვისთავები და მოვუარე ზურგიდან, ვიდრე ცეცხლი აბურბურდება, რომ დროულად ჩავაქრო.

ახლაც მოითმინა, მაშ, აბა, შენ ეგა თქვი, ლამაზი, ნასწავლი და ყოჩალი გოგო ჩვენთვის როგორ გაიმეტეს, მაგრამ ხო გაგიგია სიყვარული ბრმა არისო.

კიდევ რაღაც გაიხუმრა ღინდლამ უშინოდ, უგერგილოდ.

დაანახვა ჩემმა ქმარმა მწვანილ-ში მიმალული ყვითელი ბულგარული წინაკა და ვითომ ხუმრობით უთხრა, ეს საჭმელად მოტანილი არ გეგონოს, ვინც სუფრას ამირევს, იმას უნდა ვაჩვენო – გაფრთხილება მივცეო.

თუ მაინც არ დაგემორჩილა, მერეო? მერეო, ჩემო ბატონო, თუ მაინც კი-

დევ აურია, სხვა საშუალებაც გვაქვსო, – მწვანილიდან ახლა მამლის ბიბილო-სავით გადარკალული, წითელი წინაკა გამოილო და მაღლა ასწია, მეორე გაფრთხილება და იმის ჯანიო.

ატყდა სიცილ-ხარხარი, რასაც შენ არ მოიგონებო.

გაისუსა, მოიღუშა ღინდლა, ჩაქრა წყალმოპკურებული ნაცარტუტივით, ჩაწყვიტა ხმა, მაგრამ ნეფე-პატარძალი რომ შემოვიდნენ, დალია კიდევ და ისევ გადაუბრუნდა გონება, აუტყდა პატარძალს, მაშ, მართალი არ ვყოფილვარ? ამ მამუნ დაგვაჯულს როგორ გაჰყევიო, ვითომ თვითონ მხარბეჭს ვეღარ ერევა... ეტყობა „პლარწიპლურწებით“ მოგხიბლეს, თორემ საამათოდ ვინ გაგიმეტებდაო.

ერთხელ თქვა, გაიცინეს, მეორედაც გაიცინეს, მესამედ, ძაან რო შააწუხა ნეფე-პატარძალი, დამკვრელებს ანიშნა ჩემმა ქმარმა, აბა, ერთი თქვენებურად შეუბერეთო, გაშლილ მარჯვენა ხელში დაიჭირა წითელი წინაკა, ცეკვა-ცეკვით სუფრას შემოუარა და ღინდლას-თან გაუსვა ცერი, გადმოდი ერთი, ცეკვაში გნახო რა ბიჭი ხარო.

ისიც ყინჩად გადმოხტა. დაბზრიალდა ჩიკორივით, ჩაბუქნა და ნამეტანი მოუვიდა, გადაიზნიქა, უკან წაყირავდა, მაგრამ დაჰერა ხელი მიწას და მაშინვე ყოჩალად წამოხტა. ტაში-ტუში, ტაში-ტუშიო, წრეს შემოუცეკვა... აცალა ჩემმა ქმარმა და გულნაჯერებმა ღინდლამ როცა სუფრას-თან მოინდომა დაბრუნება, წინ ჩაუდგა, აქეთ ალარ გამოუშვა, რამდენჯერაც გამოიწია, იმდენჯერ აეფარა, თან, აკი გითხარი, ცხვირთან იმ წითელ წინაკას უთამაშებს.

წვალობს ღინდლა, ხან მკლავქვეშ სცადა გამოძრომა, ხან – შემოვურბენო, იფიქრა, მაგრამ ჩემი ქმარი კედელივით აღიმართა, გასაქანი არ მისცა, უკან-უკან დაახევინა და თვითონაც მიჰყვა...

მიუხვდა ღინდლა იჯახის უფროსს განზრახვას, მაგრამ რა ექნა, იხტიბარს

ხომ არ გაიტეხდა, კიდევ სცადა დას-  
ხლტომოდა, არწივივით გამოენავარდა  
სუფრისკენ... ვერაფერი გააწყო, თამა-  
დამ ეგრე, ცეკვა-ცეკვით მიაბუნძულა  
ეზოს ბოლომდე... ღია ჭიშკართან ჩა-  
უდო ჯიბეში წითელი წინაკა და, აბა,  
როგორც მოსვლით გვასიამოვნე, ისე  
წასვლით გაგვახარეო...

ღინდლა გაისტუმრა, უკანაც ცეკვა-  
ცეკვით წამოვიდა, პატარძალთან თავი  
დახარა და, ჩემო რძალო, არც ისეთი  
უხეიროები ვართ, როგორც დაგვახასი-  
ათეს, ახლა მე და შენ უნდა ბური ავა-  
დინოთ აქაურობასაო.

ჩაეთამაშა ისიც და... ეჰ, რა ბედნი-  
ერი დღე იყო.

არა, „პლარნიპლურნი“ მაინც რამ  
მოაფიქრა, ქაა, იმ ცოდვის კოკორასა,  
იმასა, არ გიკვირს?

#### 4. ინანიშვილის გმირები

მივდივართ კი არა, მივლოლავთ. ალაგ-  
ალაგ, ნაურმალი რომ გატკიცინდება, იქ ავუჩქარებთ ხოლმე, თუ არა, ხტუნავს  
ქვა-ლორლზე ვილისი, გვტანჯავს და  
იტანჯება, ყელში გვადენს, რაც ახლობ-  
ლებთან სტუმრობით ვისიამოვნეთ.

დედაქალაქისკენ წამოსასვლელად  
საპალურზე უარი ვთქვით, აქეთ, საა-  
რაგვოსკენ ავიღეთ მოკლეზე გეზი.

გამოვცდით ჩაბნელებულ თიანეთს,  
ძველი ნაგზაურიდან თანდათან მალა-  
მალლა, უდაბურ სიჩუმეში შევედით და  
ვიღაცას მივადექით, შეუ გზას დამდგა-  
რი, ხელკეტიანი რომ მილაყუნობდა.

მადლი ვქნათ, დავიმგზავროთო, მით-  
ხარი.

დავიმგზავროთ-მეტქი.

უცნობი თავის ჯოხიანად უკანა სა-  
ვარძელზე მოთავსდა.

სალამიო – მოგვიგდო მოკლედ და,  
ალბათ, გზაში დაწყებული ღილინი გა-  
აგრძელა.

მოვდივართ. არც ორმოები თავდე-  
ბა, არც ოლროჩოლროზე ნაწვალები,

განელილი სიმღერის ხმა.

– ბულბულო, სიმღერა და რადიო  
რომ მდომოდა, მაგნიტოფონი აქ არა  
მაქვს? სამღერლად კი არ ჩაგსვი...

– რა გშურს თუ მეღიღინება... ამ  
დედანატირებ ცხოვრებაში კაცს ემღე-  
რებოდეს და როგორ უნდა დაუშალო...  
მიაყე გვერდზე, უნდა ჩავიდე!

– რო არ მივაყენო?

– კაი კეტს გამომტყუებ!

– ეე, აჲა, მოდი და მადლი ქენი... ხო  
გითხარი, არ ჩავსვათ, შარს წავეკიდე-  
ბით-მეტქი, – ვითომ მე შემომწყერი.

– დაყვედრებული მადლი რაღა მად-  
ლია.

– შორს მიბრძანდებით? – შეცვალე  
„პლასტინკა“.

შორს არა, მაგრამ არც ახლოსაო,  
თანაც მივბრძანდები კი არა მივეთრე-  
ვიო, ეგრე უფრო შეჰვერის ჩვენს ძალ-  
ლუმადურ ყოფასო.

– ეგრე რათ გველაპარაკები, გულმო-  
სული, შენ თუ დალიე, განა ჩვენ მატყლი  
კი არა ვჩერჩეთ... რატო არ გაგვეცნობი...

უჭიქოდ გაცნობა არა მწამსო, თა-  
ნაც ამ შუალამეში ერთმანეთს დავიხ-  
სომებთ თუ რააო! – აჭრაჭუნებულ სა-  
ვარძელზე გვერდი მოინაცვლა, ვილის-  
მაც ღონივრად ჩაჰკრა ორმოში და გაბ-  
რაზებულმა დაიღრინა, გაგრძელებული  
ბოყინით ხრაკის სუნი ამოიქარვა.

მივხედე. მართლაც, რა უნდა დაინა-  
ხო, როგორ დაიმახსოვრო, ზის მხრებ-  
ში მოხრილი, კეტჩაბლუჯული, თითქოს  
ეშინია, არ წავართვათ და მარტო თვა-  
ლები უბრიალებს ღუმელთან ნაწოლი  
კატასავით.

– ძიაკაცო, სადაური ხარ, ეგ მაინც  
გვითხარი, – არ ეშვები.

– სადაური ვიქნები, აქაური, ფშავე-  
ლი. ლაპარაკზე მაინც ვერ მატყობ?

– სად აქაური, იმ ადგილს სახელი  
არა აქვს?

– რატომ არა აქვს, იმის მტერსა და  
დამანყევარს ნუ ჰქონია... საქართველო  
ჰქვია.

– სადაც დაიბადე, ფეხი აიდგი, სო-  
ფელ-ქვეყანა იცანი, ეგ მაინტერესებს,  
თორე საქართველო დიდია.

– ეჱ, ნეტამც დიდი იყოს... სიდიდისა  
რაღა ეტყობა! – ისე ამოიოხრა, გული  
ჩამწყდა.

(გახსოვს, ტუშურო, იმ ჩვენს თანამ-  
გზავრს მაშინ ეპატარავა საქართველო  
და ახლა რაღას იტყოდა).

– საქმეზე ვიყავი – ქვრივ, მარტო-  
ხელა ნაცნობ დედაკაცს ტომარა ფქვი-  
ლი მივაწოდე და არაყი გამოვაზდევი-  
ნე... მერე არ მომეშვა, ქადები დააც-  
ხო... თუ გაქვთ რამე, ახლაც დავლევ,  
თუ არადა, ჩემთან ჩავიდეთ.

– სად ჩავიდეთ ამ ტრიალ მინდორსა  
და ხევხუვებში?

– თქვენთვის არის ტრიალი, თორემ  
ჩემთვის...

ამონათდა ბადრი მთვარე, გაღმა-გა-  
მოლმა ერთიანად გადანაცრისფრდა.

– რაო, იმ ნაცნობმა ქვრივმა, არაყი  
და ქადა გაკმარა მარტო? – არ უსვენებ.

– აბა, აბა, დაუკრეფავში ნუ გადა-  
დიხარ!

– რათა, დაუკრეფავში, მადლია...  
მოპარულ ხილს სხვა გემო აქვს.

– დახრჩობაც იცის იმ მოპარულმა  
ხილმა.

– ეგრე თუ ვიფიქრეთ.

– თუ არ ვიფიქრეთ, რაღა განსხვა-  
ვებაა ჩვენსა და საქონელს შორის. არ  
გამაბრაზო, ბალლო, პირი არ აიმყრალო!

– რათა, არ ეკადრება?

– ჩემგან არა... ყველას კი არ შეუძ-  
ლია, კამკამა წყალში ტალახიანი ხელი  
ჩაყოს.

– ვინ არის ის ქვრივი, ეგრე ცივ ნი-  
ავს რო არ აკარებ... გამოტყდი!..

– კარგი ვაჟუაცის თანამეცხედრე  
იყო... რო კვდებოდა, უღონო თითები  
მაჯაზე მომიჭირა, მე თუ მივდივარ, შენ  
ხო აქ რჩები, ყურადღებით იყავ, ვინმემ  
სირცხვილი არ მაჭამოსო... „ვინმე“ იქ-  
ვე იდგა და გამლლვალი სანთელივით  
დნებოდა... მე ფქვილი მივუტანე, იმან

წინდები დამახვედრა, შენთვის დავ-  
ქსოვე, ზამთარში არ გამიცივდეო...  
დაძმობა გვაქვს ნათქვამი... რა ვქნათ,  
სინდის-ნამუსა თუ არ გავაძლებინეთ,  
გადაგვივლის დაუნდობელი ცხოვრე-  
ბა... ვიდრე თოვლი ჩაგვეტავს, კიდევ  
ვინახულებ, მარტოხელობას არ დავა-  
ჩაგვრინებ...

ხმა ვეღარ ამოვიღეთ.

თავი გადააქნიე და ჩამჩურჩულე,  
ხედავ რა ჯიგარი ვინმე ყოფილაო?

რა უნდოდათ, რას დაეძებდნენ იმ  
ყიამეთში, ვერ გეტყვი – საიდანლაც  
აღავლავებული ძაღლები აგვედევნენ,  
კარგა ხანს გვდიეს კბილების ღრმულით  
და ვაი-უშველებელით, ჩვენ რომ ვერ  
მოგვწვდნენ, ვილისს ლამის გვერდები  
გამოაცალეს.

ჩამოგვრჩებიან და ისევ გვეწევიან,  
ებლოტებიან მანქანას, თანგირა ქვა-  
ბების ძირივით თავებს საქარე მინას  
უხათქუნებენ.

მიდით, იხმაურეთ, იგნიასეთ, მტერ-  
მა არ იფიქროს რომ გვძინავსო, ეს ჩვე-  
ნი თანამგზავრი აქედან აქეზებს გაავე-  
ბულ მყეფარებს.

უცებ – გამიჩერეთ, ჩემ ჩასახვევს  
უკვე გამოვცდითო.

გავიხედ-გამოვიხედე, არსად სი-  
ნათლე ან სიცოცხლის ნიშანწყალი არ  
ჩანს, როგორ მიხვდა, სად უნდა ჩასუ-  
ლიყო, ვერ გავიგე.

ყნოსვითაო, განა მშობელს თვალდა-  
ხუჭული ვერ იცნობო? – მკითხა.

ხელები ავუნიე, ცამდე მართალი  
პრძანდებით-მეთქი.

გამიჩერეთ, სადღა მიგყავართო.

– ამ გაველურებულ ძაღლებს გა-  
ვერიდოთ, თორემ ეგრე გაგვგლეჯენ,  
ჩვენგან ამოსაცნობსაც არ დატოვებენ.

– გაგვგლეჯენ რა, განა შინაურ-გა-  
რეული არ იციან, გადავალ და აბა, ნა-  
ხეთ, თუ შემჭამენ!

მანქანა გზისპირზე, მოსახვევთან  
მიაყენე.

ფარებმა სიპი ქვით ამოყვანილ თაღ-

ში, მილიდან გადმოჩეფილი წყარო გაანათეს.

ჩამორჩენილმა ძალლებმა ისევ „აკრიფეს“ სიჩქარე, მოცვივდნენ, მაგრამ ამან ჯერ დაუყვავა, მერე დატუქსა, როგორ ვერ მიცანითო და იმათაც ტრინი შეცვალეს, თითქოს დაიმორცხვეს, კუდი აუქიცინეს, ფეხებზე გაეგლისნენ, ალერსიანი წკმუტუნით მუხლებზე აეპლოტნენ.

მისი ხათრით აღარც ჩვენ გვიუცხოვეს.

კაცმა უბიდან ქვრივისგან გამოტანებული ბოთლი ამოაძვრინა, თქვენზე კაი ხალხთან ვისთან დავლევო, შენ კიდევ მანქანიდან დედას გამომცხვარი მხლოვანა გადმოიღე და მეტი რა გვინდოდა.

ვიღაც მადლიანს წყაროს თავზე თუნუქის „კრუშკაც“ შემოედო.

გავიმართეთ წელში, ჩამოვასხით არაყი.

ორ-ორი დავლეთ და, ნურცა იხაროს მტერმა ჩვენზედაო, წაილილინა არაყის პატრონმა.

ჩვენც ავყევით.

ვდგავართ წყაროსთან სამი კაცი, ორი ოთხფეხი და ვმდერით თუ შევყუით მთებზე, საშემოდგომო ტყეებზე დამხობილ კუნაპეტ ცას, სივრცეებში გაჭრილ სარკმელივით, გაფერმკრთალებული მთვარის ოვალით რომ იტაცებს ჩვენს ხმას და უსაზღვროებაში მიაფრენს.

– ჰე, ჰე, ჰეე!.. – გავძახეთ და, ო, დიდება შენდა ღმერთო, ვიღაც გამოგვეპასუხა, საიდანდაც, მარცხიდან თუ მარჯვნიდან, წინიდან თუ უკნიდან, იქნებ ოთხივე მხრიდან.

აგვყვა, აგუგუნდა უტყვი მდუმარება.

უფრო ომახიანად შევუბერეთ.

ჩემი რა ვთქვა, მაგრამ თქვენ კი მართლა კარგად მღეროდით.

– ეე, ბიძაჩემო, ეს რა დაგვემართა, ლამის მტრებად არ დაგშორდით? – გადაეხვიეთ ერთმანეთს.

აბა, აბა, კიდევ კარგი სირცხვილი არ ვჭამეთო, ყურის ბიბილო მოფერებით მომისრისა და ვიგრძენი ნაჯაფი თითების „ხაო“.

„დავაყუდეთ“ ის შვიდასგრამიანი ბოთლი.

წამოდით, ოჯახი გამიხარეთ თქვენი სტუმრობითო.

ვიუარეთ, სხვა დროს იყოსო.

გამოთხოვება ხანგრძლივი იყო და მთვრალების კვალობაზე სევდიანიც.

წავიდა კეტის კაუნით, ლილინით, ქვა-ლორდზე აბრაგანებული, ადევნებული ძალლებით.

მაშ, საკვირველი არ იყო, ეგრე ჩავათავეთ ფეხზემდგომელა „სუფრა“ (ახლა ლანჩის რომ ეძახიან), არც იმას უკითხავს სახელი და არც ჩვენ. სულ ძიათი და ძმისშვილოთი მივმართავდით ერთმანეთს.

ერთი ის ვიცოდით, რომ დურგალი იყო...

რა მოგასვენებდა, მაინც გაიკითხე და გაიგე ჩვენი თანამგზავრის ვინაობა – იგივე გზაზე, უინგალიდან წამოსულმა, იმ წყაროს სიახლოვეს, საკვირაო ბაზრობაზე მიმავალი დედაკაცები და-იმგზავრე.

მწირი, „ამოსაცნობი“ ნიშნების ჩამოთვლის შემდეგ ერთ-ერთი მთლად მისი მეუღლე გამოდგა.

რათა ჰკითხულობთ, მომიკვდეს თავი, ცოტა მძიმე სიმთვრალე აქვს და ხო არაფერი გაკადრათო, შეწუხდა თურმე ჩვენი „ნაცნობი უცნობის“ თანამეცხედრე, მერე – ჰოო, გამახსენდა... როგორც აღწერეთ, ჩემი კაცია, იმ ლამეს ძალიან ნასიამოვნები დაბრუნდა... ვის-თან იქეიფა, სახელები კი ვეღარ გაიხსენა, კაი ბიჭებთან დავლიეო...

– არ გვითქვამს და როგორ გაიხსენებდა.

– ანდა კაი ბიჭებს რალა სახელები უნდათ... თვითონაც კაი ბიჭია! – მანქანიდან მიაყარა ქოქოლა, – მაგის ხელში რას უნდა მოვეწიო, არ ვიცი...

ზამთრისთვის შეშა რომ ვიყიდეთ, და-  
ხერხა და გასაშრობად ეზოს ნინ დააწ-  
ყო. შევხედე ერთ დღეს და ვხედავ, ცალ  
მხარეს აკლია, – მიუბრუნდა ქალებს,  
– ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ  
ეგეთი თვალი მაქ... მეორე დღესაც...  
მესამე დღეს – დავუყარაულოთ-მეთ-  
ქი... დამანებე თავი, არაფერიც არ აკ-  
ლიაო, მაგრამ მოვეშვებოდი?.. ბოლოს  
და ბოლოს, ფულია გადახდილი... ტყე-  
ში ვცხოვრობთ და შეშასა ვყიდულობთ,  
გაგიგონიათ? ეგეთია, ისედაც გაჩეხილ  
ჩვენი ტყის ნედლ ხეს ცულს როგორ  
დავკრავო... ვდგევართ მოფარებულში  
და უკვე მებუზლუნება, შენ უყარაუ-  
ლე, მე აქ გამჩერებელი აღარა ვარო,  
რომ გავიხედოთ და, არ მინდა სახელი  
ვთქვა, ქურდი ღობე-ღობე მოიპარება.

ხო უნდა ვაცალო, რა ვიცი, ეგეთ  
თავის გზას ადგას.

რომელ თავის გზასა, გაშალა სა-  
ხორბლე მეშოკი და მიადგა დახორავე-  
ბულ შეშას.

წავკარი მუჯლუგუნი, რაღას ელო-  
დები, დასჭყივლე მაინც, თორემ დაი-  
ზურგება და გააძუგძუგებს-მეთქი.

მოიცა, ქალო, მოიცაო, – დგას შე-  
ლოცვილივით გარინდებული.

ვლანძლავ, ვჩემეტავ გვერდებში,  
დაბდურო, რისთვის გინდა ეგ დასადუ-  
ნებელი მკლავები, ეგრე განიავდა შენი  
ცხოვრება შინაურებისაგან თუ გარეუ-  
ლებისაგან-მეთქი, მაგრამ ესმის?

გაჩე, ქალო, ცოტა ბნელში მიდექ,  
არ დაგვინახოსო.

ამან სუ გამაგიჟა, მპარავენ და კი-  
დევ მე დავიმალო-მეთქი.

აბა, ამ ხნის კაცს საქვეყნოდ ხო არ  
გამოვაჭენებთო... ისე რო გაუჭირდე-  
ბა, იღლია შეშას მოიპარავს, საბრალო  
და ცოდვაა... ამის გამო ქვეყანას უნდა  
შერცხვეს, ქვეყანასო.

შერცხვეს, მაშ! აგე, სირცხვილით  
სუ სახე ეწვის, მიდი, მიეხმარე, მეორე  
იღლიაც მიაშველე-მეთქი.

მივაშველებდი, მაგრამ იუხერხუ-

ლებს... წამოდი, თავი გაანებეო! – აბ-  
რუნდა სახლისკენ და მეც რა უნდა  
მექნა... სუ ეგეთი იყო, ახალგაზრდო-  
ბაშიც და ძველგაზრდობაშიც, და ახ-  
ლა როგორ შევცვალოვო, დაამთავრა  
თურმე ქალმა მონოლოგი.

ვაპირებდით, მოვინახულოთ, თითო  
ტომარა შეშა ეგებ ჩვენც არ დაგვაყ-  
ვედროსო, მაგრამ დღესა-ხვალაობაში  
ეგრე გაგვიქრა წლები, ვერ მოვახერ-  
ხეთ.

მართალი ყოფილა, გადადებული ეშ-  
მაკისააო...

მაშინ რა საქმეზეც ვიყავით, ფშავ-  
ში, ტელეფონით რომ მოგვეგვარებინა,  
გავიცნობდით იმ კაი კაცს? ამით თით-  
ქოს არაფერი შეგვმატებია, მაგრამ გა-  
ნა ცოტაა, იმედი რომ მოგვეცა, რაკი  
ასეთი კაცები დადიან, ქვეყანაც უნუ-  
გეშოდ თავზე არ ჩამოგვექცევაო?

იმ შევედრას რომ ვიხსენებ, იცი კი-  
დევ რასა ვდიქერობ ხოლმე? – სამყა-  
როს ცენტრი „მოძრავია“.

ვაუა-ფშაველა როცა ჩარგალში იყო,  
სამყაროს ცენტრი სწორედ ამ პატარა,  
მიყრუებულ სოფელში გადაინაცვლებ-  
და, აქაურობას დანათოდა მოგვების  
მონიშნული ვარსკვლავივით, აქ ჩუხჩუ-  
ხებდა ადამიანის აზროვნების ყველაზე  
სისხლსავსე არტერია. მაშინ წყალუხვი  
ამაზონი კოჭამდეც ვერ მისწვდებოდა  
პატარა ჩარგლულას, ვერა!..

ბევრს უნდა, მაგრამ უფლის კალთი-  
დან ვერ გადმოგვყრიან და ვერ დაგ-  
ვკარგავენ, იმ ჩვენი „უცნობი ნაცნო-  
ბი“ კაცის საძირე ისევ აიტანს ზეცი-  
ურ უსასრულობამდე ერის უკვდავების  
კენწეროს.

•

მეტყვი, კალამი გაგექცაო.

შეიძლება ასეც იყოს, მით უმეტეს,  
სერვანტესს თუ დავუჯერებთ, კალამი  
სულის ენა ყოფილა. თუ გამექცა, სუ-  
ლის მიზეზით მომხდარა და მე არაფერ

შუაში ვარ, რაც ამომძახა, ის დავთესე ფურცელზე, აი, ეგრე, ხელუკულმა მოვაფრქვიე.

რა ვქნა, რაც ამოვა, ამოვა.

განა ჩვენ კი, ვისაც ჯანმრთელობის ცნობა გვიდევს მარცხენა გულისჯიბეში, გამუდმებით სიბრძნისა და სიგიურის გზანვრილს არ ვადგავართ? თანაც სახედარზე ამხედრებული ჩვენი ჩალხანა საჭურველმტვირთველი ჩრდილივით მოუცილებლად არ მოგვყვება?

მაშ, რად გვიკვირს იმათი სიგიურ, ვინც ჩვენ არ გვეთანხმება ანდა ჩვენ-ნაირად არ ფიქრობს?

განა რამდენ კაცს სჯეროდა წმინდა მამა გაბრიელის ღვთის რჩეულობა!

ჩვენს თვალწინ ღვანწლს შემდგარი გულის ნადებს სიყალბით არ ნიღბავდა, ადამიანთა ფიქრებს შეუმცდარად კითხულობდა, ბილნ სურვილებს ამხელდა, სულმდაბალ ზრახვებს ჭუჭყიანი თეთრეულივით აგვიფრიალებდა ხოლმე და მაინც არ ვუჯერებდით... თუმცა, რა გასაკვირია, მაცხოვარს არ დაუჯერეს და განა ორი ათასი წლის შემდეგ უკეთესები გავხდით, დონ-კიხოტის ანდა მამა გაბრიელის რომ გვერწმუნა?

რატომაო?

იმიტომ, რომ ჩვენში დაშრეტილია ის სულიერი ენერგია, რაც ღვთისა და ერის რჩეულთ ჰქონდათ, არ შეგვეძლო, არათუ მათი მკაცრი ცხოვრებით გვეცხოვრა, არამედ გვეთანაგრძნო მაინც, თავ-თავისი გოლგოთისკენ მიმავლებისთვის უმადური მზერა არ გაგვეყოლებინა.

საითკენ მივდივართ, საით გვეწევიან ჩვენი უმწეო, ცოდვილი სულები? დღევანდელი იორდანე ივარგებს ახალი ღვთისშვილის მოსანათლად?

აქ ტრივიალურ მოძღვრებაზე, სიკეთეზე ან, ღვთისა და ეშმაკის მონიშნულ ორიენტირებიდან რომელს ავირჩევთ, ამაზე არ არის ლაპარაკი. ეგებ არის მესამე, იქნებ, მეოთხე, მეხუთე გზაც?

(„გზას ვიტყვით, თორემ რა გზაა“).

ანდა ქვრივთან მიტანილი ტომარა

ფქვილი თუ იღლია შეშა განა დიდების კვარცხლბეჭზე შემოვდეთ და საქვეყნო ზარი დავარისხეთ – ქრისტიანი კაცი მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ექნა, რატომ უნდა გაგვკვირვებოდა და შეგვესხა ხოტბა!

კაცობრიობას საარაყე ქვაბის ზარფუშივით დაახურეს მორიგი, კიდევ ერთი, საერთო ტყუილი, ამ ტყუილის ქვეშა ვართ მოქცეული რაოდენობრივად მცირე ერები, ვინვით, ვიხრუკებით, მაგრამ ქვაბის ახალი პატრონი შეშას თუ მიამატებს, თორემ ქვაბს ცეცხლს არასდიდებით არ გამოუკეთებს!

სსრკ-ის სანაგვედან თავგამოყოფილებმა ხეირიანად ვერ მოვასწარით თავისუფლების ჰაერის ჩასუნთქვა, მაშინვე ნისკარტში წაგვნვდნენ, მეტი არ მოგივიდეთ, შეუჩეველები ხართ და ფილტვები დაგისკდებათო.

მაშინ თუ კრემლის კურანტების კარნახზე უნდა აგვეწყო ნაბიჯები „მონობიდან თავდახსნილებს“, „მემრე“ იმდენი პატრონი გამოგვიჩნდა...

ახალმა მსოფლიომ, „ორთქლი“ რომ არ გამოიპაროს, საგულდაგულოდ დაატალახა ზარფუში, ჩვენი ვითომ დაცული უფლებების გამონასკვულ ყულფში თავი გაგვაყოფინა და ველოდებით, სკამს ფეხს როდის გამოჰკრავს.

იმ გზაზეც აღარც ჩვენ გავივლით და აღარც ის კაცი, მეგობარსაც და მეგობრის ქვრივსაც მობილურით მოვიკითხავთ, ვალს მოვიხდით მხოლოდ და ასე თანდათან გაცივდება გრძნობები... მაშინდელი ნაგაზების შთამომავლები, ახლა დაკოდილი, ჩამოქალაქებული ძალლებიც ვეღარ იყეფებენ ისე ომახიანად...

მოკლედ, იცი, რას გეტყვი, ასე მგონია, „იზლერის ბალები“ მართლა არ გინახავს, თორემ მობილურის შესაძლებლობებს როგორ გააფეტიშებდი, ახალი ზარფუშის სიკეთეს როგორ დაიჯერებდი – რა მნიშვნელობა აქვს, ნოინი სადიჯდება, ოკეანის გადაღმა თუ გადმოღმა, ყარა-ყორუმში თუ სპასკის კოშ-

კთან, მაცხოვრის ტაძრის სიახლოვეს.

ტარიბანას გახსენებამ ძველი გრძნობები ამოადუღა – მიჯნისყურე, ჭაჭუნა, ივრისპირები, ელდარი... მწვანე ბალაზე რძესავით შედედებული თეთრი ფარები.

შემოდგომის ფერებშეპარული კორომების აკვარელი. ჯაგებზე წითელა-სავით გამოფენილი კუნელი და ბოშა ქალების საყურებად დაკონნიალებული დილის ნამშეუმშრალი კონახური... კიდევ, სალსალაჯის ლურჯი, გამჭვირვალე ალი.

ღონიერი, ქვასავით მკვრივი ხის ნაკვერჩხალს წვიმაც ვერ აქრობს, ნაცარში წახვეული ისევ ანთებული ხვდებათ სამწყემსურიდან დაბრუნებულებს.

გამაოგნებლად ძვირფასი და მშობლიური –

„ეგ არის, ბალლო, შენი სამშობლო!“

ჩემი როა, მერე რათ მეცილებიან?

გიმეორებ, იზლერის ბალები არ გინა-სავს, თორემ მაგ კითხვას არ დასვამდი!

არც ჰაიდ პარკი!

არც ელისეს მინდვრები!

არც ოფლით გაზინზლულ მონდო-ლური ცხენის ზურგიდან დაქნეულ მათრახის ფოჩის აუფცევნია ტყავი ხერ-ხემალზე!

არც...

რომელი ერთი ჩამოვთვალო:

არ დაგილევია იმ მუცელლმერთა სამოვრის ჩაი, კოჭლი დენშჩიკის დაჭ-მუჭნილყელიანი ჩექმა რომ დაუბერავ-და ხოლმე და სამოვარს ციებიანივით ააკახცახებდა.

არც იმ შაქრის კვნინი გიგემია, ილიას „აფიცრის“ საშაქრეში დამალული, ყვი-თელმუცელა ბუზი რომ ყარაულობდა.

სამაგიეროდ, იორს გაყოლებული, მინგეჩაურამდე გაგრძელებული, ერ-თმანეთს მიბმული მინდვრები, საძოვ-რები, კლდოვანი მთები, ფარეხები, ბინები, ნაკრძალი და ვენახების ახალ-შენები გინახავს... შენი ჯიგარი აქ ადუ-ღებულა, შენაირად აქაურობისთვის

ვერავის შეუხედავს, მოსიყვარულე თვალი ვერ გადაუვლიათ, ვერ დაუჩო-ქებიათ საამბორებლად და ცრემლმო-რეული, ტუჩებით ხრიოკს ვერ დაკ-ვდომიან!

გახსოვა!

რაც გინახავს, იმას როგორ დაივიწ-ყებდი:

ვითომ სანადიროდ, სინამდვილეში, სწორედ თვალის გადასავლებად ვიყა-ვით კახეთს გადავარდნილები.

ავასმიანეთ, გამოვალვიძეთ სამ-შობლო თოფების ბათქაბუთქით და ჩრდილში გაშლილ, სახელდახელო მა-გიდასთან მოვეროვდით.

შორიახლო ორთქლი ასდიოდათ ზე-დადგარზე შემოდგმულ სახორცე ქვა-ბებს...

რა თქმა უნდა, იქაც გოგლა გაგვახ-სენდა:

„როგორც საძროხე ქვაბს ოშეივარი...“

პლასტმასის ვებერთელა ჯამში, ხახ-ვსა და მარილში ჩაბასტურმებულ სამ-წვადეს შინდის გალოპრილ შამფურებ-ზე აგებენ.

იორზე გადაყუდებულ წნორზე ობო-ლი მწყემსი ბიჭის გაფხუკული გუდასა-ვით ჰკიდია გუგულის ბუდე.

მზე გადადის და ხეების ჩრდილე-ბიც მიღი-მოდიან, მოძრაობენ – ახლა სამხრეთ-დასავლეთიდან შემოგვჭყიტი-ნებს მნათობი.

ერთი მნათობი სუფრასთანაც გვი-ზის – ბრდდვიალა, ალისფერკაბიანი ქალბატონი, მთავარი დედაქალაქიდან მოვლინებული, TACC-ის თანამშრო-მელი, თბილისელმა კოლეგა ქალებ-მა კახეთისკენ რომ „გამოიტყუეს“ და რაიკომის იდეოლოგის მდივნის თან-ხლებით სადაფისფერი ღვინის „ტოლ-ჩებით“, სახინკლე, ჩაქაფულითა და ხაშლამის ჯამ-ჭურჭლით გაძეგილ მა-გიდასთან დაგვისვეს.

ასაკით თუ ვიმსჯელებთ, ქალბა-ტონს სიბრძნე და გამოცდილება არ უნდა ჰკლებოდა – არც გაჰკვირვებია

რაიმე, უცნობი, აქამდე დაუგემოვნებელი ვერაფერი შევთავაზეთ, ხოლო სინკალს კოხტა, გამომწვევი ტუჩებით ისე ოსტატურად ჩააფრინდა, წვეთი არ დაჰქცევია და რომ არ მომრიდებოდა, ოვაციით შევხვდებოდი.

ეჭვი არ იყო, ქალბატონი კარგად იცნობდა დიდი რუსეთის ერთ-ერთ უმცროს, შეთამამებულ ძმას. უწყინარი სამსახურის იარლიყს ამოფარებული, ალბათ, საიდუმლო სამსახურისგანაც დავალებული, რაღაც სხვა მისია-საც ასრულებდა, რომელიც სუფრის წევრთა უმრავლესობისათვის უცნობი იყო. მისი ნამდვილი ვალდებულება „სამშობლოს წინაშე“, შეიძლებოდა, რაიკომის მდივანმა და იმ შავმა კაცმა იცოდა, უშიშროების თვალი და ყური რომ ერქვა რაიონში.

ეს შავი კაცი, ანუ ამხანაგი მიშა, როგორც უწოდებდნენ, ყველაზე მეტს იცინოდა, ოხუნჯობდა, თამამი ანეკდოტებით ამხიარულებდა სუფრას, მაგრამ დროდადრო, უღრუბლო ცაზე ელვასავით გამომკრთალი ფხიზელი, გამჭოლი მზერით გვაგრძობინებდა, რომ „ის აქ იყო.“

ჩემ გვერდით მონკავშირის ადგილობრივი გაერთიანების თავმჯდომარე, ულვაშაბიბინებული ჯეელი იჯდა. ჯეელი – ხუმრობით, თორემ თავმჯდომარეს არ აკლდა „ვერცხლი“ მარჯვნიდან მარცხნივ გადავარცხნილ, ბულულივით თმაში.

ამ ბატონმა მწყემსების ნაბინავართან გაჩერებული ორხიდიანი ვილისი სუფრასთან ახლოს მოაყენა – მუსიკას ხომ არ ინებებთო, „ჩაეკითხა“ რაიკომის მდივანს.

იმანაც თავის დაქნევით მოწყალება როცა მოიღო, მაგნიტოფონი ჩართო და ერთბაშად ეგეთმა დახტა-დუბარამ გადმოხეთქა, მონკავშირის შეფს თავისთავად გაეშალა მკლავები, გახუნებულ მიჯნაზე ცერი გაუსვა, სუფრას შემოურა და სტუმარი ქალბატონის წინ ხარივით კისერი მოიდრიკა.

ქალმა იუარა, არ მეხერხება ქართული როკვაო, მაგრამ დროულად შეაფასა კახური მოთმინებისა და სიჯიუტის უსაზღვროება, ხელსახოცით მოიმშრალა ტუჩები და ვარდისფერი ხანძარი საცეკვაოდ გამოგოგმანდა.

რაიკომის მდივანმა, რომელმაც ჩვენი თხოვნის გარეშე შეითავსა თამადობა, ჰალსტუზი ჯერ მოიხალვათა, მერე ჯეელმა კიდევ ერთხელ, საერთო ჯამში მესამედ რომ აცალა გვერდიდან სტუმარი ქალბატონი, საერთოდ მოიხსნა და ჯიბეში ჩაიკუჭა.

– ზნაჩიტ, დათვრა! – თვალი ჩამიკრა ერთმა ჩვენმა საერთო მეგობარმა. – სადაცაა ტარი გამოსძვრება.

– განა მდივნებიც თვრებიან? – „გავიკვირვე.“

– თვრებიან...

ზედადგრებზე შემოდგმულ ქვაბებთან მოტრიალე მზარეულმა პატარა, ყურიანი ქოთნებით მწვანილ და ნიორმოყრილი კახური ყავა – ბატკის წვენის თათარიახნი ჩამოარიგა.

„ყავას“ ორი, თეთრი გუნდასავით მოხარშული დუმაც მოაყოლა და თამადას მიართვა.

თამადამ დუმა დაჭრა, ერთი მოზრდილი ნაჭერი ცეკვიდან მობრუნებულ ქალბატონს შესთავაზა, რომელმაც მაშინვე დააგემოვნა, თავი მოწონებით დაიქნია და მერე იკითხა რა არისო.

ქართულად ვუთხრა თუ რუსულად, გაუთამამდა მდივანს ოფლით შუბლდაცვარული ჯეელი.

რუსულად, ქართულად რას გაიგებსო, „ურჩია“ ჩვენმა საერთო მეგობარმა. გამხიარულდა სუფრა.

ქალი ხან ერთს მოგვაცეცებს თვალს, ხან მეორეს, რა ხდება, რა თქვით სასაცილოო. ისევ უშიშროებამ ივაჟკაცა, რაღაც მიუკიბ-მოუკიბა.

მდივანმა შემატყო, დუმას ალმაცერად რომ ვუყურებდი, ჩემი ჩანგალი დაარჭო თიმთიმა ნაჭერს და მომაწოდა, მიირთვითო.

როგორ გეკადრებათ, მაგას რა შე-  
მაჭმევს-მეთქი (გულმუცელი დამგვრი-  
მა, იმის გლუვი სიმსუქნე როცა წარმო-  
ვიდგინე, როგორ ჩადიოდა ყელში).

– ძალიან გთხოვთ, უნდა მიირთვა-  
თო... როგორც ნიგოზი, ეგეთია... აი,  
ხო ეგეთი შეხედულება აქვს, ნახეთ, რა,  
გულით გთხოვთ...

ჩაერია უშიშროება, ნიკოლიჩ, თუკი  
არ უნდა, ნუ დავაძალებთო.

შენ როდის დაგავალე შუამავლო-  
ბაო, არც უშიშროებას შეებუა.

ვერ მოგეშვებიო, გამომიწია ყელი,  
სულ ცოტა და, ისე მოგეწონებათ, შე-  
იძლება მერე სხვა რამე აღარც მიირ-  
თვათ ამ სუფრაზეო.

გიუია, ჭკვიანია, ამას ვის გადავე-  
კიდე-მეთქი, დანით ცოტა ჩამოვჭერი,  
თან ცალი ფეხი ძელსკამიდან გადმოვ-  
დგი, გული რომ ამერიოს, მარცხი აქვე  
არ დამემართოს და ამდენ ხალხში არ  
შევრცხვე.

როგორც იქნა, გავლეჭე, მივაყოლე  
ბლომად პური. მართლაც ძალიან გემ-  
რიელი იყო და თავის შეხედულებას არ  
ამართლებდა.

როგორიაო.

ავუწიე ცერა თითი, კარგია-მეთქი.

– მეც ეგრე ვიყავი, დასანახადაც  
ვერ ვიტანდი. მწყემსებმა მაჭამეს ძა-  
ლით, ელდარზე... აი, ასე, არ მომეშ-  
ვნენ, განსაკუთრებით ერთი გადამეკი-  
და – თუშ მეცხვარეში რომ თამაშობს,  
პანტო თათარიაძე, დუმა კი არა ნედ-  
ლი ნიგოზიაო და პირველმა მდივანმაც  
გადმომიტრიალა თვალები, ეს პატიო-  
სანი ხალხი როდემდე უნდა ახვენიოო...  
რა უნდა მექნა, დავხუჭე თვალები და...  
აბა, კიდევ გაუბედე. მართლაც ნიგოზ-  
სა სჯობია, თან დიეტურია...

პირი ვეღარ დავაკარე. ხო იცი, თვა-  
ლი ოხერია – კარგია, მაგრამ გუნებამ  
მაინც ვერ მიიღო.

ქალბატონი მიხვდა ჩემს გასაჭირს  
და ახლა ის მაქეზებს – ჩემი ხათრით  
მეორე ნაჭერიც რომ „დაამუშავა“, ისევ

შემოუარა ცეკვა-ცეკვით შეზარხოშე-  
ბულმა ჩოყლაყმა სუფრას და სტუმარ-  
თან თავმოდრეკილი გაირინდა.

მაცალეო, ქალმა ტკაცუნით გახსნა  
ხელჩანთა, სუნამო იპკურა ყურის ბიბი-  
ლოებთან და ფრანგული ბრენდის (მა-  
შინ იშვიათმა) სურნელმა დროებით გა-  
დაფარა ლობებონგრეული ფარეხიდან  
მონაბერი სუნი.

ერთხანს მასპინძლებმა ყურადღება  
მოადუნეს, სამშობლოს სადღეგრძელომ  
ჩაგვიყოლია, ყველას ერთნაირად აგვი-  
დულდა ჯიგარი, დროებით მაინც ყველა  
ერთი სადარდებელით ავივსეთ. მოცეკ-  
ვავები მაშინდა გაგვახსენდა, ვალსის  
ხმა რომ ჩაგვესმა და მონკავშირის თავ-  
მჯდომარის მკლავებში მომწყვდეული,  
კისერზე დაკონიალებული ქალბატონი  
დავინახეთ.

შეკრეს წარბი მდივანმა და უშიშრო-  
ებამ – მიზანი კი კარგი ჰქონდა მონა-  
დირეების ლიდერს, მაგრამ „სასხლეტ-  
ზე“ თითის გამოკვრას ვინ აცლიდა.

მოუხმეს ფეხზე მოტრიალე ბიჭი:

ეგაო, ცოტა ჭკუაზე მოვიდეს, თავის  
ყველაყისას ნუ მიირთმევს, თორემაო...

– ეყოფა, დაყენდესო! – დაუსვა ბე-  
ჭედი მდივნის ნათქვამს უშიშროებამ.

მივიდა ბიჭი, აუხსნა ჩოყლაყს საქ-  
მის ვითარება, ცეცხლს ნუ ეთამაშები,  
ცოტა სახიფათო ქალია, თანაც უფრო-  
სობა განაწყენდაო.

საწყენს რას ჩავდივარ, ქალს უნდა,  
თორე მე რააო.

ახილდა, მშობელ დედას დავთმობ და  
ამას ვერაო, ძარღვებში აჩქროლებულ-  
მა სისხლმა იმძლავრა, ზღვამოვლილი  
ქალბატონის ხორბლისფერ, ჯერ კიდევ  
სინორჩეშემორჩენილ ყელიდან ასხლე-  
ტილი „შანელის“ სურნელმა წაართვა  
სიფრთხილის სადავები, მოწყვეტი-  
ლი ზვავით ვერ შეაჩერა ვერც ბიუროს  
შიშმა და ვერც ბელადის თავიანმა, სიმ-  
წრით მოპოვებულმა პარტიულმა მან-  
დატმა... არა, ხვალ, გამოფხიზლებულ-  
ზე, შეიძლება ინანოს კიდეც, მაგრამ

ახლა თავდავიწყებული ვლადივასტო-კამდე უკან არ მოიხედავს, გაჰყება, გაედევნება ჩრდილოეთის ციალივით ბრიალა ნათებას.

ისევ შუამავალმა ივაჟუაცა, მაგნიტოფონი გამორთო, მანქანის კარი ხაზ-გასმულად მიაჯახუნა და ხელი ხელსაც ტკაცუნით გაჰყრა, მორჩა და გათავდაო.

რაღას იზამდა, მიაცილა ქალბატონი დანიშნულების ადგილამდე, გვერდულად დამიჯდა და ცხვირსახოცით ხვითქი შეიმშრალა....

— დამლალა, კაცოუ!.. მე და დალლა? მაგრამ მაინც დამლალა...

— რუს ქალებს შენნაირები დაუღლიათ?.. მოდი ეხლა, მწვადს მიეძალე, ხვალ უფროსობა „პარში“ გაგატარებს და ენერგია დაგჭირდება! — შამფური წინ დავუდეთ.

უშიშროება განაწყენებული გადმო-იხარა:

— კაცი რო გაიცნო რვა ფუთი მარი-ლი უნდა შეჭამო, ნათქვამია! — თვა-ლი თვალში გაუყარა.

— ერთ ჯერზეო თუ...

— ერთ ჯერს მოგცემ მე შენა!.. იქი-დან შემოთვალეს, — გამართული ცე-რით ზურგს უკან, ალბათ, კრემლისკენ ანიშნა, — მაგ ქალს ბუზი არ აუფრინ-დეს, თვალის ჩინივით მოუფრთხილ-დითო... შენ კიდევ ტარაბუა დაახვიიე... ეგრე რო არ იყოს საქმე, შენ დაგვას-წრებდი?

— ჴო, მართალს გეუბნება!.. — დაე-თანხმა რაიკომის მდივანი.

— ამაზე მეტად როგორ მოვუფ-რთხილდე...

— კაცოუ, იცი შენ, ერთხელ ნათ-ქვამს ალარ ვიმეორებთ!

— გიგეე? — თუშურად მოუქცია ჩვენმა მეგობარმა, — კომუნისტებმა მი-ეთმოეთი არ იციან... „ფრთხილად ია-რე ძოლანა, აქ ცუდ გზებ იცის ზოგანა“.

ატყდა სიცილი.

შევხედე კავალერს, აინუნშიც რომ არ აგდებდა თანამესუფრეების შეგო-

ნებას და ლექსადვე დავამატე:

— „ცუდ გზებით“ ვერ შეაშინებთ თუ ქალს გააძრობს ფოხანას. აი, ხარხარი მაშინ უნდა გენახათ.

ვიღაცამ იკითხა, ეგ ფოხანა რაღააო.

რა და, უერარ ფილიპმა მოსკოვიდან პარიზში რომ ჩაიტანა, ეს აცვიათ რუს დედაკაცებსო, — განვუმარტეთ და რა-იკომის მდივანს ნამცეცი სასულები გა-დასცდა, გვეხრიობოდა კაცი.

ასე ემართება ხოლმეო, მოვარდა მძლოლი, რამდენჯერმე ისე დასცხო ბეჭებზე გაშლილი ხელისგული, ლამის ფილტვები ამოაყრევინა.

სად გაერა ის მშვენიერი დღე?

რომელმა ქარმა მოჰყოინა მინდვრებს აფუნდული, ზედადგრების ძირში დაზ-ვინული ნაცარი?

რომელმა ტალღამ წაიღო წნორის ხიდან ჩამოწყვეტილი გუგულის ბუდე?

ან ჩვენ სად წავედ-წამოვედით...

როგორ ტყუილად გვჯეროდა, რომ იგივენი ვიქენებოდით და ვიქენებოდით... არა, ძმისავ, არა, არა, წარმოსახვაში გადაიფრინა იმ ერთმა დღემ და წარ-სულის კენწეროზე შემოჯდა..

გახსოვს, მაინც როგორ სხიოდნენ ჩამავალი მზის სხივებზე შეთრთოლე-ბული წნორის ფერშეცვლილი ფოთლე-ბი, წატვრის ხის ფერადი ნაკუნებივით.

იწვა კალაპოტში მღვრიე, ლამიანი იორი...

ახლაც იქა წევს, ოლონდ კიდევ უფ-რო შემღვრეული და ინანიშვილის ხევ-სურივით ჭანჭყობის ქინქლადახვეული.

ისიც ხომ გახსოვს, იმდენი იძახეს და იანგლეს, რომ საკავშირო საიდუმ-ლო სამსახურის მომხიბვლელმა „ყურ-მაც“ კი იკითხა, „ჩტო ტაქოე პოხანაო.“

ქალს ეჩქარებოდა, თორემ ადრე თუ გვიან „აუქსინიდნენ“, უფრო ხატოვნად და გასაგებად — ქიზიყში თუ ვერ მო-ასწრებდნენ, ქვეყნის მთავარ დედაქა-ლაქში თბილისიდან მაინც ისე როგორ გაუშვებდნენ ივრისპირებში მოგოგმანე უცხო ხოხობს...

წავიდეთ, ძმისავ, ერთხელაც...  
ბოლოს და ბოლოს, ოცდაათი ლიტ-  
რი ბენზინის დედაც...  
ცხოვრების მიმწუხრზე მაინც „იზ-  
ლერის ბალები“ არ უნდა ნახო?

•

ისევ იორზე უნდა გითხრა, ოლონდ  
დინებას უფრო ზემოთ, სათავისაკენ  
ავყვეთ და დაბას მივადგეთ.

ჩასული ვარ რედაქციის დავალე-  
ბით. იქაური მეგობრები, როგორც წი-  
ნა დღეს შევთანხმდით, ადგილზე დამ-  
ხვდნენ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩა-  
ვინიშნე, რაც მაინტერესებდა.

მასპინძლებმა მთხოვეს, სადილად  
ერთ ოჯახში გველოდებიან და ჩვენთან  
ერთად უნდა წამოხვიდეო.

თქვენ კი, მაგრამ ჩემი სტუმრობა  
უცხო ხალხთან უხერხული არ იყოს-  
მეთქი.

რას ამბობ, გუშინ შემთხვევით შეეს-  
წრო იმ ოჯახის პატრონი, ტელეფონზე  
რომ გელაპარაკებოდით და სიხარუ-

ლით ცას ეწია, ოლონდ ეგ მწერალი გა-  
მაცანით და ხვალ ზღაპრულ პურ-მა-  
რილს ვკისრულობო... აგე, მანქანით  
რო დაგვყვება, მაგის ბიჭია, მამაჩემმა  
– სხეაგან არ წახვიდეთ, ყელი არ გა-  
მომჭრათ, უთენია თოხლი წამოვაქციე  
და გელოდებითო.

რა დაგიმალოთ და სიამოვნების გან-  
ცდამ მეც გული გამითბო, ვიღაცას,  
როგორც მწერალი, ვყვარებივარ და  
რატომ არ უნდა გავიცხო.

საიდანლაც შენც გამოჩნდი და მას-  
პინძელმა თამადად დაგნიშნა.

მთელი ოჯახი თავს გვევლება.

რაკი ეს კაცი მოგვიყვანეთ, რალა  
მოგველავსო, მოაქვთ და მოაქვთ ნაირ-  
ნაირები, ხაჭაპურს, ჩაქაფულს და ხაშ-  
ლამას შეცივებას ვინ აცლის.

ღვინოც სანაქებოა, რა თქმა უნდა.

შემოდგომის პირია. გატკბა ღუმელი  
და იქიდან წამოსული სითბო.

გავიხედოთ და შემოიყვანა მასპინ-  
ძელმა ასაკიანი, ნიკაპთან თავშალ-  
გამონასკული დედაბერი, ღუმელთან



სამფეხაზე დასვა, აქ დაბრძანდი, ჩემო მეორე დედიკო, თბილათა და ლამაზათაო. მერე ჩემკენ გამოახედა, ამის მიზეზით არის დღევანდელი სუფრა გაშლილი და აუხსნა, ვინც ვიყავი.

კოპებშეკრულმა, ღუმელს კრუხი-ვით მიყურსულმა დედაკაცმა პასუხად რაღაც ჩაილაპარაკა.

გავგიუდები, თუ ეს ბებრუხუნაც მიცნობს და ჩემი თაყვანისმცემელია-მეთქი.

— გაუფრთხილდი, არ შეგიცივდეს სიდედრი! — მაყალიდან წამოკრეფილი შამფურები შემოიტანა მასპინძლის მა-მამ, — ასე დედას რო მოფრთხილებოდი, აქამდე ხომ ცოცხალი გვეყოლებოდა!

— კარგი, კაცო, სიდედრიც ადამიანია!

— ადამიანი კი არა, ადამიანის მეგობარია...

— ეს მეგობარი იყეფს, იყეფს, ხანდა-ხან გიკენს კიდეც — თქვენზე კარგად ვის მოეხსენება, — მხარზე ხელი შინაუ-რულად მომითათუნა მასპინძელმა.

ტყემალზე დავჯექი, მე საიდან და რატომ უნდა მომეხსენებოდეს, ვერ გა-ვიგე, მაგრამ ვერაფერი ვთქვი, ველო-დები „კვანძის გახსნას“.

— უმადურები ნუ ვიქნებით, ძმებო, ამ ჩვენმა სიდედრებმა გააჩინეს, გა-ზარდეს ის ქალები, ვისთანაც ოჯახები შევქმენით... — ასწიე ჭიქა, — აბა, ამ ქალბატონს გაუმარჯოს, დიდი ამაგი დასდო ჩვენს რაიონს, ორდენოსანი მე-მინდვრეობის მერგოლური იყო... გაგი-მარჯოთ, დეიდა...

— შაკიკა-თქო, ნამდვილი სახელი აღარც თვითონ ახსოვს! — შეგაწყვეტი-ნა მასპინძლის მამამ და მე მომიბრუნ-და, — გეხსომებათ ხალხური შელოც-ვა, „შაკიკი შემომჯდარიყო, სათიბისა ბოლოსაო, ისე სჭამდა რკინასაო, რო-გორც ხარი თოვასაო“... ხო წარმოგიდ-გენია, როგორ უნდა უყვარდეთ ჩვენე-ბურებს ეს ჩემი მძახალი, სატკივარის სახელი რო დაარქვეს... დაიხსომეთ, ეგებ გამოიყენოთ...

ვაჲ, რაში უნდა გამოვიყენო, ვერ გა-ვიგე, რა ქარაგმებით მელაპარაკებიან.

იმ სალამოს კულმინაცია ლექსები იყო, სკოლიდან დაბრუნებულ, მეხუ-თეკლასელ ბიჭს რომ წააკითხეს.

მიდის ტაშის გრიალში პოეზიის სა-ლამო.

— არ გეგონოს, ვაძალებთ, თავისით სწავლობსო... — მამამ მოფერებით წა-მოარტყა კეფაში ხელი, — რასაც „ნი-ანგში“ ბეჭდავთ, ყველაფერი ძალიან მოგვწონს, მაგრამ განსაკუთრებით, სი-დედრებზე, ეგრევე შიგ ცხრიანში არ-ტყამთ, რა...

— რატომ ცხრიანში და ათიანში არა!

— „გაუწყრა“ ძმა.

— კარგი, ბატონო, თუ გინდა თერ-თმეტიანი იყოს.

ბიჭოს, რა „ნიანგი“, რის „ნიანგი“, რალაცები კი მაქვს დაბეჭდილი, მაგრამ სიდედრებზე — არაფერი.

დაეჭვებულმა გადავქექე მეხსიერე-ბის ფურცლები.

არა, ღმერთი, რჯული!

რა დაგიმალო, ძალიან კი „გამიტყდა“, თითქოს ტოტი ჩამოიხლინა და ძირს მო-ვადინე ზღართანი, როცა, როგორც იქ-ნა, გავხსენი „კვანძი“ და ახლა იმაზე დამწყდა გული, როდესაც მივხვდი, ერ-თი სიდედრის თემაზე დახელოვნებული სატიროებს-იუმორისტის „დაფნის გვირ-გვინი“ რომ მივისაკუთრე.

იუმორისტთან მხოლოდ ერთი და იგივე სახელი და გვარში ერთნაირი თანამიმდევრობით დალაგებული ხმოვ-ნები მქონდა საერთო. ჩემი ძვირფასი „ნიანგის“ მკითხველები ამ სამწუხარო მსგავსებამ შეიყვანა შეცდომაში.

ჩემს უხერხულობას თავმდაბლობაში მითვლიან, მთხოვენ, რაიმე წავუკითხო, ახალი, რა თქმა უნდა, სიდედრის „რე-პერტუარიდან.“

დამთავრდა სუფრა, ავიშალეთ. შეიწიე, ტუშურო, ყოვლადწმინდა ღვთისმშობე-ლი, ვეთხოვებით მასპინძლებს, მაგრამ, ისე როგორ წამოვიდე, ყელზე მადგას

მთელი პურმარილი, ოჯახის პატივისცემა, თითქოს ვიღაც გავძარცვე, ვიღაცის კუთვნილი დიდება მივითავისე.

რა ვქნა, ჩემი სტუმრობით გაპედნი-ერებული ოჯახი როგორ დავამწუხრო.

ყველაფერი მასპინძლის ბოლო ფრა-ზამ გადაწყვიტა – მეორედ რომ გვეს-ტუმრებით, ასე ვეღარ გაგიშვებთ, თქვენი იუმორისტული წიგნები უნდა გვაჩუქროთ და მაშინ მაინც ლექსებიც წაგვიკითხოთ.

რა ვქნა, გაწყდეს, სადაც წვრილია-მეთქი, გვერდზე გავიხმე და ვუთხარი, მაპატიეთ, მაგრამ მაგ სურვილებს ვერ აგისრულებთ, რადგანაც, ვინც თქვენ გვონივართ, ის პიროვნება არა ვარ-მეთქი.

– აბა, ვინ ხართ, მეხუმრებით? – გა-ოცდა მასპინძელი.

– არ გეხუმრებით. მწერალი კი ვარ, მაგრამ ის არა...

„ის არა“ რას მიქვიაო.

ავუხსენი საქმის ვითარება.

ძალიან გაუტყდა, უცებ გამოფხიზ-ლებულმა კბილები დააკრაჭუნა და დაბოლმილმა გახედა სამსართულიან სუფრას.

მოკლედ, მაგრად „დავგრუზე“, სამა-გიეროდ, მე მომეშვა გულზე.

წარმომიდგენია, რომ მოუყვებოდა,

ოჯახის დანარჩენი წევრები რა დღეში ჩაცვიდებოდნენ.

დედაბერთან მივედი.

დამჭენარი, თბილი ხელები ხელის-გულებში მოვიქციო.

რა გქვიათ, ქალბატონო-მეთქი.

ბარბარეო, გახსნა მოღუშული სახე.

დიდმონამე ბარბარეს სახელი გრქმე-ვიათ! – ვუთხარი და ხმამაღლა გამო-ვაცხადე, – აბა, შეხედეთ, რა სჭირო შრომით გამშვენიერებულ ამ ნაჯაფარ ხელებს „ჭე“ კლასის იუმორისტის გა-სატრიზავებელი და მაკიკთან შესა-დარებელი... ძალიან გთხოვთ, ვიდრე ოჯახიდან გახვალთ, იგივე მოიმოქმე-დეთ, რასაც მე გავაკეთებ-მეთქი.

დავიჩიქე და ნაამაგარ მემინდვრეო-ბის მერგოლურს, ქალბატონ ბარბარეს, ორივე ხელის ნებზე ვეამბორე.

დედაკაცის სახეს სიხარულისა და სიმორცხვის ალმურმა გადაჰკრა.

რა უნდა ექნათ, არცთუ დიდი ხალი-სით სხვებმაც მომბაძეს.

გახსოვს, ტუშურო?

შრომას და მშრომელ ხელებს თუ ავიგდებთ, თუნდაც ისინი სიდედრებს ეკუთვნოდეს, ადრე თუ გვიან მოგ-ვკითხავს უფალი-მეთქი, გითხარი.

აკი მოგვკითხა კიდეც!



ნიკა ბაძალუა

### ბედად მარგუნე დასამარება

ქვესკნელის მეფევ,  
მეფეო ზეცის,  
ცოდვების ჩრდილი  
მიღებას თავდებად,  
ყოველი ცოდვა  
ერთმანეთს ერწყმის  
და დღეს მიმწარებს  
ფიქრი თავნება...

სულ სხვა სამყარო  
შევისისხლხორცე,  
მიმძიმს ცრემლების  
სულით ტარება.  
მე თუ ავბედად  
მერგო სიცოცხლე,  
ბედად მარგუნე დასამარება!..

### მიღიხარ

მიღიხარ, მიათრევ –  
იმედებს დაყოფილს  
ცხრა ათას ფენებად,  
ნაავდრალ, მზიან ხმებს,  
ცხოვრებას, არცყოფილს,  
და ბედნიერებას...

მიღიხარ თანმხლები  
მჭექარე ნამცეცით,  
ფერდამშრალ იებით,  
მიგყვება დარდების  
ცრემლწყარო, არც ერთი  
რამ მონანიების...

## თარგმანები აფხაზურად ტერენტი გრანელი

●

რად შრება სისხლი,  
რას ვფიქრობ ხშირად  
ეს წმინდა ნისლი,  
ეს წმინდა კვირა.

ეს წმინდა ნისლი,  
ეს წმინდა კვირა.  
რად შრება სისხლი,  
რას ვფიქრობ ხშირად.



Теренти Гранели.

Избан изықәбо ашьа,  
Исхәыцыртоуп  
уажәы уажәы,  
Ари ипъшьюу анаќәа,  
Ари ипъшьюу амчыбжъ,

Ари ипъшьюу анаќәа,  
Ари ипъшьюу амчыбжъ,  
Избан изықәбо ашьа,  
Исхәыцыртоуп уажәы уажәы,



ეს შემოდგომა წყნარი,  
ქარი, ზარები, ფიქრი.  
მიდის ცისფერი წყალი  
და სიმშვიდეა ირგვლივ.

მიდის ცისფერი წყალი  
და სიმშვიდეა ირგვლივ.  
ეს შემოდგომა წყნარი,  
ქარი, ზარები, ფიქრი.

### **Теренти Гранели.**

Ари тагалан итынчза,  
Атцэтәа, ахуцра, апьша.  
Ицоит жәғсанпүштәы азы,  
Тынчроуп иаакәышан.

Ицоит жәғсанпүштәы азы,  
Тынчроуп иаакәышан.  
Ари тагалан итынчза,  
Атцэтәа, ахуцра, апьша.

Еителегеит Ж Ника Баザбұа.



### ნუგზარ ზაზანაშვილი

### მესამე გზა

შიგნიდან „რუსოფონია, ანუ პოეტური იმპერიალიზმი  
ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე“

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში ასპარეზზე გამოდის რიგი ძალიან საინტერესო მოდერნისტი პოეტებისა, ვისთვისაც მონარქია, ცარის ინსტიტუტი და რუსული მართლმადიდებლობა ერთიანად და თავისთავად რამ საკრალურია, რამ ხელშეუხებელია, ასოცირებს რუსეთის იმპერიის დროშის თეთრ ზოლთან, სითერესთან, სისპეტაკესთან. ხსენებულ რიგში ნიჭიერებითა და შემოქმედების მასშტაბურობით გამოიჩინიან ლიტერატურის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი პოეტები – ნიკოლაი გუმილიოვი, ანა ახმატოვა და მარინა ცვეტაევა.

გუმილიოვი, სერგეი გოროდეცკის-თან ერთად, ახალი მოდერნისტული მიმდინარეობის – აკმეიზმის – დამაარსებელია: ამ ჯგუფში, ასევე, გაერთიანდნენ ანა ახმატოვა, ოსიპ მანდელშტამი და რამდენიმე სხვა პოეტი. აკმეისტები

– სიმბოლისტებისაგან განსხვავებით – ერთგვარ ფენომენოლოგიურ, „საგნების ხელახალი აღმოჩენის“ გზას დაადგნენ; მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ესთეტიკურ იდეოლოგიას მათ საფუძვლად დაუდეს „საკუთარი უმეცრების ბავშვურად ბრძნული, ტკივილამდე ტკბილი შეგრძნება“; შესაბამისად, აკმეიზმის იდეოლოგიაში ცენტრალური ადგილი ეჭირა ადამს, პირველ ადამიანს და პირველ „აკმეისტს“, რომელიც საგნების არსის ცოდნის გარეშე სახელებს არქმევდა მათ. ქვემოთ მოგვყავს გუმილიოვის სტრიქონები, სადაც, ვფიქრობთ, შეკუმშული ფორმით აკმეიზმის ძირითადი არსია მოცემული:

Но забыли мы, что осиянно  
Только слово средь мирских тревог,  
И в Евангелии от Иоанна  
Сказано, что слово – это бог.<sup>1</sup>

<sup>1</sup>ლირიკული ტექსტები მოცემულია პწკარედული თარგმანის გარეშე.

(შენიშვნა: აქ, ალბათ, ეგრეთ წოდებული უფროსი სიმბოლისტების შესანიშნავი წარმომადგენლის **ფილიმორ სოლოგუბის** (Фёдор Сологуб, 1863-1927) ცნობილი სტრიქონების რემინისცენტრაზე თუ მათ გავლენაზეც შეიძლება, მივანიშნოთ: *Всё ясно только в мире слова, / Вся в слове истина дана. / Всё остальное – бред земного / Бесследно тающего сна).*

ამ წერილში ჩვენ მხოლოდ ანა ახმატოვაზე, მის მსოფლადქმაზე ვისაუბრებთ მოკლედ.

●  
ერთ-ერთი უგამორჩეულესი რუსი პოეტის **ანა ახმატოვას** (Анна Ахматова, 1889-1966) დერჟავულ სულისკვეთებას, გუმილიოვის სწორხაზოვანი ცარისტულ-მონარქისტული შეხედულებებისგან განსხვავებით, უფრო რუსული მართლმადიდებლურ-ნაციონალისტური „შეფერილობა“ ახასიათებს (გუმილიოვმა და ახმატოვამ განქორწინებამდე რვა წელი გაატარეს ერთად).

ანა ახმატოვა უთუოდ ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო:

О, есть неповторимые слова,  
Кто их сказал – истратил  
слишком много.  
Неистощима только синева  
Небесная и молосердье Бога.

1916

ასევე, უთუოდ, ის „წმიდა რუსეთის“ ჭეშმარიტი პატრიოტიც გახლდათ; ეს მეორე მსოფლიო ომის დროსაა დაწერილი:

Мы знаем, что ныне лежит на весах  
И что совершается ныне.  
Час мужества пробил на  
наших часах,  
И мужество нас не покинет.

Не страшно под пулями мертвыми лечь,  
Не горько остаться без крова, –  
И мы сохраним тебя, русская речь,  
Великое русское слово.  
Свободным и чистым тебя пронесем,  
И внукам дадим, и от плена спасем  
Навеки!  
1942

ჩვენ ვიცით, ამჟამად რაც დევს სასწორზე / და რაც აღესრულება ახლა. / სიმამაცის დროს აჩვენებს ჩვენი საათი / და სიმამაცე არ მიგვატოვებს. / არ გვაფრთხობს ტყვიისაგან სიკვდილი, / არ გვამწუხრებს უსახლკაროდ დარჩენა, – / და ჩვენ დაგიცავთ, რუსულო ენავ, / დიადო რუსულო სიტყვავ. / თავისუფალს და წმინდას გამოგატარებთ, / შვილიშვილებს გადაგცემთ და ტყვეობისგან დაგიხსნით / სამარადისოდ!

როგორც ზოგიერთი რუსი მკვლევარი წერს, ახმატოვამ ერთგვარი მესამე გზა აირჩია: ის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა, მაგრამ – მიუხედავად იმისა, რომ მას არ სძულდა ახალი ხელისუფლება – ვერც ბოლშევიკურ ულმერთობასა და კაციჭამიობას შეეგუა ბოლომდე.

კომუნისტებიც ადეკვატურად პასუხობდნენ: როგორც რუსი ცარისტი ემიგრანტების შთამომავალმა, გამომცემელმა და მთარგმნელმა ნიკიტა სტრუვემ უწოდა ახმატოვას – ეს „დიდი რუსული თავადაზნაურული კულტურის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი“ ფიზიკურად არ გაუნადგურებიათ, მაგრამ მას მუდმივად ავინროებდნენ და მრავალი სულიერი ტრავმა მიაყენეს: ახმატოვა 1946-1950 წლებში (იმის მიუხედავად, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მისი ზოგიერთი პატრიოტული ლექსი კომუნისტური პარტიის მთავარ გაზეთ „პრავდაშიც“ კი იპეჭდებოდა) გარიცხული იყო სსრკ მწერალთა კავშირიდან; მისი წარმოებე-

ბის მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის ლექსების ცნობილი ციკლი „რეკვიემი“) მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ, „პერესტროიკის“ პერიოდში გამოქვეყნდა. ის თვითონაც წერს მოკლე ავტობიოგრაფიაში: „20-ანი წლების შუა ხანიდან თითქმის შეწყვიტეს ჩემი ახალი ლექსების ბეჭდვა და ძველი ლექსების ხელახალი გამოქვეყნებაც“; მისი შვილი – შემდგომში ცნობილი ისტორიკოს-ეთნოლოგი, გეოგრაფი, ეთნოგენეზის ისევ და ისევ იმპერიალისტური ქვეტექსტის მქონე, პასიონარული თეორიის ავტორი (ასევე, სპარსული პოეზიის მთარგმნელი) – **ლევ გუმილიოვი** (Лев Гумилёв, 1912-1992) ორჯერ დააპატიმრეს და მან თორმეტი წელი გაატარა ჩრდილოეთის „ლაგერებში“.

და ეს ყველაფერი ახმატოვას პოეტიკაზეც აისახა: როგორც აღნიშნავს ცნობილი ლოტერატურათმცოდნე მიხაილ გასპაროვი წერილში „ახმატოვას ლექსი: მისი ოთხი ეტაპი“ („Стих Ахматовой: четыре его этапа“), ამ დროს პოეტი უბრუნდება „მუქ“, „წიგნიერ“ სტილს ძველი ახმატოვასი, „ვინც თავის თავს აღიქვამს გარდასული ეპოქის მემკვიდრედ უცხო ლიტერატურულ გარემოში“. აი, რას წერდა ყოველივე ამასთან დაკავშირებით თავად პოეტი 1959 წელს:

Наградили меня немотою,  
На весь мир окаянно кляня,  
Окормили меня клеветою,  
Опоили отравой меня.  
И, до самого края доведши,  
Почему-то оставили там.  
Любо мне, городской сумасшедшей,  
По предсмертным бродить площадям.

უფრო ადრე კი, 1940 წელს, მეტის-მეტად მტკიცნეული სულიერი განცდა ახმატოვას ამ რვა სტრიქონიან შედევრს შეაქმნევინებს:

Один идет прямым путем,  
Другой идет по кругу  
И ждет возврата в отчий дом,  
Ждет прежнюю подругу.  
А я иду – за мной беда,  
Не прямо и не косо,  
А в никуда и в никогда,  
Как поезда с откоса.



ანა ახმატოვას ცხოვრება – ეს იყო „წმიდა რუსეთის“ არაამქვეყნიური ხატისადმი თავგანწირული სიყვარულის ერთგვარი გამოსახულება. აი, როგორ მიმართავს ის თავის ახლო მეგობარს, მხატვარ ბორის ანრეპს (Борис Анреп, 1883-1969), რომელმაც წითლების ხელისუფლებასთან შეგუებას ემიგრაცია არჩია:

Для чего ты, лихой ярославец,  
Коль еще не лишился ума,  
Загляделся на рыжих красавиц  
И на пышные эти дома?

Так теперь и кощунствуй, и чванься,  
Православную душу губи,  
В королевской столице останься  
И свободу свою полюби.

რისთვის, ყოჩაღო იაროსლაველო, /  
თუკი ჭკუიდან ჯერ არ გადასულხარ, /  
გრჩება თვალი უღალ ლამაზმანებზე/ და  
ამ გაპრანჭულ სახლებზე? // მაშ, ახლა  
კიდეც იმკრეხელე და იყოყოჩე, / დაღუპე  
მართლმადიდებელი სული, / დარჩი სა-  
მეფო დედაქალაქში (ანრეპი ლონდონში  
ცხოვრობდა – 6.ზ.) / და შეიყვარე შენი  
თავისუფლება. (ეტყობა, იგულისხმება –  
ინგლისური დემოკრატია მართლმადიდებლობის სანაცვლოდ – 6.ზ.).

ანუ რუსეთის დატოვება, არსებითად, ეშმაკისთვის სულის მიყიდვის

ტოლფასიაო. ცოტა ხნის შემდეგ – იმავე ანრეპს:

Высокомерьем дух твой помрачен,  
И оттого ты не познаешь света.  
Ты говоришь, что вера наша – сон  
И марево – столица эта.

Ты говоришь – моя страна грешна,  
А я скажу – твоя страна безбожна.  
Пускай на нас еще лежит вина, –  
Все искупить и все исправить можно.

სული შენი დაიბინდა ამპარტავნობით / და ამის გამო შენ ვერ შეიცნობ სინათლეს. / შენ ამბობ, რომ ჩვენი რწმენა სიზმარია / და მოჩვენებაა ეს დედაქალაქი. // შენ ამბობ, რომ ჩემი ქვეყანა ცოდვილია, / მე კი ვიტუვი – უღმერთოა შენი ქვეყანა. / და თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ გვამძიმებს ბრალი, – / ყველაფრის მონანიება და გამოსწორება შესაძლებელია.

და სწორედ ეს არის ახმატოვას „სასიცოცხლო კონცეფცია“: დასავლეთი ულმერთოა, რუსეთი – წმიდა; ბოლშევიკური ცოდვების გამოსყიდვა და ყველაფრის გამოსწორება შესაძლებელია ერთგულებით, თავგანწირვით...

ასეთი კრედიტ გასამყარებლად ახმატოვა ბიბლიასთან ალუზიებსაც არ ერიდება (ბიბლიური ლოთის მარილის სვეტად ქცეულ ცოლს იხსენებს): Лишь сердце мое никогда не забудет / Отдавшую жизнь за единственный взгляд. [მხოლოდ ჩემი გული ვერასოდეს დაივინება / მას, ვინც ერთადერთი გამოხედვისთვის გასწირა სიცოცხლე]. აქ ქვეტექსი გამჭვირვალეა: ცოდვით დაცემული ქალაქი ბოლშევიკური რუსეთია, მაგრამ ის მაინც რუსეთია და მის უკანმოუხედავად მიტოვებას სიცოცხლის დათმობა ჯობს.

ბოლოს ახმატოვა დაწერს:

Нет, и не под чуждым небосводом,  
И не под защитой чуждых крыл, –  
Я была тогда с моим народом,  
Там, где мой народ, к несчастью,  
был.

არა, არც უცხო ცისქვებზ / და არც გარეშე ფრთებს შეფარებული, – / მე მაშინ ჩემს ხალხთან ვიყავი, / იქ, სადაც ჩემი ხალხი, საუბედუროდ, იყო.

რა უნდა ჰქონდეს კაცს სადავო ამ მშვენიერ, პატრიოტულ პოზიციასთან? მხოლოდ ერთი რამ – ახმატოვასთვის ძველი რუსეთი ლამის უცოდველია; ეს 1917 წელსაა დაწერილი – В Екатерининском саду / Стою у чистых вод [ეკატერინინის ბაღი / ვდგავარ გამჭვირვალე (ხმინდა) ნულებთან]; ეს – 1958 წელს:

И кажется такой нетрудной,  
Белея в чаще изумрудной,  
Дорога не скажу куда...

Там средь стволов еще светлее,  
И всё похоже на аллею  
У царскосельского пруда.



და გეჩვენება, რომ ასე იოლია,  
ზურმუხტოვან ტევრში თეთრად  
მოქათქათე, / გზა, რომელიც, არ  
გეტყვით, საით მიდის... // იქ  
ვარჯებს შორის მეტი სინათლეა, /  
და ყველაფერი ხეივანს ჰგავს/  
ცარსკოე სელოს პატარა ტბასთან.

ანდა „რეკვიემის“ შესავალი ნაწილის 1935 წელს დაწერილი სტრიქონები წავიკითხოთ, სადაც ახმატოვა ბოლშევიკების მიერ განამებულ „უდანაშაულო რუსეთზე“ საუბრობს:

Звёзды смерти стояли над нами,  
И безвинная корчилась Русь  
Под кровавыми сапогами  
И под шинами чёрных марусь.

ჩვენს თავზე სიკვდილის ვარსკვლავი იდგა / და იკრუნჩებოდა უდანაშაულო რუსეთი // შავი მარუსიების სისხლიანი ჩექმების / და სალტების ქვეშ.

(განმარტება: შავი მარუსიები – მეტაფორაა; შავი, ეტყობა, მიანიშნებს როგორც ჭუჭყიან სხეულს, ასევე გაუნათლებლობას და ბნელ, დაუნდობელ სულს; მარუსიები, მარუსია – რუსეთში გავცელებული ქალის სახელის „არაარისტოკრატიული“ ფორმა, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, კვლავ გაუნათლებლობას, აზროვნების პრიმიტიულობას, უკულტურობას მიანიშნებს; იმავდროულად, ეს სახელი აქ ბგერნერულასოციაციურიცაა: მარუსია – მარაუსი, მარატა – ვისვრები, გასვრა).

●  
ახმატოვას – ანა ანდრეის ასული გორენკოს – ბიოგრაფიის საინტერესო და საგულისხმო შტრიხია ისიც, რომ ის დედის მხრით თავის წინაპრად ახმად ხანს, მე-15 საუკუნის დიდი ურდის ერთ-ერთ წინამდლოლს მიიჩნევდა, ვისი სახელიც გამოიყენა ფსევდონიმის შერჩევისას.

, „მას ჩუმად და უმწიკვლოდ, მოჩვენებითი აღფრთოვანების, დაფდაფებისა და სენტიმენტალობის გარეშე უყვარდა თავისი სამშობლო, მაგრამ ამასთანავე მისთვის სრულიად უცხო იყო შლეგური ნაციონალიზმი და შეუწყნარებლობა სხვა ერების მიმართ“, – წერს ლიტერატურისმცოდნე დმიტრი მაქსიმოვი წიგნში „საუკუნის დასაწყისის რუსი პოეტები“ (Русские поэты начала века. Л.: «Советский писатель», 1988).

და ეს ყველაფერი მშვენიერია, მაგრამ... ცარისტული იმპერიის უმწიკვლო და გულწრფელი სიყვარული და მისი გაიდეალება ანდა წითელი იმპერიის მიმართ ერთგვარი ლოიალურობა განა რაიმე შეღავათია იმ ერებისათვის, რომლებიც ამ იმპერიებში იყვნენ დატყვევებული?.. განა რაიმე შეღავათია მათთვის პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ლექსად გამოთქმული, აი, ასეთი ნაციონალისტურ-რელიგიური პოზიცია?

Только нашей земли не разделит  
На потеху свою супостат:  
Богородица белый расстелет  
Над скорбямы великими плат.

მაგრამ ჩვენს მიწას ვერ გაყოფს /  
ჩვენი მოძულე (ბოროტი სული) თავშესაქცევად: // ღვთისმშობელი თეთრ თავშალს გადააფარებს / ჩვენს დიადგარამს.

ან კიდევ რა შეღავათია სტალინის საიუბილეო 1950 წელს გამოქვეყნებული ასეთი სტრიქონები (გინდაც ლექსი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი წერს, შვილის „ლაგერებიდან“ გამოხსნის ხელშეწყობის მიზნით იყოს შეთხზული)? –

Пусть миру этот день запомнится  
навеки,  
Пусть будет вечности завещан этот  
час.

Легенда говорит о мудром человеке,  
Что каждого из нас от страшной  
смерти спас.

Ликует вся страна в лучах зари  
янтарной,  
И радости чистейшей нет  
преград, –  
И древний Самарканд, и Мурманск  
заполярный,  
И дважды Сталиным спасённый  
Ленинград.


В день новолетия учителя и друга  
Песнь светлой благодарности поют,  
Пускай вокруг неистовствует выюга  
Или фиалки горные цветут.

И вторят городам Советского  
Союза  
Всех дружеских республик города  
И труженики те, которых душат  
узы,  
Но чья свободна речь и чья душа  
горда.

И вольно думы их летят к  
столице славы,  
К высокому Кремлю•–•борцу за  
вечный свет,  
Откуда в полночь гимн несётся  
величавый  
И на весь мир звучит, как помощь  
и привет.

დაე, ეს დღე მსოფლიოს სამუდამოდ  
დაამახსოვრდეს, / დაე, ეს საათი ეან-  
დერძოს მარადისობას. / ლეგენდა მოგ-  
ვითხოვოს ბრძენკაცზე, / რომელმაც  
ყოველი ჩვენგანი საშინელი სიკვდი-  
ლისაგან გადაარჩინა. // ზეიმობს მთე-  
ლი ქვეყანა ქარვისფერი განთიადის  
სხივებში. / და უანკარეს სიხარულს  
საზღვარი არა აქვს, – / ძველთაძველი  
სამარყანდიც, პოლარული წრის იქით  
მდებარე მურმანსკიც / და ლენინგრა-  
დიც (= პეტერბურგიც), სტალინის მიერ  
ორჯერ გადარჩენილი, // მასნავლებ-  
ლისა და მეგობრის (= სტალინის) და-  
ბადების დღეს / ნათელ სამადლობელ  
სიმღერას მღერიან, – / გინდ იბობოქ-  
როს გარშემო გრიგალმა / ანდა მთის  
იები ყვაოდნენ. // და საბჭოთა კავში-  
რის ქალაქებს შემოძახილს ეუბნებიან  
/ (უცხოეთის) ყველა მეგობრული რეს-  
პუბლიკის ქალაქები / და ის მშრომე-  
ლები, რომელთაც ახრჩობთ ხუნდები,  
/ მაგრამ ვინც მაინც თავისუფლად  
გამოთქვამს აზრს და ვისი სულიც მა-  
ინც ამაყია. // და მათი ფიქრები ლალად  
მოფრინავს დიდების დედაქალაქისკენ  
(= მოსკოვისკენ), / მაღალი კრემლის-  
კენ – მარადი შუქისთვის მებრძო-  
ლისკენ, / საიდანაც შუალამით ჰიმნი  
მოისმის დიადი / და მთელ მსოფლიოში  
გაისმის, როგორც თანადგომა და მო-  
კითხვა.

### ვუდი ალენი



### მივმართავ სკოლადამთავრებულებს

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არასდროს ჩავარდნილა კაცობრიობა ასეთ საგონებელში. ერთ გზას სასოწარკვეთისა და სრული უიმედობისკენ მივყავართ, მეორეს – საბოლოო გადაშენებისკენ. ვიღოცოთ, რომ სწორი არჩევანის გასაკეთებლად საკმარისი სიბრძნე აღმოგვაჩნდეს.

სხვათა შორის, ამ ყველაფერზე ამ-ქვეყნიური ამაოების შეგრძნებით კი არა, ყოფიერების აბსოლუტურ უაზრობაში კოშმარული დარწმუნებულობით ვსაუბრობ, რაც, შეიძლება, შეცდომით ვინმემ ჰესიმიზმად აღიქვას.

არა, ეს არ არის ჰესიმიზმი. ეს ჯან-სალი დამოკიდებულებაა თანამედროვე ადამიანის ტრაგედიისადმი („თანამედროვე ადამიანში“ იგულისხმება ნებისმიერი, დაბადებული ნიცვეს განცხადების – „ღმერთი მოკვდა“-ს შემდეგ და პიტ „მინდა, ხელს ხელზე გიჭერდე“-ს ჩანერამდე). ტრაგედია ორნაირად შეიძლება აღინეროს, თუმცა ლინგვისტ-ფილოსოფოსებს ურჩევნიათ, მათემატიკურ განტოლებამდე დაიყვანონ – ადვილი ამოსახსნელიც იქნება და საფულეში ჩადებულსაც იოლად ატარებ.

ყველაზე მარტივი სახით პრობლემა ასე წარმოგვიდგება: შესაძლებელია თუ არა ცხოვრების აზრის ჩაწვდომა ჩემი

შარვლის ზომისა და წელის გარშემონერილობის გათვალისწინებით?

ეს ძალიან რთული კითხვაა და ვხვდებით, რომ მეცნიერებამ ვერ გაამართლა მოლოდინი. რა თქმა უნდა, მან ბევრი სნეულების დამარცხება შეძლო, გენეტიკური კოდი გაშიფრა, ადამიანები მთვარეზეც კი აიყვანა, მაგრამ დატოვეთ ოთხმოცი წლის მოხუცი ოთახში ორ ახალგაზრდა მედდასთან ერთად და არაფერიც არ მოხდება. ნამდვილი პრობლემები ხომ უცვლელია.

ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია თუ არა, რომ ადამიანის სული მიკროსკოპით დავინახოთ? ალბათ, კი – მაგრამ აუცილებლად ძალიან კარგი მიკროსკოპი უნდა იყოს, ორი ოკულარით. ვიცით, რომ ყველაზე თანამედროვე კომპიუტერის ტვინიც კი არ არის ისეთი სრულყოფილი, როგორიც მწერებისა. ჰო, ეს ზოგიერთ ჩვენს ახლობელზეც შეიძლებოდა გვეთქვა, მაგრამ მათ ხომ მხოლოდ ქორწილებზე და მსგავს განსაკუთრებულ შემთხვევებში ვხვდებით.

მეცნიერება ისეთი რამ არის, რაზეც მუდმივად ვართ დამოკიდებულნი. მკერდის არეში ტკივილს თუ ვიგრძნობ, მაშინვე რენტგენზე გავლა მომიწევს. ნეტა, დასხივებისგან უფრო დიდი პრობლემები ხომ არ გამიჩნდება?

სანამ ამას შევიტყობდე, ქირურგიულ განყოფილებაში მაწვენენ. ბუნებრივია, როცა უანგბადის ბალიშს მაძლევენ, სწორედ მაშინ გადაწყვეტს სტაჟიორი, რომ სიგარეტს მოუკიდოს. ამის შემდეგ კი მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს პიუა-მაში გამოწყობილი გადავუფრენ. ეს არის მეცნიერება?

რა თქმა უნდა, მეცნიერებამ ყველის პასტერიზება გვასწავლა. რა გვეთქმის – მთვრალების კომპანიაში ყველი თავ-შესაქცევი რამ არის. რასაც ნამდვი-ლად ვერ ვიტყვით წყალბადის ბომბზე. გინახავთ, რა ხდება, თუ მაგიდიდან შემთხვევით გადმოგორდა?

განა დაეხმარება მეცნიერება მას, ვინც მარადიულ გამოცანებს შეეჭიდა? როგორ გაჩნდა სამყარო? რამდენი ხნის წინ? ყველაფერი აფეთქებით დაიწყო თუ ღვთის სიტყვით? თუ ამ უკანას-კელით – ნუთუ არ შეეძლო უფალს, ორი კვირით ადრე წარმოეთქვა იგი, სანამ უფრო თბილი ამინდი იდგა? მა-ინც რას გულისხმობენ, როცა ამბობენ, რომ „ადამიანი მოკვდავია“? ცხადია, ეს კომპლიმენტი არ არის.

სამწუხაროდ, რელიგიაც ვეღარ ზე-მოქმედებს განწყობაზე. მიგელ დე უნა-მუნო კი წერს აღფრთოვანებით „გონის მარადიულ ურყეობაზე“, მაგრამ ამაზე ხომ ყველას არ მიუწვდება ხელი. გან-საკუთრებით, თეკერეის კითხვისას. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, როგორი სა-ამური იყო პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება, ყოვლისშემძლე, კეთილი შემოქმედის რომ სჯეროდა. წარმომიდ-გენია ამ კაცის იმედგაცრუება, როცა შეამჩნია, როგორ გასუქდა მისი ცოლი.

თანამედროვე ადამიანს, რა თქმა უნდა, ასეთი სულიერი სიმშვიდე არა აქვს. ის ურნმუნობების უფსკრულშია გადაჩებილი – მოღური სიტყვა რომ ვიხმაროთ, „გაუცხოებულია“. მას ომის საშინელებები უნახავს, სტიქიურ უბე-დურებებს შესწრებია და მარტოხელა-თა ბარებშია ნამყოფი.

ჩემი უახლოესი მეგობარი, უაკ მონო ხშირად საუბრობს სამყაროს ქაოსურო-ბაზე. სჯერა, რომ ამქვეყნად ყველაფე-რი შემთხვევითობის შედეგად გაჩნდა, გარდა მისი საუზმისა, რომელიც – არა, ამაში ეჭვი არ ეპარება – დიასახლისმა მოუმზადა.

რა თქმა უნდა, ღვთაებრივი ჩანა-ფიქრის რწმენა სიმშვიდით გვავსებს, თუმცა ადამიანური პასუხისმგებლო-ბისგან არ გვათავისუფლებს. განა ჩემი მოყვასის დარაჯი არა ვარ? ვარ. თუ გაინტერესებთ, პირადად მე ამ პატივს და ღირსებას ქალაქის ზოოპარკის მცველებთან ვიყოფ.

ღმერთის გარეშე თავს მიუსაფრად ვგრძნობთ, რის გამოც ტექნიკური პროგ-რესი გავაღმერთეთ. როგორ ახსნის ტექნოლოგია იმას, რომ ახალთახალი „ბიუკი“, რომელსაც ჩემი საუკეთესო მეგობარი ნატ ზიპსკი მართავდა, პირდა-პირ რესტორან „ფრინველთა ნეტარების“ ვიტრინას შეაფრინდა და ასობით მოსა-დილე აქეთ-იქით მიმოფანტა?

ოთხი წლის განმავლობაში ჩემს ტოსტერს ერთხელაც არ უმუშავია ისე, როგორც საჭიროა. ინსტრუქცი-ის მიხედვით, ჭრილში პურის ორ ნა-ჭერს ვდებ, ის კი მათ რამდენიმე წამში შაშსანასავით გაისვრის ხოლმე. ადრე ცხვირიც კი გაუტეხა ჩემს საყვარელ ქალს. ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ქან-ჩები, ჭანჭიკები და ელექტრობა ყველა პრობლემას გადაგვიჭრის?

ჰო, ტელეფონი კარგი რამ არის. მაცივარიც. კონდიციონერიც. მაგრამ არა ყველა კონდიციონერი. მაგალი-თად, ჩემი დის, ჰენის. მისი საშინლად ხმაურობს და არ აგრილებს. ხელოსა-ნი გამოიძახეს, რის შემდეგაც უარესი დაემართა. „მეტი რა გზაა, ახალი უნ-და შეიძინოთ“, – თქვა მან. ჩემმა დამ დაიჩივლა, მაგრამ ხელოსანმა სთხოვა, აღარ შემაწუხოთო. ნამდვილად გაუც-ხოებული იყო ეს კაცი. არადა, სულ იღიმებოდა.

უბედურება ის არის, რომ ტექნოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისთვის არ მოგვამზადეს. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკოსები ან არაკომპეტენტურები არიან, ან კორუმპირებულები. სან ერთიცა და მეორეც. მთავრობა პატარა ადამიანის მოთხოვნილებებს არ ითვალისწინებს. საღამოს შვიდის ხუთ წუთზე შენს კონგრესმენთან დარევას უკვე აზრი აღარა აქვს. არ უარყოფა, რომ დემოკრატია ჯერ კიდევ მართვის საუკეთესო ფორმაა. დემოკრატიულ ქვეყანაში, სულ ცოტა, ადამიანის უფლებებს მაინც იცავენ. არც ერთი მოქალაქის ნამება ან უსაფუძვლოდ დაპატიმრება არ შეიძლება, არც ბროდვეის ზოგიერთი შოუს ძალდატანებით ჩვენება.

რა თქმა უნდა, შედარებაც არ შეიძლება იმასთან, რაც საბჭოთა კავშირში ხდება. ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მხოლოდ სტენის გამო, შეიძლება ადამიანი ოცდაათი წლით მოხვდეს შრომა-გასწორების პანაკში. ხოლო თუ თხუთმეტი წლის შემდეგ სტენის კიდევ არ შეწყვეტს, მას აუცილებლად დახვრეტენ.

ამ მხეცურ ფაშიზმთან ერთად მისი მეწყვილე – ტერორიზმიც დააბიჯებს. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ადამიანს ასეთი შიშით არასდროს დაუჭრია ხბოს კატლეტი – უცებ რომ აფეთქდეს?! ძალადობა ძალადობას შობს, 1990 წლისთვის კი, სავარაუდოდ, ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმა გაატაცება იქნება.

მოსახლეობის სიჭარე პრობლემებს უკიდურესად გაამწვავებს. ციფრურები გვეუბნება, რომ დედამიწაზე იმაზე ბევრად მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ყველაზე მძიმე როიალის გადასაადგილებლად არის საჭირო. თუ ხალხს გამრავლების შეწყვეტისკენ არ მოეუწოდებთ, 2000 წლისთვის სასადოლო ოთახიც აღარ შეგვრჩება და მოგვიწევს, მაგიდა უცნობებს დავადგათ თავზე. ისინიც მთელი საათი გაუნ-

ძრევლად უნდა ისხდნენ, სანამ სადილობას დავასრულებთ. რა თქმა უნდა, ენერგეტიკული კრიზისიც იქნება და ავტომფლობელებს ზუსტად იმდენ ბენზინს ჩაუსხამენ, მანქანების ნახევარი მეტრით უკან დაწევა რომ შეძლონ.

ამ გამოწვევის მიღების ნაცვლად, ნარკოტიკებითა და სექსით თავშექცევას გადავყევით. ჩვენ დაუშვებლად, ზედმეტად ლიბერალურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. არასდროს ასე არ აყვავებულა პორნოგრაფია. თან ეს ფილმებიც რა უხარისხოა – დეტალებს ვერაფრით გაარჩევს კაცი!

ჩვენ ის ადამიანები ვართ, ვისაც გამოკვეთილი მიზნები არ გვაქვს. ჩვენ არასოდეს გვისწავლია სიყვარული. ჩვენ ლიდერებისა და თანმიმდევრული პროგრამების ნაკლებობას განვიცდით. სულიერი საყრდენი დავკარგეთ. მარტოები დავეხეტებით ამ სამყაროში და ტკივილისა თუ სასოწარკვეთისგან ერთმანეთს ხშირად მხეცური ძალადობით შეურაცხვყოფთ. საბედნიეროდ, ზომიერების გრძნობა არ გვლალატობს.

ამ ყველაფერს თუ შევაჯამებთ, ცხადი გახდება, რომ მომავალი წარმოუდგენელ შესაძლებლობებს გვთავაზობს, თუმცა მახეც ბევრგან არის დაგებული. როგორლაც უნდა მოვახერხოთ ხაფანებს შორის გაძრომა, შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და საღამოს ექვსი საათისთვის შინ დაპრუნებაც.

## კუგელმასის შემთხვევა

სითი-კოლეჯის ლიტერატურის მასანავლებელი კუგელმასი მეორედაც უილბლოდ დაქორწინდა. დაფნა მეტად თავქარიანი აღმოჩნდა. პირველ ცოლთან, ფლოსთან, კაცს ორი ბენტერა ვაჟიშვილი ჰყავდა და ყელამდე იყო ჩაფლული ალიმენტებშიც და შთამომავლობაზე ზრუნვის განამაწიაშიც.

– რა ვიცოდი, რომ ყველაფერი ასე ცუდად შემომიბრუნდებოდა... – შეჰქნავ-

ლა ერთ დღეს კუგელმასმა თავის ფსიქო-ანალიტიკოსს. – დაფნა ხომ დამპირდა! რას წარმოვიდგენდი, რომ ასე, პლაჟის ბურთივით გაიძერებოდა! ჰო, ცოტა ფულიც ჰქონდა, რაც, ცხადია, დაქორნინების წინაპირობას არ წარმოადგენს, მაგრამ არც არაფერს ვნებს ჩემსავით გონიერ კაცს. ხვდებით, რას ვამბობ?

კუგელმასი მელოტი და დათვივით ბანჯგვლიანი იყო, მაგრამ სული ნამ-დვილად ჰქონდა.

– ახალი ქალი მინდა, რომანი მინდა. ალბათ, ერთი შეხედვით არ ჩანს, რომ ისეთი კაცი ვარ, რომლისთვისაც რომანტიკა აუცილებელია. ნაზი გრძნობები მინდა, ფლირტი მინდა. ხომ არ ვახალგაზრდავდები, არა? ჰოდა, სანამ დაგვიანებულა... ვენეციაში სექსი მინდა. მინდა, „21“-ში ერთი-ორი მოსწრებული სიტყვა მეც ვთქვა, მორცხვი მზერა გავაპარო სანთლის შუქზე, ხელში წითელი ღვინით სავსე ბოკალით. გესმით, რას ვამბობ?

დოქტორ მენდელმა გვერდი იცვალა სკამზე და უთხრა:

– რომანი არაფერს შეცვლის. თქვენ რეალობას ხართ მოწყვეტილი. თქვენი პრობლემები გაცილებით ღრმაა.

– რასაკვირველია, საკმაოდ თავშეკავებული ვიქები, – განაგრძო კუგელმასმა. – მეორე განქორნინებას ვერ გადავიტან. დაფნა სულს ამომხდის.

– მისტერ კუგელმას...

– არა, სითი-კოლეჯიდან არ უნდა იყოს, იმიტომ რომ დაფნაც იქ მუშაობს. ფაკულტეტზე ისეთიც არავინ არის, თუმცა სტუდენტ გოგოებს შორის...

– მისტერ კუგელმას...

– დამეხმარეთ. წუხელ სიზმარი ვნახე: მდელოზე დავხტოდი ხელში პიკნიკის კალათით, რომელზეც მკაფიოდ ეწერა: „ვარიანტები“. მერე კი დავინახე, რომ კალათი ძირგავარდნილი იყო.

– მისტერ კუგელმას, უარესი იქნება, მოქმედებას თუ დაიწყებთ. უპრალოდ, გრძნობები უნდა გამოხატოთ, რომ-

ლებსაც ერთად გავაანალიზებთ. დიდი ხანია, მკურნალობთ. ისიც იცით, რომ ერთ დღეში ჯერ არავინ გამოჯანმრთელებულა. და ბოლოს, ფსიქოანალიტიკოსი ვარ, ჯადოქარი კი არა!

– ალბათ ჯადოქარი მჭირდება, – თქვა კუგელმასმა და წამოდგა. მისი ფსიქოთერაპიაც აქ დამთავრდა.

ორი კვირის შემდეგ, როცა ის და დაფნა ძველი სავარდლებივით მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, სახლში ტელეფონის ზარი გაისმა.

– მე ავიღებ, – თქვა კუგელმასმა, – ალო!

– კუგელმასი ხართ? – იკითხა ხმამ.

– კუგელმას, პერსკი ვარ.

– ვინ?

– პერსკი. აბა, დიდი პერსკი უნდა მეთქვა?

– უკაცრავად?

– გავიგე, მთელ ქალაქში ჯადოქარს ეძებთ, თქვენს ცხოვრებაში ცოტა ეგზოტიკა რომ შემოიტანოს. ჰო თუ არა?

– ჩშშშ, – კუგელმასმა დაიწურჩულა,

– არ დაკიდოთ. საიდან რეკავთ, პერსკი?

მომდევნო დღეს სამ ნაბიჯად აირბინა ბრუკლინის ლარიბული კვარტალის ძველი, იერშელახული სახლის კიბე, ბნელ დერეფანში მიმოიხედა, ის კარი იპოვა, რომელსაც ეძებდა და ზარი დარეკა. თან გაიფიქრა, აი, ამას კი ვინანებო.

ორ წამში დაბალი, გამხდარი კაცი მიესალმა, რომელიც თითქოს ცვილის-გან იყო ჩამოსხმული.

– თქვენ ხართ პერსკი დიდი? – ჰკითხა კუგელმასმა.

– დიდი პერსკი. ჩაი ხომ არ გინდათ?

– არა, რომანტიკა მინდა. მუსიკა მინდა. სიყვარული და სილამაზე მინდა.

– ჩაი არ გინდათ? საკვირველია. კარგი, დაბრძანდით.

პერსკი მეორე ოთახში გავიდა. კუგელმასმა ყუთებისა თუ ავეჯის გადაადგილების ხმა გაიგონა. მერე ჯადო-

ქარმა რაღაც დიდი და ჭრაჭუნაბორ-ბლებიანი გამოაგორა, მის თავზე შემო-დებული აბრეშუმის ძველი ცხვირსახო-ცები აიღო და მტვერს სული შეუბერა. ეს ცუდად გაღაული, იაფფასიანი ჩი-ნური კარადა აღმოჩნდა.

– პერსკი, რაღაც მამაძალლობას აპირებთ, არა? – უთხრა კუგელმასმა.

– კარგად დაკვირდით, – გააფრთხილა პერსკიმ, – შესანიშნავი ტრიუკია. შარშან პითიას რაინდების თავყრილობისთვის დავამუშავე, მაგრამ ბილეთები არ გაიყიდა. აბა, შეძვერით კარადაში.

– რატომ? დაშნებს გაუყრით და რამე?

– აქ დაშნებს ხედავთ?

კუგელმასი დაიმანჯა და ბუზლუნით შეძვრა კარადაში. მაშინვე შენიშნა მის ცხვირწინ, ფანერზე მიწებებული ორი-ოდე უშნო მთის ბროლი. ჩაიბურტყუნა, ეს ყველაფერი თუ რაღაც მასხრობა აღ-მოჩნდაო...

– გარკვეულწილად, მასხრობაცაა. ახლა ყურადღებით მომისმინეთ. თუ კარადაში თქვენთან ერთად რომელიმე რომანს მოვათავსებ, კარს დავკეტავ და სამჯერ დავაკაკუნებ, წამსვე იმ წიგნში აღმოჩნდებით.

კუგელმასმა დაეჭვებით შეხედა.

– წმინდა წყლის სიმართლეა, – განაგრძო პერსკიმ, – ხელი გამიხმეს, ასე თუ არ იყოს. თუმცა რომანი აუცილებელი არ არის. მოთხრობა, პიესა, ლექ-სი... შეგიძლიათ, მსოფლიოს საუკეთე-სო მწერლების მიერ შექმნილი ქალე-ბიდან ნებისმიერს შეხვდეთ – ვისზეც კი გიოცნებიათ. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებთან ინებივრებთ და როცა აღარ გენდომებათ, შემომძახებთ. ნახევარ წამში უკან დაგაბრუნებთ.

– მითხარით, პერსკი, ხომ მკურნალობთ?

– მართლა მაგარ რამეს გთავაზობთ.

კუგელმასი მაინც სკეპტიკურად იყო განწყობილი.

– რას ამბობთ, როგორ შეიძლება ამ საძაგელი, ხელით გამოჩორქილი ყუთით

ისე ვიმოგზაურო, როგორც მეუბნებით?

– ოც დოლარად შეიძლება.

კუგელმასმა საფულე ამოილო და თქვა:

– მაშინ დავიჯერებ, როცა ჩემი თვალით ვნახავ.

პერსკიმ ფული შარვლის ჯიბეში ჩაი-დო და წიგნის თაროებისკენ შებრუნდა.

– კარგი, ვისთან გსურთ შეხვედრა? და კერი? ესტერ პრინი? ოფელია? იქ-ნებ ვინმე სოლ ბელოუს რომანებიდან? ტემპლ დრეიკზე რას იტყვით? თუმცა თქვენი ასაკის კაცისთვის თავის ატკი-ვება იქნებოდა.

– ფრანგი. მინდა, ფრანგი საყვარე-ლი მყავდეს.

– ნანა?

– არა, არ მინდა, რომ ფულს ვუხ-დიდე.

– ნატაშა იმ წიგნიდან... „ომი და მშვიდობა“?

– გითხარით, ფრანგი-მეთქი. ემა ბოვარიზე რას იტყვით? სწორედ ის არის, ვინც მინდა.

– კუგელმას, იგი თქვენია! დაიყვი-რეთ, როცა აღარ გენდომებათ.

პერსკიმ კარადაში ფლობერის რო-მანის თხელყდიანი გამოცემა შეაგდო.

– დარწმუნებული ხართ, რომ უსაფ-რთხოა? – ჰერიტა კუგელმასმა, როცა ჯადოქარმა კარის დაკეტვა დააპირა.

– უსაფრთხო... განა არის რამე უსაფრთხო ამ შეშლილ სამყაროში?

პერსკიმ სამჯერ დააკაკუნა კარადა-ზე და კარი გამოაღო.

კუგელმასი გაქრა. იმწუთასვე იონ-ვილში, შარლისა და ემას საძინებელში გაჩნდა. ულამაზეს ქალს მისთვის ზურ-გი შეექცია და ლოგინს ალაგებდა. „არ მჯერა, – ფიქრობდა კუგელმასი, თან ექიმის მომხიბლავ ცოლს მიშტერებოდა,

– შეუძლებელია. აქ ვარ. ეს ის არის“.

ემა შემობრუნდა და გაოგნებულმა წამოიძახა:

– ლმერთო ჩემო, როგორ შემაშინეთ! ვინ ხართ?

დახვეწილი ინგლისური თარგმანის სიტყვებით ლაპარაკობდა, როგორც იმ თხელყდიან წიგნში.

„ქუუიდან გადავალ“, – გაიფიქრა კუგელმასმა. მერე კი, როცა მიხვდა, რომ მას მიმართავდნენ, თვითონაც ენა ამოიდგა:

– უკაცრავად, სიდნი კუგელმასი ვარ სითი-კოლეჯიდან. ლიტერატურის მასნავლებელი. ნიუ-იორკის სითი-კოლეჯი იცით? გარეუბანშია. მე-ე... ამის დედაც!

ემა ბოვარიმ გამომწვევად გაუღიმა და უთხრა:

– ხომ არ დალევდით? იქნებ, ერთი ჭიქა ღვინო?

„რა ქალია!“ – გაიფიქრა კუგელმასმა. ისეთი კონტრასტი იყო იმ ტროგლოდიტთან, რომელიც მის სარეცელს იყოფდა! უცებ დაუძლეველი სურვილი იგრძნო, მკლავებში მოექცია ეს ლანდი და ეთქვა, მთელი ცხოვრება შენიარ ქალზე ვოცნებობდიო.

– დიახ, ღვინო, – ამოიხავლა, როგორც იქნა, – თეთრი. არა, წითელი. არა, არა, თეთრი. თუ შეიძლება, თეთრი.

– შარლი მთელი დღე შინ არ იქნება, – შეაბარა ემამ კეკლუცად და ორაზ-როვნად.

ღვინის დაგემოვნების შემდეგ მშვენიერი ფრანგული სიფლის შემოგარენში სასეირნოდ გაემართნენ.

– სულ ვოცნებობდი, რომ ერთ დღე-საც გამოჩნდებოდა იდუმალი უცნობი და პროვინციული ცხოვრების მოხოტონურობისგან მიხსნიდა, – ამბობდა ემა, თან ხელს ხელზე უჭერდა. ამ დროს პატარა ეკლესიას ჩაუარეს გვერდით.

– როგორ მომწონს შენი სამოსი, – უჩურჩულა ემამ, – აქ მსგავსიც არაფერი მინახავს. ეს ისეთი... თანამედროვეა.

– ამას სპორტულები ჰქვია, – რომანტიკულად მიუგო კაცმა, – ფასდაკლებისას ვიყიდე.

ქალს მოულოდნელად აკოცა. მომ-დევნო საათი ხის ჩრდილში გაატარეს, ჩურჩულებდნენ და გულისნადებს მრავ-

ლისმეტყველი გამოხედვით უმხელდნენ ერთმანეთს. მერე კუგელმასი წამოვდა. გაახსენდა, რომ „ბლუმინდეილში“ დაფნას უნდა შეხვედროდა.

– უნდა წავიდე, – უთხრა ქალს, – მაგრამ არ იდარდო, დავბრუნდები.

– იმედი მაქვს, – უპასუხა ემამ.

კუგელმასმა ვნებიანად აკოცა, მერე კი ორივენი სახლის გზას გაუყვნენ. ემას სახე ხელისგულებს შორის მოიქცია, კიდევ ერთხელ აკოცა და დაიყვირა:

– ოკეი, პერსკი! ოთხის ნახევარზე „ბლუმინდეილში“ უნდა ვიყო.

ტკაცუნის ხმა გაისმა და კუგელმასი ისევ ბრუკლინში აღმოჩნდა.

– აბა? მოგატყუეთ? – მოზეიმე იერით ჰერსკი.

– მომისმინეთ, პერსკი, უკვე მიგვიანდება ლექსინგტონ-ავენიუზე, სადაც ჩემი ულელი და ბორკილები მელის. როდის შემიძლია დაბრუნება? ხვალ?

– როცა ინებებთ. ოცი დოლარი არ დაგავიწყდეთ. სიტყვაც არავისთან დაგცდეთ.

– ჰო-ო? მე კიდე რუპერტ მერდოკ-თან დარეკვას ვაპირებდი.

კუგელმასმა ტაქსი გააჩერა და ქალაქის ცენტრისკენ თავქუდმოგლეჯილი გავარდა. გული საგულები აღარ ეტეოდა. იჯდა და ფიქრობდა, შეყვარებული ვარ, ეს რა დიდებული საიდუმლო მაქვსო! როგორ მიხვდებოდა, რომ სწორედ ამ დროს მთელი ქვეყნის კლასება და აუდიტორიებში მოსწავლეები თუ სტუდენტები მასწავლებლებს ეკითხებოდნენ: „ვინ არის ეს პერსონა-ში მეასე გვერდზე? მელოტი ებრაელი მადამ ბოვარის კოცნის?“. სიუ-ფოლ-სში (სამხრეთ დაკატა) ერთმა მასწავლებელმა ამოიხორა და გაიფიქრა: „ოჳ, ეს ბავშვები, ღმერთო ჩემო... რაღას არ ეწევიან... რა არ უტრიალებთ თავში!“

დაფნა სააბაზანო მოწყობილობების განყოფილებაში აღმოჩინა კუგელმასმა, როცა ქოშინით შევარდა „ბლუმინ-

დეილში“.

- სად იყავი? – მივარდა ცოლი. – ხუთის ნახევარია.
- საცობში გავიჭედე, – უპასუხა კაცმა.

•

კუგელმასი პერსკის მომდევნო დღე-საც ესტუმრა და ორიოდე წუთში ისევ სასწაულებრივად აღმოჩნდა იონვილში. მისი დანახვისას ემამ აღელვება ვერ დამალა. წყვილმა რამდენიმე საათი გა-ატარა ერთად – იცინოდნენ და ერთმა-ნეთს მეტად განსხვავებული ნარსულის შესახებ უყვებოდნენ. განშორებამდე სექსიც მოასწრეს. „ღმერთო ჩემო, მა-დამ ბოვარისთან ვწევარ, – ჩურჩულებ-და კუგელმასი, – მე, პირველ კურსზე ინგლისურში რომ ჩავიჭრი“.

დრო გადიოდა. კუგელმასმა მრა-ვალჯერ მოინახულა პერსკი და ერთობ ინტიმური ურთიერთობა გააბა ემა ბო-ვარისთან.

– ყოველთვის შეამოწმეთ, პერსკი. ხომ იცით, წიგნის ას მეოცე გვერდამდე უნდა გამოვჩნდე, – უთხრა ერთ დღეს კუგელმასმა ჯადოქარს. – ემას მანამ-დე უნდა შევხვდე, სანამ იმ როდოლფს გადაეყრება.

– რატომ? – გაუკვირდა პერსკის. – მისი დროის დაკავება არ შეგიძლიათ?

– მისი დროის დაკავება! არისტოკ-რატია ეგ ვაჟბატონი. მაგნაირებმა კი არშიყობისა და ცხენების ჭენების მე-ტი არაფერი იციან. აი, ისეთი ტიპია, ქალების მოდების შურნალებში რომ გამოიჭიმებიან ხოლმე, ჰელმუტ ბერგე-რის ვარცხნილობით. ემას თვალში კი დიდ ვინწეს წარმოადგენს.

– ქმარი ვერაფერს ხვდება?

– სადა აქვს ამის თავი! ერთი უუ-მური ფერშალია, რომელიც განგებამ ამ გადარეულს გადაჰყარა. ათ საათზე უკვე ლოგინში წვება, ამ დროს კი ქალი საცეკვაო ფეხსაცმელს იცვამს. კარგი... აბა, დროებით.

კუგელმასი კიდევ ერთხელ შევიდა კარადაში და წამში ისევ ბოვარის მა-მულში, იონვილში აღმოჩნდა.

– როგორ ხარ, ფისუნია? – ჰერთხა ემას.

– ოჳ, კუგელმას, რომ იცოდე, რამ-

დენ რამეს ვითმენ, – შესჩივლა იმან. – წუხელ ჩემს ქმარს დესერტის შემო-ტანამდე ჩაეძინა. მე „მაქსიმზისა“ და ბალეტის ნახვაზე ვოცნებობ, გული მხოლოდ იქით მიმიწევს... ამ დროს კი ხვრინვა მესმის.

– დამშვიდდი, ძვირფასო, მე ხომ შენ-თან ვარ, – მოეხვია კუგელმასი. რო-ცა ცხვირი ემას თმაში ჩარგო და მისი ფრანგული სუნამოს სუნი შეიგრძნო, გა-იფიქრა: „არა, ნამდვილად დავიმსახურე. საკმაოდ ბევრი ვიტანჯე. საქმაოდ ბევ-რი გადავუხადე ფსიქოანალიტიკოსებს. ქანცი გამწყდა ამის ძებნაში. ნორჩი და ვნებიანი გოგოა. მეც აქ ვარ, ლეონის ეპიზოდიდან რამდენიმე ფურცლის მერე და ზუსტად როდოლფის წინ. სწორად შერჩეულ თავებში თუ გამოვჩნდები, ყვე-ლაფერი შესანიშნავად იქნება“.

რა თქმა უნდა, ემაც ბედნიერი იყო – მღელვარება მოსწყურებოდა. კუ-გელმასის მოყოლილ ამბებს ბროდვეის ღამის ცხოვრებაზე, სწრაფ მანქანებსა და ჰოლივუდის მსახიობებსა თუ ტელე-ვარსკვლავებზე ერთიანად დაეტყვევე-ბინა ახალგაზრდა ფრანგი ლამაზმანი.

– კიდევ მომიყევი, რა, ო ჯეი სიმ-პსონზე, – ემუდარებოდა საყვარელს იმ სალამოს, აბატ ბურნისიენის ეკლესიის სიახლოეს სეირნობისას.

– რა ვთქვა? მართლა მაგარი ვინ-მეა. შეტევაში ყველა რეკორდი მოხსნა. ისეთი მოძრაობები აქვს... ვერაფერს უხერხებენ.

– და „ოსკარი“? – წარმოთქვა ემამ მეოცნებე იერით. – მისთვის რას არ დავთმობდი!

– ჯერ წომინაციაში უნდა მოხვდე.

– ვიცი. ეგ უკვე ამისენი. ეჭვიც არ

მეპარება, მსახიობობას შევძლებ. რა თქმა უნდა, წამეცადინება დამჭირდება. იქნებ, სტრასბერგთან? ჰო, თუ კარგი აგენტი მეყოლება...

— ვნახოთ, ვნახოთ. პერსკის დაველაპარაკები.

იმ ღამით, ჯადოქრის ბინაში მშვიდობით დაბრუნების შემდეგ, კუგელმასმა დიდ ქალაქში ემას სტუმრობის წინადადება წამოაყენა.

— მოვიფიქრებ, — უთხრა პერსკიმ, — იქნებ, შევძლო კიდეც. უფრო უცნაური ამბებიც მომხდარა.

რასაკვირველია, ერთი ამბავიც კი ვერ გაიხსენეს.

•

— სად ჯანდაბაში დადიხარ? — შეულრინა დაფნამ შინ გვიან ღამით დაბრუნებულ კუგელმასს. — ვიღაც კახპას ხომ არ გადაეკიდე?

— მეც მნახე რა... — უპასუხა ქმარმა დაღლილი კაცის იერით, — ლეონარდ პოპკინთან ვიყავი. სოციალისტური პოლონეთის სოფლის მეურნეობაზე ვმსჯელობდით. ხომ იცნობ პოპკინს, აფრენს ამ თემაზე.

— ბოლო დროს რაღაც უცნაური გახდი, — უთხრა დაფნამ, — გაუცხოებული. იცოდე, მამაჩერის დაბადების დღე არ დაგავიწყდეს. ამ შაბათსაა.

— ჰო, ჰო, — უპასუხა კუგელმასმა და სააპაზანოსკენ წავიდა.

— მთელი ოჯახი იქ იქნება. ტყუპებ-საც ვნახავთ. ბიძია ჰემიშსაც. უფრო თავაზიანი უნდა იყო ბიძია ჰემიშთან. იცი, როგორ უყვარხარ?

— ჰო, ტყუპები... — თქვა კუგელმასმა, სააპაზანოს კარი მიიკეტა და ცოლის ხმას თავი დააღწია. კარს მიეყრდნო, ლრმად ჩაისუნთქა. გაიფიქრა, რამდენიმე საათში ისევ იონვილში, საყვარელ ქალთან ვიქნები და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, თან წამოვიყვანო.

მეორე დღეს, ოთხის თხუთმეტ წუთზე, პერსკიმ კიდევ ერთხელ მიმარ-

თა ჯადოქრობას. კუგელმასი ემას წინ გაჩნდა, მოლიმარი და სურვილს აყოლილი. საყვარლებმა რამდენიმე საათი იონვილში ბინესთან ერთად გაატარეს, შემდეგ კი ბოვარის ეტლში ჩასხდნენ. პერსკის მითითებით, ერთმანეთს მჭიდროდ ჩაეკვრნენ, თვალები დახუჭეს და ათამდე დაითვალეს. როდესაც თვალები გაახილეს, ეტლი სასტუმრო „პლაზა“ გვერდითა შესასვლელს უახლოვდებოდა, სადაც კუგელმასს დილითვე ოპტიმისტურად დაეჯავშნა ნომერი.

— რა კარგი! კუგელაფერი ისეა, როგორც წარმომედგინა და ვოცნებობდი, — წამოიძახა ემამ, როცა მხიარულად დაბზრითალდა საძინებელში და ქალაქი ფანჯრიდან შეათვალიერა. — ეს „შვარცის“ შენობაა. აი, ცენტრალური პარკი... და „შერი“ რომელია? აჲ, ვხედავ. ღვთაებრივია!

საწოლზე ჰალსტონისა და სენ-ლორანის პაკეტები ეწყო. ემამ ერთ-ერთი გახსნა, შავი ველვეტის შარვალი ამოილო და უნაკლო ტანზე მოიზომა.

— ეს რაღვეულობანის პიჯაკია, — უთხრა კუგელმასმა, — ამაში მილიონ-დოლარიანს დაემსგავსები. აბა, ახლა მოდი და მაკოცე, უტკბეს!

— ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, — წამოიყვირა ემამ სარკის წინ. — მოდი, ქალაქში გავიდეთ. მინდა, „ქორეს-ლაინი“ ვნახო, გუგენჰაიმი და ეს ჯეკ ნიკოლსონიც, რომელზეც ამდენს ლაპარაკობ. დღეს არ გადის ფილმები მისი მონაწილეობით?

— ამ ამბავს ვერაფერს ვუგებ, — ჩაიბურტყუნა სტენფორდის პროფესორმა, — თავიდან უცნაური პერსონაჟი — კუგელმასი გამოჩნდა, ახლა ემა გაქრა წიგნიდან. აი, ეს არის კლასიკის უტყუარი ნიშანი: ათასჯერაც რომ წაიკითხო, რაღაც ახალს ყოველთვის აღმოაჩინ.

საყვარლებმა მთელი შაბათ-კვირა ინებივრეს. კუგელმასმა დაფნას უთხრა, ბოსტონში სიმპოზიუმზე მივდი-

ვარ და ორშაბათს დავბრუნდებიო. ის და ემა თითოეული წამით ტკბებოდნენ, კინოთეატრებში დადიოდნენ, ჩინურ კვარტალში სადილობდნენ. ორი საა-თი დისკოთეკაზეც გაატარეს, ტელევი-ზორს კი ლოგინში ჩანოლილებმა უყუ-რეს. კვირას შუადღემდე ეძინათ. მერე სოჭო მოინახულეს და ცნობილ ადამი-ანებს უთვალთვალეს „ელეინზში“, სა-ლამოს ნომერში ხიზილალა და შამპა-ნური შეუკვეთეს და გათენებამდე ისა-უბრეს. დილით კი, როდესაც ტაქსით პერსკისკენ მიჰეროდნენ, კუგელმასმა გაიფიქრა, ნამდვილად ღირდა ეს ცი-ებ-ცხელება, აქ ამას ხშირად ვერ ჩამო-ვიყვან, მაგრამ დროდადრო მშვენიერი კონტრასტი იქნება იონვილთანო.

პერსკისთან ემა კარადაში შეძვრა, ახლად შეძენილი ტანსაცმლით სავსე პაკეტები გარშემო შემოიწყო და კუ-გელმასს ნაზად აკოცა.

– შემდეგ ჯერზე – ჩემთან, – თვალი ჩაუკრა მას.

პერსკიმ სამჯერ დააკაკუნა კარადა-ზე. არაფერიც არ მოხდა.

– ჰმ, – თქვა და თავი მოიფხანა. კი-დევ ერთხელ დააკაკუნა, მაგრამ ჯა-დოქრობა არც ახლა გამოუვიდა.

– რაღაც ისე ვერ არის, – ჩაიბურ-ტყუნა.

– პერსკი, რა ხუმრობაა! – შეჰყვირა კუგელმასმა. – როგორ შეიძლება, არ მუშაობდეს?

– მშვიდად, მშვიდად... ემა, ისევ კა-რადაში ხართ?

– დიახ.

პერსკიმ კიდევ ერთხელ დააკაკუნა, ამჯერად უფრო ძლიერად.

– პერსკი, ისევ აქ ვარ.

– ვიცი, ძვირფასო, გამაგრდით.

– პერსკი, აუცილებლად უნდა და-ვაბრუნოთ, – ჩურჩულით თქვა კუგელ-მასმა. – ცოლიანი კაცი ვარ და სამ სა-ათში გაკვეთილი მაქვს. პატარა, უმნიშ-ვნელო თავგადასავალზე მეტისთვის არ მოემზადებულვარ.

– ვერ ვხვდები, – ბურტყუნებდა პერსკი, – ეს ისეთი სანდო ტრიუკია... ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

– ცოტა დრო დამჭირდება, – უთხრა კუგელმასს, – უნდა დავშალო. მოგვია-ნებით დაგირეკავ.

კუგელმასმა ემა ტაქსიში შეტენა და უკან, „პლაზაში“ დააბრუნა. გაკ-ვეთილს ძლივს მიუსწრო. მთელი დღე ტელეფონზე ეკიდა: ხან პერსკის ურე-კავდა, ხან – საყვარელს. ჯადოქარმა უთხრა, რამდენიმე დღე მაინც დამჭირ-დება, პრობლემის არსში კარგად რომ გავერკვეო.

– რა ხდებოდა სიმპოზიუმზე? – ჰკითხა დაფნამ ქმარს იმ ღამით.

– მშვენივრად ჩაიარა, – უპასუხა მან და სიგარეტის ფილტრს მოუკიდა.

– მოხდა რამე? კატასავით დაძაგ-რული ხარ.

– მე? ჰა, სასაცილოა... ზაფხულის ღამესავით მშვიდი ვარ. ახლა გასეირ-ნებასაც ვაპირებ.

კარს მიაწყდა, ტაქსი გააჩერა და „პლაზასკენ“ გაქანდა.

– რა ცუდია! – თქვა ემამ. – შარლს მოვენატრებოდი.

– ცოტაც გაძელი ჩემთან, საყვარე-ლო, – უთხრა კუგელმასმა.

გაფითრებული და გაოფლილი იყო. ქალს კიდევ ერთხელ აკოცა, ლიფტის-კენ გაიქცა, „პლაზას“ ვესტიბიულის ტელეფონ-ავტომატიდან პერსკის ულ-რიალა და შინ მისვლა ზუსტად ღამის თორმეტ საათამდე მოასწრო.

– ჰაპკინის აზრით, ათას ცხრაას სა-მოცდათერთმეტი წლის შემდეგ კრაკოვ-ში ქერის ფასი ასეთი მყარი არასდროს ყოფილა, – უთხრა დაფნას და საცოდა-ვად გაიღიმა, როცა საწოლში ძვრებოდა.

მთელი კვირა ასე გავიდა. პარასკევ საღამოს კუგელმასმა დაფნას შეატყო-ბინა, კიდევ ერთ სიმპოზიუმზე უნდა გავფრინდე, ამჯერად, სირაკუზშიო.

ისევ „პლაზასკენ“ გაეშურა, თუმცა მე-ორე შაბათ-კვირა პირველს საერთოდ არ ჰგავდა.

– დამაბრუნე რომანში ან ცოლად მომიყვანე, – უთხრა ემამ. – სამსახურის შოვნაც მინდა, თუნდაც რაიმე კურსებზე სიარული. მთელი დღე ტე-ლევიზორის ყურება წამებაა!

– ძალიან კარგი, ფული გაგვიჩნდება, – უპასუხა კუგელმასმა. – წონაში ორჯერ დაიკლებ, თუ დამლაგებლად იმუშავებ.

– გუშინ ცენტრალურ პარკში ოფ-ბროდვეის ერთი პროდიუსერი გავიცანი. მითხრა, ახალი პროექტისთვის გა-მომადგებიო, – თქვა ემამ.

– ვინ მასხარაა?

– მასხარა არ არის. მგრძნობიარე, კეთილი და სიმპათიურია. ჯეფ რაღაც-გვარია – კარგად არ მახსოვს. „ტონი-ზეა“ წარდგენილი.

იმ საღამოს მთვრალი კუგელმასი პერსკის მიადგა.

– დამშვიდდით, – უთხრა პერსკიმ, – ასე ინფარქტი არ აგცედებათ.

– დამშვიდდით... ეს კაცი მეუბნება, დამშვიდდითო. რომანის პერსონაჟი სასტუმროს ნომერში მყავს გამოკეტილი, ჩემი ცოლის დაქირავებული კერძო დეტექტივი კი, ალბათ, უკვე კუდში დამდევს.

– კარგი, კარგი, ვიცი, რომ პრობლემა გაქვთ, – პერსკი კარადის ქვეშ შეძვრა და ვეება ქანჩით რაღაცაზე და-აკაკუნა.

– გარეულ მხეცს ვგავარ, – განაგრძო კუგელმასმა, – ქალაქში მალვით დავიპარები, მე და ემამაც ერთმანეთი დავაშტერეთ. ალარაფერს ვამბობ სასტუმროს ანგარიშზე, რომელიც ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტს დაემსგავსა.

– მე რაღა ვქნა? – თქვა პერსკიმ. – მაგია ფაქიზი ნიუანსების სამყაროა.

– ფეხებზე მკიდია ნიუანსები! ამ პატარა თაგუნიას „დომ პერინიონსა“ და შავ ხიზილალაში ვახრჩობ, ამას დაუ-

მატეთ მისი გარდერობი, დაუმატეთ თეატრალური სტუდია, რომელშიც ჩაირიცხა და უცებ პროფესიონალური ფოტოები დასჭირდა. გარდა ამი-სა, პერსკი, პროფესორმა ფივიშ კოპ-კინდმა, რომელიც შედარებით ლიტე-რატურათმცოდნეობას ასწავლის და რომელსაც ჩემი ყოველთვის შურდა, იმ პერსონაჟში ამომიცნო, ფლობერის რომანში პერიოდულად რომ ჩნდება. დამემუქრა, დაფნასთან მივალო. სრულ კრასს, კატასტროფას, ციხეს ვხედავ. მადამ ბოვარისთან ღალატის გამო ჩემი ცოლი მათხოვრობისთვის გამწირავს.

– რა გითხრათ? ამ საქმეზე დღედაღამ ვმუშაობ. თქვენს განცდებს რაც შეეხ-ბა, ვერაფრით დაგეხმარებით. ჯადოქარი ვარ, ფიქოანალიტიკოსი კი არა.

კვირას, შუადღით, ემა სააბაზანოში ჩაიკეტა და კუგელმასის ხვეწნა-მუდა-რას ყურს არ უგდებდა. კაცი ფანჯრი-დან ვოლმანის საციგურაო მოედანს გადაჰყურებდა და თვითმკვლელობაზე ფიქრობდა: „დაბალი სართული რომ არ იყოს, ახლავე გადავხტებოდი... ევრო-პაში ხომ არ გავიქცე ცხოვრების თა-ვიდან დასაწყებად? ან იმ გოგოებივით „პერალდ ტრიბიუნის“ გამყიდველი ხომ არ გავხდე“?

ტელეფონმა დარეკა. კუგელმასმა მექანიკურად აიღო ყურმილი.

– წამოიყვანეთ, – უთხრა პერსკიმ, – მგონი, ყველაფრის მოგვარება შევ-ძელი.

კუგელმასს გული შეუფრთხიალდა.

– არ ხუმრობთ? – წამოიძახა. – მარ-თლა შეაკეთეთ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, ტრანსმი-სიის ამბავი იყო.

– პერსკი, გენიოსი ხართ. ერთ წუთში მანდ გავჩინდებით. არა, უფრო ადრეც.

ისევ გაეშურნენ საყვარლები პერსკის ბინისკენ, ისევ შეძვრა ემა ბოვარი კა-რადაში თავისი საჩუქრებით. ამჯერად კოცნა არც გახსენებიათ. პერსკიმ კარი მიკეტა, ღრმად ჩაისუნთქა და ყუთზე

სამჯერ დააკაკუნა. სუსტი ტკაცუნის დამამშვიდებელი ხმა გაისმა და როდე-საც შიგნით შეიხედა, იქაურობა ცარიელი დახვდა. მადამ ბოვარი რომანში დაბრუნდა. კუგელმასმა შვებით ამოისუნთქა და ჯადოქარს ხელი ჩამოართვა.

— მორჩა, ეს ჩემთვის კარგი გაკვე-თილი იყო, — უთხრა მას. — ვფიცავ, გვერდით აღარასდროს გავიხედავ.

კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი პერ-სკის და გადაწყვიტა, ჰალსტუხს ვაჩუქებო.

•

სამი კვირის შემდეგ, გაზაფხულის ერთ მშვენიერ სალამოს, პერსკის ზა-რის ხმა შემოესმა და კარი გააღო. ზღურბლზე კუგელმასი იდგა და მორ-ცხვად იღიმებოდა.

— კარგი, კუგელმას, ახლა საით?

— მხოლოდ ერთხელ, — უთხრა მან, — ისეთი მშვენიერი ამინდია და მეც ხომ არ ვახალგაზრდავდები... მომისმინეთ, „პორტნოის სინდრომი“ წაგიკითხავთ? მაიმუნა გახსოვთ?

— ახლა ეს ოცდახუთი დოლარი ღირს, იმიტომ რომ ყველაფერი გაძ-ვირდა, მაგრამ ამ ჯერზე უფასოდ მო-გემსახურებით, იმის გათვალისწინე-ბით, რა უსიამოვნო მდგომარეობაში ჩაგაყენეთ.

— კარგი, კეთილო კაცო, — უთხრა კუგელმასმა, შერჩენილი ორიოდე ღერი

თმა შეისწორა და კარადაში შეძვრა. — ხომ იმუშავებს?

— იმედი მაქვს, თუმცა იმ ამის შემ-დეგ აღარ შემიმოწმებია.

— სუსტი და რომანტიკა, — ამოიძა-ხა კუგელმასმა კარადის სილრმიდან, — რას არ გავუძლებთ მშვენიერი თვალე-ბის გულისთვის!

პერსკი „პორტნოის სინდრომი“ ყუთში შეაგდო და ზედ სამჯერ დაა-კაკუნა. ამჯერად ტკაცუნის ნაცვლად სუსტი აფეთქების ხმა გაისმა, რასაც ბათქაბუთქი და ნაპერწკლების შად-რევანი მოჰყვა. პერსკი შეხტა, გულში მძაფრი ტკივილი იგრძნო და უსულოდ დაეცა. კარადა ცეცხლის ალში გაეხვა, ბოლოს კი მთელი სახლი ერთიანად და-იფერფლა.

კუგელმასს, რომელმაც კატას-ტროფის შესახებ ვერაფერი გაიგო, დიდი გასაჭირი ადგა: ის ვერც „პორ-ტნოის სინდრომში“ მოხვდა და ვერც სხვა რომანში; ესპანური ენის ძველ სახელმძღვანელოში აღმოჩნდა და სი-ცოცხლის ბოლო წუთამდე უნაყოფო, კლდოვან ადგილას დარბოდა, რადგან დიდი და ბანჯგვლიანი უწესო ზმნა „te-ner“ (ყოლა, ქონა) წვრილი, გრძელი ფე-ხებით გამოეკიდებოდა ხოლმე და და-საჭერად დასდევდა.

ინგლისურიდან თარგმნა  
ირმა ტაველიძემ

## შოტლანდიული, ინგლისელი და ამერიკელი პოეტები

### რობერტ ბერნსი



ჩემს გულში, როგორც ივნისის თვეში,  
აყვავდა ტრფობის წითელი ვარდი,  
ტრფიალის ჰანგთა სინარნარეში  
სიამედ მექცა ყოველი დარდი.

რაც უფრო მეტი მშვენებით მათრობ,  
სიყვარულს გულში მეტად მოველი  
და მეყვარები მარადის, სატრფოვ,  
თუნდაც ზღვა დაშრეს ქვეყნად ყოველი.

თუნდაც სულ დაშრეს ზღვის უსაზღვრობა,  
მზემ დაწვას, მთების წვაც თუ ინება,  
არსად დამტოვებს მე ჩემი ტრფობა,  
სანამ დრო სადღაც მიედინება.

ჩვენს განშორებას ტკივილით ველი,  
დროებით წასვლას ხანგრძლივ ვუნდები...  
მაგრამ ჩვენ შორის ათასი ველი  
რომ იყოს, მაინც დაგიბრუნდები.

### კორჯ გორდონ ბაირონი



მორჩა... ვერასდროს ველარ შევძლებთ ერთად ხეტიალს,  
ჩვენს ნაფეხურებს ღამის სიო ველარ მიაგნებს,  
მაგრამ გულები ძველებურად ერთურთს ეტრფიან  
და მთვარის დისკოც ძველებურად ცაზე ციაგებს.  
მორჩა... ცხოვრებას რაც რამ უნდა, ის დააპიროს,  
ჩემს სულს მკერდიდან ამოსვლა სურს დღეს  
გააფორებით,  
დღეს გულმაც უნდა სავანეში გაინაპიროს,

დღეს სიყვარულმაც ძირს დაუშვას უნდა აფრები.  
მოტრფიალენი ერთურთს კვლავაც ღამით ეტრფიან,  
განთიადამდე კვლავ ეძებენ შვებას ალერსში,  
ჩვენ კი ვერასდროს ველარ შევძლებთ ერთად ხეტიალს  
მთვარის სხივთაგან გადმოფრქვეულ სიმხურვალეში.



ვუმზერ შენს თვალებს, ვაკვირდები შენს მიხრა-მოხრას  
და მდუმარენი ცრემლით ნაპან ბილიკს მივყვებით;  
ო, ისე გინდა ჩემთან ყოფნა, ო, ისე ოხრავ,  
რომ მეტს, უფრო მეტს ამბობ ამით, ვიდრე სიტყვებით.  
ვიცი, რომ დავრჩით ჩვენ ცრემლების გაღმა-გამოღმით,  
ტრფობას და იმედს განგვაშორა მომავლის განსჯამ...  
ჩემო გოგონა, საზარელი სევდით და ბოლმით  
მეც ვიტანჯები! – ნუ გგონია, მხოლოდ შენ გტანჯავ.

მეც მინდა გითხრა, მინდა განდო სათქმელი, მაგრამ  
შენს ტკბილ ბაგებს ვერ შორდება ჩემი ბაგენი  
და შენ არ გჯერა, მეც რომ ვტირი... არ გჯერა, რადგან  
ცრემლების ზღვაში შენ ჩემს ცრემლებს ვერ მიაგენი.  
ო, გევედრები, ასე უღვთოდ ნუ გამაწამე  
განუწყვეტელი ქვითინით და ცრემლთა შეტევით  
და მითხარ რამე... სანუგეშო მითხარი რამე,  
მხოლოდ ჩემს სახელს ნუ წარმოთქვამ თავგამეტებით.

ჩემო გოგონა, სჯობს მომავალ ხვედრზე გვეზრუნა,  
რადგან ამაო გლოვისათვის არ გვშობს განგება;  
და თუ დღეის დღის ხსოვნა შეგვრჩა ხვალის მეგზურად,  
ჩვენი სიცოცხლე შემზარვად გაითანგება.  
მშვიდობით, ჩემო საყვარელო, იყავ მშვიდობით!..  
დათმე წარსული – მშვენიერი გრძნობით ნაფერი;  
ერთადერთ იმედს, სჯობს, მივენდოთ ჩვენ სულდიდობით  
და დავივინწყოთ... დავივინწყოთ ეს ყველაფერი!

## ემილი ღიპინსონი



შორეულ მთვარეს ხელები ქარვის  
აქვს თითქოს მარად ზღვისკენ გაწვდილი....  
ზღვაც, მთვარის გარდა, არსად და არვის  
არ სდევს მორჩილად, როგორც ყმაწვილი.  
ზღვას მთვარე მართავს, თუ სად და როდის  
ტალღა ნაპირთან ტალღით მორიყოს...  
ზოგჯერ ქალაქთან სულ ახლოს მოდის,  
ზოგჯერ ცდილობს, რომ მისგან შორს იყოს.  
ჩემო ბატონო, შენც ქარვის ხელით

ზღვასავით მართავ ჩემს გრძნობებს თითქოს...  
ჩემი სიცოცხლე არსებით მთელით  
ბრძანებას შენსას ელის და ითხოვს.



თუ მოხვალ, მოდი ფოთოლცვენისას  
და განვიშორებ ზაფხულის ფიქრებს,  
ვით ქალი, მწერთა მოსაშორებლად  
ხელს ღიმილით ან ზიზღით რომ იქნევს.

თუ ერთი წელი დამჭირდა მოცდა,  
თითო თვეს თითოს მოვაქსოვ ლოდინს,  
უჯრებში ჩავდებ ნაქსოვებს, რათა  
ვთვალო – შეხვედრის დრო როგორ მოდის.

თუ თმენა გასწვდა საუკუნეებს,  
ას-ასი წელი თვალონ თითებმა,  
სანამ შორეულ აგსტრალიამდე  
ეჭვები სრულად გადაითვლება.

თუ ეს სიცოცხლეც წავა, ვიგრძნობთ, რომ  
ერთად ყოფნისთვის სჯობს უმისობა...  
დროს უსარგებლოს მოვაცლით კანს და  
შეგვხვდება სადლაც მარადისობა.

ახლა კი, სანამ დროის და სივრცის  
ვერსად მპოვნელი ერთი ქალი ვარ,  
მე ზღაპრულ ფუტკარს ველი, რომ მისი  
კბენითლა ვიგრძნო, რომ ცოცხალი ვარ.

## ჰერი ლონგზელო

### შვიმიანი ღლე

ღლეს ისევ ცივა, ცა მოქუფრა სიბნელის დაღმა,  
ღლეს ისევ წვიმს და ქარი დაქრის აღმა და დაღმა...  
ჩასჭიდებია სურო-ვაზი დამსხვრეულ ლოდებს,  
წვიმა და ქარი ფოთლებს აცლის და ისიც ჰგოდებს...  
და ისევ ცივა, ცა მოქუფრა სიბნელის დაღმა.  
ჩემს ცხოვრებაშიც დაქრის ქარი აღმა და დაღმა,  
ისევ მაწვიმს და ცა მოქუფრა სიბნელის დაღმა;  
ჩემი ფიქრები ჩაეჭიდნენ დამსხვრეულ წარსულს  
და ჩემს უსასო სიჭაბუკეს სიცოცხლე არ სურს...  
და ისევ მცივა, ცა მოქუფრა სიბნელის დაღმა.  
ან კმარა, გულო! ნუ იტკივებ ხსოვნის იარებს,  
ღრუბლების მიღმა ცა ელვარებს და მზე ბრდლვიალებს;

და რითაც ბერი გული ნაღვლობს, შენც ნაღვლობ იმას –  
უნდა გაუძლოს ზოგჯერ კაცმა ცხოვრების წვიმას...  
და ცა მოქუფროს ზოგჯერ უნდა სიბნელის დაღმა.

## პერსი ბიში შელი

### ცვალებადობა

ჩვენ ვართ ღრუბლები და პირბადით შევბურეთ მთვარე,  
ჩვენ მივიჩეარით ნარნარად და თეთრი აფრებით...  
წყვდიადშიც გვახლავს სისპეტაკე! მაგრამ სულ მალე  
ლამეც მიაღწევს თავის სასრულს და ჩვენც გავქრებით.  
ჩვენ მივიწყებულ ლირას ვგავართ, მოშლილ სიმებით  
სხვადასხვა ჰანგზე რომ ხმიანობს ყველა შეხებით;  
ბზარებსღა ვითვლით... თითქოს სიმით იმ გზას მივებით,  
ბოლოს და ბოლოს უფსკრულში რომ გადვიჩეხებით.  
გვძინავს და... ზოგჯერ ჩაიღვრება სიზმარში შხამი,  
ვიღვიძებთ... ერთ ფიქრს ძალუძს, მოსპოს ყველა ნუგეში,  
ხანგრძლივ ტირილში ვიღიმებით ორიოდ წამი  
და ხან არ ვნაღვლობთ, ხან ვიხუტებთ სევდას უბეში.  
აქ ყველაფერი სულერთია – ვდარდობთ თუ ვხარობთ,  
გრძნობათა ცვლაში სულ არ ვიცით გულის დანდობა;  
გუშინდელს ხვალ თუ ვეღარ ნახავთ, ნუ მგლოვიარობთ –  
მარადიული არის მხოლოდ ცვალებადობა.

### სიყვარულის ზიღოსოფია

ამქვეყნად ყველა ნაკადული ერთვის მდინარეს,  
ყოველ მდინარეს ელოდება ზღვის სტიქიონი,  
ზეციურ ტატნობს, ნეტარებით პირ-მოცინარეს,  
უერთდებიან ტრამალებზე მქროლი სიონი.  
არავის აწევს მარტოობა მძიმე კირთებად,  
განგებამ ყველას მოწყალების თვალით შეხედა.  
სულდგმული სულდგმულს მიესწრაფვის და ენივთება,  
მე კი ვერ შევძელ, სანატრელო, შენთან შეხვედრა.  
შეხედე, მთაც კი შესწვდენია ზეცის ბაგეებს,  
ტალღაც კი ტალღას ჩაჰვრეხია ვნებამორევით,  
მომდურებულ დას ძმა სიკეთის ღიმილს აგებებს,  
აღარც კი ახსოეს, რომ ახრჩობდა ბოლმის მორევი.  
თუნდ ჩამოცალოს მზემ მინაზე ალერსის თასი,  
თუნდ მოაფრქვიოს მთვარემ ზეცას ვნების ტბორები,  
განა ექნება ამ ყველაფერს რაიმე ფასი,  
მე შენს ბაგეებს თუკი ვეღარ ვეამბორები?!

თარგმნა ალექსანდრე ელერდაშვილმა



## ნატალია ტროპიმი

ნატალია ტროპიმი – უკრაინელი პოეტი, მთარგმნელი. მაქსიმ რილსკის პრემიის ლაურეატი (2009). პრემია „მეტაფორის“ დიპლომანტი (2013), რამდენიმე პოეტური და საბავშვო კრებულის ავტორი. თარგმნის ინგლისური, პოლონური, ჩეხური, ბელორუსული, ლიტვური და ქართული ენებიდან.

ცხოვრობს და მოღვაწეობს ქალაქ ლვოვში. არაერთხელაა ნამყოფი საქართველოში და ეუფლება ქართულ ენას.

•  
ფოტოს სანაცვლოდ  
სახსოვრად ვტოვებ რენტგენოგრამას.  
თუ შეძლებ თქმას, რომ  
გამჭოლადაც მშვენივრად მხედავ?

•  
ვინც მოიხადა ჯერ  
სიცოცხლის ეიფორია,  
მერე სიკვდილის ეიფორიის  
ჯერი უდგება.  
თუა, ნეტა, მოსალოდნელი რეციდივები?

•  
სუნთქვა გააშრობს ბაგის ცვარს ალხით,  
არ ვტრიალდები – ზურგს მზერას ახლის,  
ტყვიას ვამსგავსებ ცხელს მე იმ ძახილს!  
არც ახლოდან და არც შორიდან აღარ ვბრუნდები.

აღარ ვახსენებ შენს სახელს, ნაცნობს,  
სხვა უსახელოს შევლიმე ბანცად.  
მგლოვარი ბაგის დამცინავი ლიმილის ფასად –  
მოგიწევს ლოცვა...

ოდესლაც,  
ასე, ორასი წლის წინ,  
ჩემი სახლის ფანჯრების ძირში  
მიმოდიოდნენ  
მოხეტიალე  
მუსიკოსები – უკრავდნენ არღანს.  
და აი, ახლაც  
ისევ დადიან  
ამ ძველ ქალაქში  
გალუმბული ლანდების მსგავსად  
მოლუშული დღეები.  
ქარს ხმად  
მიაქვს იმათი  
სულელური შეძახილები.  
თითქოს ბევრი გაეგებოდეთ  
წვიმის ხილვების.  
იქნებ, დროულად მიმეყარა  
ფეხებთან ხურდა. დროა მხილების?!  
მაგრამ არაფერს არ ითხოვენ,  
თითქოს არც სურდათ  
არასდროს რამე.  
მიმოდიან თავისთვის და  
არაფერს მთხოვენ....

გაზაფხულობით გაიკვებება მზისგან ფოთლები,  
ზაფხულობითაც. შემოდგომით კი ინთებიან,  
ცვივიან და წელა თოვლქვეშ იმარხებიან,  
იმარხებიან ზამთარში ასე გაზაფხულები.

შენ იმხელა ხარ! –  
რომ ხელებს გხვევ,  
როგორც სამყაროს...  
მე კი ისეთი პატარა ვარ,  
ხელებით მფარავ –  
გული ვიყო მე თითქოს შენი...

ჩემი მზერა  
ქვასავითაა, მძიმეა და  
ვერ ამოიტან  
სახის უღრმესი უფსკრულიდან.  
ძვრასაც ვერ უზამ

თვალის ფსკერიდან.  
ვერ ასწევ მაღლა –  
სახის მიწისპირს ვერ მოაშორებ –  
უძრავია,  
გაქვავებული...  
მხოლოდ დიდი გაჭირვებით  
შეიძლება მოსწყდეს სახეს და  
ანარეკლებად  
ავტომობილის მინებზე მაშინ  
გადაადგილდეს,  
როცა მათში წამიერად შემოიჭრება  
ლამეული მჭვირვალებიდან  
სწრაფმავალი სამყაროს სახე,  
რომელიც მისდევს თავისსავე თავს,  
სიმძიმის მდევნელს,  
და ვერაფრით შეაკავებს ვერც ერთი  
მზერა....



იქ, შორიახლოს, სადაც ჩემი კაბა ჰქიდია,  
არ ჩამოივლის ერთი ტრამვაიც.  
იმ ოთახში მდგარ კარადასაც  
არასოდეს ააძაგდაგებს  
იმის რახრახზე.  
არც ჩემს საყვარელ კაბას  
გაზრინავს.  
არ დასცვივდება თეთრი კოპლები  
შავი ფონიდან  
ისე, თითქოს მე მივდიოდე  
და წინ ქარი მეგებებოდეს.  
როგორც უწინ  
მხევდა მკლავებში,  
მაწყდებოდა ზვირთებად და  
ზამთარშიც კი არა წყვეტდა ზაფხულზე ჩურჩულს.  
ახლა ჰქიდია,  
დაცლილი და დაობლებული,  
როგორც უსულოდ დარჩენილი კენტად სხეული.  
იქ სადაც ჩემი კაბა ჰქიდია,  
ტრამვაი არა,  
ერთადერთი – დრო ჩამოივლის.



სავსე მთვარის ბურთს  
დაცვარულს და დაღრუბლულს ვხედავ.  
აღარც კაენი მოსჩანს მასში  
არც ძმა, აბელი...

რატომ ტირიან ბავშვები ასე  
უნუგეშოდ და საცოდავად,  
თითქოს რაღაცას ამჩნევდნენ საშიშს,  
თითქოს ესმოდეთ გაუგონარი –  
ჯერ რომ არავის არა სმენია.  
აზრიც აღარ აქვს, იმკითხაონ  
სავსე მთვარეზე –  
აღარც წარსულზე, რომ არ ასრულდა,  
არც მომავალზე, არასოდეს რომ არ სრულდება!  
არ ღირს თვალების დათხრა ყურებით  
ბადრი მთვარის სავსე დისკოზე  
და ავი წინათგრძნობებით დაღლა.  
მხოლოდ ბავშვების ღნავილს უსმინეთ –  
დაამშვიდეთ, მიუნანავეთ,  
სანამდე ღიმი არ ჩაუდგებათ,  
სახე სინათლით არ აევსებათ,  
გაებადრებათ გაცრეცილი ღამის თაღებში,  
ნუ მოაშორებთ სახეებს მზერას,  
რომლებშიც, როგორც ზლაპრულ სარკეში,  
მოსჩანს სამყაროს სილამაზე და  
მოსჩანს სამყაროს ბედნიერება და სიყვარული!

**თარგმნა მარიამ წიკლაურმა**



### კატო ჭავახიშვილი

#### საქართველოში უკვე ძალიან გვიანია, არა?“ (საუბრები ირმა შიომლაშვილან)

„უტყუარი სიზუსტეებისა მეშინია, კატეგორიულობების, თავსმოხვეული ჭეშმარიტებების, მტკიცებითი ტონის, ძახილის ნიშნებზე აღარ ვსაუბრობ და ადამიანებზე, რომლებიც ფიქრობენ, რომ ცხოვრება შეიძლება გახდეს კატეგორიულ მცნებათაგან ერთ-ერთი, კატეგორიული ინტონაციით მოვიდეს და მიგვითითოს, რომ კეთილშობილება – ეს არის სუბლიმირების უმაღლესი მწვერვალი, უმაღლესი სიმდაბლე იმ ყველაფრის გამოხატულებისა, რასაც ადამიანები ყოველდღიურ მოძრაობაში ვცდილობთ და მაინც უძრაობაში ვრჩებით, არადა, სიყვარული უპირატესია, კეთილშობილება კი მისი შემადგენელი ნაწილი. ეს ისე, წესით. ჰოდა, როცა ჩემი მეგობრის მეგობარი ამბობს, რომ ის მართალია და მართალია სულ და ყოველთვის და ამტკიცებს ამ სიმართლის ჭეშმარიტებას, მე სულ ვიხსენებ იმას, როგორ მეშინია უტყუარი სიზუსტეების და ვდუმვარ.“ – ეს ჩემი ძველი ჩანაწერი იმიტომ გამახსენდა, რომ ეს გოგო არანაირ სიზუსტეს და კატეგორიულობას არ ერგება, არც კატეგორიულობა სჭირდება და არც ლითონის ტონი ხმაში იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტია, რომ შორსაა, რომ სიყვარული უპირატესია, კეთილშობილე-

ბა კი მისი შემადგენელი ნაწილი. ასეთია ის, ირმა შიომლაშვილი.

(სკაიპში ირმა შიომლა გამწვანდა, ნიშნავს – მომწერს, ნიშნავს – აქ არის, ანუ, არანაირი დრო და სიშორე და სხვა განზომილებები არ არსებობს)

– კატოოო, ბოდიში დაგვიანებისთვის.

– მე კიდე მგონია, რომ გერმანული სიზუსტით მოხვედი და თან ისიც მგონია, რომ სალამოს ბონიდან გამოგაქციე, ანუ სასეირო ამბებიდან, მზესავით იშვიათად რომ გამოანათებს ხოლმე იმ ქალაქში, მე რომ სულ მინდოდა და ვერაფრით მოვხვდი.

– ჴო, დღეს ქალაქში ვიყავი გასული, მზე ანათებდა და როცა ასეთი ამინდია, ყოველთვის კარგად ვარ... ისე შევეზარდე ამ უცხო ქალაქს, ხანდახან საკუთარი თავისაც მიკვირს – მოსიარულე ხესავით. თუმცა, ბევრი ხეტიალი მაინც მღლის.

– მე კიდე ისე მიყვარს უცხო ქალაქებში ბოდიალი, ვერ წარმოიდგენ. იქნებ, მაგანაც დალლა იცის, მოწყენა, შეჩვევა, მაგრამ მაინც საინტერესოა. ისე, ვითომც არაფერი, აი, იყიდე ბილეთი და გაფრინდი, და უცებ სხვა სინამდვილე, სხვა ხალხი, სხვა გარემო, გამბედაობა გინდა, თავსაც გაუძლო და სინამდვილესაც, თანაც ისე, არ დაინგრე.

– ჰო, ახალგაზრდას ხომ მეტი გამბედაობა გაქვს. ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო, აღმოჩენებსა და განვითარებაზე ვფიქრობდი, თან პოსტსაბჭოთა სივრცეში გაზრდილი ადამიანისთვის საოცნებო რამ იყო დასავლეთში გასვლა და იქაურ ქუჩებში ხეტიალი. ახალგაზრდას დიდი გული აქვს, სჯერა, რომ მთებს გადააბრუნებს.

– აი, მე მშიშარა ვარ, სულ რაღაცას ვარღვევ და ვერაფრით მოვანგრიე ის საზღვრები, აქედან რომ გამიყვანდა. გადამეტებულმა პასუხისმგებლობებმა და ყოფამ ჩამაბეტონა, არადა, სულ სხვანაირი ვჩანვარ, მერე კიდევ დრო გადის და რა, რისთვის, ვეღარ იგებ, რა იყო საჭირო და თავად რა გინდოდა, იმასაც.

– ყველაფერს ხომ თავისი დადებითი და უარყოფითი აქვს, კატო, ასე ერთბაშად არ წავსულვარ, მთელი წელი ვამზადებდი საბუთებს, ჯერ ერთი წლით წავედი, ენა ვისწავლე, ვიმოგზაურე, მერე, რომ ჩამოვედი, ასპირანტურაში ჩავაბარე და ჩემმა ხელმძღვანელმა, არაჩვეულებრივმა ადამიანმა, დავით თევზაძემ მოისურვა, თემა გერმანიაში დამეწერა.



### – თემა?

– ჰო, შედარებით ლიტერატურათმ-ცოდნეობაში (კომპარატივისტიკას რომ ეძახიან) – თემას ერქვა „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“. ომის შემდგომი გერმანელი პოეტები ვიკვლიე, ვთარგმნე და მათი შემოქმედება ქართველ საბჭოთა პოეტებისა შევადარე.

– საინტერესო თემაა, გერმანულ ლიტერატურასთან შედარება არც ისე მარტივი საქმეა, მაგრამ რეალურად, პოლიტიკური კვლევა უფროა ეგ, ლიტერატურულ – პოლიტიკური, ფსიქოლოგიურიც. მაშინ, როცა ჩვენი ომის შემდგომი პერიოდი ხანგრძლივ, თუნდაც იძულებით იდეოლოგიურ ბლოკადას გულისხმობდა, რა ხდებოდა იქით?

– კი, ასეა, მარტო პოლიტიკური ლირიკა კი არა, ლირიკის საშუალებით გადმოცემული დამარცხებული ერის ფსიქოლოგია ვიკვლიე. ომის შემდგომ დამარცხებული და გამარჯვებული ერის ფსიქიკა სხვადასხვანაირად ვითარდება და ეს ძალიან საინტერესოდ აისახა პოეზიაში. საბჭოთა პოეზიისგან განსხვავებით, დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური ლირიკა ერთბაშად გათავისუფლდა იდეოლოგიური მარწუხებისგან. გერმანიაში ომის შემდგომი ლექსი პროტესტის ლექსი იყო. საბჭოთა სივრცეში რაც ხდებოდა, ხომ ვიცით, მაგრამ 50-იანი წლების პოეზია პოლიტიკურ ლირიკად რომ შევფუთე, საინტერესო შედარება გამოვიდა.

– გეთანხმები. ისე, ომს ლიტერატურიდან გამოსასვლელად დიდი დრო სჭირდება, ალბათ, ასეც უნდა იყოს, ეს ხომ ბუნებრივი მოვლენაა და ჩვენ კიდევ განსაკუთრებით სენ-სიტიურები ვართ ამ კუთხით. ბოლო ომს თუ ავიღებთ, კიდევ ათეული წლებია მგონი საჭირო, მოვლენებს საღად შევხედოთ.

– ჩვენ ტკივილი დაგვრჩა, სამშობლოზე და ეროვნულ იდენტო-

ბაზე უარი არასდროს გვითქვამს, გერმანელებმა კი გერმანია უარყვეს.

– უჰ, რამდენჯერ ვთქვით, რამდენჯერ გვინდოდა და ვერ ვთქვით...

– გვინდოდა და ვერ ვთქვით-ზე გამახსენდა: იცი, ამას წინათ ერთ გერმანელ პროფესორს ვსტუმრობდი. ეს ქალი რამდენჯერმე ყოფილა თბილისში. ჰოდა, საუბარში ვახსენე, თქვენ არ იცით, როგორი ძნელია ქართველობამეთქი. გერმანელობა უფრო ძნელია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარცხს და სირცხვილს დავატარებთ. ეროვნულობადაჩლუნგებულ საზოგადოებაში კოსმოპოლიტიზმა დიდი ხანია მოიკიდა ფეხი, არადა, მტკივა ეს ხალხი და ეს ქვეყანა ამის გამო. მეორე მსოფლიო ომის ჭრილობა ჯერ არ არის დახურული გერმანიაში.

– რა უცნაური გამოხატულებაა, თუმცა იდენტობისა და სამშობლოს სიყვარულის რა გითხრა... ისეთი დრო იყო, სამშობლო გამოუვალი მდგომარეობა ხდებოდა, გადარჩენაც, სიყვარულიც, მაგრამ ეგ სიყვარულიც ხშირად ისეთი პირობითი და არაჯანსალი იყო, იქნება მაგას ეგეც სჯობს, ადგე და პირდაპირ თქვა თუნდაც მცდარი და არაკანონზომიერი რამ, ის, რომ გრცხვენია, ის, რომ დამარცხების გრცხვენია და სულ გამარჯვებულის ან მსხვერპლის პოზიციაში არ იდგე.

– ჰო, ალბათ შორიდან უფრო გაძლიერებული მაქვს ეს გრძნობა და მგონია, რომ ყველა ასეა საქართველოში.

– მოდი, იოახიმზე მომიყევი, რა..

– იოახიმი აქ, უნივერსიტეტში გავიცანი. სულ სხვანაირად განვითარდა ჩემი ცხოვრება, ვიდრე ვგეგმავდი. ქალაქი უცხო ალარ იყო, იოახიმს რომ შევხვდი, მეტიც, ძალიან მიყვარდა აქაურობა, ბონის უნივერსიტეტიც, უბრალოდ, ვფიქრობდი, რომ დროებით ვიყავი, ხომ გესმის, ქართულ სიტყვას რომ ემსახურები, ყველაფერი შენი ენობრივი სა-მყაროსკენ გეწევა. იოახიმიც მზად იყო

მაშინ საქართველოში წამოსასვლელად, მაგრამ არ აგვენებო ცხოვრება, საქართველოში სამსახური ვერ იშოვა და დავრჩით აქ. მართალი ყოფილა „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“. აქ რომ სამუდამოდ დავრჩი, საშინელი დეპრესია დამენებო, მთელი იდენტობა ერთ კაცს ვაჩუქე და მივხვდი, რომ მომკლა ამან – ჩემი თავის აღარქონამ. წერაც შევწყვიტე და ეს ნამდვილი სიკვდილი იყო. ვიცი, დრამატულად ვწერ, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა გავიარე. მაშინ არც ინტერნეტ-სივრცე არსებობდა, ისე მიჭირდა უთქვენოდ – ქართველი ლიტერატორების გარეშე. საშინელი მსხვრევები და იდენტობის პრობლემები მქონდა.

– იცი? მე კიდევ მგონია, რომ ეგ იდენტობა ზოგჯერ ერთ სიტყვაშიცაა და ერთ კაცშიც, მთავარია, შენს თავში არ დაკარგო და რეალურად ხომ ვერც კარგავ, თავს გახსენებს, არ გასვენებს, საკუთარი თავისგან სად წახვალ, ვერც ვერსად. უბრალოდს მისვლაა აქამდე ძნელი, გაცნობიერება, რომ შენი წილი ქვეყანა სხვაგან არსად და – შენთანაა.

– კი, ასეა. ჩემი შინაგანი მე იბრძოდა, ვერ ისვენებდა, კედლებს აწყდებოდა, გზებს ეძებდა ქართული სიტყვისკენ. თან ხომ არსებობს რაღაც დაწერილი ან დაუწერელი ბუნებაში, რომელიც შენს ცხოვრებას სულ თვალს ადევნებს, ადამიანებს გიგზავნის. საქართველოში ვიყავი ჩამოსული და შემთხვევით ლელა სამნიაშვილს შევხვდი. ლელამ მომცა მიხო მოსულიშვილის მეილი, მივწერე მიხოს და ... კარგი ინტერვიუ და პუბლიკაცია გააკეთა ლიტებალიტრაში, ასე დავპრუნდი და მიხო მეგობრად შევიძინე.

– თანაზიარობა გაკლდა, ეგ აქაც შეიძლება დაგემართოს. ხანდახან, როცა ყოფის გამო, უფრო სწორად, იმ საქმეების გამო, რომლითაც ამ ყოფას ვაშენებ, მიწევს ისეთ კომპანიებში ყოფნა, სადაც ჩემი ადგილი არაა და ეს არცოუ ისე იშ-

ვიათად ხდება, ვგრძნობ, როგორ ვკვდები რაღაცნაირი მუავე, ნელი სიკვდილით და მგონია, რომ დამთავრდა, აი, არაფერი ალარ იქნება, ვერც დავწერ, მხოლოდ ვიარსებებ და ჯოუტად ვიბრძოლებ ამ არსებობისთვის. ფუფუნება გახდა წერა.

— ეგრეა, კი, ყოფა გვანადგურებს. „ებლიტფო“ გახსოვს? მერე მიხომ მიმასწავლა გზა „ებლიტფოსკენ“ და ამან გადამარჩინა. თქვენ გვერდით აღმოეჩნდი და მეც ისევ გავიხსენი, ისევ წერა დავიწყე.

— როგორ არ მახსოვს ჩვენი პატარა, ვირტუალური, ლიტერატურული სახლი.

— ჰოდა, ერთი „eblitfo“ ისევ გვჭირდება. შენ რა კარგად მახსოვხარ, შენ, გიორგი კეკელიძე და ნინო სადლობელაშვილი იქ აღმოგაჩინეთ.

— კარგი დრო გამახსენე. დავსხედით ვირტუალურ ფანჯრებში ქალები და ძველ ამბებს ვიხსენებთ. მანდ როგორაა პოეზიის ამბავი? აქვს პოეტს იმის ფუფუნება, ლექსებით იცხოვროს?

— არა, ამის ფუფუნება პოეტს არსად არა აქვს კატო, პროზაიკოსს კი, მაგრამ პოეტი ყველგან არაკომერციულია. მე კიდევ ეს ოხერი პროზა არ გამომდის.

— არადა, პოეზია სულ სხვა ენერგიაა, სულ სხვა ცხოვრება.

— ზუსტად. სხვა სიბრტყეა პოეზია. როცა აქტიურ უურნალისტიკაში ვმუშაობდი, ხშირად ვწუნუნებდი, რომ დიდ ენერგიას ვდებდი ჩემს პროფესიაში, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ მხოლოდ პოეტი და ტელე-რადიოურნალისტი ვარ.

— მე ჯერ მეორე ვერ ვიპოვე. უურნალისტიკიდან დაწყებული დრამატურგით დამთავრებული რაღაცები მოვსინჯე, მაგრამ არა, ვერ.

— იცი, ჩემი საყვარელი პოეტი რილკეა და როცა მის პროზას ვკითხულობ, ყველაზე დიდ პოეზიას ვეზიარები, მაგრამ რა იცი, შეიძლება ჩვენც მოგვიმწიფდეს სათქმელი.

— ისე დაგრძელდნენ ჩემი ლექსები,

ფურცელზე აღარ ეტევიან, ისე.

— მე ჯერჯერობით მოკლედ ამომდის სათქმელი, მაგრამ, ალბათ, მოვა პროზის ჟამიც.

— ახლა მანდ რას აკეთებ? ჩამოსვლაზე ფიქრობ?

— ივლისში ჩამოვდივარ, კატო, როცა აქ ბავშვებს არდადეგები დაეწყებათ. პირველ რიგში ხომ დედა ვარ, მერე მასწავლებელი, მერე უურნალისტი. ათას რამეს ვიგონებ, რომ ცხოვრება შეივსოს. როგორც კი ვამჩნევ, რომ დეპრესიისკენ მივექანები, რადიოში გავრბივარ. სტუდია ძალიან მიყვარს, ამან გადამარჩინა აქ ჩემი რადიოგადაცემები ჩემი დიდი ლექსებია.

— ფორმატი, სტუმრები, ამბები... როგორია ეს რადიოგადაცემები.

— ეს საქმე 1999 წლიდან დავიწყე საკუთარი ინიციატივით სამოქალაქო რადიო „ლოკომში“. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც იდენტობას ვიბრუნებდი. ფორმატი თავიდანვე ნახევარსაათიანი იყო, ორენოვანი, თვეში ერთხელ, ანუ კულტურული უურნალის სახე ჰქონდა, მერე ქართული ენა აღარ დაუშვეს და იძულებული გავხდი, გერმანულად გავსულიყავი ეთერში, თუმცა ქუდად ქართული მუსიკა მაქვს. სტუმრები აქ მოღვაწე ქართველები ან საქართველოზე შეყვარებული გერმანელები არიან. იმდენი რამ გადამხდა თავს ამ სტუდიაში. გუშინ ინტერნეტში მერაბ ნინიძის კანის ფესტივალის ფოტოები ვნახე, მერაბიც იყო ჩემი გადაცემის სტუმარი. 2002 წელს ტელეფონით ჩავწერე ბონიდან ვენაში. მახსოვს, ტელეფონზე დავუტოვე შეტყობინება, იცოდეთ, უურნალისტურად არ მოგასვენებთ, სანამ არ დამირეკავთ-მეთქი. უსაყვარლესი ადამიანია. გუშინდელმა მერაბის სურათებმა განმიახლა ის ძველი სიხარულები.

— იმდენი ქართველია გერმანიაში, მასალა კი ბევრი გექნება, მაგრამ გერმანელები როგორ ხვდებიან ამ ქართულ

ამბებს, საინტერესოა მათთვის? როგორ გინდა გააგებინო, უთხრა: გამარჯობა, მე ვარ უძველესი ქვეყნიდან, რომელსაც საქართველო ჰქვია. გთხოვთ, მომისმინოთ.

– მახსოვს, თვრამეტი წლის წინ ახსნას მედეადან ვიწყებდით, ერთადერთი, ვისაც იცნობდნენ, შევარდნაძე იყო. დღეს ბევრ გერმანელს უყვარს უკვე საქართველო. იმდენი საქართველოზე შეყვარებული გერმანელი შემხვედრია, გული მწყდება, ამდენმა ადამიანმა რომ დავტოვეთ ქვეყანა, იმაზეც, მანდ დარჩენილებს მათზე ნაკლებად რომ უყვართ საქართველო.

– მამარდაშვილი არ იციან?

– კი, ოღონდ ინტელექტუალებმა, მაგრამ ინტელექტუალი ხომ ყველა ქვეყანაში ათი პროცენტია. ისე, ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა გაიტანა საქართველოს სახელი გერმანიაში, მაგალითად, ნინო ხარატიშვილი ყველაზე დიდი ელჩია თავისი საოცარი ნიჭიერებით და თავისი დიდი წიგნით.

– რა კარგია, რომ კარს მიღმა არ დარჩა ეს ნიჭიერება, რაღაცნაირად შენიშნეს, დაინახეს.

– ნინოც იყო ჩემი გადაცემის სტუმარი და ამ გოგოსთან საუბარში კიდევ ერთხელ დავინახე, რამხელა უბრალოება და ბუნებრიობა ახასიათებთ დიდ ადამიანებს. აյ ძალიან ნიჭიერს არავინ ბლოკავს.

– ჩვენგან განსხვავებით, სიკუვდილი როა საჭირო რაღაცების დასამტკიცებლად.

– ჰო, გეთანხმები. ჩვენთან სიკუვდილის მერე გაღიარებენ, ეს ქართული ფენომენია.

– არადა, ამხელა გერმანული ლიტერატურა უდევთ წინ, ჩვენ კი არა, მსოფლიო გაუჭირდება აწევა..

– ჰო, მაგრამ ნინო ხარატიშვილი მსოფლიო დონის მწერალია, საოცარი ენით, ენერგიით. გვერდს ვერ აუვლი დიდ ნიჭს, გერმანიაში გვერდი არ აუარეს, შარშან ბესტსელერი იყო წიგნი და ყველას მისი სახელი ეკერა პირზე,

საშუალო ფენასაც. ბავშვობაში ეკა ბაქრაძე იყო ჩემთვის საოცრება, მერე აქ სწორედ ეკასავით შევხაროდი ამ გოგოს, მადლიერების გრძნობით, რომ არსებობს და ქართველია. მთავარია, ვიყოთ, არ ჩავქრეთ.

– ძიება არ შევწყვიტოთ, არ გავიყინოთ.

– შინაგან გზებზე უნდა დავიწყოთ სიარული, ახლიდან, ნულიდან.

– მაგრამ ცხოვრება საშიში სათამაშოა, არ მოუკლი იმას, რაც მოგეცა და გართმევს.

– კი, მაგრამ, როცა ძალიან გეძვირფასება ის ჯილდო, რაც მოგეცა, ვერ მოისვენებ, თუ არ მოუარე.

– გქონია ასე? რომ გინდა შეავსო, იგონებ ათას რამეს, ზოგი თავად გეძლევა და მაინც აუტანელი სიცარიელეა და ამ სიცარიელის ამოვსებაში კიდევ ათას რამეს იგონებ და უჯრების ჩალაგება-ამოლაგებით იღლები?

– შეიძლება, სიცარიელედ გეჩვენება, მაგრამ პატარა, ძვირფასი ნაწილები მაინც დაცურავენ იმ სიცარიელეში, მერე ის ნაწილები ერთმანეთს პოულობენ და ლექსებად იღვრებიან. ჩვენ რთული შინაგანი გზები გვაქვს, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ, იმიტომ რომ განგებამ ჩვენში სარკმელი ამოჭრა, ალბათ, ეგ არის პოეტობა.

– რთული, ხან მახრიხობელაც. ხან გგონია, რა მნიშვნელობა აქვს, რა დაგახრიბობს, ის, რასაც აკეთებ, თუ ის, რასაც ვერ აკეთებ. რა სიმშვიდე მოაქვს შენთან საუბარს, ნამდვილი, ორგანული, ასე მგონია, ლულუნებ.

– ახლა მშვიდი და პოზიტიური ვარ, რადგან დღეს მზე ანათებდა, თორემ მეც ძალიან ხშირად ვარ ავად. განსაკუთრებით, როცა სათქმელი უნდა დავბადო. გუშინ ორი ლექსი დავწერე და დღეს ბედნიერი ვარ.

– ჰომ, მე აგრესიული ვარ მაგ დროს, გალიზიანებული, მგონი ცოტა შეურაცხადიც, მაგრამ ბოლო დროს ცოტას

ვწერ და ახლა ერთი დიდი არაფრობაა. ხან მზე გაგიუებს ადამიანს და ხან უმზეობა, რას გაიგებ. ისე, მანდ ცოტა მზეა, ხო?

– დღეს მზე იყო, თორე ისე არეული ამინდებია, წვიმები, გერმანული წვიმები, მაგრამ მე მჯერა, ახლა, ჩვენი საუბრის შემდეგ, შენ ლექსს დაწერ, კატო, ეს შემოქმედებითი საუბრები ჩვენი ჰაერია.

– პოეზია გაძლებს? გაუძლებს ამ ტრანსფორმაციებს და სამყაროს? ხან მგონია, დინოზავრებივით გადავშენდებით ერთ დღესაც.

– არა, რას ამბობ, საქართველოში პოეტებს რა გადააშენებს. ისე, აქაც ძალიან მოსწონთ ნამდვილი, ლამაზი ლექსები, სილამაზე ყველა დროში მოსწონთ. ხანდახან გზას უხვევენ თაობები, მაგრამ მერე მაინც ბრუნდებიან სიმართლისკენ. თუ ძალიან არარეალურად ვმსჯელობ?

**– სასურველად.**

– ალბათ, მე იმას ვამბობ, რაც მინდა, რომ იყოს. მოდი, ვუსურვოთ სამყაროს სიმახინჯის უარყოფა და პოეტების სიყვარული.

– ივლისში რომ ჩამოხვალ, სადმე, მზიან, მწვანე ადგილას წავიდეთ რამდენიმე ადამიანი და ვისაუბროთ პოეზი-

აზე, უჯრების ჩალაგება-ამოლაგებაზე, ჩვენს თავზე, სიმახინჯეზეც, როგორც სამყაროს აუცილებლობაზე, შიშვე ამ სიმახინჯის მიმართ და ფერუმარილით მოთხეპნილ ცხოვრებაზეც, რომელსაც სულ გავურბივართ.

– ჰო, ძალიან მინდა შენთან ჭიქა ყავაზე საუბარი. ნინო სადღობელაშვილმაც, მარიამმაც მოიცალონ იქნებ.

– და შენ ჩამოჯდები და ილაპარაკებ მარადიულ ლირებულებებზე, რომელიც სამყაროს ჯერ კიდევ შერჩა, მე შეგენინაალმდეგები და გეტყვი, რომ რაღაც ისე ვერ არის, როგორც ამბობ და... მოვიცალოთ, მართლა მოვიცალოთ.

– საქართველოში უკვე ძალიან გვიანია, არა?

– ან ძალიან ადრე. ჩემთვის ძალიან ფასეულია ყოველი დაბრუნება.

– გვიან თუ ადრე?

– ნებისმიერ დროს. ბოლო დიდ დაბრუნებამდე.

– ეგეც იქნება.

– რამდენ ხანს ვისაუბრეთ. გკოცნი.

– მეც, მეც.

(სკაიპის ფანჯარა ჩაქრა. ვზივარ და ვფიქრობ ლექსზე, ამ საუბრის შემდეგ რომ უნდა დავწერო, მანძილზე, დროზე და თბილისის დროით ღამის 2 საათია).



ალინა ქადაგიშვილი

## სიყვარულით შექმნილი (თამარ ლომიძის პერსონალური გამოცენა)

20 მაისის საღამო კოკისპირული წვიმით დაიწყო. ავდარმა თბილისის ქუჩებში სასიამოვნო სიგრილე და ოზონით გაუდენთილი ჰაერი დატოვა, სამაგიეროდ, გამვლელები დააფრთხო. მიუხედავად ამისა, გალერეა „სფურმატოში“ ხალხმრავლობა იყო, შავჩოხიან ვაჟუაცებსაც მოვყარი თვალი... ვცდილობდი ხალხში გზა გამეკვლია და თამარ ლომიძე მომექებნა – პოეტი, მხატვარი; იმ საღამოს „სფურმატოში“ სწორედ მისმა პერსონალურმა გამოფენამ მოუყარა თავი უამრავ სტუმარს.

გამოფენის გახსნის ოფიციალურ ნაწილს წინ უძლოდა შავჩოხიანთა გუნდის სიმღერა. თამარ ლომიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა ეძღვნება ქართულ-ნორვეგიული დიპლომატიური ურთიერთობების ოცდამესუთე წლის-თავს. სამკაციანი გუნდი, რომელმაც იმ დღეს არაერთი ქართული ხალხური სიმღერა შეასრულა, გახლავთ ქართულ-ნორვეგიული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „გიორგი“, რომლის დამაარსებელი და ერთ-ერთი წევრი თამარის მეუღლე, ნორვეგიელი სვენ ვოგეა. მამის გვერდით მათი შვილიც, ლუკა ვოგე-ლომიძე

მღერის, ამიტომ სავარაუდოდ, მალე ანსამბლს მეოთხე წევრი შეემატება. გამოფენის გახსნას მიესალმა ნორვეგიის ელჩი საქართველოში, ბატონი ბორდი.

2018 წლის მარტში ოსლოში გაიმართება მხატვრის რიგით მეექვსე პერსონალური გამოფენა, რომელზედაც უმთავრესად „სფურმატოში“ წარმოდგენილი ნამუშევრები იქნება ნაჩვენები.

თამარ ლომიძემ ფილოლოგიური განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, პარალელურად ხატვას ეუფლებოდა – ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის დროიდანვე დაინტერესდა ლიტერატურისა და მხატვრობის ურთიერთმიმართებით და მისი სამეცნიერო მუშაობაც, უმთავრესად, ამ მხრივ წარიმართა. 1993-1996 წლებში თამარი მიიწვიეს ნორვეგიაში, ქალაქ ოსლოს უნივერსიტეტში ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, სადაც იგი ნორვეგიულ ენას ეუფლებოდა და მუშაობდა კ. ჰამსუნისა და ჰ. იბსენის შემოქმედებაზე.

1998 წელს მან მოიპოვა ნორვეგიე-

ლი მოქანდაკის, გუსტავ ვიგელანდის სახელობის სტიპენდია, რის შემდეგაც მუშაობდა ნორვეგიაში, გ. ვიგელანდის სახელობის მუზეუმში თემაზე „გუსტავ ვიგელანდი და ქართული ქანდაკება“, მუნკის მუზეუმთანაც თანამშრომლობდა (თემის სახელწოდებაა „ე. მუნკისა და შალვა ქიქოძის შემოქმედება“).

სწორედ მაშინ, როცა თამარი ნორვეგიულ ენასა და კულტურას ეზიარა, მისი მომავალი მეუღლე – მუსიკათმცოდნე სვენ ვოგე, პირიქით, საქართველოთი დაინტერესდა. მან სადისერტაციო ნაშრომის თემად ქართული მრავალხმიანობა აირჩია და ამის გამო 1996 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მას გიდობასა და თარჯიმნობას თამარ ლომიძე უწევდა. სვენს ყველაფერი აინტერესებდა – საქართველოს ისტორიისა და კულტურული ტრადიციების გასაცნობად მათ არაერთი მუზეუმი მოინახულეს და ერთად იმოგზაურეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ასე გაიცნეს ერთმანეთი და დამეგობრდნენ. იმ ხანებში თამარს ცხოვრების სიმძიმე ერთიათად დააწვა მხრებზე, რადგან პირველ მეუღლეს გაშორდა და ვაჟიშვილს მარტო ზრდიდა. თანდათანობით მისი და

სვენის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და როდესაც ორივენი მიხვდნენ, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება აღარ შეეძლოთ, დაქორწინება გადაწყვიტეს. სვენმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოში დამკვიდრდა და თამარის თხოვნით მართლმადიდებლურად მოინათლა, ჯვარიც დაიწერეს. დღეს მათი შვილი ლუკა თოთხმეტი წლისაა. ამ ხნის მანძილზე ქართულ-ნორვეგიულმა წყვილმა არაერთი სიძნელე გადალახა, მაგრამ მეუღლები ყოველთვის ერთმანეთს ედგნენ მხარში. სანამ წელში გაიმართებოდნენ, თამარი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას და ნორვეგიულ ენას ასწავლიდა. ამის გამო ხატვისა და წერისთვის აღარც დრო რჩებოდა და აღარც ძალები. ამიტომ საბოლოოდ უარი თქვა მასწავლებლობაზე და საკუთარ შემოქმედებას მიუბრუნდა: პოეტური კრებულები გამოსცა და პერსონალური გამოფენებიც გამართა. მისი ნამუშევრები დიდი მოწონებით სარგებლობს და რა ხანია, ინახება მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის კურძო კოლექციებში. ამას გარდა, გამოიცა თამარ ლომიძის მიერ ნორვე-



გიულიდან  
ნათარგმნი  
საბავშვო  
წიგნი „კა-  
რიუსი და  
ბაქტუსი“.  
2012 წელს  
მან შეერისა  
ემიგრანტი  
პოეტების  
ლექსები,  
დაასურათა  
და გამოსცა  
წიგნად,  
სახელწო-  
დებით „სამ-  
შობლოს ს  
სურნელი“.

თავის მხრივ, სვენი ყველანაირად ეხ-  
მარებოდა მეუღლეს ჩანაფიქრების გან-  
ხორციელებაში. ეს საოცრად შეკრული  
და მოსიყვარულე ოჯახი იმდენ სიკეთეს  
ასხივებს, რომ ათბობს ყველას, ვინც  
კი მათ ხედავს! მიუხედავად იმისა, რომ  
თითოეული მათგანი საკუთარი საქმითაა  
დაკავებული, ისინი კვლავ თანამოაზრე-  
ბად რჩებიან. 2012 წლიდან მოყოლე-  
ბული მეუღლეები უძლვებიან მათ მიერ  
დაფუძნებულ  
ტურისტულ  
კომპანიას  
„კულტურუ-  
ლი მოგზაუ-  
რობა საქარ-  
თველოში“.  
მათი დამ-  
სახურებით  
არაერთ მა  
ნორვეგიელმა  
იმოგზაურა  
ჩვენს ქვეყა-  
ნაში. 2015  
წელს ოჯახი  
საცხოვრე-  
ბლად ბოტა-  
ნიკური ბალის



გვერდით მდებარე სახლში გადავიდა.  
ეს შენობა 250 წლისაა და თბილისის  
კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშს  
წარმოადგენს. სწორედ აქ, თამარისა და  
სვენის ერთობლივი ძალისხმევით დაიდო  
ბინა გალერეა „ნორ-გე“-მ, სადაც შეგი-  
ძლიათ იხილოთ თამარ ლომიძის მხა-  
ტვრული ნამუშევრების მუდმივმოქმედი  
ექსპოზიცია.

თამარ ლომიძის სამყაროში სი-  
მახინჯე, როგორც ასეთი, არ არსებობს.  
მხატვრობასა და პოეზიაში ის ქმნის  
პოზიტიურ სივრცეს, ისეთ მხატვრულ  
სინამდვილეს, სადაც ბოროტება სხვა  
არაფერია, თუ არა სიკეთის ნაკლებო-  
ბა. შესაბამისად, გონჯი, მახინჯიც არა-  
საკმარისად ღამაზს ნიშნავს. ბოროტე-

ბას და სიბნელეს საერთოდ არ გააჩნია  
თავისთავადი, დამოუკიდებელი არსე-  
ბობა. ისინი მხოლოდ სიკეთესთან და  
სინათლესთან მიმართებაში განისაზღ-  
ვრება. მართლაც, როცა სამყაროს სიყ-  
ვარულით აღსავსე მზერას მიაპყრობ,  
რა შეიძლება მოგეჩვენოს მახინჯად? –  
მზე ყველას და ყველაფერს ერთნაირად  
ანათებს და ათბობს.

გამოფენის დათვალიერებისას გა-


ვიცანი მხატვარი – თამარ ლომიძე.  
მისი ნამუშევრები მიამბობდნენ მასზე  
და არა პირიქით, როგორც ეს ხშირად  
ხდება. ვხედავდი სხვადასხვა ტექნიკით  
შესრულებულ, დიდი და მცირე ფორ-  
მატის ფერწერისა და გრაფიკის ნი-  
მუშებს და კოლორიტისა და კომპოზი-  
ციის მიღმა ვამჩნევდი მათი ავტორის  
დიდსულოვნებას, სულიერ სიმშვიდეს,  
სიფაქიზეს და მოსიყვარულე ბუნებას,  
წესრიგისა და სიმყუდროვის მოთხო-  
ვნილებას... მის პალიტრაზე თბილი,  
კაშკაშა ფერები ჭარბობს, გამოფენაზე  
წარმოდგენილ უამრავ ნამუშევართა  
შორის სულ რამდენიმეს თუ დაჰკრავს  
სიცივე, ისიც იმიტომ, რომ ზამთარია,  
ჩრდილოეთი, მაგრამ მაინც იმედით  
გამთბარი, გაზაფხულის მომლოდინე.

მისი ხელით დახატული თოვლიც კი თბილია, ალერსიანი.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ჟან-რობრივი მრავალფეროვნებიდან გან-საკუთრებით პეიზაჟებს გამოვყოფდი. „ცემი“, „საღამო ბაკურიანში“, „წალ-ვერთან“ – ბორჯომის ხეობის სილამაზე მხატვარს ძნელად თუ დატოვებს გულ-გრილს. ამ ნამუშევრებში ზედმინევნით ზუსტადაა გადმოცემული სწორედ ის აუმღვრეველი სიხარულისა და სიმშ-ვიდის განცდა, რასაც ჩვენში იწვევს აქაური ბუნება. ამ ადგილებში უნდა იცხოვრო, უნდა შეიყვარო და მხოლოდ შემდეგ დახატავ ასე... უტყუარად, თუ შეიძლება რომ ხელოვნების ნაწარმოე-ბზე ვთქვათ, რომ ის „უტყუარია“ ან „მართალი“. ჩემზე აგრეთვე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფერწერულ-მა ნამუშევარმა „მიტოვებული სახლი ნორვეგიაში“, უმთავრესად, ფერთა სასიამოვნო შეხამებისა და ფერისა და ფორმის ჰარმონიული კავშირის გამო. თავად ნამუშევრების სახელწოდებე-ბიც: „მიტოვებული სახლი ნორვეგია-

ში“, „ნოსტალგია“, „ძველი თბილისის მონატრება“ და სხვ. იმ სევდაზე მეტყ-ველებს, რასაც თამარს დროის ულმო-ბელი სვლა განაცდევინებს. შორეულ ნორვეგიაში, ბუნების წიაღში მდგარი ულამაზესი დაობლებული სახლის გამო მხოლოდ ის იგრძნობს წუხილს, ვისაც თავის სამშობლოშიც ანალვლებს დაცა-რიელებული სოფლები და ქალაქებში გაქცეული მოსახლეობა. ყურადღებას იმსახურებს მხატვრის ორი პეიზაჟური პანო – „ნარიყალა“ და „სამება“, სადაც კეთილშობილი ფერების, მუქი ლურ-ჯისა და ოქროსფერის შთამბეჭდავი დუეტი თუ ორთაბრძოლა ძალიან ცო-ცხლად და დამაჯერებლად წარმოგ-ვიდგენს ჩვენთვის ასე ნაცნობ ხედებს.

იყა ქადაგიძის მსგავსად, მეც მო-ვიხიბლე ნამუშევრებით: „თებერვალი“, „მარტი“ და „აგვისტო“, რომლებიც მხოლოდ ნაწილია სერიისა – „თორმეტი თვე – ქალი“. მისი წარდგინება მოხდა 2014 წელს მწერლის სახლში გამართულ მხატვრის მეოთხე პერსონალურ გამო-ფენაზე. ნამუშევრები შერეული ტექნი-



კითაა შესრულებული (ფანქარი, ზეთი, ტუში და სხვ.) და წელიწადის თორმეტ თვეს ქალის სხეული განასახიერებს.

მიხარია, რომ იმ საღამოს თამარ ლომიძის კიდევ ერთი ქმნილება ვიხილე – მისი მშვენიერი ოჯახი. ხშირად ხდება, რომ როდესაც ორი განსხვავებული ქვეყნის შვილები ერთ ოჯახში ერთიანდებიან, შემდგომ ყველანაირად ცდილობენ, ერთმანეთთან დაახლოვონ მათი ქვეყნები: კეთილი ნების ელჩები ხდებიან და მათი ხალხების მეგობრობისთვის იღვნიან.

სტატიის დასაწერად თამარ ლომიძის ბიოგრაფიას გადავხედე. 1993 წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით დაუმთავრებია და ასპირანტურაში გაუგრძელებია სწავლა. იმავე წელს უნივერსიტეტში მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. დიდი ხნის წინ იყო ეს ამბავი, მაგრამ მეხსიერებაში ამოტივტივდა სტუდენტობის წლები, თსუში არსებული ლიტერატურული წრის ყოველკვირეული შეხვედრები და პოეზიის საღამოები, რომლებშიც თამარი აქტიურად მონაწილეობდა. გამახსენდა, რომ ერთხელ სახლშიც კი ვესტუმრე, ლექციების შემდეგ. უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობდა, ატენის ქუჩაზე. მისი ფერწერული ნამუშევრების ნახვა მინდოდა. დიდი ზომის ტილოები იყო. თუ არ ვცდები, ერთ მათგანზე ჭრელტან-საცმლიანი კლოუნი ეხატა; რატომდაც განსაკუთრებით ის დამამახსოვრდა და წასვლის წინ კიდევ ერთხელ შევავლე თვალი. თავად თამარი სიზმარივით მახსოვს – მაღალი და სიფრიფანა, ლამაზი და ნიჭიერი. უკვე მეუღლე და დედა.

●  
მოგაგონდები  
მტვერს და მინას თუ ჩამომაცლი,  
თუ ლექსზე ისევ  
ძველებურად იეჭვიანებ...  
ვიცი,  
არ დაგხვდა ბროლის ხელზე  
სურნელი ვარდის,  
გთხოვ, მაპატიო  
არაფრიდან მე ვქმნიდი ქარებს.  
გთხოვ, მაპატიო,  
ვერ შევძელი ფერებით დალლა,  
დრო დაგიბრუნე  
შეგროვილი და  
ნასესხები...  
შენს ზღურბლთან ქალის  
უბადრუკი წაიქცა ლანდი და  
შემოდგომის ნაოჭებად  
დასცვივდა გზები.  
გთხოვ, მაპატიო  
თოვლისფერი ნაფეხურები,  
ჩემს სულს რომ მუდამ  
დამსხვრეული...  
დუმილად ეცვა,  
ავაზაკივით ვამძიმებდი  
შენს ჯვარს და მაინც  
ანგელოზივით ჩავყურებდი  
თვალებში ზეცას.  
გთხოვ, მაპატიო  
მადლისა და მზის მხურვალება,  
რაც იდო ქვაზე,  
რაც არ იდო,  
რაც უნდა მეთქვა...  
შენ მხოლოდ სული შემიბერე,  
რადგან ვიწვოდი...  
მე კი გავფრინდი და  
წარსულში დავიწყე ფეთქვა...  
(თამარ ლომიძის პოეტური კრებულიდან „მე სხვა ცას ვეძებ“).